

Juristische Falllösungsmethode

სამოქალაქო კაზუსების
დამუშავების მეთოდика



2009

Das vorliegende Buch wird mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH herausgegeben. Die im Buch dargestellten Ansichten geben ausschließlich die Meinung der Autoren wieder. Der Herausgeber übernimmt für die Richtigkeit und Vollständigkeit des Inhaltes keine Verantwortung.

წინამდებარე წიგნი გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით. წიგნში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის უშუალოდ ავტორს. გამომცემელი არ იღებს პასუხისმგებლობას წიგნის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

გამომცემაზე პასუხისმგებელი | ჯგუფი „სიესტა“
გამომცემელი | ქეთევან კილურაძე
კორექტორი | ლელა არაბული
ტექნიკური უზრუნველყოფა | გვანცა მახათაძე
© GTZ

© გამომცემლობა „სიესტა“, 2009

გამომცემულია 2009, თბილისი

ISBN 978-9941-414-09-1

გამომცემლობა შპს „სიესტა“

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 27

ტელ./ფაქსი: +995 32 92 31 49

ელ-ფოსტა: books@siestagroup.ge



gtz



im Auftrag des

Bundesministerium für
wirtschaftliche Zusammenarbeit
und Entwicklung

Das Werk ist urheberrechtlich geschützt. Weder das Werk noch Teile davon dürfen nicht ohne schriftliche Einwilligung des Herausgebers öffentlich zugänglich gemacht oder reproduziert werden. Ein Verstoß hat sowohl zivil- als auch strafrechtliche Folgen.

ნაშრომი დაცულია საავტორო სამართლით. დაუშვებელია გამომცემლის წერილობითი თანხმობის გარეშე მისი ცალკეული ნაწილებისა და მთლიანი ნაშრომის საჯარო მიზნებისათვის გამოყენება ან რეპროდუქცირება. აღნიშნულის დარღვევა გამოიწვევს როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლისსამართლებრივ შედეგებს.

სარჩევი

GTZ-ის შესახებ	7
Das Profil der GTZ	8
Vorwort zur Fallloesungsmethode im Zivilrecht	9
წინასიტყვაობა	12
So sollte das Zivilrecht unterrichtet werden	15
ასე უნდა ისწავლებოდეს სამოქალაქო სამართალი	18
შესავალი	21
თავი I კაზუსის იურიდიული დამუშავება	22
I. კაზუსის იურიდიული დამუშავების მნიშვნელობა პრაქტიკაში	24
II. გადაწყვეტილების მიღების პროცესი კაზუსის იურიდიული დამუშავების ფარგლებში	28
III. კაზუსის იურიდიული დამუშავების ძირითადი მოთხოვნები	33
1. სამართლებრივი ვითარების დეტალური გადმოცემა	33
2. აზრის მარტივი და გასაგები ჩამოყალიბება	35
3. სადავო საკითხებთან დაკავშირებით დამაჯერებელი არგუმენტირება	36
4. არ არსებობს ერთადერთი „სწორი“ გადაწყვეტა	37
5. კაზუსის იურიდიული დამუშავების ეფექტიანობა	38
6. მარტივი და გასაგები ენა	38
IV. დასკვნა	39
თავი II სამართლის ნორმების გამოყენება	40
I. კანონის სტილი	41
II. სამართლის ნორმის სტრუქტურა	42
III. სუბსუმცია	47
1. სილოგიზმი	48
2. სუბსუმციის ძირითადი სტრუქტურა	49
3. სუბსუმციის დანაწევრება	52
4. სუბსუმცია და ნორმის აბსტრაქტული ფორმულირება	58
IV. სამართლის ნორმის განმარტება	60
V. ანალოგია	65

1. რეგულირების არაგეგმიური ხარვეზი	66
2. კანონის ანალოგია, სკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი	67
3. სამართლის ანალოგია, სკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი	68
VI. თელეოლოგიური რედუქცია	68
VII. არგუმენტირების სხვა მეთოდები	71
1. „მით უფრო“-დასკვნა (argumentum a fortiori)	71
2. დასკვნა სანიანადმდგოს საფუძველზე (argumentum e contrario)	72
3. Argumentum ad absurdum	73
VIII. დავის გადაწყვეტა	73
IX. დასკვნა	74
თავი III სამოქალაქო სამართლებრივი კაზუსის გადაწყვეტის სტრუქტურა	75
I. მოთხოვნის შემოწმების სტრუქტურა	76
1. მოთხოვნა	76
2. მოთხოვნის საფუძველი	78
ა) ერთი ნორმა, როგორც მოთხოვნის საფუძველი	78
ბ) რამოდენიმე ნორმის შეკავშირება მოთხოვნის საფუძვლის ჩამოყალიბების მიზნით	79
3. ერთი მიზნის მქონე მოთხოვნის სხვადასხვა საფუძველების შემოწმების რიგითობა	83
4. შემოწმების სტრუქტურა მოთხოვნის ერთი საფუძვლის ფარგლებში	90
5. შემოწმების სტრუქტურა რამოდენიმე მონაწილის შემთხვევაში	107
II. სტრუქტურა სანივთო უფლებებისა და სხვა საკითხების შემოწმებისას	109
III. დასკვნა	113
თავი IV კაზუსის დამუშავების მეთოდი	115
I. ამოცანის შინაარსის დამუშავება	115
1. კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების (ფაბულის) დამუშავება	118
ა) კაზუსის ფაბულის დამუშავების მიზანი	118
ბ) კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების (ფაბულის) გააზრება	120
გ) კაზუსის ფაბულის ვიზუალიზაცია	121
დ) კაზუსის ფაბულის ქრონოლოგიური წარმოდგენა	124

ე) კაზუსების ფაბულის ანალიზი	127
ვ) შესაძლო პრობლემები ფაბულის დამუშავებისას	128
(1) ხარვეზიანი ფაბულა	128
(2) სამართლებრივი ცნებების გამოყენება	129
(3) მხარეთა სამართლებრივი მოსაზრებები	130
(4) ნების გამოვლენის განმარტებები	130
2. მუშაობა საკვანძო კითხვაზე	132
ა) საკვანძო კითხვის შესწავლა	132
ბ) მოთხოვნაზე ორიენტირებული სტრუქტურა	133
გ) სხვა კონსტელაციები	137
II. კაზუსის სამართლებრივი გადაწყვეტა	137
1. მნიშვნელოვანი ნორმების მოძიება	138
ა) შედეგის განმსაზღვრელი ნორმები	138
ბ) მოთხოვნის გამომრიცხავი ნორმები	141
2. მოძიებული ნორმების დალაგება თანმიმდევრობით	142
3. ნორმების გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაზე	143
4. გადაწყვეტის სქემის შედგენა	144
III. წერილობითი დასკვნის შედგენა	148
1. დასკვნის სტილი	148
ა) სუბსუმციის წარმოდგენა	149
ბ) აზრთა სხვადასხვაობის წარმოდგენა	151
2. ენა	154
3. დასკვნის სტრუქტურა	154
4. მითითებები წერილით გამოცდებისა და საშინაო ნაშრომებისათვის	154
IV. დასკვნა	160
თაპი V კაზუსები	161
კაზუსი I:	161
კაზუსი II	174
კაზუსი III	196

GTZ-ის შესახებ

ჩვენი მიზანი

შპს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) არის მსოფლიო მასშტაბის მქონე საწარმო საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების დარგში. ის მხარს უჭერს გერმანიის ფედერალურ მთავრობას განვითარების პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში. GTZ სთავაზობს გლობალიზირებულ მსოფლიოს აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური საკითხების გადაჭრის მომავალზე ორიენტირებულ გზებს, იგი მხარს უჭერს კომპლექსურ რეფორმებს და განვითარების პროცესებს რთულ პირობებშიც კი. მისი მიზანია, ადამიანების ცხოვრების პირობების მდგრადი გაუმჯობესება.

ჩვენი დამკვეთები

GTZ არის ფედერალური საწარმო, რომლის სათაო ოფისი განთავსებულია ეშბორნში, მაინის ფრანკფურტთან. ის ჩამოყალიბდა 1975 წელს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი მთავარი დამკვეთია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ). გარდა ამისა, ის მუშაობს სხვა ფედერალური უწყებების, ასევე სხვა ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვეთით, როგორცაა ევროკომისია, გაერო ან მსოფლიო ბანკი, აგრეთვე კერძო ორგანიზაციების დავალებითაც. GTZ თავის ამოცანებს ახორციელებს საერთო სარგებლობისათვის. ზედმეტი თანხები გამოიყენება მხოლოდ საკუთარივე პროექტებისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად.

მსოფლიო მასშტაბი

GTZ წარმოდგენილია აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის, ხმელთაშუა ზღვისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონების, ასევე ევროპის, კავკასიისა და შუა აზიის 120-ზე მეტ ქვეყანაში. აქედან 92 ქვეყანაში მას საკუთარი ოფისები გააჩნია. მთელი მსოფლიოს გარშემო მას დასაქმებული ჰყავს 12.000 თანამშრომელი, აქედან 9.000 ადამიანი ადგილობრივი თანამშრომელია. ეშბორნის ცენტრალურ ოფისში და გერმანიის სხვა ოფისებში დაახლოებით 1.500 ადამიანი მუშაობს.

სამხრეთ/კავკასიის ქვეყნებში BMZ-ის დავალებით GTZ სხვადასხვა პროექტს ახორციელებს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების მხარდასაჭერად. ამ პროექტების ფარგლებში მუშაობენ როგორც მოკლე-, ისევე გრძელვადიანი მონვეული ექსპერტები, რომლებიც ახორციელებენ საკანონმდებლო კონსულტაციას და ატარებენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებს, ასევე მონაწილეობას ლეზულობენ სპეციალურ კონფერენციებში. პუბლიკაციების – მასალათა კრებულის – ფარგლებში გამოიცემა მოხსენებები, ასევე პროექტების სხვა მასალები. გარდა ამისა, გამოიცემა პერიოდული სპეციალური ლიტერატურაც.

Das Profil der GTZ

Unser Unternehmen

Als weltweit tätiges Bundesunternehmen der internationalen Zusammenarbeit für nachhaltige Entwicklung unterstützt die Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH die Bundesregierung bei der Verwirklichung ihrer entwicklungspolitischen Ziele. Sie bietet zukunftsfähige Lösungen für politische, wirtschaftliche, ökologische und soziale Entwicklungen in einer globalisierten Welt und fördert komplexe Reformen und Veränderungsprozesse auch unter schwierigen Bedingungen. Ihr Ziel ist es, die Lebensbedingungen der Menschen nachhaltig zu verbessern.

Unsere Auftraggeber

Die GTZ ist ein Bundesunternehmen mit Sitz in Eschborn bei Frankfurt am Main. Sie wurde 1975 als privatwirtschaftliches Unternehmen gegründet. Ihr Hauptauftraggeber ist das Bundesministerium für wirtschaftliche Zusammenarbeit und Entwicklung (BMZ). Darüber hinaus ist sie tätig für andere Bundesressorts, für Regierungen anderer Länder, für internationale Auftraggeber wie die Europäische Kommission, die Vereinten Nationen oder die Weltbank sowie für Unternehmen der privaten Wirtschaft. Die GTZ nimmt ihre Aufgaben gemeinnützig wahr. Überschüsse werden ausschließlich wieder für eigene Projekte der internationalen Zusammenarbeit für nachhaltige Entwicklung verwendet.

Weltweit tätig

Die GTZ ist in mehr als 120 Ländern Afrikas, Asiens, Lateinamerikas, in den Regionen Mittelmeer und Mittlerer Osten sowie Europa, Kaukasus und Zentralasien tätig. In 92 Ländern ist sie mit eigenen Büros vertreten. Weltweit beschäftigt das Unternehmen knapp 12.000 Mitarbeiterinnen und Mitarbeiter; davon sind über 9.000 einheimische Kräfte. In der Zentrale in Eschborn und an weiteren Standorten in Deutschland arbeiten rund 1.500 Personen.

In den Ländern des südlichen Kaukasus führt die GTZ im Auftrag des BMZ mehrere Projekte zur Unterstützung der Rechts- und Justizreformen durch. Im Rahmen der Projekte werden Lang- und Kurzezeitexperten eingesetzt, die beratende Tätigkeit bei der Gesetzgebung ausüben, Fortbildungsveranstaltungen durchführen und Vorträge bei Fachkonferenzen halten. Im Rahmen der Schriftenreihe – der Materialiensammlung – werden Vorträge und Materialien der Projekte veröffentlicht. Daneben werden regelmäßig Fachpublikationen veröffentlicht.

Vorwort zur Falloesungsmethode im Zivilrecht

Am 25. November 1997 trat in Georgien das neue Zivilgesetzbuch in Kraft. Damit wurde das seit 1964 geltende Zivilgesetzbuch der Georgischen Sozialistischen Sowjetrepublik ersetzt. An der Erarbeitung des neuen Zivilgesetzbuches beteiligte sich maßgeblich auch die Bundesrepublik Deutschland, die über die Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) verschiedene Rechtswissenschaftler und Praktiker als Berater der eigens gegründeten ZGB-Kommission verpflichtete. Neben der GTZ berieten auch niederländische Juristen vom Centre for International Legal Cooperation (CILC) die georgische Gesetzgebungskommission. Frühzeitig fiel die Entscheidung für die Kontinuität eines kontinental-europäischen Rechtssystems.

Inzwischen sind mehr als zehn Jahre vergangen und das Georgische Zivilgesetzbuch hat vielfältige Änderungen erfahren. Die Grundstruktur ist jedoch erhalten geblieben. Daraus ergibt sich ein besonderer Anspruch an jeden Rechtsanwender: die Kenntnis der Methode zur Anwendung des Gesetzes – insbesondere der Subsumtionstechnik. Diese Methode ist die Grundlage für die Arbeit des Ziviljuristen: der Prüfung des Bestehens oder Nichtbestehens rechtlicher Ansprüche eines Bürgers gegen einen anderen in einem konkreten Sachverhalt. Erst die konsequente und sachgerechte Anwendung der Subsumtionstechnik unterscheidet den kompetenten Juristen vom Laien, der aus seiner Perspektive einen Lebenssachverhalt zwar oft richtig, aber eben doch nur intuitiv bewerten kann.

Wie alle Methoden ist auch die Subsumtionstechnik erlernbar. Mit diesem Lehrbuch soll dazu beitragen, Studenten der Rechtswissenschaft in Georgien dabei zu unterstützen. Dazu wird nicht nur die Methode dargestellt, sondern es werden auch die wesentlichen Rechtsbegriffe und die Systematik des Georgischen Zivilrechts ausführlich erörtert. Anhand von drei Fallbeispielen mit unterschiedlichen Schwierigkeitsstufen wird dann detailliert und Schritt für Schritt die Anwendung der Methode veranschaulicht.

Das Lehrbuch wendet sich vorrangig an die Studenten der ersten Semester, die bereits eine erste Einführung in die Systematik des Privatrechts und des Zivilgesetzbuches erhalten haben. Mit seinen Fallbeispielen liefert es aber auch den weiter fortgeschrittenen Studenten eine gute Basis zur Wiederholung und Kontrolle des Gelernten.

Das Lehrbuch reiht sich ein in die lange Liste der von den GTZ-Vorhaben unterstützten Publikationen im Rechtsbereich. Angesichts der Beteiligung der GTZ bei der Erarbeitung des Zivilgesetzbuches und der anschliessend in Zusammenarbeit mit den georgischen Partnerinstitutionen erfolgten Fortbildung von juristischen Fachkräften, vor allem Richtern, Notaren und Beamten, lag es nahe, gerade für diesen Rechtsbereich ein Fachbuch zur Verfügung zu stellen, dass sich explizit mit der Methodik zur Anwendung des Rechts auseinandersetzt. Zugleich erschien es sinnvoll, den größtmöglichen Kreis von künftigen Nutzern dadurch anzusprechen, dass das Buch sich bereits an die in der Ausbildung junger Juristen wendet, durch verständlichen Sprachstil, ausführliche Erklärung und praxisnahe Fallbeispiele.

Die Autorin Sandra Henzschel, die 1976 in Karl-Marx-Stadt in der ehemaligen DDR geboren wurde, war nach dem erfolgreichen Abschluss des rechtswissenschaftlichen Studiums in Jena und Leuven (Belgien) und des dann folgenden Rechtsreferendariats seit 2004 als Juristin in Georgien tätig: so arbeitete sie zunächst in dem GTZ Vorhaben zur Unterstützung der Rechts- und Justizreformen im Südkaukasus mit und hielt parallel Vorlesungen zum Europarecht und zum deutschen Staatsrecht an der Juristischen Fakultät der Staatlichen Universität Tiflis. In 2006 kam dann auch eine Lehrverpflichtung zum Römischen Recht für das Georgian Institute for Public Affairs hinzu. Ab August 2006 lehrte sie an der Juristischen Fakultät der Staatlichen Universität Tiflis schliesslich deutsches Handels- und Gesellschaftsrecht, gab eine Einführung in die deutsche Rechtsprache und unterrichtete Studenten in der Methode der Falllösung, all das jeweils im Rahmen des Lektorenprogramms der Robert-Bosch-Stiftung. Ihre Erfahrungen als Lektorin hat sie in dieses Lehrbuch eingebracht.

Schon während der Arbeit an diesem Lehrbuch kam die Idee zu Folgeprojekten auf. Angedacht waren Lehrbücher zur Falllösung im Verwaltungsrecht, aber auch eine Vertiefung zum Zivilrecht, etwa mit besonderer Schwerpunktsetzung beim Sachenrecht oder beim besonderen Schuldrecht. Das GTZ Rechtsvorhaben sieht hier auch in Zukunft einen Schwerpunkt seiner Tätigkeit in Georgien.

Der Übersetzerin des Lehrbuches Frau Eter Chachanidze und dem Lektor der georgischen Übersetzung Herrn Professor Dr. Lado Chanturia sei gedankt. Ohne sie wäre die angestrebte hohe Qualität dieser Publikation in der übersetzten Fassung nicht zu erreichen gewesen.

Zeno Reichenbecher
Programmleiter
GTZ Vorhaben „Rechts- und Justiz-
reformen im Südkaukasus“

Franziska Boehm
Teamleiterin
GTZ Vorhaben „Rechts- und Ge-
richtssystem in Georgien“

წინასიტყვაობა

1997 წელს საქართველოში ძალაში შევიდა ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელმაც შეცვალა 1964 წლიდან აქართველოს ოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი. ახალი კოდექსის შედგენაში თავისი წვლილი შეიტანა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამაც, რომელმაც გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) მეშვეობით მოიწვია მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტები სპეციალურად შექმნილი სამოქალაქო სამართლის კოდექსის კომისიაში საკონსულტაციო სამუშაოების გასაწევად. GTZ-თან ერთად კომისიას საკონსულტაციო მხარდაჭერას უწევდნენ ასევე ჰოლანდიელი ექსპერტები საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ცენტრის (CILC) ეგიდით. საკმაოდ ადრეულ ეტაპზე გადაწყდა, რომ საქართველო ირჩევდა კონტინენტალ-ევროპული სამართლებრივი სისტემის მოდელს.

ამასობაში ათ წელზე მეტი გავიდა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსმაც მრავალი ცვლილება განიცადა. თუმცა, შენარჩუნდა მისი ძირითადი სტრუქტურა. აქედან გამომდინარე, სამართლის პრაქტიკოსებს მოეთხოვებათ კანონის გამოყენების მეთოდიკის, კერძოდ კი – სუბსუმციის მეთოდის ცოდნა, რომელიც სამოქალაქო სამართლის სპეციალისტის საქმიანობის ძირითადი საფუძველია. სუბსუმციის მეთოდის გამოყენებისას ადგილი აქვს კონკრეტული ვითარების ფარგლებში ერთი პირის სასარგებლოდ მეორე პირის მიმართ შესაძლო სამართლებრივი მოთხოვნების არსებობის შემონგებას. სწორედ სუბსუმციის მეთოდის ზედმიწევნით ფლობა და გამოყენება განასხვავებს კომპეტენტურ იურისტს არაიურისტისაგან, რომელიც, შესაძლოა ხშირად სწორად აფასებს ცხოვრებისეულ მოვლენებს, მაგრამ ეს შეფასება ემყარება ინტუიციას და არა ცოდნას.

როგორც ყველა სხვა მეთოდი, სუბსუმციაც ისწავლება. წინამდებარე სახელმძღვანელომ ხელი უნდა შეუწყოს ქართველ სტუდენტებს აღნიშნული მეთოდის შესწავლაში. ამასთან, წიგნში წარმოდგენილია არა მხოლოდ მეთოდიკა, არამედ ასევე დეტალურად არის ახსნილი და გადმოცემული არსებითი სამართლებრივი ტერმინები და საქართველოს სამოქალაქო სამართლის სისტემატიკა. სამი სხვადასხვა სირთულის

პრაქტიკული მაგალითის მეშვეობით დეტალურად და თანმიმდევრულად არის განმარტებული მეთოდის გამოყენება.

სახელმძღვანელო უპირველეს ყოვლისა ეძღვნება დამწყებ სტუდენტებს, რომლებსაც უკვე გავლილი აქვთ კერძო სამართლისა და სამოქალაქო კოდექსის საფუძვლები. თუმცა, საინტერესო პრაქტიკული მაგალითებით წიგნი მაღალი კურსების სტუდენტებსაც აძლევს მიღებული ცოდნის გამეორებისა და გადამონმების შესაძლებლობას.

წინამდებარე სახელმძღვანელო არის GTZ-ის მხარდაჭერით გამოცემული მრავალფეროვანი იურიდიული პუბლიკაციების ნაწილი. სამოქალაქო კოდექსის შემუშავებაში მონაწილეობასთან ერთად, რასაც მოჰყვა სამართლის პრაქტიკოსების: მოსამართლეების, ნოტარიუსების, საჯარო მოხელეების გადამზადება პარტნიორი ინსტიტუციების დახმარებით, GTZ-ისათვის მნიშვნელოვანი იყო სწორედ სამოქალაქო სამართალში მისი დახმარებით შექმნილიყო სახელმძღვანელო ნორმის გამოყენების მეთოდიკასთან დაკავშირებით. წიგნი, ვინაიდან იგი თავისი გასაგები ენით, დეტალური განმარტებებითა და პრაქტიკული მაგალითებით განკუთვნილია სწავლების ეტაპზე მყოფი ახალგაზრდა იურისტებისათვის, იზიდავს მომავალ მომხმარებელთა ფართო წრეს.

წიგნის ავტორი, ქ-ნი სანდრა ჰენცშელი (დაბ. 1976 წელს ქ. კარლ-მარქს-შტადტში, ყოფილ გდრ-ში) იენასა და ლოივენში (ბელგია) იურიდიული განათლების მიღებისა და შესაბამისი პრაქტიკული კურსის წარმატებულად გავლის შემდეგ 2004 წლიდან მოღვაწეობდა იურისტად საქართველოში. GTZ-ის პროექტში „სამართლისა და იუსტიციის რეფორმები სამხრეთ-კავკასიაში“ მუშაობასთან ერთად იგი ლექციებს კითხულობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ევროპის სამართალსა და გერმანიის სახელმწიფო სამართალში. 2006 წელს მის საქმიანობას დაემატა მოღვაწეობა საქართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტში რომაული სამართლის განხრით. 2006 წლის აგვისტოდან იგი უნივერსიტეტში კითხულობდა გერმანიის სავაჭრო და კორპორატიული სამართლის კურსს, ასევე შესავალს გერმანულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში და სტუდენტებს აზიარებდა პრაქტიკული კაზუსების ამოხსნის მეთოდიკას. ყოველივე მიმდინარეობდა რობერტ ბოშის ფონდის სალექტორო

პროგრამის ფარგლებში. მისი პედაგოგიური გამოცდილება ასახულია წინამდებარე სახელმძღვანელოში.

ჯერ კიდევ წიგნზე მუშაობისას წარმოიშვა ახალი იდეები მომდევნო პროექტების განხორციელების თაობაზე. იგულისხმება სახელმძღვანელოები კაზუსების ამოხსნასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალში და ასევე სამოქალაქო სამართალში ცოდნის გაღრმავების მიზნით. აქ უკვე შესაძლებელი იქნება ყურადღების გამახვილება სანივთო სამართალზე ან ვალდებულებითი სამართლის განსაკუთრებულ ნაწილზე. GTZ-ის სამართლებრივი პროექტი სამომავლოდაც ისახავს მიზნად აქტიური მხარდაჭერის განევას აღნიშნულ სფეროში.

მადლობას ვუხდით წიგნის მთარგმნელს ქ-ნ ეთერ ჩაჩანიძესა და ქართული რედაქციის რედაქტორს, პროფესორ ლადო ჭანტურიას. მათი ძალისხმევის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ასეთი მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოს შექმნა ქართულ ენაზე.

ცენო რაიჰენბეჰერი ფრანცისკა ბიომი

GTZ-ის პროექტის

„სამართლისა და სასამართლო სისტემა საქართველოში“ გუნდის ხელმძღვანელი

ცენო რაიჰენბეჰერი
GTZ-ის პროექტის „სამართლისა
და იუსტიციის რეფორმები
სამხრეთ-კავკასიაში“
პროგრამის ხელმძღვანელი

ფრანცისკა ბიომი
GTZ-ის პროექტის „სამართლისა
და სასამართლო სისტემა
საქართველოში“
გუნდის ხელმძღვანელი

So sollte das Zivilrecht unterrichtet werden

Das vorliegende Buch wird künftigen georgischen Juristen eine große Unterstützung sein. Es versucht nämlich die in der Ausbildung im Zivilrecht vorhandenen Lücken zu füllen, die trotz beeindruckender Änderungen auf diesem Gebiet immer noch bestehen. Die Hauptaufgabe eines Juristen ist es, zu versuchen, die konkreten Lebenssachverhalte und –vorgänge, rechtlich zu beantworten bzw. sie anhand von einzelnen Rechtsnormen zu würdigen. Dies ist keine leichte Aufgabe, zumal wenn wir berücksichtigen, dass das Recht unzählige Normen enthält und die auf bestimmte Verhältnisse anzuwendenden Normen in vielen Gesetzen zerstreut sein können. Das Ziel der juristischen Ausbildung besteht darin, dass die werdenden Juristen die Methoden der Rechtsanwendung beherrschen. Dabei ist das bloße Auswendiglernen der Gesetzestexte oder Rechtstheorien nicht ausreichend, wenn dies nicht der Anwendung dieser Gesetze in der Praxis dient.

Meine langjährige Erfahrung wie in Georgien als auch in vielen anderen Ländern gibt mir den Anlass zu sagen, dass das Recht nicht nur ein Produkt des gesetzgeberischen Wirkens ist, sondern auch ein Werk der juristischen Ausbildung. Dabei kommt der universitären juristischen Ausbildung eine entscheidende Bedeutung zu. Es ist unmöglich, die in der Ausbildung vorgenommenen Fehler im späteren Berufsleben vollständig zu verbessern. Die für die praktizierenden Juristen veranstalteten Seminare oder Trainings können nicht als eine Kompensation für die Mängel der universitären Ausbildung gelten; diese ist nämlich das Fundament eines gesunden Rechtssystems.

Im Unterschied zu entwickelten westlichen Rechtssystemen ist die universitäre juristische Ausbildung der postsowjetischen Länder zu theoretisch gehalten und bietet den werdenden Juristen nicht das Wissen und methodisches Handwerk an, das sie in ihrer beruflichen Tätigkeit benötigen. Das hat zur Folge, dass weder gute Rechtsnormen noch die guten Absichten des Gesetzgebers im Leben verwirklicht werden können. Dafür fehlt den praktizierenden Juristen oft das methodische Handwerk.

Das Buch von Frau Sandra Henzschel bietet den georgischen Studierenden die Methoden an, die für das richtige Verständnis des Zivilrechts und die kor-

rekte Anwendung des Zivilgesetzbuches unentbehrlich sind. Aus diesem Blickwinkel ist es das erste georgische Lehrbuch, das auch für die Anfänger eine Unterstützung beim Studium des Zivilrechts darstellt. Mit gleicher Sicherheit ist auch anzumerken, dass sowohl diplomierte als auch praktizierende Juristen sehr gerne auf dieses Buch zugreifen werden.

Ich bin zuversichtlich, dass dieses Buch zum Handbuch aller Studenten wird. Es bietet nämlich den Schlüssel, den jeder Jurist benötigt, soweit er anstrebt, die zivilrechtlichen Angelegenheit unter korrekter Anwendung des Zivilgesetzbuches zu lösen. Dieser Schlüssel ist auch in anderen Rechtsgebieten anwendbar.

Der Autorin ist es gelungen, die Methoden der Rechtsanwendung und das wichtigste juristische Handwerk verständlich und zugänglich zu machen. Wenn dies in deutscher Sprache und für deutsche Juristen keine besondere Schwierigkeit darstellt, so ist die Bewältigung dieser Aufgabe in georgischer Sprache nicht einfach gewesen. Frau Etuna Chachanidze hat diese Aufgabe ausgezeichnet bewältigt: ich bin zuversichtlich, dass mit Hilfe ihres raffinierten Sprachstils und der zutreffenden Wortwahl das Buch zu den Lieblingsbüchern junger Juristen zählen wird. Unter Berücksichtigung dessen, dass die georgische Rechtssprache sich immer noch in der Entwicklung befindet und noch keine Vervollkommnung erreicht hat, wie es für entwickelte Rechtstraditionen kennzeichnend ist, ist es recht schwierig gewesen, entsprechende Begriffe auf Georgisch zu finden. Deshalb ist es nicht ausgeschlossen, dass gewisser Präzisionsbedarf bei einigen Begriffen besteht, der dann in den nächsten Auflagen zu decken sein wird.

Die Autorin bot an, die deutsche Zitierweise für Gesetze bzw. Rechtsnormen zu übernehmen, die ökonomischer (weil knapper) ist, dadurch, dass die Buchstaben ganz oder teilweise durch entsprechende Ziffer bei Angabe des Artikel (477), Absatzes (II) und Satzes (S.1) ersetzt werden. Da das Buch recht viele Neuigkeiten für georgische Leser bietet, haben wir versucht, sie nicht mit dieser Novelle bzw. Umstellung zusätzlich zu belasten; ich gehe jedoch davon aus, dass diese Zitierweise sich in der nächsten Auflage etablieren wird.

Die sinngemäß zutreffende Auswahl georgischer Begriffe für bereits etablierte deutsche Termini war eine Herausforderung. So mussten wir dem Begriff „der Fall“ keine wörtliche Übersetzung, sondern sich in der georgischen Rechtssprache eingebürgerte Ausdrucksweise „Kasus“ zuschreiben, wobei die

wörtliche Übersetzung als eine weitere richtige Alternative sich in der georgischen Rechtssprache durchsetzen sollte.

Ebenso standen wir bei der Bearbeitung des Begriffs „der Sachverhalt“ vor der Wahl, entweder „tatsächliche Umstände eines Falles“ (Sachdarstellung) oder „die Fabel“ heranzuziehen, wobei dem letzteren Vorrang eingeräumt wurde, was wiederum nicht ausschließt, dass in der Zukunft ein besserer Terminus gefunden werden kann.

Ungeachtet der bereits geschilderten Schwierigkeiten und Herausforderungen, die zum größten Teil auf die Erarbeitung der georgischen Version zurückzuführen sind ist das vorliegende Buch in einer feinen georgischen Rechtssprache gefasst, wodurch es leicht verständlich und leicht handhabbar für seine Leser sein wird.

Das Buch ist eine wertvolle Unterstützung nicht nur für Studenten, sondern eine große Bereicherung auch für die Lehrenden im Bereich des Zivilrechts. Deshalb wird es vom breiten georgischen Leserpublikum genossen werden.

Lado Chanturia
Bremen, Mai, 2009

ასე უნდა ისწავლებოდეს სამოქალაქო სამართალი

წინამდებარე წიგნი მომავალ ქართველ იურისტებს დიდ სამსახურს გაუწევს. იგი ცდილობს შეავსოს სამოქალაქო სამართლის სწავლების ის ხარვეზი, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს, მიუხედავად ამ სფეროში უკვე განხორციელებული თვალსაჩინო ცვლილებებისა. იურისტის უმთავრესი ამოცანაა კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტებისა და შემთხვევებისთვის სამართლებრივი პასუხის მოძებნა, ანუ მათი შეფასება კანონის ცალკეული წინადადებების – ნორმების – საფუძველზე. ამის გაკეთება არ არის იოლი საქმე, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ კანონი უამრავ ნორმას შეიცავს, მოსაწესრიგებელი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები კი შესაძლოა მრავალ კანონში იყოს გაბნეული. იურიდიული განათლების მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მომავალი იურისტები დაეუფლონ კანონის გამოყენების მეთოდებს. მხოლოდ კანონების გაზეპირება ან სამართლებრივი ცნებებისა თუ თეორიების ცოდნა სრულიადაც არ არის საკმარისი, თუკი ყოველივე ეს არ ემსახურება ამ კანონთა გამოყენებას ცხოვრებაში.

როგორც საქართველოში, ისე მრავალ სხვა ქვეყანაში, ჩემი მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება მაძლევს იმის თქმის მყარ საფუძველს, რომ სამართალი არა მხოლოდ საკანონმდებლო მოღვაწეობის პროდუქტია, არამედ იურიდიული განათლების ნაყოფი. საუნივერსიტეტო იურიდიული განათლება ამ საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობს. აქ დაშვებული შეცდომების გამოსწორება შემდგომ პრაქტიკულ საქმიანობაში შეუძლებელია. პრაქტიკოსი იურისტებისთვის ჩატარებული მრავალრიცხოვანი სემინარები თუ ტრენინგები არ იძლევა საუნივერსიტეტო იურიდიული განათლების პროცესში დაშვებული ხარვეზების კომპენსაციის შესაძლებლობას. ჯანსაღი სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტს ქმნის საუნივერსიტეტო იურიდიული განათლება.

განსხვავებით დასავლეთის განვითარებული სამართლებრივი სისტემებისაგან საუნივერსიტეტო იურიდიული განათლება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ზედმეტად თეორიულია და მომავალ იურისტებს არ აღჭურავს იმ ცოდნითა და მეთოდებით, რომლებიც მათ მომავალ პრაქტიკულ საქმიანობაში სჭირდებათ. ამას კი შედეგად ის მოჰყვება, რომ კანონის

კარგი ნორმები და კანონმდებლის კარგი განზრახვები ცხოვრებაში ვერ ჰპოვებენ განხორციელებას. ამისთვის პრაქტიკოს იურისტებს ხშირად არ ჰყოფნით მეთოდურად გამართული განათლება.

სანდრა ჰენშელის წიგნი მიზნად ისახავს სამოქალაქო სამართლის შემსწავლელი ქართველი სტუდენტების აღჭურვას იმ მეთოდებით, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო სამართლის სწორად შესწავლისა და სამოქალაქო კოდექსის კორექტულად გამოყენებისთვის. ამ თვალსაზრისით თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ქართულ ენაზე შესრულებული პირველი დამხმარე სახელმძღვანელოა სამოქალაქო კოდექსის შემსწავლელი დამწყები სტუდენტებისთვის. თუმცა ასევე დაჯერებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ წიგნს დიპლომირებული და გამოცდილი იურისტებიც დიდი სიამოვნებით გამოიყენებენ.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნაშრომი ყველა სტუდენტის სამაგიდო წიგნი გახდება. იგი იძლევა იმ გასაღებს, რომელიც ყველა იურისტს უნდა ჰქონდეს, თუკი მას სურს სამოქალაქო კოდექსით ცხოვრება და სამოქალაქო საკითხების გადაწყვეტა ამ კოდექსით. ეს გასაღები სამართლის სხვა დარგებშიც შეიძლება იყოს გამოყენებული.

ავტორის დამსახურებად უნდა ითქვას, რომ მან შეძლო ქართველი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი სტილითა და გასაგები ენით აეხსნა სამოქალაქო კოდექსის გამოყენების მეთოდები და იურისტის მუშაობის ძირითადი ინსტრუმენტები. თუკი ამის გაკეთება გერმანულ ენაზე და გერმანელი იურისტებისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, ქართულ ენაზე ამ ამოცანის შესრულება არ იყო იოლი საქმე. ეთუნა ჩაჩანიძემ ბრწყინვალედ გაართვა თავი ამას: ეჭვი არ მეპარება, რომ მისი დახვეწილი ქართულით შესრულებული ეს ნაშრომი ქართველი ახალგაზრდა იურისტების საყვარელი წიგნი იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართული იურიდიული ენა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და ჯერ არ მიუღია ისეთი დასრულებული სახე, როგორც ეს განვითარებული სამართლებრივი ტრადიციების მქონე იურიდიულ ენებს ახასიათებთ, მრავალი ტერმინისა თუ ცნებისთვის ქართული შესატყვისის მოძებნა მეტად ძნელი აღმოჩნდა. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ქართულ ტექსტში გაიპაროს ზოგიერთი უზუსტობა, რომელიც მომავალ გამოცემებში აუცილებლად გასწორდება.

ავტორი წიგნში გვთავაზობდა კოდექსის მუხლების ციტირების გერმანული ტექნიკის გამოყენებას, რომლითაც შესაძლებელია ტექსტის ეკონომია „მუხლის“, „ნაწილის“, „წინადადების“ გამოყენების გარეშე და მხოლოდ ციფრების მითითებით, რომლებიც კოდექსის მუხლს (477), მუხლის ნაწილს (II) ან ამ ნაწილის წინადადებას (1-ლი წინ.) გამოხატავენ. იმის გამო, რომ წინამდებარე წიგნში ისედაც მრავალი სიახლეა ქართველი მკითხველისთვის, ჩვენ არ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად მისი გადატვირთვა კიდევ ერთი სიახლით, თუმცა ვფიქრობ, რომ ციტირების ეს ტექნიკა წიგნის მომავალ გამოცემაში დაიმკვიდრებს თავის ადგილს.

წიგნის ქართული ტექსტის მომზადებისას დღის წესრიგში დადგა გერმანული დერ ჭაღლ-ის ქართული შესატყვისის მოძებნა. პირდაპირი თარგმნით ეს არის შემთხვევა. სწორედ ცხოვრებისეული შემთხვევების სამართლებრივ ამოხსნას ისახავს მიზნად ეს ნაშრომი. მაგრამ იმის გამო, რომ ქართულ იურიდიულ ენაში დამკვიდრდა „კაზუსი“, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ იქნა გადანყვეტილება მიღებული, თუმცა გამოთქმა „შემთხვევა“ ასევე იოლად შეიძლება და უნდა დამკვიდრდეს კიდევაც ქართულ იურიდიულ ენაში.

ასევე არ იყო იოლი გერმანული შაცჰვერჰალტ-ისთვის ქართული ანალოგის მოძებნა. არჩევანი უნდა გაკეთებულიყო „კაზუსის ფაქტობრივ გარემოებებსა“ და „ფაბულას“ შორის. გადანყვეტიეთ ორივე გამოგვეყენებინა ტექსტში, თუმცა ზოგ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭა „ფაბულას“. თუმცა არც აქ არის გამორიცხული მომავალში უკეთესი ტერმინის პოვნა.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, რომლებიც ძირითადად ქართული ტექსტის მომზადებას უკავშირდება, წინამდებარე წიგნი დახვეწილ ქართულ სამართლებრივ ენაზეა შედგენილი. ამის გამო იგი იოლად გასაგები და გამოსაყენებელი იქნება მკითხველისთვის.

ეს წიგნი არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ სამოქალაქო სამართლის ლექტორებსაც გაუწევს დიდ დახმარებას. ამიტომაც არ მოაკლდება მას ქართველი მკითხველი.

ლადო ჭანტურია

ბრემენი, 2009 წლის მაისი

შესავალი

იურიდიული დასკვნის შედგენა პრაქტიკოსი იურისტის ყოველდღიური საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამიტომაც არის აუცილებელი ამ საკითხზე ინტენსიური მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ადრეული საფეხურიდანვე. ამ მიზანს ემსახურება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის საწყის სემესტრებში სპეციალური სასწავლო კურსის — „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა“ — შეთავაზება.

წინამდებარე წიგნი უწინარეს ყოვლისა, განკუთვნილია დამწყები სტუდენტებისთვის. მისი მიზანია სამოქალაქო სამართალში კაზუსის ამოხსნისა და იურიდიული დასკვნის მომზადების საფუძვლების მიზნობა. ამ მიზნით წიგნში პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით წარმოდგენილია სამოქალაქო სამართლის კაზუსებზე მუშაობის ძირითადი ასპექტები. წინამდებარე წიგნი არ წარმოადგენს არც სამართლებრივი მეთოდოლოგიის სფეროში შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომს და არც მატერიალურ სამართალში მომზადებულ სახელმძღვანელოს; იგი მხოლოდ შესავალია კაზუსებზე მუშაობის მეთოდიკაში.

წიგნით სარგებლობა რომ ნაყოფიერი იყოს, მიზანშეწონილია მასში ციტირებული ნორმების კიდევ ერთხელ წაკითხვა თვით კანონში (უმჯობესია ასევე გადაიხედოს წინა და მომდევნო მუხლებიც) და აქ განხილული საკითხების ზედმიწევნით გააზრება და გაცნობიერება. მასასადამე, მოგიწოდებთ, შეიქმნათ საკუთარი აზრი, ეძიოთ ალტერნატიული გზები, ჩამოაყალიბოთ განსხვავებული პოზიცია, იპოვოთ სხვა, დამატებითი არგუმენტები წარმოდგენილი აზრის გასამყარებლად ან მის საწინააღმდეგოდ. სულ ერთია, საიდან დაიწყებთ, მთავარია, რომ გაიაზროთ და დაამუშავოთ წიგნში გადმოცემული საკითხები.

თავი I

კაზუსის იურიდიული დამუშავება

პრაქტიკოსი იურისტის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამართლებრივ დავებს. თანამედროვე სახელმწიფოში ინდივიდებს ეკრძალებათ სამართლებრივი დავების გადანყვეტა და დასრულება თვითნებურად ე.წ. თვითგასამართლების გზით, ვინაიდან მართლმსაჯულების განხორციელების მონოპოლია მინიჭებული აქვს სახელმწიფო ხელისუფლებას. შესაბამისად, მოქალაქეს თავისი უფლებების დასაცავად ან განსახორციელებლად ეკრძალება ძალის გამოყენება. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში უშვებს კანონმდებლობა აღნიშნული პრინციპიდან გამონაკლისს ¹, როდესაც მკაცრად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას ინდივიდს შეუძლია თავისი უფლებების დაცვის ან მათი დროებით უზრუნველყოფის მიზნით ძალის გამოყენება, თუკი შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან დროული დახმარება.

მაგალითი:

„ა“ შემთხვევით მიუსწრებს „ბ“-ს, როდესაც ამ უკანასკნელს სურს მისი ველოსიპედის გატაცება, რის გამოც იგი ხელს კრავს მას. „ბ“ ეცემა და იღებს დაზიანებას. შესაძლოა „ა“-ს ქმედება გამართლებული იყოს სკ-ის 118-ე მუხლით, თუკი კომპეტენტური ორგანოების დახმარება ვერ იქნება დროული, ხოლო სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობს საფრთხე, რომ არსებითად გართულდება უფლების განხორციელება. მაშასადამე, სკ-ის 118-ე მუხლით გამართლებულია „ბ“-ს სხეულის დაზიანება, რაც გამორიცხავს „ა“-ს როგორც სამოქალაქო ისევე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მოქალაქის მოვალეობას დაემორჩილოს კანონს და უარი თქვას ძალის გამოყენებაზე შეესაბამება სახელმწიფოს მიერ მართლწესრიგის დაცვის

¹ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ: სკ-ის 116-ე, 118-ე და 119-ე მუხლები, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი. ამ გამონაკლისებს საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია სახელმწიფოს მიერ მოქალაქისათვის დროული დახმარების გაწევამ, და თუ დახმარების მყისიერი აღმოუჩენლობა არსებითად ართულებს ან შეუძლებელს ხდის უფლების განხორციელებას, მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს თავად დაიცვას და განახორციელოს საკუთარი უფლება.

მოვალეობა. მაშასადამე, სახელმწიფომ უნდა შექმნას ინსტიტუტები და შეიმუშავოს პროცედურები, რომელთა საშუალებითაც ცალკეული მოქალაქე საჭიროების შემთხვევაში შეძლებს თავისი უფლებების დაცვას და განხორციელებას.

სამართლებრივი მშვიდობის აღდგენის მიზნით დავა, როგორც წესი, განიხილება სახელმწიფო სასამართლოს² მიერ და შესაბამისი სამართალწარმოების ფარგლებში. თუმცა, სასამართლოს მიერ გადანყვეტილების მიღებამდე აღნიშნული სადავო საკითხების განხილვით მოსამართლეებთან ერთად დაკავებულნი არიან ასევე სხვა იურისტებიც. მაგალითად, მოქალაქეები ხშირად მიმართავენ ადვოკატს კონსულტაციის განცვისა და მათი ინტერესების სასამართლოში დაცვის მიზნით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (სსკ-ის) 93-ე მუხლის მე-2 მუხლის და 94-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი; ხოლო საწარმოებში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კავშირებში დასაქმებულმა იურისტებმა თავიანთ დამსაქმებელს უნდა წარუდგინონ მოსალოდნელი სამართლებრივი კონფლიქტის შესახებ წინადადებები ანდა თვითონ მიიღონ სათანადო გადანყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ მისი შესრულებაც.

მაშასადამე, სამართლებრივი დავებით დაკავებულ იურისტს პრაქტიკაში ხშირად უწევს ამ დავებთან დაკავშირებული სამართლებრივად მნიშვნელოვანი გადანყვეტილებების მიღება. ყოველ ასეთ გადანყვეტილებას კი საფუძვლად უდევს კონკრეტული კაზუსის შემონიშნება და ამოხსნა კანონის, სასამართლო პრაქტიკისა თუ იურიდიული ლიტერატურის მეშვეობითა და საფუძველზე. ამოხსნის გზისა და მეთოდის წერილობითი დაფიქსირება არის ე.წ. იურიდიული დასკვნა.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითის მეშვეობით უფრო ნათელი გახდება კაზუსის იურიდიული დამუშავების მნიშვნელობა პრაქტიკაში, ასევე წარმოდგენილი იქნება კაზუსის ამგვარი დამუშავებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიდგომა და აქედან გამომდინარე ძირითადი მოთხოვნები.

² ასევე არსებობს კერძო არბიტრაჟი, კერძო საარბიტრაჟო სასამართლო. იხ: კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ.

I. კაზუსის იურიდიული დამუშავების მნიშვნელობა პრაქტიკაში

კაზუსის დამუშავების მნიშვნელობა სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესისათვის და მისი ადგილი ამ პროცესში თვალსაჩინო ხდება სასამართლო გადაწყვეტილების მაგალითზე.

სასამართლო სამართლებრივ დავას, როგორც წესი, ასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებით (სსკ-ის 243-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). გადაწყვეტილება, სსკ-ის 249-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შედგება შესავლის, აღწერილობითი, სამოტივაციო³ და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას – სასამართლოს დასკვნას (სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი). სამართლებრივი სახელმწიფოს მართლწესრიგი კრძალავს სამართლებრივი დავის ფარგლებში თვითნებური გადაწყვეტილებების მიღებას. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. მაშასადამე, მოსამართლეს არა აქვს უფლება გადაწყვიტოს რაღაც და როგორღაც; მისი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, ლოგიკური და ემყარებოდეს კანონს, სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურას.

სამოტივაციო ნაწილში წარმოდგენილია სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი და მტკიცებულებანი, რომელთაც ეყრდნობა სასამართლოს დასკვნები, ასევე დასახელებულია მოსაზრებანი, რომელთა საფუძველზეც სასამართლო უარს ამბობს გარკვეული მტკიცებულებების მიღებაზე, და ასევე მითითებულია ნორმები, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას (სსკ-ის 249 IV). აღნიშნული მოთხოვნებიც აგრეთვე გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან.

მაგალითი – ვალდებულებათა „გაქვითვა“⁴

ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე „ბ“-მ „ა“-ს უნდა გადაუხადოს 500 ლარი. როდესაც „ა“ ითხოვს ფასის გადახდას

³ გამონაკლისს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილთან დაკავშირებით წარმოადგენს მაგალითად, დაუსრულებელი გადაწყვეტილება, სსკ-ის 234-ე მუხლი.

⁴ იხ: თავი IV, გვ. 74 უდავო ფაქტობრივი გარემოებების მონახაზი და ასევე ამოხსნა ნი-ნამდებარე თავში გვ.10

„ბ“-სგან, ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ სურს აღნიშნული ვალდებულებისა და მის სასარგებლოდ „ა“-ს მიმართ არსებული ვალის დაბრუნების მოთხოვნის გაქვითვა, რომელიც ასევე შეადგენს 500 ლარს და რომლის შესრულების ვადა დამდგარია. „ა“ უჩივის „ბ“-ს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების, კერძოდ, მისთვის 500 ლარის გადახდის მოთხოვნით. „ბ“ კი თავის მხრივ აცხადებს, რომ მოხდა გადახდის ვალდებულებისა და ვალის დაბრუნების ვალდებულების გაქვითვა და მოითხოვს, უარი ეთქვას სარჩელს. „ა“ აცხადებს, რომ მან სრულად დაუბრუნა „ბ“-ს ვალი, რის შედეგადაც ჯერ კიდევ გაქვითვამდე აღარ არსებობდა აღნიშნული ვალდებულება. „ბ“ სათანადო ფორმით სადავოს ხდის „ა“-ს განცხადებას. „ა“ სასამართლოსათვის მხოლოდ იმის დამტკიცება შეძლო, რომ მან „ბ“-ს ვალის სახით 200 ლარი გადაუხადა. სასამართლო დააკისრებს „ბ“-ს „ა“-სთვის 200 ლარის გადახდას.

მოცემულ მაგალითში ვერც „ა“-მ და ვერც „ბ“-მ ვერ მიაღწია მიზანს. თუ აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ ექნებოდა დასაბუთება, ანუ სამოტივაციო ნაწილი, მაშინ ვერ იქნებოდა სამართალწარმოების მიზანი მიღწეული, კერძოდ, სამართლებრივი მშვიდობა აღდგენილი. არც ერთ მხარეს არ ეცოდინებოდა, თუ რატომ და რის საფუძველზე მიიღო სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება და რამდენად არის შეწყვეტილი ურთიერთგაქვითული მოთხოვნები. ამ შემთხვევაში შეუძლებელია იმის ვარაუდი, რომ ასე მიღებული გადაწყვეტილება აღიარებული იქნებოდა მხარეების მიერ.

სამოტივაციო ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია მხარეებისათვის. სწორედ მათთვის ხდება იმის განმარტება, თუ რატომ მიიღო სასამართლომ შესაბამისი გადაწყვეტილება. განსაკუთრებით კი, წაგებულ მხარეს უნდა განემარტოს, თუ რატომ ვერ მოიგებს იგი პროცესს არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობის გამო. სასამართლო გადაწყვეტილების აღიარება (აქცეპტირება) მხარეების მიერ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დარწმუნდებიან, რომ მოსამართლემ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო და რომ მას

არსებული სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე არ შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება⁵.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი სასამართლო გადაწყვეტილების გადამოწმების შესაძლებლობას იძლევა. როდესაც დასაბუთებულია გადაწყვეტილება, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს აქვს შესაძლებლობა გაიგოს, თუ რა გზით მივიდა ქვემდგომი სასამართლო შესაბამის გადაწყვეტილებამდე და დაუშვა თუ არა მან ისეთი შეცდომა, რომელსაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო მნიშვნელოვან ხარვეზად მიიჩნევს.

და ბოლოს, გადაწყვეტილების წერილობით დასაბუთებას ასევე აქვს მოსამართლის თვითკონტროლის ფუნქცია. წერილობით ჩამოყალიბებისას გადაწყვეტილების ავტორი იძულებულია, თავისი მოსაზრება და არგუმენტები დალაგებულად ჩამოაყალიბოს და გადამოწმოს მათი ლოგიკურობა.

მოტივაციის მიზანი ცხადჰყოფს, რომ სსკ-ის 249-ე მუხლის 1-ლი და მე-4 მუხლების კრიტერიუმები არ არის მხოლოდ ფორმალური ხასიათის. სრულიადაც არ არის საკმარისი, რომ გადაწყვეტილებაში რაღაცა ჩაინეროს დასაბუთების სახით. სამოტივაციო ნაწილი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს. იგი მოკლედ და ლაკონურად, გასაგები და მარტივი ენით დამაჯერებლად უნდა ასაბუთებდეს წინამდებარე გადაწყვეტილებას. ეს კი მოითხოვს, რომ მსჯელობა გასაგებად იყოს გადმოცემული, ხოლო სადავო საკითხები კი – დამაჯერებლად არგუმენტირებული.


ზემოთ განხილული აზროვნების მოდელი, ანუ სტრუქტურა, რომელიც შედგება გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების დასაბუთებისაგან, დამახასიათებელია არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებისათვის, არამედ მაგალითად, კონკრეტული საქმის განხილვისას ადვოკატის წერილობითი სიტყვისთვის, და ლიტერატურაში ცნობილია, როგორც **გადაწყვეტილების სტილი**⁶. ეს სტილი გამოიხატება არა მხო-

⁵ Ingo von Münch;: მოსამართლის დამოუკიდებლობა და დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების განსაკუთრებული გათვალისწინებით. 2003 წ. აღნიშნულ გამოცემას თან ახლავს ქართული თარგმანიც; იხ. გვ. 7. (Unabhängigkeit und Abhängigkeit des Richters mit besonderer Berücksichtigung der Richter des Verfassungsgerichts)

⁶ წიგნში ვერ მოხდება გადაწყვეტილების სტილის დეტალური განხილვა, ვინაიდან ყურადღება გამახვილებულია იურიდიულ დასკვნაზე. გადაწყვეტილების სტილთან და მოსა-

ლოდ დოკუმენტის სტრუქტურაში, არამედ იგი განაპირობებს ამ დოკუმენტის ენასაც. მის ფარგლებში არ ხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესის, ანუ სამართლებრივი კაზუსის დამუშავების სტადიისა და მის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების წარმოდგენა.

ნახაზი 1:



მაგრამ როგორ მიდის პრაქტიკოსი თავის გადაწყვეტილებამდე და მისი დასაბუთების ძირითად არგუმენტებამდე? რაც შეეხება მოსამართლის საქმიანობას, აქ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს, ითვალისწინებს, რომ არ შეიძლება თვითნებური გადაწყვეტილების მიღება, არამედ ნებისმიერ გადაწყვეტილებას წინ უნდა უსწრებდეს სტრუქტურირებული, კანონსა და სამართალზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი. სამართლებრივი დავების განხილვით დაკავებული სხვა იურისტებისთვისაც ხელსაყრელი იქნება აღწერილი მეთოდის გამოყენება, ვინაიდან მხოლოდ ასეთი დეტალური დამუშავების გზით არის შესაძლებელი საქმის სასამართლო განხილვის სათანადო პროგნოზირება.

გადაწყვეტილების მიღების პროცესის არსებითი ნაწილია კაზუსის იურიდიული დამუშავება, რომლის ფარგლებშიც სისტემურად ხდება სამართლებრივი კაზუსის ამოხსნის (გადაწყვეტის) მომზადება. კაზუსის დამუშავების ნიადაგზე მიღებული შედეგი წარმოადგენს პრაქტიკოსის გადაწყვეტილების საფუძველს და იმავდროულად მოიცავს ამ გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის საჭირო არგუმენტაციას.

მაშასადამე, კაზუსის იურიდიული დამუშავება პრაქტიკოსისათვის არის კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისა და მისი დასაბუთების წინა სამუშაო ეტაპი, რის გამოც მას ენიჭება „გადამწყვეტი“ მნიშვნელობა იურისტის ყოველდღიურ საქმიანობაში.

მართლის მუშაობის მეთოდიკასთან დაკავშირებით იხილეთ ბოლენგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, 2003 წ.

II. გადანყვეტილების მიღების პროცესი კაზუსის იურიდიული დამუშავების ფარგლებში

დასაწყისისათვის სასურველია იურიდიული კაზუსის ამოხსნის ფუძემდებლური მიდგომისთვის მოკლედ თვალის გადავლება. ქვემოთ მოყვანილი შესაბამისი სქოლიოები უთითებენ წიგნის იმ ადგილებს, რომლებიც დაწვრილებით ინფორმაციას შეიცავს განსახილველ საკითხებზე.

ლოგიკურია, რომ კაზუსის იურიდიული დამუშავების ფარგლებში მომზადებული დასკვნა ვერ იქნება შედგენილი გადანყვეტილების სტილის დაცვით ⁷ (შედეგი – დასაბუთება), რადგანაც კაზუსის დამუშავებისას დადგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ამოხსნა. ამიტომაც არ შეიძლება კაზუსის ამოხსნა მომზადდეს სასამართლოს გადანყვეტილების ფორმით.

„ა“-სა და „ბ“-ს დავაში (მაგალითი „ვალდებულებათა გაქვითვა“, გვ. 6) სასამართლო განიხილავდა საკითხს, შეუძლია თუ არა „ა“-ს „ბ“-სგან 500 ლარის მოთხოვნა. სასამართლოს პასუხი ამ კითხვაზე არის სწორედ მისი გადანყვეტილების საფუძველი, რომლითაც „ბ“-ს დაეკისრა „ა“-სთვის 200 ლარის გადახდა.

მაშასადამე, კაზუსის იურიდიული დამუშავების ამოსავალი წერტილია კონკრეტული შეკითხვა – **კაზუსის საკვანძო კითხვა**⁸. კაზუსის იურიდიული დამუშავების საგანი სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაა. ზემოთ მოყვანილ მაგალითში კაზუსის საკვანძო კითხვა იქნება: აქვს თუ არა „ა“-ს „ბ“-სგან 500 ლარის მოთხოვნის უფლება?

ვინაიდან გადანყვეტილება არ შეიძლება მიღებულ იქნას თვითნებურად, არც გადანყვეტილების მიღების პროცესი, როგორც გადანყვეტილების წინა სტადია, შეიძლება თვითნებურად მიმდინარეობდეს. მაშასადამე, კაზუსის საკვანძო კითხვას პასუხი უნდა გაეცეს სისტემურად, სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით, კანონის, სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის საფუძველზე.

პირველი ნაბიჯი გადანყვეტილების ძიების გზაზე არის კაზუსის საკვანძო კითხვისათვის დადებითი პასუხის გასაცემად საჭირო აბსტრაქტული წინაპირობების ფორმულირება. როდესაც საქმე გვაქვს კოდიფიცირებულ სამართლებრივ სისტემასთან, როგორც არის სა-

⁷ იხ: წინამდებარე თავი, გვ. 7

⁸ საკვანძო კითხვის მომზადებასთან და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით იხ: თავი IV, გვ. 80

ქართველო, ასეთი აბსტრაქტული წინაპირობები, პირველ რიგში, უნდა მოვიძიოთ კანონში. აქ, ერთი მხრივ, მოცემულია სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განამტკიცებს სასურველ სამართლებრივ შედეგს, ე.წ. **შედეგის განმსაზღვრელი ნორმები**, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა გამოირიცხოს სხვა ნორმების გამოყენება, რომელთა საფუძველზეც გამოირიცხებოდა განსახილველი მოთხოვნისა თუ უფლების არსებობა, ე.წ. **მოთხოვნის გამომრიცხავი ნორმები**.

ჩვენს მაგალითში „ვალდებულებათა გაქვითვა“⁹ მარტივია „ბ“-ს მიმართ ფასის გადახდის მოთხოვნისთვის შედეგის განმსაზღვრელი ნორმის (მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის) დადგენა. აღნიშნული მოთხოვნა შესაძლებელია დაეყრდნოს სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილს. შესაბამისად, სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი არის შედეგის განმსაზღვრელი ნორმა. იმისათვის, რომ დადებითი პასუხი გავცეთ კაზუსის საკვანძო კითხვას, საჭიროა გარკვეული (აბსტრაქტული) წინაპირობების, ანუ ამ შემთხვევაში „ა“-ს და „ბ“-ს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების, არსებობა. ამას გარდა, აბსტრაქტული წინაპირობების განხილვისას უნდა მოხდეს იმის გარკვევა, გამოიყენება თუ არა მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნის გამომრიცხავი ნორმები, როგორცაა, მაგალითად, გაქვითვა (სკ-ის 442-447-ე მუხლები).

ვინაიდან კაზუსის დამუშავების მიზანია კონკრეტული სამართლებრივი კაზუსის ამოხსნა/გადაწყვეტა და არა აბსტრაქტული პრობლემების განხილვა, შემდეგი სამუშაო ეტაპის ფარგლებში სამართლებრივი დავის **კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები** უნდა მიესადაგოს ნორმის **აბსტრაქტულ ელემენტებს (წინაპირობებს)**. იურიდიული დასკვნის ფარგლებში ამისათვის იყენებენ ე.წ. **სუბსუმციის** (ანუ: იურიდიული კვალიფიკაციის) მეთოდს.¹⁰

თუ კაზუსის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები სრულად მიესადაგება შედეგის განმსაზღვრელი ნორმის აბსტრაქტულ წინაპირობებს და თუ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაზე არ ვრცელდება მოთხოვნის გამომრიცხავი ნორმები, მაშინ კაზუსის საკვანძო კითხვას შეგვიძლია გავცეთ დადებითი პასუხი. თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ ემთხვევა შედეგის განმსაზღვრელი ნორმის ერთ-ერთ აბსტრაქტულ წინა-

⁹ აღწერილობითი ნაწილი (ფაქტობრივი გარემოებები), გვ. 6 , ამოხსნა გვ. 10

¹⁰ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ: თავი II, გვ. 18

პირობას მაინც, ან თუ მოცემულ შემთხვევაზე ვრცელდება მოთხოვნის გამომრიცხავი სხვა ნორმის მოქმედება, მაშინ ბუნებრივია საკვანძო კითხვას უნდა გავცეთ უარყოფითი პასუხი. ორივე შემთხვევაში, სახეზე გვაქვს შედეგი, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზანი მიღწეულია.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი და გასაგები იყოს ზემოთ მოყვანილი მსჯელობები, დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს „ვალდებულებების გაქვითვა“, სადაც „ა“ ითხოვს „ბ“-საგან 500 ლარის გადახდას, ხოლო „ბ“ აცხადებს, რომ აღნიშნული ვალდებულება 300 ლარის ოდენობით გაიქვითა ვალის დაბრუნების ვალდებულებით.¹¹

„ვალდებულებების გაქვითვა“- ამოხსნა:¹²

საკვანძო კითხვა: აქვს თუ არა „ა“-ს „ბ“-ს მიმართ 500 ლარის მოთხოვნის უფლება?

შედეგის განმსაზღვრელი ნორმა (ანუ მოთხოვნის საფუძველი) არის სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ა. მოთხოვნის წარმოშობა:¹³

წინაპირობა: ნასყიდობის ხელშეკრულება „ა“ და „ბ“-ს შორის საფასურის გადახდის მოთხოვნა 500 ლარის ოდენობით სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით; „ა“ „ბ“-ს წინააღმდეგ (+)

ბ. მოთხოვნის შეწყვეტა

მოთხოვნა შესაძლოა შეწყდა ვალის დაბრუნების მოთხოვნით გაქვითვის შედეგად სკ-ის 442-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით (მოთხოვნის გამომრიცხავი ნორმა)

წინაპირობა:¹⁴ სამართლებრივად ნამდვილი გაქვითვა – შეტყობინება გაქვითვის შესახებ – გაქვითვის შესაძლებლობა – ვალდებულებების გაქვითვის უფლება (უფლების გამომრიცხავი გარემოებების არარსებობა)

¹¹ აღწერილობითი ნაწილი (ფაქტობრივი გარემოებები), გვ. 6 ამოხსნა გვ. 10

¹² წარმოდგენილი მეთოდი შეესაბამება უნივერსიტეტში გავრცელებულ მუშაობას კაზუსზე, სადაც ფაქტობრივი გარემოებები (აღწერილობითი ნაწილი) არ არის სადავო. სადავო გარემოებების შემთხვევაში სამართლებრივი დასკვნის შედგენასთან დაკავშირებით იხილეთ: ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილების მიღების მეთოდიკა, 2003 წ. გვ. 49.

¹³ მოთხოვნის საფუძვლის შემოწმებასთან დაკავშირებით იხ: თავი III, გვ. 53

¹⁴ ურთიერთგაქვითვის შემთხვევაში საქმე გვაქვს აღმჭურველ უფლებასთან. ეს ის უფლებაა, რომლის მეშვეობითაც ხელშეკრულების მხარეს ცალმხრივად შეუძლია გავლენა მოახდინოს სამართლებრივ ურთიერთობაზე მისი გაუქმების ან შეცვლის გზით. აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე იხილეთ: თავი V, პირველი კაზუსი (შეცვლილება) და კაზუსი — გვ. 100 (ხელშეკრულებიდან გასვლა).

ლ. შეტყობინება გაქვითვის შესახებ სკ-ის 442-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინ. (+)

ლლ. გაქვითვის შესაძლებლობა: სკ-ის 442-ე მუხლის 1-ლი ნაწილი – ორ მხარეს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა

1. ძირითადი მოთხოვნა ა ბ – ფასის გადახდის მოთხოვნა (+)
2. საპირისპირო მოთხოვნა ბ ა – ვალის დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 626-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 623-ე მუხლი?
 - ა) ვალის დაბრუნების მოთხოვნის წარმოშობა (+)
 - ბ) ვალის დაბრუნების მოთხოვნის შეწყვეტა?

მოთხოვნა შესაძლოა შეწყდა შესრულების შედეგად ჯერ კიდევ ვალდებულებათა გაქვითვამდე (სკ-ის 427-ე მუხლი). „ბ“ სადავოს ხდის შესრულებას. „ა“-ს შეუძლია ვალის დაბრუნების ვალდებულების შესრულების და შესაბამისად მოთხოვნის შეწყვეტის დამტკიცება მხოლოდ 200 ლარის ნაწილში. მას ასევე ევალება დარჩენილი 300 ლარის დაბრუნების დამტკიცება. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი „ა“-ს ეკისრება, ვინაიდან ვალის დაბრუნების ვალდებულების შესრულება მისთვის არის ხელსაყრელი ფაქტი. მაშასადამე, „ა“-ს ეკისრება იმის რისკი, რომ იგი ვერ ამტკიცებს დანარჩენი 300 ლარის გადახდის ფაქტს, რის შედეგადაც ვალის დაბრუნების მოთხოვნა გაქარწყლებულია მხოლოდ 200 ლარის ნაწილში.

- გ) ვალის დაბრუნების მოთხოვნის განუხორციელებლობა – არ არსებობს შესაბამისი საფუძველი
- დ) შუალედური შედეგი: ვალის დაბრუნების მოთხოვნა ძალაშია 300 ლარის ოდენობით

ლლლ. გაქვითვის დაუშვებლობა სკ-ის 447-ე მუხლის მიხედვით? – არ არსებობს შესაბამისი საფუძველი

ლლლლ. შუალედური შედეგი: „ა“-ს მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ 500 ლარის ოდენობით ფასის გადახდის თაობაზე შეწყვეტილია ვალის დაბრუნების მოთხოვნით სამართლებრივად ნამდვილი გაქვითვის შედეგად 300 ლარის ნაწილში, რის შედეგადაც საფასურის გადახდის მოთხოვნა არსებობს მხოლოდ 200 ლარის ოდენობით.


გ. მოთხოვნა განხორციელება (+)

კაზუსის ფაქტობრივი გარემოებები არ მოიცავს საწინააღმდეგო მიწინებებს

დ. შედეგი: „ა“-ს აქვს „ბ“-ს მიმართ 200 ლარის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კაზუსის იურიდიული დამუშავების ფარგლებში აუცილებელია სამუშაო ეტაპების სისტემური იერარქია, რათა ლოგიკური და გასაგები იყოს გზა საწყისი წერტილიდან შედეგამდე. აღნიშნულ მეთოდს ეწოდება **დასკვნის სტილი**, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ მსჯელობას, არამედ სპეციფიკურ ენასაც.¹⁵

ნახაზი 2:



¹⁵ იხ: თავი IV, დასკვნის წერილობითი სახე. გვ. 69

III. კაზუსის იურიდიული დამუშავების ძირითადი მოთხოვნები

კაზუსის იურიდიულად დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას რამდენიმე ძირითადი მოთხოვნა, რათა მის საფუძველზე შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილების და ასევე გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი არგუმენტების ჩამოყალიბება.

1. სამართლებრივი ვითარების დეტალური გადმოცემა

იურიდიული დასკვნის მიზანია სამართლებრივი კაზუსი ამოიხსნას და გადაწყდეს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს კაზუსის დეტალურ გადამონმებას კანონმდებლობის საფუძველზე. დასკვნის ავტორმა უნდა შეამონმოს სამართლებრივი დავის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი ყველა შესაძლო სამართლებრივი მოსაზრების გათვალისწინებით.

ზემოთ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ერთი კაზუსი უნდა შემონმდეს ყველა სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის კუთხით. მიუღებელი იქნებოდა, მაგალითად, სამეზობლო ზემოქმედებებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის (სკ-ის 176-ე და 175-ე მუხლები) უფლების არსებობის შემონმება სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული სისხლის-სამართლებრივი ნორმების ან ადმინისტრაციული აქტის კანონიერების შესახებ საჯარო-სამართლებრივი დებულებების საფუძველზე.

თუმცა, ეს არც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი კაზუსების დამუშავებისას თავიდანვე გამორიცხულია სისხლის-სამართლებრივი ან საჯარო-სამართლებრივი ნორმების გათვალისწინება. ამის მაგალითებია სკ-ის 54-ე და 992-ე მუხლები. გარიგების ბათილობის საფუძველი, მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათის გამო (კანონით დადგენილი წესის ან აკრძალვების დარღვევა) სკ-ის 54-ე მუხლის გაგებით შესაძლოა გამოიხატოს ასევე საჯარო-სამართლებრივი ან სისხლის-სამართლებრივი ნორმის დარღვევაში. ასეთ შემთხვევებში საჭირო იქნება შესაბამისი სამართლებრივი ნორმების განხილვაც სკ-ის 54-ე მუხლის ფარგლებში. სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება სახეზეა იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი შეიცავს სისხლის-სამართლებრივი ნორმის ელემენტებს. ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს ამ სისხლის-სამართლებრივი ნორმის განხილვაც სკ-ის 992-ე მუხლის ფარგლებში.

სრულყოფილი შეფასება/განხილვა გულისხმობს განსახილველ საკითხთან დაკავშირებული და მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ყველა ნორმის შემოწმება/განხილვას. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღწერილობითი ნაწილისა და კაზუსის საკვანძო კითხვის ჩამოყალიბებას¹⁶. ეს ეხება იმ ნორმებსაც, რომელთაც არ მივყავართ შედეგამდე, ვინაიდან შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ კონკრეტულ საქმეს აკლია ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტი. კაზუსის განხილვის ფარგლებში აუცილებელია ასეთი ნორმების შემოწმებაც, რადგან მხოლოდ შემოწმების ბოლოს ხდება ცნობილი, შეესაბამება თუ არა შესაბამისი სამართლებრივი ნორმა კონკრეტულ შემთხვევას. იმ დოკუმენტებში, რომლებიც შედგენილია გადაწყვეტილების სტილით, ასეთი ნორმების გამოყენება დაუშვებელია, ვინაიდან ისინი არ გამოიყენება გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის.

სამართლებრივი კაზუსის დეტალური განხილვისას ვაწყდებით სირთულეებს. ხშირად საქმე გვაქვს საკმაოდ ჩახლართულ, გაურკვეველ გარემოებებთან, რომელთა პრობლემატიკაც ვერ დგინდება მარტივად. ასეთ დროს შესაძლოა კაზუსის არსებითი პრობლემა საერთოდ გამორჩეს მხედველობიდან (ან მოხდეს მისი იგნორირება), რასაც შედეგად მოჰყვება ყოვლად უსარგებლო და მცდარი დასკვნა. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს რთული სამართლებრივი სისტემა, რომლის ყველა ელემენტის სრულად გათვალისწინება არავის ძალუძს. ამიტომაც არის ძალიან რთული ამოცანა კაზუსის ყველა რელევანტური ნორმისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემის ცოდნა, ისევე როგორც განსახილველ საქმესთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი ასპექტის გამოცნობა. ამისათვის კი აუცილებელია სამართლის ზედმიწევნით ცოდნა და სისტემატური ვარჯიში.

2. აზრის მარტივი და გასაგები ჩამოყალიბება

კაზუსზე მუშაობისას საჭიროა მარტივი და გასაგები ლოგიკური ხაზის შენარჩუნება კაზუსის საკვანძო კითხვიდან მის გადაწყვეტამდე (შედეგამდე). ეს, ერთი მხრივ, უადვილებს დასკვნის ავტორსაც კაზუსის ამოხსნის გზისა და შედეგის გააზრებას და გადამოწმებას. მეორე

¹⁶ იხ: თავი IV. გვ. 69

მხრივ, კი ამგვარი მიდგომა გასაგებს ხდის მესამე პირთათვის კაზუსის დამუშავებას.

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა შესაძლოა დაკმაყოფილდეს მხოლოდ სტრუქტურირებული და ლოგიკური მიდგომით. სტრუქტურა უმთავრესად გამომდინარეობს კანონიდან და გამოიხატება, მაგალითად, დასკვნის სტრუქტურასა და შედეგის განმსაზღვრელი არსებითი ნორმების შემონიშნების რიგითობაში.¹⁷ აღნიშნული სტრუქტურების ფონზე დასკვნის ავტორს შეუძლია ჩაუღრმავდეს კაზუსს. ამ მეთოდით შესაძლებელია რთული სამართლებრივი პრობლემის დაშლა ცალკეულ ასპექტებად და პატარ-პატარა პრობლემებად. ვინაიდან საუბარია კონკრეტული სამართლებრივი კაზუსის ამოხსნაზე, კონკრეტული მოვლენები უნდა დაექვემდებაროს იმ ლოგიკურ ჯაჭვს, რომელიც მოცემულია კანონის სტრუქტურაში.

იმისათვის, რომ ეს კავშირი ფაქტობრივად სავალდებულოდ იქნას აღქმული, დასკვნების „სისწორის“ თვალსაჩინოობისათვის გამოიყენება ლოგიკური აზროვნების მოდელები¹⁸. თვალსაჩინოობა კი ნიშნავს, რომ ისეთი პირისთვის, რომლისთვისაც არ არის უცხო ლოგიკური აზროვნების პრინციპები და ასევე სამართლებრივი და სოციალური ასპექტები, ნათელი და ლოგიკურია ყოველივე წარმოდგენილი. შედეგი/პასუხი კი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს დამაჯერებელი, როდესაც იგი საკანონმდებლო სტრუქტურების ფარგლებში კაზუსის საკვანძო კითხვაზე გარდაუვალ პასუხად აღიქმება.

3. სადავო საკითხებთან დაკავშირებით დამაჯერებელი არგუმენტირება

კაზუსზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე იქმნება ხოლმე ისეთი სიტუაცია, როდესაც თითქოს შეუძლებელია ერთი დიდი პრობლემის დანაწევრება ცალკეულ პრობლემებად. ეს, ძირითადად, სამართლებრივი ნორმის განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს, სულ ცოტა, ორი მოსაზრება მაინც. სწორედ აქ იკვეთება იურიდიული მუშაობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, კერძოდ:

¹⁷ იხ: თავი III. გვ. 43

¹⁸ სუბსუმციის (იურ. კვალიფიკაციის) შესახებ იხ: თავი II. გვ. 22

თუ სადავო საკითხთან დაკავშირებულ მოსაზრებებს მივყავართ სხვადასხვა შედეგამდე, მაშინ აუცილებელია ერთ-ერთი გზის ამორჩევა და მისი სათანადო დასაბუთება. მოსამართლისათვის კონსტიტუციით გათვალისწინებული „მართლმსაჯულების განხორციელების“ უფლებიდან გამომდინარეობს ასევე „მართლმსაჯულების განხორციელების“ მოვალეობა აღნიშნულის წინაპირობაა, რომ მოსამართლემ შეძლოს თავისი გადაწყვეტილების პროცესის დასრულება.

იმისათვის, რომ დამაჯერებელი და გასაგები იყოს საბოლოო შედეგამდე მისვლის გზა და მეთოდი, საჭიროა სადავო საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების დამაჯერებელი დასაბუთება. კარგი დასაბუთებისათვის კი აუცილებელია კონკრეტული საქმის ყველა მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინება, ანუ: დასაბუთება უნდა ეფუძნებოდეს გარემოებების სწორ წარმოდგენას და განსხვავებულ მოსაზრებათა არგუმენტების შინაარსობრივ განხილვას. ამასთან, არგუმენტაციისას საჭიროა გარკვეული სიღრმე. აღწერილობითი ნაწილის გამეორება არ არის საკმარისი. აქაც დიდი მნიშვნელობა აქვს არგუმენტების გასაგებ და ლოგიკურ განლაგებასა და მათი მეშვეობით მკითხველის (ადრესატის) მიყვანას გადაწყვეტილებამდე. საბოლოოდ მართლა იქნება თუ არა დამაჯერებელი დასაბუთება, ბუნებრივია, დამოკიდებულია არა მხოლოდ მის ხარისხზე, არამედ ასევე მკითხველის (ადრესატის) მზაობაზე სხვისი არგუმენტების გააზრებასთან დაკავშირებით და მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე. დასკვნის ავტორს შეუძლია მხოლოდ წინაპირობების შექმნა იმისათვის, რომ გასაგები და მისაღები იყოს მისი არგუმენტაცია.

4. არ არსებობს ერთადერთი „სწორი“ გადაწყვეტა

აღსანიშნავია, რომ კაზუსის იურიდიული განხილვის ფარგლებში არ არსებობს ერთადერთი სწორი შედეგი ანუ გადაწყვეტა სადავო საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ არსებობს ბევრი მცდარი, ანუ მიუღებელი შედეგი. ეს ის შემთხვევებია, როდესაც გამოყენებულია შედეგის განმსაზღვრელი არასწორი ნორმა, მცდარია მტკიცებულებების შეგროვების პროცესი ან გადაწყვეტა ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

როგორც უკვე აღინიშნა, ბევრ სადავო საკითხთან და რთულ სამართლებრივ პრობლემასთან დაკავშირებით დასაშვებია რამდენიმე

გადანყვეტა. მოსაზრება მისაღებია მაშინ, როდესაც მისი ამოსავალი წერტილი, არგუმენტაცია და კონკრეტული პრაქტიკული გამოვლინება მოქცეულია კანონმდებლობის ფარგლებში. ის, თუ რომელ მოსაზრებას მიემხრობით დასკვნაზე მუშაობისას, თქვენი გადასაწყვეტია. მთავარია შემდეგ გასაგებად და დამაჯერებლად დაასაბუთოთ თქვენი შეხედულება. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესში სწავლის პერიოდში შესაძლებელია ისეთ ავტორიტეტულ წყაროებზე დაყრდნობა, როგორცაა სასამართლო გადაწყვეტილებები და სამეცნიერო ნაშრომები, გახსოვდეთ, რომ აუცილებელია საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და მისი დასაბუთება.

აზრთა მრავალფეროვნების ამგვარი ე.წ. პლურალისტული მიდგომა, ერთი მხრივ, იწვევს გარკვეულ მერყეობას მოსამართლის გადაწყვეტილების პროგნოზირების კუთხით, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივ დისკუსიას უფრო აქტიურს ხდის და ამით ემსახურება სამართლის განვითარებასა და დახვეწას. რაც შეეხება პირველს, სამართლებრივი პროგნოზირებადობის პრობლემა არც ისე დიდია, ვინაიდან, შესაბამის სამართლებრივ პრობლემებთან და საკითხებთან დაკავშირებით ხშირ შემთხვევაში ჩამოყალიბებული და დამკვიდრებულია სასამართლო პრაქტიკა. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკიდან გადახვევისას აუცილებელია ნდობის (კანონიერი ინტერესის) დაცვის სახელმწიფო-სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინება.

5. კაზუსის იურიდიული დამუშავების ეფექტიანობა

კაზუსის იურიდიული დამუშავება უნდა იყოს ეფექტიანი. არც სამუშაო პრაქტიკაში და არც უნივერსიტეტში სწავლისას არ გვაქვს შეუზღუდავი დრო კაზუსზე მუშაობისთვის, მაგალითად, უნივერსიტეტში წერითი გამოცდისა (რომელიც მოიცავს კაზუსის დამუშავებას) და საკურსო ნაშრომისათვის მოცემულია შესაბამისი ვადები. სამუშაო პრაქტიკაში კი ვადები განისაზღვრება სამუშაო დატვირთვის და სხვა ეკონომიკური ასპექტების მიხედვით. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე მოსამართლეს შეზღუდულია დროში. სამართლიანი სამართალწარმოების პრინციპი კრძალავს საქმის წარმოებისა და ამით გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურებას.

6. მარტივი და გასაგები ენა

პრაქტიკოსისათვის ყოველთვის არ არის აუცილებელი იურიდიული დასკვნის სრული წერილობითი სახით მომზადება. ხშირ შემთხვევაში საკმარისია მონახაზიც¹⁹, კერძოდ, თეზისების სახით შედგენილი ჩამონათვალი. უნივერსიტეტში კი სტუდენტებს უწევთ სამართლებრივი დასკვნის სრული წერილობითი ვერსიის შედგენა²⁰.

თუმცა, ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია ავტორმა ყოველივე ჩამოაყალიბოს მარტივი და გასაგები ენით, რაც ხშირად უფრო მარტივი გვეჩვენება, ვიდრე ეს სინამდვილეშია, ვინაიდან იმისათვის, რომ საკითხი წარმოვადგინოთ მარტივად და გასაგებად, საჭიროა მისი ზედმინუნით გააზრება და გაცნობიერება. პრაქტიკოსი ამით ასრულებს მოსამზადებელ სამუშაოს, რაც მას უმარტივეს მუშაობის შემდგომ პროცესს (გადაწყვეტილების ან სხვა წერილობითი დოკუმენტის დაწერა), ვინაიდან მას უკვე კარგად აქვს მომზადებული ნიადაგი. აღნიშნული დოკუმენტებიც ხომ მარტივი და გასაგები ენით უნდა იყოს ჩამოყალიბებული. როდესაც დასკვნა გასაგებად არის ფორმულირებული, უნივერსიტეტში საგამოცდო ნაშრომის გამსწორებელს უადვილდება ჩანვდეს სტუდენტის არგუმენტებს და თუნდაც, მის სასიკეთოდ გააანალიზოს ისინი.

IV. დასკვნა

როგორც უკვე პირველ თავში აღინიშნა, სამართლებრივ კაზუსებზე მუშაობისას არსებობს აზროვნების ორი ეტაპი (*იხ. ნახაზი 3*).

პირველი ეტაპი მოიცავს კონკრეტული სამართლებრივი შეფასებების გზით გადაწყვეტამდე (შედეგამდე) მისვლას. სწორედ ამით მზადდება ნიადაგი შემდგომი გადაწყვეტილებისათვის, როგორცაა, მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილება ან კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილება სარჩელის აღძვრის ან განცხადების შეტანის თაობაზე და ამასთანავე შესაძლებელს ხდის და ამარტივებს ამ გადაწყვეტილების ლოგიკურ დასაბუთებას.


ყოველივე აღნიშნული ცხადჰყოფს იურიდიული დასკვნის მნიშვნელობას იურისტის პრაქტიკაში. ამის გააზრება თქვენ, იურიდიული

¹⁹ ზოგადად ნახაზთან დაკავშირებით იხ: თავი IV. გვ. 88

²⁰ იხ: თავი IV, დასკვნის წერილობითი სახე. გვ. 91

ფაკულტეტის სტუდენტებს, იმედია, გაგიადვილებთ კაზუსის იური-
დიულ დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობას. იური-
დიულ დასკვნებზე მუშაობა უნივერსიტეტში სწავლებისას ემსახურება
არა მხოლოდ შესაბამისი ცოდნის გამოკითხვას საუნივერსიტეტო გა-
მოცდების ფარგლებში, არამედ ამზადებს სტუდენტებს იურისტის ყო-
ველდღიური საქმიანობისათვის.

ნახაზი 3



თავი II

სამართლის ნორმების გამოყენება

იურისტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაო ინსტრუმენტი არის კანონი. შესაბამისად, კარგი იურისტი ზედმინევით კარგად უნდა იცნობდეს კანონებს. თუმცა, მხოლოდ კანონის ცოდნა არ არის საკმარისი. იურისტს ასევე უნდა შეეძლოს სამართლის ნორმების სწორი გამოყენება კონკრეტულ ცხოვრებისეულ გარემოებებზე. სამართლის გამოყენება გულისხმობს ცხოვრებისეული ურთიერთობების სამართლებრივ შეფასებას. ეს კი მიიღწევა სამართლის აბსტრაქტულ ნორმასა და კონკრეტულ ცხოვრებისეულ ფაქტს შორის გასაგები კავშირის დამყარებით. აღნიშნული პროცესი სრულდება დასკვნით იმის შესახებ, ვრცელდება თუ არა შესაბამისი სამართლებრივი ნორმა კონკრეტულ შემთხვევაზე და ამის შედეგად დგება თუ არა ამ ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი. კაზუსზე მუშაობისას კანონის გამოყენება არის ცენტრალური საკითხი კაზუსის ამოხსნის, ე.ი. საბოლოო შედეგის ძიების გზაზე. იმისათვის, რომ ნათელი და გასაგები იყოს სამართლის ნორმის დაკავშირება (შეფარდება) კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან, სამართალმცოდნეობა იყენებს სხვადასხვა მეთოდსა და არგუმენტაციის საშუალებებს, რომლებიც ვრცლად იქნება წარმოდგენილი წინამდებარე თავში. სამართალგამოყენების მეთოდების შესახებ მსჯელობებს (III) წინ უძღვის შესავალი დებულებები კანონის სტილთან (I) და სამართლის ნორმის სტრუქტურასთან (II) დაკავშირებით (იხ. ნახაზი 4).


I. კანონის სტილი²¹

სამოქალაქო კოდექსის ნორმები ჩამოყალიბებულია ზოგადი და აბსტრაქტული კანონის სტილით. ზოგადი, ვინაიდან ეს ნორმები მიმართულია ადრესატთა განუსაზღვრელი ჯგუფისკენ, ხოლო აბსტრაქტული,

²¹ სამოქალაქო კოდექსის აგებულებასთან დაკავშირებული განმარტებები მოცემულია მესამე თავში. სკ-ის სტრუქტურა არ წარმოადგენს პრობლემას კონკრეტული ნორმისა თუ ნორმათა ჯაჭვის უშუალო გამოყენების კუთხით, თუმცა, რელევანტური სამართლებრივი ნორმის ძებნისა თუ მოთხოვნის საფუძვლის შემუშავების კუთხით შესაძლოა წარმოქმნას გარკვეული პრობლემები.

ვინაიდან არ შეიცავს კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან დაკავშირებულ რეგულირებებს, არამედ მრავალი შესაძლო კონკრეტული შემთხვევის ტიპიურ ნიშნებსა და ელემენტებს. თუმცა, აბსტრაქციის ხარისხი შეიძლება იყოს სხვადასხვა. რაც უფრო აბსტრაქტულია ნორმა, მით უფრო შრომატევადია მისი მორგება კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

ნახაზი 4:



სკ-ის 54-ე მუხლი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებების ბათილობას. მუხლის მიხედვით ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. აღნიშნული მუხლის პირველი და მეორე ალტერნატივის შემთხვევებში (კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვის დარღვევა) საკმაოდ მარტივი იქნება დარღვევის

დადგენა, თუ დარღვეული სამართლებრივი ნორმა თავის მხრივ არ არის აბსტრაქტული. გაცილებით უფრო რთულია იმის დადგენა, სახეზეა თუ არა საჯარო წესრიგის (მესამე ალტერნატივა) ან ზნეობის ნორმების დარღვევა (მეოთხე ალტერნატივა). ორივე ფაქტობრივი ელემენტის შემთხვევაში საქმე გვაქვს განუსაზღვრელ სამართლებრივ ცნებებთან. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ასეთ ცნებებს თავიდანვე არა აქვთ მიკუთვნებული რაიმე ერთმნიშვნელოვანი შინაარსობრივი დატვირთვა და საჭიროებს დაკონკრეტებას ცალკეული შემთხვევის ფარგლებში. განუსაზღვრელი ცნებების გამოყენება განაპირობებს შესაბამისი ნორმის აბსტრაქტულობის მაღალ ხარისხს. სხვა განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებებია „მნიშვნელოვანი საფუძველი“ (მაგ: სკ-ის 637-ე მუხლი, 771-ე მუხლის მე-2 ნაწილი, მუხლი 800) ან „დაუძლეველი ძალა“ (სკ-ის 132-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, 666-ე მუხლის პირველი ნაწილი).

რეგულირების აბსტრაქტული და ზოგადი მეთოდი კანონმდებელს აძლევს შესაძლებლობას, გაითვალისწინოს და მოანესრიგოს შესაძლო შემთხვევათა დიდი რაოდენობა. მეორე მხრივ კი, აბსტრაქტული ფორმულირება იმავდროულად ართულებს ნორმის გამოყენებას კონკრეტულ შემთხვევაში.

II. სამართლის ნორმის სტრუქტურა

სამართლის ნორმა, ძირითადად, შედგება აღწერილობითი ანუ ფაქტობრივი ნაწილისა (დისპოზიცია) და სამართლებრივი შედეგისაგან. დისპოზიცია განსაზღვრავს იმ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ წინაპირობებს, რომლებიც უნდა იყოს მოცემული იმისათვის, რომ დადგეს ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი. ნორმის სამართლებრივი შედეგი განსაზღვრავს მისი რეგულირების კონკრეტულ შედეგს. იმ შემთხვევაში, თუ მოცემულია ყველა გათვალისწინებული წინაპირობა, მაშინ დადგება შესაბამისი სამართლებრივი შედეგი. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ შემდეგი მაგალითები:

დისპოზიცია (იმ შემთხვევაში თუ...)	სამართლებრივი შედეგი (მაშინ...)
ნარდობის ხელშეკრულება სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი	
ნარდობის ხელშეკრულებით	მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური
გადაზიდვის ხელშეკრულება სკ-ის 668-ე მუხლი	
გადაზიდვის ხელშეკრულებით	გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე
უსაფუძვლო გამდიდრება სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი	
პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა,...	შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება
თუ	
ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში;	
ბ. ვალდებულების სანიანალმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.	
სკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილი გარიგების ბათილობა ნების გამოვლენის არასერიოზულობის გამო	

ნების გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა	ბათილია
შეცილების შედეგი სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინ.	
საცილო გარიგება	ბათილია მისი დადების მომენტიდან
თუკი იგი შეცილებული იქნება	
ვალდებულების შეწყვეტა კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით, სკ-ის 427-ე მუხლი	
კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით	ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება
ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები, სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილი	
თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე	მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება)
მიბარებული ნივთის დაკავების უფლება, სკ-ის 776-ე მუხლი	
სხვისათვის განუული ხარჯების ანაზღაურებამდე	შემნახველს შეუძლია უარი თქვას მიბარებული ნივთის დაბრუნებაზე
ხარვეზის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა ტურისტის ინიციატივით, სკ-ის 661-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინ.	
თუ ტურისტს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა 659-ე მუხლში მითითებული ხარვეზის გამო	მას შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება

მოცემული მაგალითების ფარგლებში შეგვიძლია დავაკვირდეთ ცალკეული ნორმის რეგულირების განსხვავებულ შედეგს. არსებობს ნორმები, მაგალითად სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი ან სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლებიც ადრესატს ანიჭებს სხვა პირისაგან რაიმეს მოთხოვნის უფლებას. ეს გახლავთ ე.წ. **მოთხოვნის საფუძვლები**, რომლებიც განეკუთვნება შედეგის განმსაზღვრელ ნორმათა რიცხვს, ვინაიდან ისინი მოიცავს აბსტრაქტულ და დადებით პასუხს (შედეგს) კაზუსის შესაბამის საკვანძო კითხვაზე. ასევე არსებობს ნორმები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ასეთი უფლებების შეწყვეტა. ეს ე.წ. მოთხოვნის გამომრიცხავი ნორმებია. აღნიშნული რეგულირებების განსხვავებული შედეგების დეტალურ განხილვას მე-3 თავში შემოგთავაზებთ.

დისპოზიციისა და სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელ ნორმებთან ერთად არსებობს ნორმები, რომლებიც არ შეიცავს სამართლებრივ შედეგს²²- ე.წ. **დამხმარე ნორმები**.

დამხმარე ნორმები მოიცავს, მაგალითად, **დეფინიციებს, განმარტების წესებს** ან სხვა ნორმებზე **მითითებებს**. აღნიშნული ნორმები ავსებს და განმარტავს სხვა სამართლებრივ ნორმებს და ამით ამარტივებს სამართალგამოყენებას. ამასთან, მათი დახმარებით შესაძლებელია კანონში განმეორებების თავიდან აცილება. ასეთი დამხმარე ნორმებია, მაგალითად:

„გარიგების“ ცნება, სკ-ის 50-ე მუხლი

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

უძრავი ნივთის ცნება, სკ-ის 149-ე მუხლი

უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე

ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების განმარტება, სკ-ის 337-ე მუხლის პირველი წინ. (განმარტების წესი)

თუ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამი შეიძლება გაგებულ

²² Larenz, Karl/Canaris, Claus-Wilhelm: მეთოდის მოძღვრება სამართალმეცნიერებაში, მე-3 გამოცემა, 1995წ. გვ.78.

იქნას სხვადასხვაგვარად, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც, ჩვეულებრივ, მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე. თუკი მხარეებს აქვთ სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი.

ვალდებულების ვადამდე შესრულების მოთხოვნის დაუშვებლობა, სკ-ის 366-ე მუხლი (განმარტების წესი)

თუ განსაზღვრულია დრო, მაშინ ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე.

უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე, სკ-ის 399-ის მე-4 მუხლის მე-2 წინ. (მითითება)

უკვე შესრულებულის დაბრუნების უზრუნველსაყოფად გამოიყენება შესაბამისად სკ-ის 352-354-ე მუხლები.

ლიზინგის მიმართ გამოყენებული სხვა წესები, სკ-ის 580-ე მუხლი (მითითება)

ლიზინგის მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების ის წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სკ-ის 576-579-ე მუხლებს.

ამას გარდა, დამხმარე ნორმები შესაძლოა შეიცავდეს ასევე **ვარაუდს (პრეზუმფციას)** და **ფიქციას**, რომლებიც, თუმცა უშუალოდ არ ეხება საქმის აღწერილობითი ნაწილის შეფასებას, მაგრამ ხელს უწყობს მის გამოკვლევას. კანონისმიერი პრეზუმფციით (ფაქტის ან უფლების პრეზუმფცია) კანონი განსაზღვრავს, რომ გარკვეული გარემოებების არსებობისას ასევე ივარაუდება სხვა შესაბამისი გარემოებების არსებობაც, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სამართლებრივ შეფასებას. კანონისმიერ პრეზუმფციას შეუძლია მტკიცების ტვირთის გადატანა (სადავო პრეზუმფცია) ან მოხსნას მტკიცებულების წარდგენის აუცილებლობა (უდავო პრეზუმფცია).

მაგალითები: საკუთრების პრეზუმფცია, სკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილი

ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი მისი მესაკუთრეა.

ნივთის ფლობის უწყვეტობის ვარაუდი, სკ-ის 166-ე მუხლი

თუ პირი ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაკვეთის და-

საწყისში და ბოლოს, ივარაუდება, რომ იგი ფლობდა ამ ნივთს დროის შუა პერიოდშიც.

განზრახვის არარსებობის ვარაუდი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შედეგების ფარგლებში, სკ-ის 855-ე მუხლი

თუ მზღვეველის მოვალეობა დამოკიდებულია ჯანმრთელობისათვის ზიანის (ვნების) განზრახ მიყენებაზე, მაშინ განზრახვის არარსებობა ივარაუდება მანამდე, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო.

კანონისმიერი ფიქციის შემთხვევებში კანონი აწესებს, რომ მოცემულად იქნას მიჩნეული გარკვეული ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი რეალურად არსებობს თუ არა. ასეთი დამხმარე ნორმების მაგალითია:

სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი — რეესტრის მონაცემთა უტყუარობის და სისრულის ფიქცია კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ²³.

იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვივებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.

III. სუბსუმცია

ზემოთ აღნიშნული საკითხების გარკვევის შემდეგ განვიხილოთ, თუ როგორ უნდა მოხდეს სამართლის ნორმის შემადგენელი აბსტრაქტული ფაქტობრივი ელემენტების ლოგიკური დაკავშირება კონკრეტული სამართლებრივი კაზუსის ფაქტობრივ გარემოებებთან. სამართალში ამისათვის იყენებენ **სუბსუმციის** მეთოდს.

აღნიშნული მეთოდის საშუალებით კავშირი აბსტრაქტულ ნორმასა და კონკრეტულ კაზუსს შორის მყარდება კაზუსის ფაქტობრივი გარე-

²³ იხ: ბესარიონ ზოიძე: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, სანივთო სამართალი, თბილისი 1999, 312-ე მუხლი, გვ. 327.

მოებების შეფარდებით აბსტრაქტული ნორმის ელემენტებთან. სუბსუმციის შედეგი შეიძლება იყოს ორგვარი:

- 1) კაზუსის ფაქტობრივი გარემოებები სრულად შეესაბამება სამართლებრივი ნორმის წინაპირობებს (დისპოზიციას) და დგება ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი.
- 2) კაზუსის ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამება სამართლებრივი ნორმის თუნდაც ერთ ფაქტობრივ ელემენტს და შესაბამისად, არ დგება ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი.

იმისათვის, რომ აღნიშნული შეფარდება წარიმართოს გასაგებად და თანმიმდევრულად, სუბსუმციის მეთოდის ფარგლებში გამოიყენება ლოგიკის ერთ-ერთი ელემენტი, კერძოდ — სილოგიზმი.

1. სილოგიზმი²⁴

აღნიშნული ელემენტის სახით საუბარია აზრის გამოსატყვისა და არ-გუმენტაციის ფორმაზე, რომლის საშუალებითაც ორი თეზისი ერთმანეთთან შეკავშირდება (ერთმანეთს შეერწყმება) მესამე თეზისის (დასკვნის) ფარგლებში. ამასთან, პირველი და მეორე თეზისი ერთმანეთთან დაკავშირებულია ერთი საერთო ცნებით, რაც თავის მხრივ შესაძლებელს ხდის მათ შერწყმას.

მაგალითი 1.²⁵

I თეზისი: ყველა ადამიანი მოკვდავია.

II თეზისი: სოკრატე ადამიანია.

III დასკვნა: სოკრატე მოკვდავია.

მაგალითი 2:

I თეზისი: არც ერთი ოთხკუთხედი არარის წრე

II თეზისი: კვადრატი ოთხკუთხედი.

III დასკვნა: არც ერთი კვადრატი არ არის წრე.

პირველ მაგალითში ცნებები „მოკვდავი“ (პირველი თეზისი) და „სოკრატე“ (მეორე თეზისი) შეკავშირებულია ერთმანეთთან მესამე თეზისის ფარგლებში ცნებით „ადამიანი“. მეორე მაგალითში ცნებები „წრე“ (პირველი თეზისი) და „კვადრატი“ (მეორე თეზისი) ერთმანეთს უკავშირდება ცნებით „ოთხკუთხედი“. ორივე მაგალითი შეიცავს სწორ დას-

²⁴ სილოგიზმი (ბერძნ.) – დედუქციური დასკვნის ყველაზე მარტივი ფორმა ლოგიკის სფეროში.

²⁵ წყარო: ბიბლიოგრაფიის ინსტიტუტი და ფ.ა. ბროკჰაუსი, მანჰაიმი, 2006წ. საძებნი სიტყვა: სილოგიზმი.

კვნას. თუმცა, ეს ყოველთვის არ არის ასე, რაზეც მეტყველებს შემდეგი მაგალითი:

მაგალითი 3:

I თეზისი: ყველა კატას აქვს მუქი ნაცრისფერი ბენვი.

II თეზისი: იოშკა კატაა .

III. დასკვნა: იოშკას აქვს მუქი ნაცრისფერი ბენვი.

ცნებები „მუქი ნაცრისფერი ბენვი“ (პირველი თეზისი) და „იოშკა“ (მეორე თეზისი) შეკავშირებულია ერთმანეთთან მესამე თეზისის ფარგლებში ცნებით „კატა“. ამ შემთხვევაშიც ფორმალურად გამართულია მტკიცებულებების ამოღების პროცესი.

თუმცა, მოცემულ მაგალითში დასკვნა არ არის სწორი. იოშკას არა აქვს მუქი ნაცრისფერი ბენვი (იგი ღია ფერის სიამის კატაა). აქ პრობლემა მდგომარეობს პირველი თეზისის ფარგლებში. იგი მცდარია, ვინაიდან ყველა კატას არა აქვს მუქი ნაცრისფერი ბენვი. შესაძლოა იოშკას შემთხვევით მართლაც ჰქონდეს მუქი ნაცრისფერი ბენვი. ამ შემთხვევაში დასკვნა ფაქტობრივად სწორი იქნება. თუმცა, მოცემული კონსტელაციის ფარგლებში ეს სისწორე არ ეფუძნება მტკიცების ლოგიკურ პროცესს, არამედ შემთხვევითობას.

მესამე მაგალითი გვიჩვენებს, რომ არსებობს განსხვავება მტკიცების პროცესის ფორმალურ გამართულობასა და მიღებული შედეგის (დასკვნის) სისწორეს შორის. სამართალმცოდნეობის კონტექსტში და განსაკუთრებით კი კაზუსის იურიდიული დამუშავების ფარგლებში განსახილველია, თუ რა არის მნიშვნელოვანი: ის, რომ მტკიცების პროცესი იყოს ფორმალურად გამართული, თუ ამასთანავე აუცილებელია, რომ ის გამონათქვამები, რომლებიც საფუძვლად უდევს მტკიცების პროცესს, იყოს სწორი. სუბსუმციის მიზანია მტკიცების ლოგიკური პროცესის უზრუნველყოფა აბსტრაქტული ნორმისა და კონკრეტული საქმის ურთიერთშეფარდების მიზნით. სწორია თუ არა შესაფარდებელი გამონათქვამები (ფაქტები) კანონის ნორმებთან მიმართებაში არ მოწმდება²⁶.

²⁶ იხ: სკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას კანონის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მას კანონის ნორმა უსამართლოდ ან არაზნეობრივად მიაჩნია.

ანუ სამართლის მეცნიერებისათვის მთავარია მტკიცების ფორმალურად გამართული პროცესის უზრუნველყოფა.

2. სუბსუმციის ძირითადი სტრუქტურა

სილოგიზმის მოდელი ქმნის სუბსუმციის ძირითად სტრუქტურას. კაზუსის იურიდიული დამუშავების ფარგლებში სანყისი შეკითხვის პოზიტიური გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი აბსტრაქტული წინაპირობები იმავდროულად წარმოადგენს პირველი გამონათქვამის (თეზისის) შინაარსს. ამ გამონათქვამს ასევე **მთავარ წინადადებასაც** უწოდებენ. საქმის აღწერილობითი ნაწილის კონკრეტული ფაქტები წარმოადგენს მეორე გამონათქვამის, ე.წ. **ქვემდგომი წინადადების** შინაარსს. თუ პირველსა და მეორე გამონათქვამებში მოიძებნება ერთი დამაკავშირებელი ცნება, მაშინ ეს ორივე გამონათქვამი (თეზისი) დასკვნაში დაუკავშირდება ერთმანეთს. ამ შემთხვევაში ქვემდგომი წინადადების კონკრეტული ფაქტები და გარემოებები შეესაბამება მთავარი წინადადების აბსტრაქტულ წინაპირობებს. თუ ზემოთ აღნიშნული დამაკავშირებელი ცნება არ არსებობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვემდგომი წინადადების კონკრეტული ფაქტები და გარემოებები არ შეესაბამება მთავარი წინადადების აბსტრაქტულ წინაპირობებს.

შესაბამისად, განვავრცობ მეოთხე ნახაზს სამართლის ნორმების გამოყენებასთან


დაკავშირებით და წარმოგიდგენთ შემდეგ სქემას – ნახაზი 5

ზემოთ აღნიშნულის შემდგომი ილუსტრაციისათვის წარმოგიდგენთ მარტივ მაგალითს. ცხრილის ფორმა არის მხოლოდ ზემოთ წარმოდგენილი ნახაზის ფორმის გაგრძელება და არ წარმოადგენს კაზუსის გადაწყვეტის ჩვეულ ფორმას.

მაგალითი:

„ბ“ ყიდულობს „ა“-სგან ნიგნს 20 ლარად. აქვს თუ არა „ა“-ს „ბ“-ს მიმართ 20 ლარის მოთხოვნის უფლება?

ნახაზი 5:



საწყისი შეკითხვა	აქვს თუ არა „ა“-ს „ბ“-ს მიმართ 20 ლარის მოთხოვნის უფლება?
<p>აბსტრაქტული წინაპირობები მთავარ წინადადებაზე (პირველი გამონათქვამი – თეზისი) დადებითი პასუხის გასაცემად</p>	<p>„ა“-ს შესაძლოა ჰქონდეს „ბ“-ს მიმართ სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით შეთანხმებული ფასის მოთხოვნის უფლება. ამისათვის „ა“-სა და „ბ“-ს გაფორმებული უნდა ჰქონდეთ ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც „ბ“ იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს „ა“-ს 20 ლარი.</p>
<p>კონკრეტული ფაქტების შეფარდება ქვემდგომი წინადადება (მეორე გამონათქვამი – თეზისი)</p>	<p>საქმის შინაარსის მიხედვით „ბ“ „ა“-სგან ყიდულობს წიგნს 20 ლარად. შესაბამისად „ა“-სა და „ბ“-ს შორის დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც „ბ“ იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს „ა“-ს 20 ლარი.</p>

დასკვნა (მესამე გამონათქვამი – თეზისი)	მაშასადამე, „ა“-ს აქვს „ბ“-ს მიმართ სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით შეთანხმებული ფასის მოთხოვნის უფლება.
შედეგი	სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „ა“-ს აქვს „ბ“-ს მიმართ 20 ლარის მოთხოვნის უფლება.

კაზუსის გადანყვეტის დამკვიდრებული ფორმის გამოყენებით²⁷ მოცემული კაზუსი შემდეგნაირად იქნებოდა წარმოდგენილი:

მოთხოვნის საფუძველი: სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი

ა. მოთხოვნის წარმოშობა

ნასყიდობის ხელშეკრულება „ა“-სა და „ბ“-ს შორის (+)

I. შეთანხმება (+)

II. შინაარსი – „ბ“ იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს „ა“-ს 20 ლარი (+)

ბ. მოთხოვნის შეწყვეტა/შესრულების შეუძლებლობა

არ არსებობს შესაბამისი ინფორმაცია

გ. შედეგი: სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ა“-ს აქვს „ბ“-ს მიმართ 20 ლარის მოთხოვნის უფლება.

3. სუბსუმციის დანაწევრება

როგორც ეს სამართლის ნორმის სტრუქტურის ფარგლებში ნათლად წარმოჩინდა (გვ. 18-20) ნორმათა უმრავლესობის შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელია, რომ ერთდროულად სახეზე იყოს ნორმის რამოდენიმე ფაქტობრივი ელემენტი (კუმულატიური ფაქტობრივი ელემენტები). იმისათვის, რომ მოხდეს აბსტრაქტული ნორმისა და კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანმიმდევრული შეფარდება-შეკავშირება და იმისათვის, რომ ეს

²⁷ ზოგადად კაზუსის გადანყვეტის ფორმასთან დაკავშირებით იხ: თავი მეოთხე, მოთხოვნის საფუძვლის შემოწმებასთან დაკავშირებით კი — თავი მესამე.

ყოველივე იყოს ნათელი და გასაგები, უნდა მოხდეს სუბსუმციის დანაწევრება ნორმის ყველა ცალკეულ ფაქტობრივ ელემენტზე (იხ. ნახაზი 6).

თუ სუბსუმციისას მივალთ იმ დასკვნამდე, რომ არ არის სახეზე ერთ-ერთი კუმულატიური ფაქტობრივი ელემენტიც კი, შესაძლებელია შემოწმების შეწყვეტა, ვინაიდან უკვე შეუძლებელია დადგეს შესაბამისი სამართლებრივი შედეგი. თუმცა, ყოველივე აღნიშნული არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საქმე გვაქვს ალტერნატიულ ფაქტობრივ ელემენტებთან.

მაგალითი:

სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში ან ბ. ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოორიცხულია მოთხოვნის განხორციელება.


ალტერნატიული ფაქტობრივი ელემენტების შემთხვევაში სამართლებრივი შედეგი დგება, თუკი მოცემულია ერთ-ერთი წინაპირობა მაინც, ამიტომ, დადებითი პასუხის მიღებამდე აქ საჭიროა ყოველი ფაქტობრივი ელემენტის ცალკეული შემოწმება.

სუბსუმციის დანაწევრების მაგალითი:

„ა“ არის ჯიპის ტიპის ავტომობილის მესაკუთრე. „ბ“-ს სურს კვირის ბოლოს მთებში გასეირნება და ესაჭიროება შესაბამისი მანქანა. ამისათვის „ა“ დადებს „ბ“-სთან თხოვების ხელშეკრულებას, რომლითაც იღებს ვალდებულებას, შაბათ-კვირას „ბ“-ს დაუთმოს თავისი მანქანა. მთებიდან დაბრუნების შემდეგ „ბ“ არ აბრუნებს მანქანას. შეუძლია თუ არა „ა“-ს სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოითხოვოს

„ბ“-სგან მანქანის დაბრუნება?

ნახაზი ნ:



საწყისი შეკითხვა	შეუძლია თუ არა „ა“-ს მოითხოვოს „ბ“-სგან მანქანის დაბრუნება?		
მთავარი წინადადება	„ა“-ს შეუძლია მოითხოვოს „ბ“-სგან მანქანის დაბრუნება, თუ „ა“ არის ნივთის მესაკუთრე, „ბ“ – ნივთის მფლობელი და იგი უკანონოდ ფლობს მას.		
	„ა“ უნდა იყოს ავტომობილის მესაკუთრე	„ბ“ უნდა იყოს ავტომობილის მფლობელი	„ბ“-ს „ა“-სგან განსხვავებით არ უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის უფლება.
		მფლობელობა არის ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა — სკ-ის 155-ე მუხლის პირველი ნაწილი	
ქვემდგომი წინადადება	„ა“ თავდაპირველად იყო ავტომობილის მესაკუთრე, თხოვების ხელშეკრულებით არ ჰქონია ადგილი ნივთზე საკუთრების უფლების ცვლილებას სკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით	„ბ“ ავტომობილზე ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას.	თხოვების ხელშეკრულება (სკ-ის 615-ე მუხლი) ითვალისწინებს ფლობის უფლებას, თუმცა, აქ ეს უფლება აღარ არსებობს ვადის გასვლის გამო
დასკვნა	„ა“ არის ავტომობილის მესაკუთრე	ამგვარად, „ბ“ არის ავტომობილის მფლობელი	ამგვარად, „ბ“-ს არ აქვს ნივთის ფლობის უფლება
შედეგი	„ა“-ს შეუძლია მოითხოვოს „ბ“-სგან ავტომობილის დაბრუნება სკ-ის 172 -ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით		

ამოხსნა: მოთხოვნის საფუძველი სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი

ა. მოთხოვნის წარმოშობა

ნივთის მოთხოვნის უფლება არსებობს იმ შემთხვევაში, თუ „ა“ არის ნივთის მესაკუთრე, „ბ“ – ნივთის მფლობელი და იგი „ა“-სთან მიმართებაში უკანონოდ ფლობს მას.

3. „ა“ მესაკუთრე

- თავდაპირველად (+)
- „ა“-ს სკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე „ბ“-სთვის ნივთის გადაცემით არ დაუკარგავს საკუთრების უფლება
- „ა“ მესაკუთრე (+)

4. „ბ“ მფლობელი

მფლობელობა არის ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა — სკ-ის 155-ე მუხლის პირველი ნაწილი (ლეგალური დეფინიცია)

(+), ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას.

5. „ა“-ს მიმართ „ბ“-ს არა აქვს ფლობის უფლება

(+), ფლობის უფლება მხოლოდ თხოვების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომელიც უკვე დასრულებულია ვადის გასვლის გამო.

- მაშასადამე — ფლობის უფლება არ არსებობს

6. შუალედური შედეგი:

სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოთხოვნა წარმოიშვა

ბ. მოთხოვნის შეწყვეტა/მესრულების შეუძლებლობა

არ არსებობს შესაბამისი ინფორმაცია

გ. შედეგი: „ა“-ს შეუძლია სკ-ის 172-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით მოითხოვოს ავტომობილის დაბრუნება.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა **კუმულატიური ფაქტობრივი ელემენტების შემონმების რიგითობის თაობაზე**. აღნიშნული განისაზღვრება მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. თვალსაჩინოებისთვის თავიდან უნდა იქნას აცილებული სხვადასხვა ფაქტობრივი ელემენტების ე.წ. **ინციდენტური შემონმება**, ანუ ერთი ფაქტობრივი ელემენტის შემონმება მეორე ფაქტობრივი ელემენტის ფარგლებში.

აქ ერთმანეთისაგან განსხვავდება თანაბარი და არათანაბარი რანგის მქონე ფაქტობრივი ელემენტები. თანაბარი რანგისაა ფაქტობრივი ელემენტები, თუ ისინი არ განაპირობებს ერთმანეთს, ანუ თუ ერთი ფაქტობრივი ელემენტის არსებობა არ არის მეორე ფაქტობრივი ელემენტის არსებობის წინაპირობა. ასეთ შემთხვევაში შემონმების თანმიმდევრობა შესაბამისი იურისტის მიხედულებაზე დამოკიდებულია.

მაგალითი:

ნივთის დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში (სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი) ნორმის ფაქტობრივი ელემენტები – საკუთრება და მფლობელობა თანაბარი რანგის ფაქტობრივი ელემენტებია.

არათანაბარი რანგის მქონე ფაქტობრივი ელემენტების შემონმება უნდა მოხდეს მათი რანგის შესაბამისი რიგითობით, ვინაიდან სხვა შემთხვევაში თვალსაჩინოობისათვის საჭირო გახდება არასასურველი ინციდენტური შემონმება.

მაგალითები:

1. მესაკუთრესთან მიმართებაში ფლობის უფლების არქონა სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით უნდა შემონმდეს როგორც „საკუთრების“ ფაქტობრივი ელემენტის, ისევე „ფლობის“ ფაქტობრივი ელემენტის შემთხვევებში. ფლობის უფლების არსებობა-არარსებობის საკითხის გარკვევა აზრს მოკლებული იქნება მანამ, სანამ არ დადგინდება, რომ მოთხოვნის მოპასუხე საერთოდ ფლობს ნივთს. მესაკუთრის ვინაობა დადგენილი უნდა იყოს, რათა გასაგები იყოს, თუ ვისთან მიმართებაში განიხილება მფლობელობის უფლების ქონა.
2. სკ-ის 531-ე მუხლის პირველი ნინ-ის მიხედვით გამქირავებლის მიერ დათქმული ქირის მოთხოვნის უფლების არსებობის წინაპირობაა ქირავნობის ხელშეკრულების დადება და გამქირავებლის მიერ ნივთის სარგებლობაში გადაცემა. პირველ რიგში, უნდა შემონმდეს ქირავნობის ხელშეკრულების დადების ფაქტი. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ნორმის გამოყენება და შე-

საბამისად იმის შემონახვა, თუ რომელი ნივთის გადაცემა უნდა მოხდეს რომელი სარგებლობისთვის.

გამონაკლისი დასაშვებია, როდესაც აშკარაა, რომ არ არის სახეზე ნაკლები რანგის მქონე ფაქტობრივი ელემენტი, რის გამოც არ დადგება შესაბამისი სამართლებრივი შედეგი. ასეთ შემთხვევებში შემონახვის პროცესის შემოკლების მიზნით შესაძლებელია ნაკლები რანგის მქონე ფაქტობრივი ელემენტის განხილვით დაწყება.

მაგალითი:

სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ნივთის დაბრუნების მოთხოვნისას მფლობელს ერთმნიშვნელოვნად აქვს ნივთის ფლობის უფლება, მაგალითად, როგორცაა გირავნობის უფლება სკ-ის 634-ე მუხლის მიხედვით.

4. სუბსუმცია და ნორმის აბსტრაქტული ფორმულირება

სუბსუმცია იწყება მთავარი წინადადებით, რომელიც ახდენს აბსტრაქტული წინაპირობების ფორმულირებას საწყის კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის მიზნით. ეს წინაპირობები, ჩვეულებრივ, გამომდინარეობს კანონიდან. კანონის ტექსტის აბსტრაქტული ფორმულირების სტილის გამო²⁸ სუბსუმცია არ არის ყოველთვის მარტივი. ასეთ შემთხვევებში ფაქტობრივი ელემენტები საჭიროებს დამატებით დაკონკრეტებას, სანამ შესაძლებელი გახდება მათი შეფარდება საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან. აღნიშნული დაკონკრეტება ხორციელდება ცალკეული ფაქტობრივი ელემენტის დეფინიციის გზით.²⁹

სამართლებრივი ცნების დეფინიცია საჭიროა მაშინაც, როდესაც ეს ცნება ყოველდღიური საუბრისას გამოიყენება განუსაზღვრელი შინაარსით. ამისათვის საუკეთესო მაგალითია ცნება „მფლობელობა“, რომელიც არაიურისტისათვის, როგორც წესი, იგივეა, რაც „საკუთრება“.

ცალკეული სამართლებრივი ცნება კაზუსის იურიდიული დამუშავების მიზნებისათვის უნდა განიმარტოს იმდენად „ღრმად“, რამდენადაც

²⁸ იხ. გვ. 20-22.

²⁹ დეფინიციის შემუშავებასთან დაკავშირებით იხ. გვ.18

ეს საჭიროა. ანუ, აქ არ არის საუბარი კონკრეტული სამართლებრივი ცნების დეტალური და ფართო დეფინიციის ჩამოყალიბებაზე. დეფინიციის საშუალებით უნდა მოხდეს ფაქტობრივი ელემენტის დაკონკრეტება, რათა შესაძლებელი გახდეს სუბსუმცია (იხ. ნახაზი 7).

მეორე მხრივ, დეფინიციამ შესაძლოა უფრო გაართულოს ან გააღრმავოს შემონიშვნა. დეფინიციის ფარგლებში შესაბამისი ფაქტობრივი ელემენტი განიმარტება სხვადასხვა ცნების გამოყენების გზით. თუ დეფინიციისათვის გამოყენებული ცნებები მაინც აბსტრაქტულია, მაშინ საჭიროა მათი დეფინიციაც და ა.შ. აღნიშნული პროცესი გრძელდება მანამ, სანამ შესაბამისი ცნება არ დაექვემდებარება სუბსუმციას.


ზემოთ წარმოდგენილმა პროცესმა შესაძლოა გამოიწვიოს ერთი ფაქტობრივი ელემენტის შემონიშვნის დანაწევრება და გავრცობა. თუმცა, ყოველივე აუცილებელია, რათა მომზადდეს აზრის ლოგიკური ჯაჭვი და თვალსაჩინოობის წინაპირობები. აღნიშნული კი მოითხოვს კაზუსის განმხილველი იურისტის მხრიდან დისციპლინირებულ და სისტემურ მუშაობას (იხ. ბახაზი 8).

IV. სამართლის ნორმის განმარტება³⁰


როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის აბსტრაქტული სტილი, ხშირ შემთხვევაში, საჭიროებს ნორმის დაკონკრეტებას მანამ, სანამ შესაძლებელი იქნება სუბსუმციის დაწყება. ნორმა, უფრო სწორედ, მისი ფაქტობრივი ელემენტები (და ასევე სამართლებრივი შედეგი) ჯერ უნდა დამუშავდეს ისე, რომ ექვემდებარებოდეს სუბსუმციას. აღნიშნული დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს არაერთგვაროვანი სამართლებრივი ცნებების სათანადო დეფინიციის შემუშავება, გამოიყენება **განმარტება**. განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა. ანუ, განმარტების მეთოდი გამოიყენება ყოველთვის მაშინ, როდესაც სამართლებრივი ნორმის ან მისი რომელიმე ფაქტობრივი ელემენტის შინაარსი ბუნდოვანი ან მრავალმნიშვნელოვანია.

³⁰ ნების გამოვლენის განმარტებასთან დაკავშირებით იხ. თავი მეოთხე, გვ. 78-79

ნახაზი 7:



ნახაზი 8:



განმარტება არის სამართლის პრაქტიკოსის ყოველდღიური საქმიანობა. მაგალითად, სკ-ის მე-4 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია. უნივერსიტეტში სწავლისას და პრაქტიკაშიც, როგორც წესი, შესაძლებელია პრაქტიკაში უკვე არსებული და ასევე სამართლის მეცნიერების ფარგლებში დამკვიდრებული განმარტების შედეგების გამოყენება. თუმცა, მიუხედავად ამისა, სტუდენტსაც უნდა შეეძლოს ნორმის განმარტება. ერთი, რომ მომავალში მას პერმანენტულად მოუწევს კანონის განმარტება, და მეორე, ყველა პრობლემურ საკითხზე არ არსებობს უკვე დამკვიდრებული პასუხი და მოსაზრება. განმარტება ასევე საჭიროა ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც წერიით გამოცდისას სტუდენტს აღარ ახსოვს ლიტერატურასა და პრაქტიკაში დამკვიდრებული მოსაზრებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტს კაზუსის დამუშავებისას დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს სამართლებრივი ნორმის მისაღები განმარტების შემუშავება.

კანონის განმარტების მიზნით ძირითადად გამოიყენება არგუმენტაციის ოთხი საშუალება:

- გრამატიკული განმარტება;
- ისტორიული განმარტება;
- სისტემური განმარტება;
- თელეოლოგიური განმარტება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნორმის განმარტებისას არ არის აუცილებელი განმარტების ყველა მეთოდის განხილვა და გამოყენება. სამართლებრივი ნორმის განმარტების მიზანია ნორმის ინტერპრეტაციის მყარი არგუმენტების მოძიება.

გრამატიკული განმარტება ორიენტირებულია იმ ფაქტობრივი ელემენტის სიტყვიერ ფორმულირებაზე, რომელიც არის განმარტების საგანი. ამასთან, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ზოგადი მნიშვნელობა, არამედ ასევე სპეციფიკური დატვირთვაც. გრამატიკული განმარტება არის ყველა სხვა განმარტების ამოსავალი წერტილი და მათი ფარგლების განმსაზღვრელი³¹.

³¹ Larenz, Karl/Canaris, Claus-Wilhelm: მეთოდის მოძღვრება სამართალმეცნიერებაში, მე-3 გამოცემა, 1995წ. გვ.141.

ამა თუ იმ სამართლებრივი ცნების სიტყვიერ ფორმულირებას შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა დატვირთვა. სწორედ ეს არის ამ ნორმის მეტად შეზღუდული თუ ფართო განმარტების საფუძველი. როდესაც დასაშვებია სამართლებრივი ცნების სხვადასხვაგვარი გაგება, გრამატიკული განმარტების ფარგლებში მიზანშეწონილია შერჩეულ იქნას ფართო განმარტება, ვიდრე აღნიშნული პროცესი შეიზღუდოს ცნების ყველაზე ვიწრო გაგებით. ამ გზით შესაძლებელი ხდება სამართლებრივი ცნების ფართო განხილვა. ხოლო ქვემოთ განხილული „განმარტების ინსტრუმენტების“ საშუალებით შემდეგში შესაძლებელია უფრო ვიწრო მნიშვნელობის გამოყენება. შეზღუდული (ანუ ვიწრო) განმარტებისას სიტყვიერი მნიშვნელობა ვიწროდ განიმარტება სამართლებრივი ცნების მიზნის საფუძველზე, ხოლო ფართო განმარტებისას კი იგი ფართოვდება, ივრცობა.

მაგალითი:

სკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოტყუებისას მესამე პირის მხრიდან შეიძლება გარიგების ბათილობის მოთხოვნა, თუ მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა იმ პირს, რომელიც სარგებელს იღებს ამ გარიგებიდან. აღნიშნულ ნორმას მივყავართ სკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლების იმგვარ შეზღუდვამდე, რომ შემოდის გასაჩივრების ახალი წინაპირობა, ანუ სარგებლის მიმღები პირის ცოდნა ან ცოდნის მოვალეობა. აღნიშნული ნორმის გამოყენების სფერო დამოკიდებულია ასევე იმაზეც, თუ ვინ იგულისხმება „მესამე პირის“ ცნებაში. რაც უფრო ფართოდ გავიგებთ „მესამე პირის“ ცნებას, მით უფრო ძლიერია სკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლების შეზღუდვა. ამ შემთხვევაში დასაშვებია შემდეგი ინტერპრეტაცია:

1. „მესამე პირი“ სკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის ხელშეკრულების მხარე (ფართო განმარტება). აღნიშნულის მიხედვით მესამე

- პირებად ჩაითვლებიან ის პირებიც, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ხელშეკრულების ამა თუ იმ მხარეს და მონაწილეობა მიიღეს ხელშეკრულების დადებაში, მაგალითად, წარმომადგენელი სკ-ის 103-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.
2. „მესამე პირი“ სკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით არის ყველა ის პირი, რომელსაც შეეხება აქვს ხელშეკრულების ორივე მხარესთან, თუმცა, არ არის წარმოდგენილი რომელიმე მხარეს, არამედ აქვს თავისი საკუთარი ინტერესი, მაგალითად, მაკლერი³².
 3. „მესამე პირი“ სკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი პირი, რომელიც საერთოდ არ მონაწილეობს გარიგებაში (ვინრო განმარტება) — შესაბამისად, წარმოდგენილი მიდგომის მიხედვით არც წარმომადგენელი და არც მაკლერი არ იგულისხმება ამ ცნების ქვეშ.

ისტორიული განმარტების ფარგლებში ხდება კანონმდებლის ნების გამოკვლევა კანონის მიღების მომენტისათვის. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა წყარო. კანონმდებლის ნებაზე მიაწინებს ერთი მხრივ კანონის განმარტებითი ბარათი. სხვა შესაძლო წყაროებია ასევე შესაბამის კანონთან დაკავშირებული პარლამენტის კომიტეტთა სხდომების ოქმები ან თვითონ პარლამენტში გამართულ კონსულტაციებთან დაკავშირებული მოხსენებები³³. იგივე ეხება ასევე კანონპროექტის განმარტებით ბარათს. დამატებით ასევე შესაძლებელია იმ პირების მოსაზრებების გამოყენება, რომლებიც მონაწილეობდნენ კანონის განხილვაში. ასევე მოხდება კანონის გამოცემისას არსებული ეკონომიკური და სოციალური პირობების გათვალისწინება, თუ აშკარაა, რომ კანონმდებელმა გაითვალისწინა აღნიშნული.

მაშასადამე, ისტორიული განმარტება მეტწილად დამოკიდებულია ხელმისაწვდომი და შინაარსობრივად გამოსადეგი წყაროების არსებობაზე. აქედან გამომდინარე, განმარტების აღნიშნული მეთოდი არ გამოიყენება უნივერსიტეტებში წერიტი გამოცდის ფარგლებში.

³² იხ: ბესარიონ ზოიძე: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2002 წ. 83-ე მუხლი, გვ. 243.

³³ მაგალითისათვის იხ: განმარტებითი ბარათი.

სისტემურ განმარტებას საფუძვლად უდევს ერთიანი მართლწესრიგის იდეა, რომლის მიხედვით სამართლის არც ერთი ნორმა არ ეწინააღმდეგება მეორეს. თითოეული ნორმა ან ფაქტობრივი ელემენტი უნდა განიმარტოს ისე, რომ იგი შეესატყვისებოდეს მართლწესრიგს. სისტემური განმარტების ფარგლებში შესაძლოა წარმოჩინდეს არგუმენტები განმარტების რომელიმე მეთოდის სასარგებლოდ განსამარტ ფაქტობრივ ელემენტთან მიმართებაში:

- სამართლებრივი ნორმის იმავე ნაწილის სხვა წინადადებებთან,
- სამართლებრივი ნორმის სხვა ნაწილებთან,
- კანონის შესაბამისი თავის სხვა სამართლებრივ ნორმებთან,
- იმავე სამართლებრივ სფეროსთან დაკავშირებული კანონების ნორმებთან,
- ზოგადად მართლწესრიგთან.

თელეოლოგიური განმარტება გულისხმობს სამართლებრივი ნორმის არსისა და მიზნის ძიებას. ამასთან, გადამწყვეტია არა კანონმდებლის ნება კანონის გამოცემის მომენტისათვის, არამედ დღევანდელი პერსპექტივა.

განმარტების ზღვარი გადის მისი კონსტიტუციურობის მოთხოვნაზე. სკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო სამართლისა და ასევე კერძო სამართლის სხვა კანონთა განმარტება უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. აღნიშნულ კონტექსტში არსებითია ის, რომ განმარტების, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების გზით, არ შეიძლება კანონმდებლის კომპეტენციებში ჩარევა და სავალდებულოა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული თანასწორობის დაცვა.

ხშირად სამართლის ნორმის განმარტებისას სახეზეა სულ მცირე, ორი შესაძლო ალტერნატივა ერთი სამართლებრივი ცნებისთვის. ასეთ შემთხვევებში შესაბამისმა პირმა უნდა განახორციელოს ამ ორი ალტერნატივის ურთიერთშეფარდება, მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება და დაასაბუთოს იგი. თუ ზემოხსენებული ოთხი კრიტერიუმის გამოყენების გზით არ გამოვლინდა რომელიმე ალტერნატივის პრიორიტეტულობა ან თუნდაც ერთ-ერთი მათგანის გამოყენების სავალდებულობა, მაშინ უნდა მოხდეს არგუმენტაციის შემდეგი მეთოდების

გათვალისწინება: ე.წ. „მით უფრო“-არგუმენტი, სანინალმდეგო მოსაზრების საფუძველზე გამოტანილი დასკვნა და ასევე არგუმენტირება აბსურდამდე (არგუმენტუმ ად აბსურდუმ). აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. თავი VII — არგუმენტირების სხვა მეთოდები.

V. ანალოგია³⁴

სამართლებრივი დავების დამუშავებისას ხშირად წარმოიქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც შესაფასებელი ცხოვრებისეული შემთხვევა არ შეესაბამება არც ერთ სამართლებრივ ნორმას. ანუ, როდესაც გარემოებათა მოცემული კონსტელაცია (ურთიერთგანლაგება) არ არის მოწესრიგებული კანონით. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს, მაგალითად, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა და ცვალებადობის მაღალი ტემპი, რის გამოც კანონი შეიძლება სწრაფად მოძველდეს. კანონის შემუშავების მომენტისათვის შეუძლებელი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების დღევანდელი ურთიერთობებისა და კონსტელაციების გათვალისწინება. ამასთან, თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრება იმდენად რთულია, რომ შეიძლება კანონმდებელს თვალთახედვიდან გამორჩეს რაიმე ცხოვრებისეული ნიუანსი.

მაგალითი:

ინტერნეტის სამართალი და ა.შ.

მოსამართლეს არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია არ განახორციელოს მართლმსაჯულება. სკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს არა აქვს უფლება, უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს. მაშასადამე, ასეთ შემთხვევებზეც ვრცელდება მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულება. ვინაიდან არ არსებობს კანონისმიერი საფუძველი, მოსამართლეს, გამოინაკლისის სახით, აქვს უფლებაც და ეკისრება მოვალეობაც, რომ თვითონ შექმნას იგი. აღნიშნული ხორციელდება ანალოგიის გზით.

³⁴ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ასევე: Larenz, Karl/Canaris, Claus-Wilhelm: მეთოდის მოძღვრება სამართალმეცნიერებაში, მე-3 გამოცემა, 1995წ. გვ. 187.

სკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი მოსამართლეს ანიჭებს უფლებამოსილებას, კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენოს ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (ე.წ. **კანონის ანალოგია ან ნორმის ანალოგია**). სკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, რომ, თუ შეუძლებელია კანონის ანალოგიის გამოყენება იგივე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად (ე.წ. სამართლის ანალოგია). ორივე შემთხვევაში საუბარია სამოსამართლო სამართალგანვითარების ფორმებზე.

1. რეგულირების არაგეგმიური ხარვეზი

როგორც სკ-ის მე-5 მუხლიდან ჩანს, ანალოგიის გამოყენების წინაპირობაა, რომ შესაბამისი ურთიერთობა არ იყოს მოწესრიგებული კანონით. ანუ უნდა არსებობდეს რეგულირების ხარვეზი.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი ამგვარი ხარვეზი არ არის ანალოგიის გამოყენების წინაპირობა. რაიმე ურთიერთობის მოუწესრიგებლობა შესაძლოა იყოს კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტილება, რაც კრძალავს მოსამართლის მიერ სამართლის განვითარებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება სასამართლო ხელისუფლების ჩარევას საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციებში.

ზოგადად კი, ანალოგია განიხილება მხოლოდ მაშინ, როდესაც საუბარია რეგულირების არაგეგმიურ (ანუ არა შეგნებულად დაგეგმილ) ხარვეზზე. არაგეგმიური ხარვეზი არსებობს მაშინ, როდესაც იგი არ ყოფილა განზრახული კანონმდებლის მიერ. გვაქვს თუ არა საქმე ასეთ შემთხვევასთან, უნდა გაირკვეს განმარტების გზით. აქაც შესაძლოა ეფექტური იყოს საწინააღმდეგო მოსაზრებიდან გამოტანილი დასკვნით არგუმენტირების ფორმა³⁵. თუ ნორმა გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ კანონმდებლის მიზანი იყო ერთი კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება, მაშინ აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ მან შეგნებულად არ მოაწესრიგა სხვა ურთიერთობები.

³⁵ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. თავი VII — არგუმენტირების სხვა მეთოდები, გვ. 39

2. კანონის ანალოგია, სკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი

კანონის ანალოგიის შემთხვევაში ხდება სამართლებრივი ნორმის გამოყენების სფეროს განვრცობა ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც ამ ნორმით არ არის გათვალისწინებული. ანუ, ნორმის სამართლებრივი შედეგი მოერგება ისეთ ურთიერთობასა და შემთხვევას, რომელსაც არ მოიცავს ნორმის დისპოზიცია, ანუ მისი ფაქტობრივი ელემენტები. თუმცა, აქ ნორმით გათვალისწინებული ურთიერთობათა კონსტელაციები მათი ინტერესების მიხედვით მსგავსია კანონით მოუწესრიგებელი ურთიერთობისა.

კანონის ანალოგიის გამოყენების წინაპირობები:

1. რეგულირების ხარვეზი
2. რეგულირების ხარვეზის არაგეგმიურობა (იხ. ზემოთ)
3. მსგავსი ინტერესები
 - არ უნდა იყოს საგამონაკლისო ნორმა

განსახილველი ნორმა არ უნდა იყოს საგამონაკლისო, სკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი (თუმცა, შეიძლება დაფიქრება იმაზე, ხომ არ არის გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელი ანალოგიის გამოყენება ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც კანონით მოუწესრიგებელი ურთიერთობა მიეკუთვნება გამონაკლის შემთხვევას).

- ანალოგიით გამოსაყენებელი სამართლის ნორმის მიზანი

ანალოგიით გამოსაყენებელი სამართლის ნორმის მიზანი უნდა შეესაბამებოდეს მოუწესრიგებელ ურთიერთობასაც. ესეც უნდა დადგინდეს განმარტების გზით. აქ შესაძლოა ეფექტური იყოს „მით უფრო“ არგუმენტის გამოყენება. თუ კანონმდებელს სურდა ნორმით გათვალისწინებულ ინტერესთა კონსტელაციის მონესრიგება, მაშინ მისი სურვილი მით უფრო უნდა ყოფილიყო ინტერესთა კონკრეტული კონფლიქტის მოგვარება.

3. სამართლის ანალოგია, სკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი

სამართლის ანალოგიის შემთხვევაში რამოდენიმე სამართლის ნორმიდან შემუშავდება ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც გამოიყენება მსგავს შემთხვევებზე (ურთიერთობაზე).

სამართლის ანალოგიის გამოყენების წინაპირობები:

1. რეგულირების ხარვეზი
2. რეგულირების ხარვეზის არაგეგმიურობა (იხ. ზემოთ)
3. კანონის ანალოგიის გამოყენების შეუძლებლობა (სკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი)
4. ძირითადი პრინციპის მსგავსი ინტერესების არსებობა, რომელიც არ ეფუძნება საგამონაკლისო ნორმას.

VI. თელეოლოგიური რედუქცია

კანონის ანალოგიისაგან განსხვავებით, თელეოლოგიური რედუქციისას ადგილი აქვს სამართლებრივი ნორმის გამოყენების სფეროს შეზღუდვას.

შესაბამისი ურთიერთობა მოექცევა სამართლებრივი ნორმის დისპოზიციაში; თუმცა, დგება არასასურველი სამართლებრივი შედეგი, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება ნორმის კონკრეტულ მიზანს.

აღნიშნულის ერთ-ერთი მაგალითია საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა, სკ-ის 114-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით, ან, როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა თანხმობით სხვა რამ არის გათვალისწინებული ან გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად. ნორმას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ ორივე მხარეს ერთი და იგივე პირის მონაწილეობა ქმნის, ერთი მხრივ, ინტერესთა კოლიზიის, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოდგენილი პირისთვის (მარწმუნებლისთვის) ზიანის მიყენების საფრთხეს. სწორედ ამის გამო კრძალავს სკ-ის 114-ე მუხლი საკუთარ თავთან გარიგების დადებას. ვინაიდან სკ-ის 114-ე მუხლი არ ითვალისწინებს იმის გადამონმებას, მოცემულია თუ არა ინტერესთა შეუთავსებლობა (კოლიზია), არამედ საკუთარ თავთან გარიგების დადებაში გულისხმობს ასევე ყველა იმ შემთხვევასაც, როდესაც არც ინტერესთა კოლიზიაა სახეზე და არც რომელიმე მხარისთვის ზიანის მიყენების საფრთხე. ეს შემთხვევათა ის კონსტელაციებია, როდესაც წარმოდგენილ პირს აქვს

სამართლებრივი უპირატესობა.

ხოლო იმის გასარკვევად, შესაძლებელია თუ არა თელეოლოგიური რედუქცია, გასათვალისწინებელია შემდეგი ნაბიჯები: პირველ რიგში, საქმის ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეეფარდოს სამართლის ნორმას. თელეოლოგიური რედუქცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენელი ყველა ფაქტობრივი ელემენტი, რაც იწვევს შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომას. ხოლო თუ არ არის სახეზე ერთი ფაქტობრივი ელემენტი მაინც, მაშინ აღარ არის საჭირო ნორმის გამოყენების სფეროს შეზღუდვა, ვინაიდან ვერ დადგება სამართლებრივი შედეგი.

თუ მოცემულია ყველა ფაქტობრივი ელემენტი და დადგენილია სამართლებრივი შედეგიც, უნდა განისაზღვროს ნორმის კონკრეტული მიზანი, რისთვისაც ვიყენებთ სწორედ ნორმის თელეოლოგიური განმარტების მეთოდს. მეორე ეტაპზე უნდა შემოწმდეს, მოიცავს თუ არა ნორმის მიზანი მოცემულ პრობლემატურ კონსტელაციებსაც. თუ აღნიშნული შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ნორმის მიზანი არ მოიცავს წინამდებარე შემთხვევას, მაშინ შესაძლებელია ნორმის გამოყენების სფეროს შეზღუდვა თელეოლოგიური რედუქციის გზით, რის შედეგადაც ნორმა არ გამოიყენება შემთხვევათა მოცემულ კონსტელაციაზე. ხოლო თუ ნორმის მიზანი ვრცელდება აღნიშნულ შემთხვევაზე, მაშინ ბუნებრივია, მოხდება ნორმის გამოყენება.

მაგალითი:

სკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების სფეროს შეზღუდვა შემდეგი ურთიერთობის ფარგლებში: სატრანსპორტო საშუალების მძღოლი და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი (თავი მეხუთე, კაზუსი მე-3, გვ.123).

სკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზანია, უზრუნველყოს ზიანის ანაზღაურების უფლება მოძრაობაში მონაწილე პირებისათვის სატრანსპორტო საშუალებით ზიანის მიყენებისას, რომელიც არ არის დამოკიდებული ბრალეულობაზე. აღნიშნული განპირობებულია მოძრაობაში მონაწილე პირთა დაინტერესებით, რომ სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა იმის გათვალისწინებით

გასცეს მისი სატრანსპორტო საშუალების გამოყენების ნებართვა, რომ ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება იმავდროულად წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს მოძრაობის სხვა მონაწილეებისთვის. ამგვარად, მოთხოვნა ეკუთვნის მოძრაობის მონაწილეს, რომელსაც სატრანსპორტო საშუალების გამოყენების შედეგად მიაღება ზიანი. მოთხოვნა მიმართულია სატრანსპორტო საშუალების მფლობელის წინააღმდეგ, რომელიც იღებს სარგებელს მისი – როგორც საფრთხის გამომწვევი საშუალების – გამოყენებიდან. თუ ერთმანეთს შევადარებთ სატრანსპორტო საშუალების მფლობელის, სატრანსპორტო საშუალების მძღოლისა და მოძრაობაში მონაწილე მესამე პირთა ინტერესებს, მივალთ დასკვნამდე, რომ მძღოლისა და სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ინტერესები უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან. მძღოლი სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან ერთად თანაბრად ინაწილებს სატრანსპორტო საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკს. იგი ასევე იღებს სარგებელს სატრანსპორტო საშუალების გამოყენებიდან და იმავდროულად ასაბუთებს მასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ საფრთხეს. არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში მძღოლს მფლობელის მიმართ მივაკუთვნოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც არ არის დამოკიდებული ბრალეულობაზე. აღნიშნული ნორმის მიზანია მოძრაობაში მონაწილე მესამე პირთა დაცვა საფრთხისაგან, რომელიც მომდინარეობს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციიდან, და არა იმ პირების დაცვა, რომლებმაც თავად შექმნეს საფრთხე ან პასუხისმგებლები არიან სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციაზე. მოცემული კონსტელაციის ფარგლებში გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მისი მფლობელის მიმართ არ შეესაბამება სკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზანს. შესაბამისად, ნორმის გამოყენების სფერო თელეოლოგიური რედუქციის გამოყენების შედეგად უნდა შეიზღუდოს იმგვარად, რომ იგი არ მოიცავდეს მძღოლისა და სატრანსპორტო საშუალების მფლობელს შორის არსებულ ურთიერთობებს.

VII. არგუმენტირების სხვა მეთოდები

განვიხილოთ არგუმენტირების სხვა მეთოდებიც, რომლებიც დამატებით გამოიყენება ზემოთ აღნიშნული მეთოდებისა და არგუმენტირების სტრუქტურათა ფარგლებში.

1. „მით უფრო“-დასკვნა (argumentum a fortiori)

„მით უფრო“-დასკვნის საშუალებით ვაღგენთ, რომ, ვინაიდან არსებობს ესა თუ ის გარემოება, მით უფრო უნდა არსებობდეს სხვა გარემოებაც ან პირიქით – მით უფრო არ უნდა არსებობდეს იგი. ანუ, „მით უფრო“-დასკვნა შესაძლოა განვითარდეს ორი მიმართულებით: ერთი – „მეტიდან“ „მცირესკენ“ (არგუმენტუმ ა მაჯორე ად მინუს) და მეორე – პირიქით, „მცირედან“ „მეტისკენ“ (არგუმენტუმ ა მინორე ად მაჯუს).

პირველ შემთხვევაში, ანუ, როდესაც დასკვნა მომდინარეობს „მეტიდან“ და მიდის „მცირესკენ“, მიიჩნევა, რომ, თუკი მონესრიგებულია „მეტი“, მაშინ ნორმის მიზანი მით უფრო უნდა მოიცავდეს „მცირესაც“.

მაგალითი:

იპოთეკის პირველადი კეთილსინდისიერი შეძენა არაუფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც საჯარო რეესტრში შეცდომით არის რეგისტრირებული მესაკუთრედ (იხ. თავი V, კაზუსი მე-2). მართალია, სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილში საუბარია რომელიმე უფლების შეძენაზე, მაგრამ ამის წინაპირობაა, რომ შესაძენი უფლება რეგისტრირებული იყოს გამსხვისებლის სახელზე, რაც, ძირითადად, არ არის მოცემული იპოთეკის პირველადი შეძენისას. აქედან გამომდინარე შეიძლება დაგვესკვნა, რომ აღნიშნული ნორმა არ მოიცავს იპოთეკის პირველად კეთილსინდისიერ შეძენას. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი შესაძლებელს ხდის საკუთრების კეთილსინდისიერ შეძენას საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველზე. საკუთრების უფლება არის ყველაზე ფართო სანივთო უფლება, რაც შეიძლება გააჩნდეს პირს რაიმე საგნის მიმართ. ხოლო თუ სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით შესაძლებელია თვითონ ამ ფართო უფლების კეთილსინდისიერი შეძენა შეცდომით რეგისტრირებული გამსხვისებლისაგან,

მაშინ აღნიშნული მით უფრო უნდა იყოს შესაძლებელი ამ ფართო უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ასპექტის ფარგლებში. იპოთეკა, როგორც სარგებლობისა და რეალიზაციის უფლება არის მესაკუთრის უნივერსალური უფლებამოსილების შემადგენელი ნაწილი, ასპექტი. აქედან გამომდინარე, სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი ასევე მოიცავს იპოთეკის პირველად კეთილსინდისიერ შექენასაც.

მეორე შემთხვევაში კი, ანუ როდესაც დასკვნა მომდინარეობს „მცი-რედან“ და მიდის „მეტისკენ“, მიიჩნევა, რომ თუ მონესრიგებულია „მცირე“, მაშინ მით უფრო უნდა იყოს მონესრიგებული ასევე „მეტიც“. აღნიშნული უმეტესად ვრცელდება აკრძალვებზე.

მაგალითი:

აკრძალვა – „უცხო პირთა შესვლა აკრძალულია“, რომელიც განთავსებულია ნაკვეთთან მით უფრო ვრცელდება ასევე ტრაქტორებზე.

2. დასკვნა საწინააღმდეგოს საფუძველზე (argumentum e contradio)

თუ ანალოგიის დროს უმთავრესია ნორმის გამოყენება მსგავს, მაგრამ მოუწესრიგებელ შემთხვევებზე, დასკვნას საწინააღმდეგოს საფუძველზე მივყავართ სრულიად საპირისპირო მიმართულებით. აქ ივარაუდება, რომ ვინაიდან კანონმდებელმა გარკვეული საკითხი მოაწესრიგა გარკვეული ფორმით, ამით მას სურდა გამოეხატა, რომ აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება სხვა საკითხებზე და შემთხვევებზე. ეს განსაკუთრებით აშკარაა, როდესაც ნორმის დისპოზიციაში ვხვდებით სიტყვას „მხოლოდ“. თუ კანონმდებელს სურდა მოცემული შემთხვევის მონესრიგება, მაშინ იგი მოახერხებდა კიდევ ამას. ანუ, რაიმე საკითხის არ-მონესრიგება არის გააზრებული გადანყვეტილება. აქედან გამომდინარე, ანალოგიის ფარგლებში შეიძლება ითქვას, რომ აქ არ არის მოცემული რეგულირების არაგეგმიური ხარვეზი.

3. Argumentum ad absurdum

აღნიშნული არგუმენტი ეფუძნება მოსაზრებას, რომ განმარტების ალტერნატივა ან სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის განსაზღვრუ-

ლი გზა იმ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მართებული, როდესაც მისი გამოყენების შედეგი ეწინააღმდეგება ერთიანობაზე ორიენტირებული მართლწესრიგის არსსა და მიზანს. ამ შემთხვევაში აბსურდული შედეგი მეტყველებს შესაბამისი ალტერნატივის გამოყენების სანინააღმდეგოდ.

VIII. დავის გადანყვეტა

ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში მოიძებნება ინტერპრეტაციის მისაღები სხვადასხვა ალტერნატივა, სამართლის გამოყენება ხშირად არის აზრთა სხვადასხვაობის საგანი. იმ შემთხვევაში, თუ დავა (კამათი) არსებითია საქმის გადანყვეტისთვის და შესაბამისად, აისახება შედეგზე, მაშინ სხვადასხვა ალტერნატივა მიგვიყვანს სხვადასხვა შედეგამდე. ასეთ შემთხვევაში დავის/კამათის გადანყვეტა მოგინევთ თქვენ³⁶. ხოლო თუ არსებული ალტერნატივები, სხვადასხვა მოსაზრებებისა და არგუმენტების მიუხედავად, მიდის ერთ შედეგამდე, მაშინ შეიძლება საკამათო კითხვის ღიად დატოვება.

დამაჯერებლად არგუმენტირების უნარს მოცემულ კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იურიდიული მუშაობისათვის. აქ თქვენ კანონი ველარ დაგეხმარებათ, ვინაიდან სწორედ კანონია სამართლებრივი პრობლემის მიზეზი და საფუძველი. ასევე ვერანაირ დახმარებას ვერ აღმოგიჩენთ ისეთი იურიდიული მეთოდები, როგორცაა სუბსუმცია, რომელიც გვეხმარება გარკვეული სტრუქტურის მეშვეობით მივუახლოვდეთ და გავიაზროთ მოცემული სამართლებრივი პრობლემები და მათი გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები. მაშასადამე, ასეთ დროს თქვენ თავად უნდა ჩამოგიყალიბდეთ შესაბამისი პოზიცია. საჭიროა გქონდეთ საკუთარი აზრი, რომელიც დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოთ. დამაჯერებელი დასაბუთების ერთ-ერთი წინაპირობაა სხვადასხვა არსებული არგუმენტების განხილვა და შემდეგ ერთ-ერთ მოსაზრებაზე დაყრდნობით სათანადოდ მყარი არგუმენტების საფუძველზე შესაბამისი გადანყვეტილების მიღება. არგუმენტაცია უნდა იყოს აგებული ლოგიკურად და გასაგებად. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს არ იყოს საქმის შინაარსის გამეორება, ვინაიდან ერთია, რომ ეს არ იქნება არგუმენტი

³⁶ სამართლებრივ დასკვნაში აზრთა სხვადასხვაობის წარმოდგენასთან დაკავშირებით იხ. თავი IV, გვ. 91

და მეორე – საქმის შინაარსი გამსწორებლისათვის უკვე ცნობილია. არგუმენტის გამეორებაც არ ამაღლებს მის მნიშვნელობას ან ეფექტს.

IX. დასკვნა

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართალგამოყენებისას არსებითია გასაგები და ლოგიკური კავშირის დამყარება აბსტრაქტულ ნორმასა და კონკრეტულ შემთხვევას შორის. აღნიშნული ხორციელდება სუბსუმციის გზითა და ფარგლებში. როგორც წინამდებარე თავში აღინიშნა, სუბსუმციის მეთოდი არ არის რთული და ჩვეულებრივ არც ბევრ პრობლემას წარმოშობს. ყოველივე მოითხოვს დისციპლინირებულ და კონცენტრირებულ მუშაობას. სამართალგამოყენების სირთულეები ხშირად დეტალებში იმალება. სუბსუმციის მეთოდით შემოთავაზებული სტრუქტურის ფარგლებში პრობლემები განსაკუთრებით მომდინარეობს გამოსაყენებელი სამართლის ნორმებიდან. აქ გადამწყვეტია ამა თუ იმ შედეგის დამაჯერებელი დასაბუთება. სწორედ იგი განაპირობებს საქმის დამუშავებისა და იურიდიული დასკვნის ხარისხს.

თავი III

სამოქალაქო სამართლებრივი კაზუსის გადანყვევის სტრუქტურა

წინამდებარე თავში განხილულია სამოქალაქო სამართლებრივი კაზუსის განხილვისა და შემონმების სტრუქტურა. აქ ერთმანეთისაგან განასხვავებენ ორ მიდგომას: მოთხოვნის შემონმების სტრუქტურასა (I) და ქრონოლოგიურ, ისტორიულ სტრუქტურას (II). თუ რომელი სტრუქტურა უნდა იქნას გამოყენებული ცალკეულ შემთხვევაში, დამოკიდებულია კაზუსის საკვანძო კითხვაზე³⁷. ორივე სტრუქტურული ფორმა ერთმანეთს კატეგორიულად არ გამოირიცხავს, არამედ შესაძლოა გამოყენებული იქნას ერთდროულადაც³⁸.

სამოქალაქო სამართლებრივი კაზუსის გადანყვევის სწორი სტრუქტურა ხელს უწყობს შედეგზე მუშაობის პროცესის აზრობრივ გამართულობასა და თვალსაჩინოობას. როგორც უკვე სამართალგამოყენების თავში გამოვლინდა, ერთი ნორმის ლოგიკური და სწორი შემონმებაც შესაძლოა იქცეს საკმაოდ ჩახლართულ პროცესად. თვალსაჩინოების შენარჩუნების მიზნით თავიდან უნდა იქნას აცილებული **ინციდენტური შემონმება**, ანუ მოთხოვნის ერთი საფუძვლის შემონმება მოთხოვნის სხვა საფუძვლის ფარგლებში.

სამოქალაქო სამართლებრივი კაზუსის გადანყვევის ფარგლებში საქმის განხილვის სტრუქტურის საფუძველი არის თვით სამოქალაქო კოდექსის მატერიალური სამართლის სისტემა³⁹. კაზუსის განხილვის სტრუქტურა ასახავს კანონისათვის დამახასიათებელ ლოგიკას და იგი არ საჭიროებს დამატებით ახსნა-განმარტებას. აქედან გამომდინარე, განმარტებას არ საჭიროებს კაზუსის გადანყვევისა და განსაკუთრებით კი მის საფუძველზე შედგენილი იურიდიული დასკვნის სტრუქტურა.

³⁷ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. თავი მეოთხე, გვ. 80

³⁸ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. გვ.45 ასევე „ტრაქტორის კაზუსი“ – გვ.84

³⁹ გერმანულ სამართალთან დაკავშირებით იხ. Medicus, Dieter: Bürgerliches Recht, 17. Auflage, 1996, S.1

I. მოთხოვნის შემონმების სტრუქტურა

ტიპიურ სამოქალაქო სამართლებრივ კაზუსში ხშირად განიხილება საკითხი, აქვს თუ არა ერთ პირს მეორე პირისაგან რაიმეს მოთხოვნის უფლება, რაც გულისხმობს მოთხოვნის უფლების არსებობის შემონმებას.

მაგალითად:

აქვს თუ არა „ა“-ს „ბ“-ს მიმართ 20 ლარის მოთხოვნის უფლება? შეუძლია თუ არა „გ“-ს „დ“-სგან მოითხოვოს ავტომობილის დაბრუნება? ვალდებულია თუ არა „ე“ აუნაზღაუროს „ფ“-ს წარმოშობილი ზიანი? შეუძლია თუ არა „გ“-ს მოითხოვოს „ჰ“-სგან მის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება?


აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა ხდება მოთხოვნის სტრუქტურის მიხედვით. სამოქალაქო კოდექსის სისტემისა და მიზანშეწონილობის იდეის გათვალისწინებით ყურადსაღებია შემდეგი ასპექტები: ერთი მოთხოვნის შემონმების მიზნით მოთხოვნის სხვადასხვა შესაძლო საფუძვლების შემონმების რიგითობა; კონკრეტული მოთხოვნის შემონმების სტრუქტურა და ასევე შემონმების რიგითობა რამდენიმე მონაწილის არსებობის შემთხვევაში. სანამ ამ საკითხებს ჩავუღრმავებოდე, განვიხილოთ ორი ძირითადი ცნება: **მოთხოვნა** და **მოთხოვნის საფუძველი**.

1. მოთხოვნა

მოთხოვნა არის სხვა პირისაგან რაიმე ქმედების (მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) განხორციელების მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის მფლობელი პირი, რომელსაც აქვს სხვა პირისაგან რაიმეს მოთხოვნის უფლება, არის **კრედიტორი**. ხოლო მოთხოვნის მოპასუხე, რომელსაც აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე ეკისრება ან დაეკისრება შესრულების ვალდებულება, არის **მოვალე**. კრედიტორის მოთხოვნის უფლებას შეესაბამება მოვალის შესრულების ვალდებულება⁴⁰.

⁴⁰ იხ. ლადო ჭანტურია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001, 316-ე მუხლი, გვ. 37.

ნახაზი 9: მოთხოვნა



მოთხოვნა წარმოიშობა სახელშეკრულებო ან კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების საფუძველზე (სკ-ის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობის საფუძველები მოთავსებულია არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნში, არამედ ასევე სანივთო, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში. შესაბამისად მრავალფეროვანი შეიძლება იყოს მოთხოვნის მიზანი.

მაგალითები:

მყიდველს შეუძლია მოსთხოვოს გამყიდველს, გადასცეს მას საკუთრება ნივთზე და ასევე მიანოდოს ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი და თავად ნივთი (სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მონათხოვრეს შეუძლია მოსთხოვოს გამნათხოვრებელს, გადასცეს მას ქონება დროებით უსასყიდლო სარგებლობისათვის (სკ-ის 615-ე მუხლი).

თუ გარიგება ბათილია, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს მისი უკან დაბრუნება (სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის 1-ლი ალტერნატივა). კეთილსინდისიერ მფლობელს აქვს უფლება მოითხოვოს უკანონო ხელშეშლის აღკვეთა (სკ-ის 161-ე მუხლის 1-ლი წინ.). ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში უფლება აქვს მეუღლისაგან მოითხოვოს სარჩო (სკ-ის 1182-ე მუხლის მე-2 წინადადების „ბ“ ქვეპუნქტი). მოანდერძეს შეუძლია დააკისროს მემკვიდრეს რაიმე ვალდებულების შესრულება (სკ-ის 1383-ე მუხლი).

2. მოთხოვნის საფუძველი

მოთხოვნის საფუძველი არის კანონის ნორმა, რომელიც კრედიტორს მიაკუთვნებს მოთხოვნას, ანუ სხვა პირისგან რაიმეს მოთხოვნის უფლებას⁴¹.

მოთხოვნის საფუძველი შედგება ორი ნაწილისაგან: ფაქტობრივი ნაწილი, ანუ დისპოზიცია და სამართლებრივი შედეგი⁴². მოთხოვნის საფუძვლის სამართლებრივი შედეგი არის აბსტრაქტული, დადებითი პასუხი კაზუსზე მუშაობის ფარგლებში დასმულ საწყის შეკითხვაზე. ხოლო მოთხოვნის საფუძვლის დისპოზიცია მოიცავს ფაქტობრივ ელემენტებს, რომლებიც განსაზღვრავს აბსტრაქტულ წინაპირობებს ამ საწყის შეკითხვაზე დადებითი პასუხის გასაცემად. მაშასადამე, მოთხოვნის საფუძველი არის საწყისი შეკითხვის პასუხი-ნორმა. (თუ როგორ უნდა მოვიძიოთ ამა თუ იმ კაზუსისათვის მნიშვნელოვანი მოთხოვნის საფუძველი, განხილულია მეოთხე თავში, გვ. 69)

მოთხოვნის საფუძველი შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ერთ ნორმას ან შედგებოდეს რამდენიმე ნორმისაგან.

ა) ერთი ნორმა, როგორც მოთხოვნის საფუძველი

თუ მოთხოვნის საფუძველი შედგება მხოლოდ ერთი ნორმისაგან, მაშინ ყველა ფაქტობრივი ელემენტი გამომდინარეობს სწორედ ამ ერთი ნორმიდან.

მაგალითები:

შეთანხმებული საფასურის გადახდის მოთხოვნა – სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი; ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა – მაგ: სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა – სკ-ის 991-ე მუხლი; ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა – მაგ. სკ-ის 1003-ე მუხლის (ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობა) საფუძველზე.

⁴¹ იხ. ლადო ჭანტურია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001, 316-ე მუხლი, გვ. 37.

⁴² იხ: სამართლის ნორმის აგებულება, თავი II, გვ. 18

ბ) რამოდენიმე ნორმის შეკავშირება მოთხოვნის საფუძვლის ჩამოყალიბების მიზნით

არსებობს კონსტელაციები, როდესაც სამართლებრივი შედეგის დადგომის წინაპირობები და თვითონ სამართლებრივი შედეგი არ არის მონესრიგებული ერთი და იგივე ნორმით. ასეთ შემთხვევებში მოთხოვნის საფუძველი შედგება სხვადასხვა ნორმისაგან (ე.წ. **მოთხოვნათა ჯაჭვისგან**), რომლებშიც მოცემულია სხვადასხვა ფაქტობრივი ელემენტის დეფინიცია. ამასთან დაკავშირებით იხილეთ შემდეგი მაგალითები:

მოთხოვნა	მოთხოვნის საფუძვლები
ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ნივთის ნაკლის გამო	სკ-ის 394 I, 494 I, 488, 477
შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნება ნივთის ნაკლის გამო ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმისას	სკ-ის 352 I, 491 I, 405, 488, 487, 477
განუვლი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა შემკვეთის მიერ ნაკლის აღმოფხვრისას	სკ-ის 643 I, 642, 641, 629
განუვლი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ფარგლებში	სკ-ის 973, 969

სამართლის ნორმების ეს, ერთი შეხედვით, რთული კომბინაცია აიხსნება სამოქალაქო კოდექსის სტრუქტურით. სამოქალაქო კოდექსის პირველ ნიგნში (ზოგადი ნაწილი) მოთავსებულია ნორმები, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს კოდექსის სხვა დანარჩენი ნიგნებისთვის. სხვა ნიგნების დასაწყისშიც ყოველთვის მოცემულია ზოგადი ნორმები, რომლებსაც შემდეგ მოსდევს უკვე სპეციალური ნორმები. განსაკუთრებული სიცხადით ჩანს აღნიშნული სტრუქტურა მესამე ნიგნის მაგალითზე (ვალდებულებითი სამართალი), რომელიც თავის მხრივ დაყოფილია ზოგად (316 — 476-ე მუხლები) და კერძო ნაწილებად (477 — 1016 მუხლები).

აღნიშნული სტრუქტურის მიზანია გამეორებების თავიდან აცილება და ამით კანონის ტექსტის ლაკონურობა. თუმცა ასეთი აგებულება დამწყები სტუდენტებისათვის ართულებს კანონის გამოყენებას და ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ნორმის მოძიებას. მაგრამ არ არის რთული მოთხოვნათა ჯაჭვის შედგენის სწავლა, რაც სამოქალაქო კოდექსის სისტემატიკის გაგებასთან ერთად კანონის შეგნებულ მოხმარებასა და ვარჯიშს მოითხოვს.

მაგალითი:

„ა“ და „ბ“ დადებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლითაც „ა“ იღებს ვალდებულებას, გადასცეს „ბ“-ს საკუთრება ნივთზე, ხოლო „ბ“ იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს „ა“-ს შეთანხმებული ფასი. „ბ“ იხდის ნივთის საფასურს, ხოლო „ა“ მას გადასცემს ნაკლის მქონე ნივთს. „ბ“ უარს ამბობს ხელშეკრულებაზე და მოითხოვს „ა“-სგან გადახდილი ფასის უკან დაბრუნებას. რა იქნება „ბ“-ს მოთხოვნის (კანონისმიერი) საფუძველი?

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგებს აწესრიგებს სკ-ის 352-ე მუხლი. სკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ მიღებული სარგებელი, ვინაიდან სამართლებრივად ნამდვილი უარის თქმა ხელშეკრულებაზე წარმოშობს მიღებულის უკან დაბრუნების კანონისმიერ ვალდებულებებს. აღნიშნული სამართლებრივი შედეგი შეესაბამება „ბ“-ს მოთხოვნას, კერძოდ, ნივთის საფასურის უკან დაბრუნებას. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილი განიხილება კაზუსის კითხვაზე პასუხის განმსაზღვრელ ნორმად.

თუმცა, სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილი არ ასახელებს ყველა ფაქტობრივ ელემენტს. ნორმა მხოლოდ ადგენს, რომ ერთ-ერთ მხარეს უნდა ჰქონდეს გაცხადებული უარი ხელშეკრულებაზე და ასევე მოცემული უნდა იყოს სკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები. ხელშეკრულებაზე უარი არის **აღმჭურველი უფლება**⁴³.

⁴³ იხ. ლადო ჭანტურია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001, 352-ე მუხლი, გვ. 232. აღმჭურველი უფლებაა ასევე შეცდომა, ხელშეკრულების მოშლა, მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვა. აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე იხილეთ მეხუთე თავის პირველი კაზუსი, გვ. 100, შეცდომასთან დაკავშირებით, იხ. ასევე პირველი თავის მაგალითი. გვ.6

ეს ისეთი უფლებებია, რომელთა საშუალებითაც ერთ-ერთ მხარეს შეუძლია გავლენა მოახდინოს არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე მისი შეცვლის ან გაუქმების გზით. აღმჭურველი უფლების ნამდვილი (მართლზომიერი) განხორციელებისათვის აუცილებელია სამი წინაპირობის არსებობა: ა) შესაბამისი შინაარსის განცხადება (ნების გამოვლენა უფლების გამოყენების თაობაზე). ბ) საფუძველი და გ) შესაბამისი აღმჭურველი უფლების განხორციელება არ უნდა იყოს გამორიცხული. თუ აღნიშნულ წინაპირობებს გადმოვიტანთ ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის თქმის) შემთხვევებზე, მაშინ აქ უნდა არსებობდეს: ა) განცხადება (ზეპირი გაცხადება, შეტყობინება) ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ, სკ-ის 355-ე მუხლი, ბ) ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი და გ) არ უნდა არსებობდეს ის გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას, მაგ. სკ-ის 356-ე და 358-ე მუხლები.

მოთხოვნათა ჯაჭვის ფარგლებში არსებითია ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველებს, ანუ წინაპირობებს. აქ ასეთი საფუძველი გამომდინარეობს სკ-ის 491-ე მუხლიდან, რომლის მიხედვითაც მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულებაზე უარის თქმა (მოშლა) 352-ე მუხლის მიხედვით. თუ როდის არის ნივთი ნაკლის მქონე, გამომდინარეობს სკ-ის 488-ე მუხლიდან (დასკვნა სანინალმდეგოს საფუძველზე – უკუდასკვნა). ის, რომ გამყიდველი ზოგადად ვალდებულია, მყიდველს გადასცეს უნაკლო ნივთი, გამომდინარეობს სკ-ის 487-ე მუხლიდან, ხოლო ის გარემოება, რომ აუცილებელია ყველა ზემოხსენებული ნორმის გამოყენება, გათვალისწინებულია სკ-ის 477-ე მუხლით, სადაც საუბარია ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობაზე, როგორც წინაპირობაზე. საერთო ჯამში კი მივიღეთ მოთხოვნათა შემდეგნაირი ჯაჭვი: სკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 491-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 405-ე, 488-ე, 487-ე და 477-ე მუხლები.

ცალკეული ნორმები, რომლებიც ქმნის ამ მოთხოვნათა ჯაჭვს, შესაძლოა აისახოს შემდეგი თანმიმდევრობით: სამართლებრივი შედეგიდან დისპოზიციის მიმართულებით – სკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი

ნანილი, 491-ე მუხლის 1-ლი ნანილი, 405-ე, 488-ე, 487-ე და 477-ე მუხლები, ან პირიქით – დისპოზიციიდან სამართლებრივი შედეგის მიმართულებით – სკ-ის 477-ე, 487-ე, 488-ე, 405-ე მუხლები და 491-ე მუხლის 1-ლი ნანილი და 352-ე მუხლის 1-ლი ნანილი.

წინამდებარე მაგალითის ამოხსნის აბსტრაქტული სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:

მოთხოვნის საფუძველი: უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნანილის, 491-ე მუხლის 1-ლი ნანილის, 405-ე, 488-ე, 487-ე და 477-ე მუხლების საფუძველზე.

I. მოთხოვნის წარმოშობა – წინაპირობა – სამართლებრივად ნამდვილი უარი ხელშეკრულებაზე. ამისათვის „ა“-ს „ბ“-სთვის უნდა განეცხადებინა ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე მოცემული უნდა ყოფილიყო ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი და არ უნდა ყოფილიყო გამორიცხული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.

1. განცხადება (შეტყობინება) ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ, სკ-ის 355-ე მუხლი, საქმის შინაარსის მიხედვით (+)

2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი, სკ-ის 491-ე მუხლის 1-ლი ნანილი, 405-ე, 488-ე, 487-ე და 477-ე მუხლები

- ნასყიდობის ხელშეკრულება, სკ-ის 477-ე მუხლი (+)
- ნაკლის მქონე ნივთი, სკ-ის 488-ე და 487-ე მუხლები (+)
- ნაკლის გამოსწორების ვადის უშედეგოდ გასვლა, სკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი ნანილი და 490-ე მუხლის 1-ლი ნანილი

3. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამორიცხვა

არ არსებობს გამორიცხვის ვარაუდის საფუძველი

4. შუალედური შედეგი: სამართლებრივად ნამდვილი უარი ხელშეკრულებაზე (+) ნასყიდობის ხელშეკრულების გარდაქმნა მიღებული სარგებლის უკან დაბრუნების კანონისმიერ ვალდებულებად, რომელიც სკ-ის 352-ე მუხლის საფუძველზე ავალდებულებს „ა“-ს დაუბრუნოს „ბ“-ს მის მიერ გადახდილი შეთანხმებული ფასი.

II. მოთხოვნის არარსებობა/ მისი შესრულების შეუძლებლობა

არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ მოთხოვნა ან მისი განხორციელების შესაძლებლობა მივიჩნიოთ გამორიცხულად.

III. შედეგი: „ბ“-ს აქვს „ა“-ს მიმართ შეთანხმებული ფასის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება სკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 491-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 405-ე, 488-ე, 487-ე და 477-ე მუხლების საფუძველზე.

3. ერთი მიზნის მქონე მოთხოვნის სხვადასხვა საფუძვლების შემონმების რიგითობა⁴⁴

ხშირად კანონში მოცემულია მოთხოვნის რამდენიმე საფუძველი, რომლებითაც შეიძლება ერთი განსაზღვრული მიზნის მიღწევა.

მაგალითი:

„ა“ არის ხელოსანი. მან „ბ“-ს დავალებით მისავე სახლში უნდა შეაკეთოს დაზიანებული წყლის მილი. აღნიშნული სამუშაოს შესრულებისას „ა“ უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად დაამსხვრევს „ბ“-ს ძვირფას ლარნაკს.

მოცემულ შემთხვევაში არსებობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის და 629-ე და მისი მომდევნო მუხლების მიხედვით, ვინაიდან ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს „ა“-ს მოვალეობები ზოგადად „ბ“-ს საკუთრების მიმართ. ამასთან, ასევე არსებობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დელიქტური სამართლიდან, სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე.

ვინაიდან კაზუსის გადანყვეტა მოითხოვს მის სრულ შემონმებას, აუცილებელია მოთხოვნის ყველა შესაძლო საფუძვლის შემონმება. ეს აუცილებელია მაშინაც, როდესაც საქმეში მოცემულია ერთი მოთხოვნის საფუძვლის ყველა წინაპირობა, ანუ როდესაც მოთხოვნა უკვე დასაბუთებულია მოთხოვნის კანონისმიერი საფუძვლით.

შემონმების შემდეგი ეტაპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოთხოვნის სასამართლოში განხორციელების თვალსაზრისით. მოთხოვნის ცალკეული საფუძვლის ხანდაზმულობის ვადები ხშირად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც ხშირად ხელს აძლევს კრედიტორს ან სხვაობა მდგომარეობს დასაბუთება-განმარტებისა და მტკიცების ტვირთის

⁴⁴ გერმანულ სამართალთან დაკავშირებით იხ. Medicus, Dieter: Bürgerliches Recht, 17. Auflage, 1996, S.5-დან.

ფარგლებში, რაც კრედიტორს უმარტივებს მოთხოვნის დასაბუთებას და საჭიროების შემთხვევაში – სასამართლოში დამტკიცებას.

მაგალითი:

სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ არსებობს, თუ მოვალე არ არის პასუხისმგებელი ვალდებულების დარღვევაზე. ვალდებულების დარღვევაზე პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მოვალეს ეკისრება ფაქტების მითითებისა და მტკიცების ტვირთი, რადგან აღნიშნული გარემოება (ანუ, ის რომ იგი არ არის პასუხისმგებელი დარღვევაზე) მისთვის ხელსაყრელია. მაშასადამე, მოვალე ვალდებულია დაამტკიცოს, რომ მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევის გამო. დელიქტური სამართლის ფარგლებში (სკ-ის 992-ე მუხლი) ასევე აუცილებელია ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობის შემოწმება. ამ შემთხვევაში კი დაზარალებულს ეკისრება ფაქტების მითითებისა და მტკიცების ტვირთი, რადგან ბრალეულობა აღნიშნულ კონტექსტში არის მოთხოვნის განმაპირობებელი გარემოება. ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთისაგან განსხვავდება მოთხოვნის ორი საფუძველი ფაქტების მითითებისა და მტკიცების ტვირთის კუთხით. სახელშეკრულებო მოთხოვნის ფარგლებში აღნიშნული ხელს აძლევს კრედიტორს ფაქტობრივი ელემენტის „პასუხისმგებლობის/ბრალეულობის“ ფარგლებში.

აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ კრედიტორს კონკრეტული მოთხოვნის მიზნის მიღწევა შეუძლია მხოლოდ ერთხელ, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მისი მოთხოვნა შეიძლება ეფუძნებოდეს მოთხოვნის რამოდენიმე კანონისმიერ საფუძველს. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ კრედიტორს აქვს 2.000 ლარის მოთხოვნის უფლება და ეს მოთხოვნა – ზიანის ანაზღაურება, გამომდინარეობს როგორც სახელშეკრულებო, ასევე დელიქტური სამართლიდან, მას მაინც მხოლოდ ერთხელ შეუძლია აღნიშნული თანხის მოთხოვნა.

ერთი მიზნის მქონე მოთხოვნის სხვადასხვა საფუძველის შემოწმების რიგითობა განპირობებულია მიზანშეწონილობით და გამომდინარეობს კანონის სისტემიდან.

ა) სახელშეკრულებო მოთხოვნები ძირითადად, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს, რადგან მათ შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ მოთხოვნათა ყველა სხვა კატეგორიაზე. ხელშეკრულების არსებობა გამორიცხავს, მაგალითად, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას სკ-ის 969-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით. გარდა ამისა, ხელშეკრულებიდან შესაძლოა გამომდინარეობდეს ფლობის უფლება, რომელიც გამორიცხავს სხვა სანივთო-სამართლებრივ მოთხოვნებს. უსაფუძვლო გამდიდრების კუთხით ხელშეკრულება შეიძლება იყოს შესრულების, ანუ ქონების მიღების სამართლებრივი საფუძველი; ხელშეკრულების არსებობამ დელიქტურ სამართალში შესაძლოა გამორიცხოს მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი ან გავლენა იქონიოს პასუხისმგებლობის მასშტაბზე.

მაგალითი:

1. ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე სკ-ის 531-ე მუხლის მიხედვით დამქირავებელს აქვს უფლება გამქირავებლისგან განსაზღვრული ვადით სარგებლობაში მიიღოს ნივთი. მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხება სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ნივთის გამოთხოვა უკანონო მფლობელობიდან, ვინაიდან დამქირავებელს ქირავნობის ხელშეკრულება მიაკუთვნებს ფლობის უფლებას გამქირავებლის მიმართ.
2. გამნათხოვრებელი, ისევე როგორც უსასყიდლოდ მოქმედი რწმუნებული (სკ-ის 616-ე და 719-ე მუხლები) პასუხს აგებს მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისათვის. აღნიშნული ნორმები, პირველ რიგში, ვრცელდება ზიანის ანაზღაურების სახელშეკრულებო მოთხოვნებზე. თუმცა, პასუხისმგებლობის ეს მასშტაბები ასევე გამოიყენება დელიქტური ვალდებულების ფარგლებშიც, ვინაიდან სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა პასუხისმგებლობის კლასიფიკაცია (პასუხისმგებლობა მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის და არა მსუბუქი გაუფრთხილებლობისათვის).

სახელშეკრულებო ვალდებულებების ფარგლებში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ პირველადი და მეორადი/დამატებითი მოთხოვნები. **პირველადი მოთხოვნები** ის მოთხოვნებია, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან; მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში ეს იქნება მყიდველისათვის ქონებაზე საკუთრების უფლების, მასთან დაკავშირებული საბუთების გადაცემა და საქონლის მიწოდება (სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და ასევე შეთანხმებული ფასის გადახდის ვალდებულება (სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი). **მეორადი/დამატებითი მოთხოვნები** კი ის მოთხოვნებია, რომლებიც წარმოიშობა, როდესაც პირველადი მოთხოვნების შესრულებისას ჩნდება პრობლემა. პრობლემა შესაძლოა მდგომარეობდეს ვალდებულების შეუსრულებლობაში, არაჯეროვნად შესრულებაში ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულებათა დარღვევაში. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას, სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

პირველადი მოთხოვნები უნდა შემონმდეს მეორადი/დამატებითი მოთხოვნების წინ, ვინაიდან მეორადი მოთხოვნების შემონმების წინაპირობაა გარკვეული დარღვევების არარსებობა პირველადი მოთხოვნების შესრულებისას.

ბ) ხელშეკრულების მომზადების სტადიაზე წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობები სკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით უნდა შემონმდეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების შემდეგ, როცა უკვე გარკვეული იქნება, არის თუ არა დადებული ესა თუ ის ხელშეკრულება და განიხილება თუ არა იგი კონკრეტული მოთხოვნის საფუძვლად. ხელშეკრულების მომზადების სტადიაზე წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობა იმ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, როდესაც ხელშეკრულება არ დადებულა. თუმცა, გამონაკლისის სახით შესაძლებელია ასეთი ვალდებულებების წარმოშობა ხელშეკრულების არსებობის შემთხვევებშიც. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნები არ მოიცავს წინასახელშეკრულებო ურთიერთობებს.

ხელშეკრულებასთან სიახლოვის გამო, მიზანშეწონილია ხელშეკრულების მომზადების სტადიაზე წარმოშობილი ვალდებულებითი

ურთიერთობებისა და მოთხოვნების შემოწმება სახელმეკრულებო მოთხოვნათა შემდეგ. ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნათა კატეგორიებთან დაკავშირებით კი შეიძლება ითქვას, რომ ხელმეკრულების მომზადების სტადიაზე წარმოშობილი ვალდებულებების შემოწმება აუცილებელია დელიქტურ ვალდებულებებამდე მაინც. ხშირად ასეთი ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარეობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც არსებობს დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის პარალელურად. ხელმეკრულებასთან სიახლოვის გზით უნდა იქნას განხილული ასევე, ხომ არ ვრცელდება შესაბამისი ხელმეკრულების მიმართ მოქმედი პასუხისმგებლობის კლასიფიკაცია სკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე. თუ ეს ასეა, მაშინ პასუხისმგებლობის შესაბამისი მასშტაბი გამოყენებული უნდა იქნეს ასევე დელიქტური სამართლის ფარგლებსა და კონტექსტში შესაბამისი ქმედების განხილვისას, რათა არ მოხდეს პასუხისმგებლობის კლასიფიკაციის უგულებელყოფა.

გ) დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნები, **სკ-ის 969-ე მუხლი**, უნდა შემოწმდეს სახელმეკრულებო მოთხოვნების შემდეგ, ვინაიდან ისინი განიხილება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს დავალება ან სხვა რაიმე (ასევე კანონისმიერი) საფუძველი, რომელსაც ეფუძნება შესრულება. აღნიშნული მოთხოვნები ასევე განხილული უნდა იქნას მოთხოვნათა ქვემოთ მოყვანილი კატეგორიების წინ, ვინაიდან შეიძლება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან დაკავშირებული ნორმების საფუძველზე გამოვლინდეს ფლობის უფლება სანივთო სამართლის ფარგლებში ან სამართლებრივი საფუძველი სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით, ან თუნდაც გამოირიცხოს მარწმუნებლის ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი სკ-ის 992-ე მუხლის გაგებით ან შეიცავდეს პასუხისმგებლობის კლასიფიკაციას სკ-ის 970-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, რომელიც გავლენას ახდენს დელიქტურ ვალდებულებებზეც.

დ) სანივთო მოთხოვნები მიზნად ისახავს სანივთო უფლებების (პირის უფლებები ნივთზე) განხორციელებას. სანივთო მოთხოვნებს განეკუთვნება, მაგალითად, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. ასეთი მოთხოვნები უნდა შემოწმდეს სახელშეკრულებო მოთხოვნებისა და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნების შემდეგ, ვინაიდან ორივე შემთხვევისას შესაძლოა გამოვლინდეს ფლობის უფლება.

მიზანშეწონილია სანივთო მოთხოვნების შემოწმება სკ-ის 976-ე და მომდევნო მუხლებით და ასევე 992-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების წინ, ვინაიდან, სულ მცირე, სკ-ის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიმართ (არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის პასუხისმგებლობა) აუცილებელია იმის განხილვა, გამოირიცხება თუ არა მოცემული კონსტელაციის ფარგლებში სკ-ის 976-ე და მომდევნო მუხლებიდან და ასევე 992-ე და მომდევნო მუხლებიდან გამომდინარე მოთხოვნები. ზემოთ აღნიშნულის საფუძველი შესაძლოა იყოს სკ-ის 164-ე მუხლი, რომელიც აწესრიგებს არაუფლებამოსილი და არაკეთილსინდისიერი მფლობელის პასუხისმგებლობის საკითხებს, სადაც მე-4 წინადადებაში განსაზღვრულია, რომ არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ უცვლელი რჩება სხვა მოთხოვნები. შესაბამისად, შესაძლებელია არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ მოთხოვნის წაყენება სკ-ის 976-ე და 992-ე მუხლებზე დაყრდნობით. ის გარემოება, რომ სკ-ის 163-ე მუხლი არ შეიცავს შესაბამის რეგულირებას, მეტყველებს იმაზე, რომ არაუფლებამოსილი და არაკეთილსინდისიერი ფლობის პერიოდისათვის არ განიხილება სხვა მოთხოვნები, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც დასახელებულია სკ-ის 163-ე მუხლში, ვინაიდან სკ-ის 163-ე მუხლი აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს ამომწურავად. მსგავსად მიმდინარეობს ასევე იმის შემოწმება, არის თუ არა საერთოდ სახეზე არაუფლებამოსილი და არაკეთილსინდისიერი ფლობა.

ე) მოთხოვნები უსაფუძვლო გამდიდრებიდან (სკ-ის 976-ე და მომდევნო მუხლები) და მოთხოვნები დელიქტური ვალდებულებებიდან (სკ-ის 992-ე და მომდევნო მუხლები) არ ახდენს გავლენას ერთმანეთზე. აქედან გამომდინარე, მათ შორის არ არსებობს გარკვეული იერარქია. მიზანშეწონილია, შემოწმება დაიწყოს იმ ნორმებით, რომლებიც უფრო ახლოს დგას შესაბამისი მოთხოვნის კონკრეტულ მიზანთან. თუ კრედიტორის მიზანია დაიბრუნოს ნივთი, მაშინ შემოწმებას იწყებთ სკ-ის

976-ე და მომდევნო მუხლებით და შემდეგ გადადიხართ სკ-ის 992-ე და მის მომდევნო მუხლებზე. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას კი შემონმება იწყება სკ-ის 992-ე და მომდევნო მუხლებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მივიღეთ მოთხოვნის სა-მართლებრივი საფუძვლების შემონმების შემდეგნაირი რიგითობა:

1. სახელშეკრულებო მოთხოვნები
 - პირველადი მოთხოვნები
 - მეორადი/დამატებითი მოთხოვნები
2. ხელშეკრულების მომზადების სტადიაზე წარმოშობილი მოთხოვნები, სკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი
3. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, სკ-ის 969-ე და მომდევნო მუხლები
4. სანივთო მოთხოვნები
5. მოთხოვნები დელიქტური ვალდებულებებიდან, მათ შორის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, და მოთხოვნები უსაფუძვლო გამდიდრებიდან.

შემონმების წარმოდგენილი რიგითობა წარმოადგენს შემონმების პროცესის ჩონჩხს. თუმცა, აუცილებელი არ არის ყველა შემთხვევაში ყველა მოცემული საკითხის შემონმება. როდესაც საქმე ეხება საგზაო შემთხვევას მხარეებს შორის, რომელთაც აქამდე არასდროს უნახავთ ერთმანეთი, მაშინ, ბუნებრივია, ზედმეტი იქნება სახელშეკრულებო მოთხოვნების შემონმება⁴⁵.

ასევე მოთხოვნათა ცალკეული კატეგორიის ფარგლებშიც შესაძლოა აუცილებელი იყოს მოთხოვნის რამდენიმე საფუძვლის შემონმება. ასეთ შემთხვევებშიც ისევ და ისევ უნდა ვიხელმძღვანელოთ მიზანშეწონილობის პრინციპით. მაგალითად, სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი ყოველთვის უნდა იდგეს სკ-ის 991-ე მუხლის წინ, ვინაიდან აღნიშნულის ფარგლებში ირკვევა, ჰქონდა თუ არა ადგილი შესრულების შედეგად ქონების გადაცემას.

თუ მოთხოვნის ერთი კატეგორიის ფარგლებში მოცემულია არსებითად იდენტური ფაქტობრივი ელემენტების/წინაპირობების მქონე

⁴⁵ აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე იხილეთ შემონმების რიგითობა „ტრაქტორის კაზუსში“, მეოთხე თავი, გვ.84 და ასევე მეხუთე თავის მესამე კაზუსში (გვ.126) წარმოდგენილი ურთიერთობები „გ“ — „ე“, „გ“ — „ტ“.

მოთხოვნის რამოდენიმე საფუძველი და შემონმების შედეგად დადასტურდა ერთ-ერთი მათგანის (მოთხოვნის საფუძვლის) არსებობა, მაშინ სხვა საფუძვლები შემონმდება მხოლოდ ძალიან მოკლედ და ეს შემონმება არ იქნება კაზუსის განხილვისა და გადანყვეტის მთავარი საკითხი.

4. შემონმების სტრუქტურა მოთხოვნის ერთი საფუძვლის ფარგლებში

მოთხოვნის ერთი საფუძვლის შემონმებაც ასევე უნდა შეესაბამებოდეს მიზანშეწონილობის იდეასა და მატერიალური სამართლის სისტემას.

ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, რომ აუცილებელია სახეზე იყოს მოთხოვნის საფუძვლის ყველა ფაქტობრივი ელემენტი იმისათვის, რომ დადგეს ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი. თუმცა, ეს არის მოთხოვნის წარმოშობის მინიმალური წინაპირობა (მოთხოვნის წარმომშობი წინაპირობები). სასამართლო წარმოებისას კი გარემოებები, რომლებიც შეესაბამება მოთხოვნის საფუძვლის, ანუ ნორმის აბსტრაქტულ წინაპირობებს, უმთავრესად, უნდა წარადგინოს და დაამტკიცოს კრედიტორმა, სსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

მოვალე კი თავის მხრივ არ არის დაუცველი კრედიტორის მოთხოვნების მიმართ. როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსი შეიცავს არა მხოლოდ მოთხოვნის საფუძვლის განმსაზღვრელ ნორმებს, არამედ ე.წ. მოთხოვნის გამომრიცხავ ნორმებსაც, ანუ დებულებებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოთხოვნის „განადგურება“ (შესაგებელი)⁴⁶. ამით მოვალეს კრედიტორის მოთხოვნის წინააღმდეგ აქვს თავდაცვის მატერიალურ-სამართლებრივი საშუალებები. ხოლო ის გარემოება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მართლაც არსებობს შესაგებლის დამასაბუთებელი ფაქტები და გარემოებები, სასამართლოში უნდა წარადგინოს და დაამტკიცოს მოვალემ, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი.⁴⁷

⁴⁶ იხ. სამართლის ნორმის აგებულება, თავი მეორე, გვ.18

⁴⁷ აღნიშნული დაყოფა კრედიტორსა და მოვალეს შორის ხდება მტკიცების ტვირთის გონივრული განაწილების მიზნით, ანუ იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ ვინ ატარებს სასამართლოში ამა თუ იმ ფაქტის დამტკიცების რისკს.

მოვალის შესაგებელი თავისი შედეგის მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- **უფლების დამაბრკოლებელი** შესაგებელი ხელს უშლის მოთხოვნის წარმოშობას, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა მოთხოვნის საფუძვლის განმსაზღვრელი ნორმის ყველა ფაქტობრივი ელემენტი⁴⁸.
- **უფლების მომსპობი შესაგებელი** სპობს უკვე არსებულ მოთხოვნას. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობები შესრულებულია, რაც გამორიცხავს უფლების დამაბრკოლებელი შესაგებლის არსებობას. თუმცა, მოთხოვნის წარმოშობის შემდეგ გამოვლინდა ისეთი გარემოებები, რომლებიც სპობს მოთხოვნას. აღნიშნულის ტიპური მაგალითია⁴⁹ ვალდებულების შესრულება, რაც წყვეტს მოთხოვნას, სკ-ის 427-ე მუხლი⁵⁰.
- **უფლების შემაფერხებელი შესაგებელი** არ ეხება მოთხოვნის არსებობას, არამედ აფერხებს მის განხორციელებას სასამართლოში. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი არსებობის მიუხედავად, სასამართლო არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, ანუ სარჩელს ან დაანებს საპასუხო შესრულებას. უფლების შემაფერხებელი შესაგებელი მოვალეს აძლევს უფლებას, დროებით ან მუდმივად თქვას უარი შესრულებაზე. შემაფერხებელი შესაგებლის კლასიკური მაგალითია მოთხოვნის ხანდაზმულობა, სკ-ის 128-ე და მომდევნო მუხლები⁵¹.

კრედიტორს აქვს შესაძლებლობა, მოვალის ზემოთ აღნიშნულ შესაგებელს დაუპირისპიროს **მოთხოვნის შემანარჩუნებელი** გარემოებები. კრედიტორის ამ შესაგებლის შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ მოვალე

⁴⁸ იხილეთ მაგალითები 59-ე გვერდზე

⁴⁹ სხვა მაგალითები იხილეთ ასევე 63-ე გვერდზე.

⁵⁰ სკ-ის 427-ე მუხლის მიხედვით შესრულების შედეგად წყდება ვალდებულებითი ურთიერთობა, რაც ცოტა გაუგებარია, ვინაიდან შესრულებით წყდება მხოლოდ კონკრეტული ვალდებულება, მოთხოვნა, რომელიც შესრულდა. მაგალითად: როდესაც მყიდველი იხდის შეთანხმებულ ფასს, ამით წყდება, ქარწყლდება შეთანხმებული ფასის მოთხოვნა და არა მთლიანად ნასყიდობის ხელშეკრულება ან ნივთის გადაცემის მოთხოვნა, თუ გამყიდველს ჯერ არ შეუსრულებია აღნიშნული ვალდებულება.

⁵¹ სხვა მაგალითები უფლების შემაფერხებელ შესაგებელთან დაკავშირებით იხილეთ 63-ე გვერდზე.

აქ უკვე ველარ მიუთითებს და დაეყრდნობა მის მიერ წარმოდგენილ შესაგებელს. აღნიშნულის მაგალითია საკუთრების შექმნა სკ-ის 297-ე მუხლის ფარგლებში⁵².

მაგალითი:

„ა“ და „ბ“ დადებენ სესხის ხელშეკრულებას, რომლითაც „ა“ იღებს ვალდებულებას, სესხის სახით გადასცეს „ბ“-ს 30.000 ლარი. მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მხარეები შეთანხმდებიან იპოთეკით დატვირთონ „ბ“-ს ნაკვეთი. შესაბამისად მოხდება „ა“-ს სასარგებლოდ საჯარო რეესტრში იპოთეკის რეგისტრაცია. აღნიშნული რეგისტრაციის განხორციელებისთანავე „ა“ იპოთეკას გადასცემს თავის კრედიტორ „გ“-ს, რომელიც ახალ იპოთეკარად დაფიქსირდება რეესტრში. ამის შემდეგ „ა“ არ გადასცემს „ბ“-ს სასესხო თანხას. „გ“, რომელმაც არაფერი იცის ამის შესახებ, არკვევს, თუ რა მოთხოვნები გააჩნია მას „ბ“-ს მიმართ.

სასესხო თანხის გაუცემლობის გამო არ წარმოიშვა ვალის დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 626-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 623-ე მუხლის გაგებით. რადგან სამართლებრივად ნამდვილი იპოთეკის წარმოშობისათვის იპოთეკის უზრუნველყოფი ხასიათის, ანუ მოთხოვნაზე დამოკიდებულების გამო, მის რეგისტრაციასთან ერთად აუცილებელია უზრუნველსაყოფი მოთხოვნის არსებობა, ამიტომ მოცემულ შემთხვევაში „ა“-ს სასარგებლოდ არ წარმოიშვა იპოთეკა. აქ არც „ა“-ს მიერ იპოთეკის კეთილსინდისიერი შექმნა განიხილება, ვინაიდან აღნიშნული ინსტიტუტი იცავს და მოიცავს „ბ“-ს მიერ საკუთარი ნაკვეთის განკარგვის უფლების მიმართ კეთილსინდისიერ ნდობას და არა სხვა წინაპირობებს.

სკ-ის 295-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნის გადაცემასთან ერთად ახალ კრედიტორზე გადადის იპოთეკაც. წინამდებარე შემთხვევაში „ა“ და „გ“ შეთანხმდნენ იპოთეკის გადაცემაზე. ამისათვის ფაქტობრივად უნდა მოხდეს იპოთეკის საფუძვლად არსებული მოთხოვნის დათმობა სკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არ არსებობს ვალის დაბრუნების მოთხოვნა.

⁵² იხ. ლადო ჭანტურია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო სამართალი, 297-ე მუხლი, გვ. 283.

მოთხოვნათა კეთილსინდისიერი შექმნა არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან მოცემული მოთხოვნების ფარგლებში არ არსებობს გარემოება (მაგალითად, ნივთის ფლობა), რომელიც შეიძლება იმავდროულად მოიაზრებოდეს ნივთის განკარგვის უფლებაც. მაშასადამე, „გ“ ვერ იქნება ვალის უკან დაბრუნების მოთხოვნის კეთილსინდისიერი შემქმნი სკ-ის 626-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 623-ე მუხლის მიხედვით.

თუმცა, შეიძლება „გ“-ს სასარგებლოდ მართლაც წარმოიშვა იპოთეკა. სკ-ის 197-ე მუხლის მიხედვით იპოთეკის გადაცემისას ივარაუდება მოთხოვნის არსებობა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნა მართლაც წარმოიშვა, არამედ იგი მხოლოდ მიიჩნევა არსებულად. აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერ „გ“-ს შეუძლია გახდეს ნაკვეთის იპოთეკარი, ვინაიდან იპოთეკა რეგისტრირებული იყო „ა“-ს სასარგებლოდ. ამით „გ“-მ შეიძინა იპოთეკა, რომელმაც იურიდიული ძალა შეიძინა მხოლოდ მის პიროვნებასთან კავშირში. ხოლო ვალის უკან დაბრუნების მოთხოვნა, არ არსებობს. მაგრამ სკ-ის 297-ე მუხლის მე-3 წინადადების თანახმად „ბ“-ს არ შეუძლია განაცხადოს, რომ არ არსებობს მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულის შედეგად, „გ“-ს შეუძლია მოითხოვოს „ბ“-სგან თავის ნაკვეთზე რეგისტრირებული იპოთეკის საფუძველზე წარმოებული იძულებითი აღსრულების თმენა სკ-ის მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით⁵³.

შესაგებლის შედეგი აისახება კონკრეტული მოთხოვნის საფუძვლის შემონმების ფარგლებში და შესაბამისად სახეზე გვაქვს შემდეგი რიტორობა:

1. მოთხოვნის წარმომშობი

- მოთხოვნის წარმომშობი წინაპირობები
- უფლების დამაბრკოლებელი შესაგებელი (მოვალის)
- (სავარაუდოდ – კრედიტორის უფლების შემანარჩუნებელი შესაგებელი)

⁵³ იპოთეკასთან დაკავშირებით ასევე იხილეთ: მესხეთე თავის მეორე კაზუსი, გვ. 110

2. მოთხოვნის შეწყვეტა

- უფლების მომსპობი შესაგებელი
- (სავარაუდოდ – კრედიტორის უფლების შემანარჩუნებელი შესაგებელი)

3. მოთხოვნის განხორციელება

- უფლების შემაფერხებელი შესაგებელი
- (სავარაუდოდ – კრედიტორის უფლების შემანარჩუნებელი შესაგებელი)

შემონმების აღნიშნული მიდგომა უნდა გაიმეოროთ მოთხოვნის თითოეული საფუძვლის შემონმებისას, რომელიც მნიშვნელოვანია განსახილველი კაზუსისათვის. აუცილებელია თუ არა ყველა პუნქტის გამეორება, ამას თვითონ კონკრეტული შემთხვევა გვიჩვენებს. ეს სქემა მხოლოდ საორიენტაციო ფუნქციას ასრულებს კონკრეტული კაზუსის შემონმებისას.

ქვემოთ კონკრეტული მაგალითების საშუალებით სათითაოდ იქნება განხილული ზემოთ აღნიშნული საკითხები. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ არ არის აუცილებელი ყველა პუნქტის შემონმება ყველა კაზუსის ფარგლებში, არამედ მხოლოდ იმ პუნქტებისა, რომლებთან დაკავშირებითაც არის ინფორმაცია კაზუსის აღწერილობით ნაწილში.

ა) შემონმების პირველი ეტაპი – მოთხოვნის წარმოშობა

კონკრეტული მოთხოვნის საფუძვლის შემონმებისას, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს, საერთოდ იყო თუ არა შესაძლებელი მოთხოვნის წარმოშობა, რაც თავის მხრივ გულისხმობს (1) მოთხოვნის წარმოშობი ყველა ფაქტობრივი ელემენტის არსებობას და (2) უფლების დამაბრკოლებელი შესაგებლის არარსებობას.

(1) მოთხოვნის წარმოშობი ფაქტობრივი ელემენტები

მოთხოვნის საფუძვლის ფაქტობრივი ელემენტები არის აბსტრაქტულად ჩამოყალიბებული წინაპირობები, რომელთა არსებობისას დგება ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი⁵⁴. აღნიშნული ელემენტების შემონმება აუცილებელია მაშინაც კი, როდესაც ისინი

⁵⁴ ნორმის ფაქტობრივი ელემენტების შემონმების რიგითობასთან დაკავშირებით იხ. მეორე თავი, გვ.28

სრულიად უპრობლემოა (ანუ არ არის სადავო) და მოვალე მხოლოდ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მიუთითებს.

(ა) სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობები

სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობები წარმოიშობა, სულ მცირე, ორი ერთმანეთის პირისპირ მდგომი მხარის შინაასობრივად ერთმანეთის შესაბამისი და ერთმანეთთან დაკავშირებით გამოვლენილი ნების საფუძველზე, რომელიც მიმართულია გარკვეული სამართლებრივი მოვალეობების წარმოშობისკენ. სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობებისას, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა საერთოდ ხელშეკრულება და შინაასობრივად რაზე შეთანხმდნენ ხელშეკრულების მხარეები. ხელშეკრულების შინაარსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ დავადგინოთ, მოიცავს თუ არა მოცემულ შემთხვევას შერჩეული მოთხოვნის საფუძვლის გამოყენების სფერო.

სკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით **ხელშეკრულება დადებულია ითვლება**, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამ წინაპირობებიდან მხარეთა შეთანხმება ყველა არსებით პირობაზე არის მოთხოვნის წარმომშობი გარემოება, რომლის არსებობის შესახებ კრედიტორმა სასამართლოში ფაქტები უნდა წარადგინოს და საჭიროების შემთხვევაში ამტკიცოს მისი არსებობა. თუ ხელშეკრულების ნამდვილობა კანონით განსაზღვრული ფორმის დაცვაზეა დამოკიდებული, მაშინ შეიძლება არსებობდეს უფლების დამაბრკოლებელი შესაგებელი⁵⁵. სკ-ის 328-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელშეკრულების დადების მინიმალური და აუცილებელი წინაპირობაა მხარეთა შეთანხმება არსებით პირობებზე. აქ კაზუსის შემომწმების ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები:

⁵⁵ იხ. გვ. 58

შეთანხმება
<p>ოფერტი და აქცეპტი, აქ მაგ.</p> <ul style="list-style-type: none"> - ნების გამოვლენის მიღება - დუმილი, როგორც თანხმობის ერთ-ერთი ფორმა
მხარეთა შორის
<p>შესაძლებელია ასევე მესამე პირის მეშვეობით, მაგ.</p> <ul style="list-style-type: none"> - შუამავლის გზით (სკ-ის მე-80 მუხლი) - წარმომადგენლობა (სკ-ის 103-ე და მომდევნო მუხლები)
ყველა არსებით პირობაზე (essentialia negotii)
<ul style="list-style-type: none"> - ხელშეკრულების მხარეები - ხელშეკრულების საგანი - დანარჩენი დამოკიდებულია ხელშეკრულების კონკრეტულ სახეობაზე - არ შეიძლება უთანხმოების, როგორც მოთხოვნის წარმომშობი ნეგატიური გარემოების გათვალისწინება

ხელშეკრულების არსებობის ზემოთ წარმოდგენილი წინაპირობების გარდა, ცალკეულ შემთხვევაში, მისი შინაარსიდან და განსახილველი საკითხებიდან გამომდინარე, ასევე სხვა შინაარსობრივი ასპექტებიც შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მოთხოვნის წარმომშობის მტკიცების კუთხით; მაგალითად:

სხვა შინაარსობრივი საკითხები/ასპექტები
<ul style="list-style-type: none"> - შესრულების ვალდებულების დაკონკრეტება - ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გათვალისწინება, სკ-ის 342-ე და მომდევნო მუხლები - შესრულების დრო, სკ-ის 364-ე და მომდევნო მუხლები - შესრულების ადგილი, სკ-ის 362-ე და 363-ე მუხლები

მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაირკვევა ხელშეკრულების დადებასთან, ანუ არსებობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, შეიძლება გადასვლა შემონების მეორე საფეხურზე, კერძოდ: **სხვა ფაქტობრივი ელემენტების შემონებაზე**.⁵⁶

56 კუმულატიურ ფაქტობრივ ელემენტებთან დაკავშირებით იხ. მეორე თავი, გვ.28

მაგალითი:

„ა“ და „ბ“ დადებენ ქირავნობის ხელშეკრულებას, რომლითაც „ა“ იღებს ვალდებულებას, განსაზღვრული ვადით „ა“-ს სარგებლობაში გადასცეს ნივთი, ხოლო „ბ“ იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს „ა“-ს დათქმული ქირა. იმისათვის, რომ „ა“-ს უფლება ჰქონდეს მოსთხოვოს „ბ“-ს ქირის გადახდა, სკ-ის 531-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს, რომ „ა“-სა და „ბ“-ს შორის უნდა არსებობდეს ქირავნობის ხელშეკრულება და რომ უკვე განხორციელებული უნდა იყოს „ბ“-ს მიერ „ა“-სთვის ნივთის სარგებლობაში გადაცემა (ის, თუ როდის უნდა მოხდეს შეთანხმებული ქირის გადახდა, სკ-ის 553-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, არის შესრულების ვადის დადგომასთან დაკავშირებული საკითხი. აღნიშნული წარმოადგენს მოთხოვნის განხორციელებასთან და არა მის წარმოშობასთან დაკავშირებულ პრობლემას).

(ბ) კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები წარმოიშობა მხარეთა ნებისა და შეთანხმების მიუხედავად, კანონით გათვალისწინებული ფაქტობრივი ელემენტის პრაქტიკაში განხორციელების გზით. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებისას მოცემული უნდა იყოს შესაბამისი მოთხოვნის საფუძვლის ყველა ფაქტობრივი ელემენტი, რომელიც ხელსაყრელია კრედიტორისთვის.

მაგალითი:

განუული ხარჯების ანაზღაურება დავალების გარეშე სხვისი საქმეების კეთილსინდისიერად შესრულებისას, სკ-ის 973-ე და 969-ე მუხლები

1. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, სკ-ის 969-ე მუხლი

ა) საქმეების შესრულება

ბ) სხვისი საქმე

გ) დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე

დ) სხვისი საქმის შესრულების სურვილი, სკ-ის 975-ე მუხლი

2. აუცილებელი ხარჯები, სკ-ის 973-ე მუხლი

(საკითხი, ენინააღმდეგება თუ არა შემსრულებლის მიერ საქმეების შესრულება მეპატრონის ნებას ან ინტერესებს, რამაც შეიძლება განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა გამოიწვიოს, სკ-ის 974-ე მუხლი, არის უფლების დამაბრკოლებელი შესაგებელი).

(2) უფლების დამაბრკოლებელი შესაგებელი

ზემოთ აღნიშნულის გარდა, მოცემულ კონტექსტში ასევე უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა უფლების დამაბრკოლებელი შესაგებელი, ანუ შესაგებელი, რომელიც, მიუხედავად ყველა შესაბამისი აუცილებელი წინაპირობის არსებობისა, აბრკოლებს, ხელს უშლის უფლების წარმოშობას. უფლების დამაბრკოლებელი შესაგებელი სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს საკუთარი ინიციატივით, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ასეთი შესაგებელი, როდესაც საქმეში გამოვლინდება ფაქტები, რომლებიც მიუთითებს უფლების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობაზე; ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, რომელმა მხარემ წარუდგინა სასამართლოს აღნიშნული ფაქტები და გარემოებები. ანუ, ასეთ გარემოებებზე მითითება არ არის აუცილებლად მოვალის პრეროგატივა. უფლების დამაბრკოლებელი შესაგებელია:

გარიგების ბათილობა
- მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი, სკ-ის 54-ე მუხლი;
- ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, სკ-ის 55-ე მუხლი;
- მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი, სკ-ის 56-ე მუხლი;
- ნების გამოვლენის არასერიოზულობა, სკ-ის 57-ე მუხლი;
- ერთ-ერთი მხარის ქმედუუნარობა ან ფსიქიკური მოშლილობა, სკ-ის 58-ე მუხლი;
- ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, სკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი ალტერნატივა;
- ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, როდესაც ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა, სკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 ალტერნატივა;
- მესამე პირის თანხმობის გარეშე დადებული გარიგება, სკ-ის 66-ე მუხლი;
- ბათილობის უკუქცევითი ძალა საცილო გარიგების შეცილების შემთხვევაში, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება; ⁵⁷
- მომავალ ქონებაზე დადებული ხელშეკრულება, სკ-ის 320-ე მუხლი;
- სამკვიდრო ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულება, სკ-ის 322-ე მუხლი.

მაგალითი:

16 წლის „ა“ მშობლების გაფრთხილების გარეშე დადებს ნასყიდობის ხელშეკრულებას მოვაჭრე პირ – „ბ“-სთან. მშობლები უარს ამბობენ ნებართვაზე. აქვს თუ არა „ბ“-ს „ა“-ს მიმართ შეთანხმებული ფასის მოთხოვნის უფლება?

წინამდებარე კაზუსში მოთხოვნის საფუძველია სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით ფასის მოთხოვნის არსებობის წინაპირობაა მხარეებს, ანუ „ა“-ს და „ბ“-ს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობა. პრობლემატურია ამ შემთხვევაში ის გარემოება, რომ „ა“ არასრულწლოვანია (სკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი). სკ-ის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არასრულწლოვანი დებს ხელშეკრულებას კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოინონებს თუ არა მას. სკ-ის 1198-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით მშობლები არიან არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები. „ა“-ს მშობლებმა არც თანხმობა განაცხადეს ნასყიდობის ხელშეკრულებაზე და არც შემდგომში მოინონეს იგი. სკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 ალტერნატივის თანახმად, ბათილია ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა. ზემოთ აღნიშულიდან გამომდინარე, „ა“-სა და „ბ“-ს შორის არ არსებობს ნასყიდობის ხელშეკრულება და შესაბამისად არ არსებობს სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები.

გარიგების ბათილობის გამომწვევი საფუძვლების გარდა, არსებობს ასევე სხვა გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის, აბრკოლებს უფლების წარმოშობას.

⁵⁷ იხ: ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ უკან დაბრუნების მოთხოვნასთან დაკავშირებული მაგალითი წინამდებარე თავში 46-ე გვერდზე.

მაგალითად:

მოთხოვნის წარმოშობის სხვა დაბრკოლებები
<ul style="list-style-type: none"> - პირობის დაუდგომლობა პირობითი გარიგებისას, სკ-ის 90-ე მუხლის პირველი ალტერნატივა (როდესაც გარიგება დამოკიდებულია სამომავლო და უცნობი მოვლენის, პირობის დადგომაზე); - ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ძალადაკარგულობა მისი სათანადო ფორმით უარყოფის შემთხვევაში, სკ-ის 336-ე მუხლი; - შემთხვევები, როდესაც პირს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის, სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით; - კანონიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობების ფარგლებში, მაგ: <ul style="list-style-type: none"> - მეპატრონის სანინააღმდეგო ნება ან ინტერესები განუვლი ხარჯების ანაზღაურების უფლების ფარგლებში, სკ-ის 973-ე, 969-ე და 974-ე მუხლები; - უკან დაბრუნების მოთხოვნის გამორიცხვა, სკ-ის 976-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილი; - ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა, სკ-ის 999-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილი

მაგალითად:

1. მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს შემდეგ წესს: ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ადგილობრივი თვითმმართველობა უარს იტყვის თავისი უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე. ხელშეკრულება არის მერყევად ბათილი.⁵⁸ თუ ადგილობრივი თვითმმართველობა უარს იტყვის თავისი უფლების გამოყენებაზე, მაშინ ხელშეკრულება შევა ძალაში, ხოლო, თუ ადგილობრივი თვითმმართველობა პირდაპირ არ იტყვის უარს თავისი უფლების განხორციელებაზე, მაშინ ხელშეკრულება არ შეიძენს იურიდიულ ძალას.
2. ქუჩაში დადებული ხელშეკრულება სკ-ის 336-ე მუხლის გაგებით, მისი უარყოფის ვადის გასვლამდე იმყოფება მერყევად ბათილი

⁵⁸ მერყევად ბათილი გარიგების ცნებისა და მისი შედეგების შესახებ იხ: ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 387-388. ამგვარი გარიგების აღსანიშნავად ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ასევე გამოიყენება ტერმინი „მოლივლივე“, თუმცა ლივლივთან არსებული მდგომარეობის შედარება არ გამოიყურება დამაჯერებლად.

გარიგების მდგომარეობაში⁵⁹. თუ უარყოფა მოხდება აღნიშნულ ვადაში, მაშინ ხელშეკრულება საბოლოოდ ძალადაკარგულად ჩაითვლება. ხოლო თუ უარყოფა არ იქნება წარმოდგენილი ამისათვის განკუთვნილ ვადაში, მაშინ ხელშეკრულება ყველანაირი შეზღუდვის გარეშე შვევა ძალაში.

თუ შესრულებულია მოთხოვნის წარმომშობი ყველა წინაპირობა და არ არსებობს უფლების დამაზარკოლებელი შესაგებელი, მაშინ მოთხოვნა ჩაითვლება წარმომშობილად. ხოლო, თუ არ არსებობს მოთხოვნის წარმომშობი ერთ-ერთი წინაპირობა მაინც, ან სახეზეა მისი დამაზარკოლებელი შესაგებელი (გარემოება), მაშინ ამ მოთხოვნის საფუძვლის ფარგლებში მოთხოვნა არ წარმოიშობილა. ამით დასრულდება აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლის შემოწმება.

ბ) შემოწმების მეორე ეტაპი – მოთხოვნის შეწყვეტა

აქ განიხილება, შემდეგში ხომ არ შეწყდა უკვე არსებული მოთხოვნა.⁶⁰ ამგვარი მოთხოვნის მომსპობი გარემოებებიც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საკუთარი ინიციატივით, მიუხედავად იმისა, მიუთითებს თუ არა მოვალე მათზე. არსებობს მოთხოვნის მომსპობი სხვადასხვა გარემოება, მაგალითად:

მოთხოვნის შეწყვეტა

- ვალდებულების შესრულება, სკ-ის 427-ე და მომდევნო მუხლები;
- დეპონირება, სკ-ის 434-ე და მომდევნო მუხლები;
- ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, სკ-ის 442-ე და მომდევნო მუხლები²;
- ვალის პატიება, სკ-ის 448-ე და მომდევნო მუხლები;⁶¹
- სხვა საფუძვლები, სკ-ის 452-ე და მომდევნო მუხლები, მაგალითად, მოვალის სიკვდილი, სკ-ის 453-ე მუხლი

⁵⁹ იხ. ლალო ჭანტურია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001, 336-ე მუხლი, გვ. 150.სამართალი ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001, 336-ე მუხლი, გვ. 150.

⁶⁰ მართალია, შეცილება შემდგომში ხდება, მაგრამ სკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მას აქვს უკუქცევითი ძალა, რაც იმას, ნიშნავს, რომ გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან. აქედან გამომდინარე შეცილება არის უფლების დამაზარკოლებელი შესაგებელი/გარემოება. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ასევე: მეხუთე თავის პირველი კაზუსი, მე-100 გვერდზე.

⁶¹ ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვის შედეგებთან დაკავშირებით იხ: მაგალითი პირველ თავში, გვ. 6 და ამოსხნა გვ. 10

მაგალითი:

„ა“ და „ბ“ დადებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას ნიგნზე. „ა“ იღებს ვალდებულებას, გადასცეს „ბ“-ს ნიგნი და ასევე საკუთრება მასზე. „ბ“ იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს შეთანხმებული ფასი 20 ლარის ოდენობით. ორივე მხარე ყოველგვარი გართულების გარეშე ასრულებს თავის ვალდებულებას. სკ-ის 427-ე მუხლის შესაბამისად, ამით მხარეებს შორის შეწყდა ცალკეული ვალდებულებები (ა –» ბ და ბ –» ა). არც „ა“-ს და არც „ბ“-ს აღარ შეუძლია მეორე მხარეს მოსთხოვოს აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება.

მოთხოვნა წყდება მაშინაც, როდესაც იცვლება მისი შინაარსი, ვინაიდან აღნიშნული ცვლილების შემდეგ იგი აღარ არსებობს პირვანდელი სახით. თუმცა, შინაარსობრივმა ცვლილებამ შესაძლოა წარმოშვას ახალი მოთხოვნა, რომელიც იკავებს შეწყვეტილი მოთხოვნის ადგილს. შინაარსობრივი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მოთხოვნის მიზნის და/ან ხელშეკრულების მხარის შეცვლით, მაგალითად:

შინაარსობრივი ცვლილება	
მოთხოვნის მიზნის შეცვლა	მხარის შეცვლა
<ul style="list-style-type: none"> - უარის თქმა ხელშეკრულებაზე –» სამართლებრივად ნამდვილი უარის თქმა ხელშეკრულებაზე წარმოშობს მიღებულის უკან დაბრუნების კანონისმიერ ვალდებულებებს, სკ-ის 352-ე და მომდევნო მუხლები;⁶² - მეორადი მოთხოვნები, მაგალითად, როგორიცაა, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას სკ-ის 394-ე და მომდევნო მუხლების შესაბამისად; - სკ-ის 398-ე მუხლი 	<ul style="list-style-type: none"> - მოთხოვნის დათმობა, სკ-ის 198-ე და მომდევნო მუხლები (კრედიტორის შეცვლა); - ვალის გადაკისრება, სკ-ის 203-ე მუხლი (მოვალის შეცვლა); - ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ, სკ-ის 372-ე მუხლის მე-2 წინადადება; - უძრავი ნივთის მესაკუთრის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილება, სკ-ის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილი; - თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილება, სკ-ის 905-ე მუხლი

⁶² იხ: ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ უკან დაბრუნების მოთხოვნასთან დაკავშირებული მაგალითი წინამდებარე თავში 46-ე გვერდზე.

მაგალითი⁶³

„გ“-მ და „დ“-მ ტელევიზორის თაობაზე დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც „გ“ იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს შეთანხმებული ფასი, ხოლო „დ“ ვალდებულია გადასცეს „გ“-ს ნივთი და ასევე საკუთრება მასზე. ხელშეკრულების დადების შემდეგ „დ“ თავის მოთხოვნას დაუთმობს „ი“-ს, რის შემდეგაც „ი“ „გ“-სგან ითხოვს შეთანხმებული ფასის გადახდას. უფლების დათმობის შედეგად „გ“-სა და „დ“-ს შორის აღარ არსებობს შეთანხმებული ფასის მოთხოვნის თავდაპირველად არსებული უფლება. ამ უფლების თავდაპირველ მფლობელს – „დ“-ს, ჩაენაცვლა „ი“. „დ“-ს შემთხვევაში მოთხოვნა შეწყდა. იგი „გ“-სგან ველარ მოითხოვს ზემოხსენებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებული ფასის გადახდას.

აღნიშნული მაგალითი გვიჩვენებს, რომ ხელშეკრულების თუ კანონის საფუძველზე მოთხოვნის მხარის შეცვლისას არ წყდება თვითონ მოთხოვნა, არამედ იგი იმავე მიზნით გადადის ახალ მხარეზე. ასეთი გადასვლის შედეგად, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხარის შეცვლასთან გვაქვს საქმე, ან თავდაპირველი კრედიტორი ველარ განახორციელებს მოვალის მიმართ მოთხოვნას, ან კი იგი თავდაპირველ მოვალეს ვერ ნაუყენებს მას.

არსებობს კიდევ სხვა გარემოებები, რომლებიც ასევე იწვევს მოთხოვნის შეწყვეტას.

მოთხოვნის სხვა გზით შეწყვეტა

- პირობის დადგომა მოთხოვნის ანუ გარიგების შემწყვეტი პირობის განსაზღვრისას, სკ-ის 90-ე მუხლის მე-2 ალტერნატივა;
- ვადიანი ხელშეკრულების ვადის გასვლა, მაგ: სკ-ის 559-ე მუხლის პირველი ნაწილი;
- ხელშეკრულების მოშლა;⁶⁴
- ვალდებულების შესრულების შემდგომი შეუძლებლობა.

⁶³ იხ. ასევე: საქმის აღწერილობითი ნაწილის სქემა მესამე მაგალითთან დაკავშირებით 74-ე გვერდზე.

⁶⁴ იხ: ხელშეკრულების მოშლის კაზუსი, მესამე მაგალითი, გვ. 67

მაგალითი:

საფეხბურთო კლუბმა "Carl Zeiss Jena" (კარლ ცაის იენა), რომელიც 2006 წლიდან თამაშობდა მეორე ფედერალურ ლიგაში, ერთ მოთამაშესთან გააფორმა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა დათქმას, რომ იგი დასრულდებოდა, თუკი 2008 წელს საფეხბურთო კლუბი "Carl Zeiss Jena" ჩამოქვეითდებოდა და გადავიდოდა რეგიონალურ ლიგაში. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა გარიგების შეწყვეტი პირობის გათვალისწინება, ვინაიდან გარიგების შეწყვეტა, დასრულება დამოკიდებულია გაურკვეველ მოვლენაზე. საფეხბურთო კლუბი "Carl Zeiss Jena" 2008 წელს მართლაც ჩამოქვეითდა რეგიონალურ ლიგაში, რასაც, სპორტული სეზონის დასრულებასთან ერთად მოჰყვა კლუბსა და ზემოხსენებულ მოთამაშეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა.

უფლების მომსპობი შესაგებლის განხორციელება იწვევს ამ უფლების აღმოფხვრას, რის შედეგადაც კრედიტორს აღარ გააჩნია მოთხოვნა მოვალის მიმართ. სწორედ აქ უნდა შეწყდეს აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლის შემონება.

გ) შემონების მესამე ეტაპი – მოთხოვნის განხორციელება

თუ მოთხოვნა წარმოიშვა და შემდგომშიც არ შემწყდარა ზემოთ განხილული გარემოებების (შესაგებლის) შედეგად, მესამე ეტაპზე უნდა შემონმდეს, თუ რამდენად განხორციელებადია იგი სასამართლოში. სასამართლო შესაბამის სარჩელს დააკმაყოფილებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა არის განხორციელებადი. მოთხოვნის განხორციელებას შეიძლება ხელი შეუშალოს უფლების შემაფერხებელმა შესაგებელმა. შეფერხება შეიძლება იყოს დროებითი და მუდმივიც. შესაბამისად, მისი მუდმივობის შემთხვევაში, მოთხოვნაც მუდმივად არაგანხორციელებადია, რის გამოც არც სასამართლოში წარდგენილი სარჩელი დაკმაყოფილდება. თუ შეფერხება დროებითია, მაშინ მოთხოვნის განხორციელება შეიძლება მოგვიანებით, აღნიშნული შეფერხების აღმოფხვრის შემდეგ. უფლების შემაფერხებელი გარემოებებია:

დროებითი შეფერხება
<ul style="list-style-type: none"> - შესრულების ვადის დადგომა; - ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, სკ-ის 369-ე მუხლი; - ნივთის დაკავების უფლება, მაგ: სკ-ის 163-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მე-500 და 776-ე მუხლები; - თავდების უარი კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, სკ-ის 894-ე მუხლი;⁶⁵ - თავდებობის საცილობა, სკ-ის მე-900 მუხლი.
მუდმივი შეფერხება
<ul style="list-style-type: none"> - ხანდაზმულობა, სკ-ის 128-ე და მომდევნო მუხლები.

მაგალითი:

სკ-ის 365-ე მუხლის თანახმად, თუ შესრულების დრო განსაზღვრული არ არის და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება (შესრულების დრო), ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს (შესრულების შესაძლებლობა). სკ-ის 553-ე მუხლის პირველი ნაწილი კი ითვალისწინებს, რომ ქირა გადახდილ უნდა იქნას ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას. მართალია, ქირის მოთხოვნის უფლება არსებობს ქირავნობის დასაწყისში, მაგრამ ამ მომენტისათვის (ანუ დასაწყისში) იგი ჯერ არ არის განხორციელებადი, ვინაიდან ჯერ არ დამდგარა ვალდებულების შესრულების დრო. ვალდებულების შესრულების კანონით განსაზღვრული დროის გარდა, მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებით შეთანხმდნენ შესრულების სხვა დროებზე.

გასათვალისწინებელია, რომ უფლების შემაფერხებელი მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი საპროცესო სამართალში არის საპროცესო სამართლებრივი შესაგებელი, რომელიც უნდა წარმოადგინოს მოვალემ, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება მათი გათვალისწინება სასამართლოს მიერ.

თუ შემონმების შედეგად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ არ არის სახეზე უფლების შემაფერხებელი შესაგებელი, ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნა

⁶⁵ იხ. ასევე: მეხუთე თავი, მეორე კაზუსი, გვ. 110

არის განხორციელებადი. ამგვარად, დასაბუთებული იქნება შესაბამისი სარჩელიც. ხოლო თუ სახეზეა მოთხოვნის მუდმივი შემთავრებელი გარემოებები, მაშინ სასამართლო საბოლოოდ იტყვის უარს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით მოთხოვნა არსებობს. დროებითი შეფერხებისას მნიშვნელოვანია, თუ რა სახის შეფერხებასთან გვაქვს საქმე. გამომდინარე აქედან, სარჩელი ან არ დაკმაყოფილდება მოცემული მომენტიდან და მოსარჩელეს ექნება შესაძლებლობა მოგვიანებით აღძრას იგი, ან კი სასამართლო გაითვალისწინებს საპასუხო შესრულებას.

5. შემონმების სტრუქტურა რამოდენიმე მონაწილის შემთხვევაში

განვიხილოთ კაზუსის დამუშავების სტრუქტურის კიდევ ერთი ასპექტი. აქამდე ვსაუბრობდით ისეთ შემთხვევებზე, სადაც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე იყო მხოლოდ ორი მხარე. თუმცა, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საქმეში ორზე მეტი ადამიანი მონაწილეობს.⁶⁶ ასეთ საქმეებში, პირველ რიგში, საჭიროა ყველა მნიშვნელოვანი ორ-მხრივი ურთიერთობის იდენტიფიცირება. უმთავრესი ამოცანაა, შევამოწმოთ ერთი კრედიტორის ერთი მოთხოვნის საფუძვლიდან გამომდინარე ერთი მოთხოვნა ერთი მოვალის მიმართ.

თუ რა თანმიმდევრობით უნდა შემონმდეს საქმის მონაწილეები და მათი ურთიერთობები, ასევე განისაზღვრება მიზანშეწონილობის პრინციპით და დამოკიდებულია საქმის შინაარსზე. აქ ასევე არსებითია იმის დადგენა, შეიძლება თუ არა რომელიმე პირის მიკუთვნება რომელიმე სხვა მონაწილის მხარეს.

მაგალითი:

მღებავი, ოსტატი „ა“ მიიღებს დავალებას შეღებოს „ბ“-ს სახლის ფასადი. სამუშაოს შესრულებისას „ა“-ს ერთ-ერთი თანამშრომელი (ხელქვეითი) „გ“ დაეჯახება და გადააყირავებს საღებავის ჭურჭელს, რომლის შიგთავსიც დასვრის შემთხვევითი გამვლელის, „დ“-ს ტანსაცმელს. „დ“-ს მოთხოვნები.

„ა“-სა და „დ“-ს შორის, ისევე როგორც „გ“-სა და „დ“-ს შორის მოთხოვნები არ განიხილება სახელშეკრულებო მოთხოვნებად, ვი-

⁶⁶ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. მეხუთე თავის კაზუსები II გვ. 110 და III გვ. 126

ნაიდან მათ შორის არ არსებობს შესაბამისი ხელშეკრულება. თუმცა, „დ“-ს შესაძლოა ჰქონდეს მოთხოვნის უფლება „ა“-სა და „გ“-ს მიმართ დელიქტური ვალდებულებებიდან.

მიზანშეწონილია, შემონემა დავიწყობა სკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნით „გ“-ს მიმართ, ვინაიდან უშუალოდ მან განახორციელა საზიანო ქმედება. „გ“-მ თავისი მართლსაწინააღმდეგო – სულ მცირე, გაუფრთხილებელი – ქმედებით, ზიანი მიაყენა „დ“-ს. ამგვარად, „დ“-ს აქვს მოთხოვნა „გ“-ს მიმართ სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთი ადამიანი თავისი ვალდებულების შესრულებისას იყენებს მეორე ადამიანის დახმარებას, ასევე უნდა განვიხილოთ სკ-ის 997-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის წინაპირობაა, მუშაკის მიერ შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისათვის ბრალეულად ზიანის მიყენება. „გ“-ს მიმართ არსებული მოთხოვნის შემონემა (სკ-ის 992-ე მუხლის ფარგლებში) უკვე დავადგინეთ, რომ მან მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ბრალეულად მიაყენა ზიანი „დ“-ს. შესაბამისად უნდა შევამოწმოთ, არის თუ არა „გ“ „ა“-ს მუშაკი და წარმოიშვა თუ არა ზიანი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. მოცემულ შემთხვევაში ეს ასეა. საქმის შინაარსის მიხედვით, „გ“ არის „ა“-ს თანამშრომელი. ამასთან, მოცემულია ასევე უშუალო კავშირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და ზიანის დადგომას შორის, ვინაიდან „გ“ სწორედ ფასადის ლეხვით იყო დაკავებული, როდესაც მან ნააქცია საღებავის ჭურჭელი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით, „ა“ პასუხს აგებს „გ“-ს მიერ გამოწვეულ ზიანზე. ამგვარად, „ა“ და „გ“ არიან სოლიდარული მოვალეები სკ-ის 998-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით.

II. სტრუქტურა სანივთო უფლებებისა და სხვა საკითხების შემონახვისას

ამოცანა, რომელიც არ ითვალისწინებს ერთი კონკრეტული მოთხოვნის შემონახვას, ვერ შემონადება და განიხილება ზემოთ გადმოცემული პროცედურისა და სტრუქტურის ფარგლებში. ამ კატეგორიას განეკუთვნება სანივთო უფლებებთან, პირის სამემკვიდრეო უფლებებთან და საერთოდ პირის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები.

მაგალითი:

ვინ არის ნივთის მესაკუთრე? არის თუ არა „ა“ მემკვიდრე? შეუძლია თუ არა „გ“-ს „ბ“-სთან დადებული ხელშეკრულებიდან გამოსვლა? შეუძლია თუ არა „დ“-ს ხელშეკრულების მოშლა? რა შეუძლია მოიმოქმედოს „ე“-მ „ფ“-ს წინააღმდეგ? რა უფლებები აქვს „გ“-ს?

მაგალითებში მოყვანილი კონსტელაციების შემთხვევაში რეკომენდირებულია ქრონოლოგიური მიდგომა. ამოსავალი წერტილია ყოველთვის სიტუაცია, როდესაც ჯერ კიდევ ნათელი და უდავოდ დადგენილია სამართლებრივი ვითარება. სწორედ ამ წერტილიდან, მოცემული მოქმედებების საფუძველზე მონმდება სამართლებრივი ვითარების შემდგომი განვითარება.

მაგალითი:

„ა“ არის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ძვირფასი წიგნის მესაკუთრე. წიგნს მოიპარავს „ბ“, რომელიც მას „გ“-ს მიჰყიდის. „გ“-მ თავის მხრივ, არაფერი იცის ქურდობის შესახებ. ვინ არის წიგნის მესაკუთრე?

წიგნის თავდაპირველი მესაკუთრე იყო „ა“. ქურდობის შედეგად „ა“, მართალია, აღარ ფლობს წიგნს, მაგრამ ამით მას არ დაუკარგავს საკუთრების უფლება მასზე. აქ არც გარიგების (სკ-ის 186-ე მუხლი) და არც კანონის ან რაიმე სახელმწიფოებრივი ქმედების (მაგ. იძულებითი აუქციონის გზით საკუთრების უფლების შექნა) საფუძველზე საკუთრების შექნასთან გვაქვს საქმე. ანუ, „ბ“-ს არ შეუძენია საკუთრების უფლება წიგნზე. ხოლო ვინაიდან „ბ“-ს არ ჰქონდა ნივთის განკარგვის უფლებამოსილება, „გ“-ს მხოლოდ კე-

თილსინდისიერად შეედლო ნივთზე საკუთრების უფლების შექმნა (სკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, სკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). საბოლოოდ გადამწყვეტი არ არის, არის თუ არა „გ“ კეთილსინდისიერი შემძენი, ვინაიდან სკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით მოძრავი ნივთების შემძენი ვერ იქნება კეთილსინდისიერი, თუ მესაკუთრეს ეს ნივთი მოპარეს. ამით მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხა ნივთის კეთილსინდისიერი შექმნის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, „ა“ კვლავ რჩება წიგნის მესაკუთრე.

პირველი მაგალითის შემთხვევაში დასმული რომ ყოფილიყო ნივთის უკან გამოთხოვის საკითხი, შესაძლებელი იქნებოდა ორივე სტრუქტურული ფორმის გამოყენება.⁶⁷ მოთხოვნის საფუძველი ამ შემთხვევაში იქნებოდა მაგ. სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი. შესაბამისად, შემონმბეა განხორციელდებოდა მოთხოვნის საფუძვლის აგებულების მიხედვით. ფაქტობრივი ელემენტის – „მესაკუთრე“ შემონმბეა განხორციელდება ზემოთ განხილული ქრონოლოგიის გათვალისწინებით. ყოველივე კი ცხადჰყოფს, რომ ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა სტრუქტურული ფორმა კი არ გამოირიცხავს, არამედ ავსებს ერთმანეთს.

მაგალითი II:

ქვრივი „ვ“-ს გარდაცვალებისას მისი სამი შვილიდან მხოლოდ ერთი ქალიშვილია („გ“) ცოცხალი, რომელსაც ჰყავს ვაჟი „ფ“. ქვრივის ვაჟი „ბ“ უშვილოდ გარდაიცვალა. მის ასევე გარდაცვლილ ქალიშვილს – „ა“-ს დარჩა მეუღლე – „მ“ და ორი შვილი – „დ“ და „ე“. როგორ უნდა შეფასდეს კანონისმიერი მემკვიდრეობის საკითხი „ვ“-ს გარდაცვალების შემდეგ? (იხ. ნახაზი 10).

ნახაზი 10: გენეოლოგიის ხე და ლეგენდა



⁶⁷ იხ. „ტრაქტორი კაზუსი“ გვ. 84

1. კანონით მემკვიდრეობის მიხედვით მემკვიდრეობაზე უფლებამოსილი პირების დადგენა:

სკ-ის 1336-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად მამკვიდრებლის შვილები არიან პირველი რიგის მემკვიდრეები. ანუ, „გ“, როგორც ერთადერთი ცოცხალი შვილი, არის მისი პირველი რიგის მემკვიდრე. სკ-ის 1336-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-4 წინადადების მიხედვით შვილიშვილებს „დ“-სა და „ე“-ს შეუძლიათ დაიკავონ თავიანთი მშობლების ადგილი, თუკი ისინი არიან გარდაცვლილი და სიცოცხლის შემთხვევაში გახდებოდნენ მემკვიდრეები (იხ. ასევე სკ-ის 1336-ე მუხლის 1-ლი ნაწილის პირველი ნაწილის მე-5 წინადადება). ანუ „დ“ და „ე“ ასევე არიან „ვ“-ს მემკვიდრეები. მასასადაამე „გ“, „დ“ და „ე“ არიან „ვ“-ს კანონიერი მემკვიდრეები.

2. სამკვიდროს წილის მიკუთვნება

„ა“-ს წილი – $\frac{1}{2}$, „გ“-ს წილი – $\frac{1}{2}$ (იხ. სკ-ის 1336-ე მუხლი თანასწორ წილთან დაკავშირებით). „დ“-სა და „ე“-ს მიერ სათითოდ გარდაცვლილი „ა“-ს წილის $\frac{1}{4}$ -ის დაკავება – სკ-ის 1336-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-4 წინადადება.

3. შედეგი: „გ“ მიიღებს სამკვიდრო ქონების $\frac{1}{2}$ -ს, ხოლო „დ“ და „ე“ თითოეული – $\frac{1}{4}$ -ს.

წინამდებარე შემთხვევა მემკვიდრეობის სამართლიდან ასევე შეიძლება წარმოადგენდეს ნორმის ერთი ფაქტობრივი ელემენტის შემონმების ფარგლებში განხორციელებულ ნაწილობრივ შემონმებას, ანუ ამ ელემენტის მთლიანი შემონმების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, თუ, მაგალითად, მოთხოვნის არსებობის წინაპირობაა კონკრეტული პირის მემკვიდრეობა.

სხვა საკითხების (შემთხვევათა) კატეგორიაში იგულისხმება რომელიმე აღმჭურველი უფლების არსებობასთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა, მაგალითად: ხელშეკრულებიდან გასვლა, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ. აქ განხილვის საგანია არა ის, თუ რა მოთხოვნები აქვს პირს შესაბამისი აღმჭურველი უფლების განხორციელების შემდეგ⁶⁸, ანუ ის, თუ რა მოჰყვება შესაბამისი აღმჭურველი უფლების განხორ-

⁶⁸ იხ. მაგალითები წინამდებარე თავში ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ ნივთის უკან გამოთხოვასთან – გვ. 46 და ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვასთან დაკავშირებით – I თავი, გვ. 6

ციელებას, არამედ განიხილება, შეუძლია თუ არა საერთოდ პირს ამ აღმჭურველი უფლების განხორციელება. აღმჭურველი უფლების განხორციელების ნამდვილობის შესამოწმებლად (განცხადება, საფუძველი და უფლების გამორიცხვა) მოცემულ კონტექსტში უნდა განიხილოს მხოლოდ უკანასკნელი ორი.

მაგალითი III:

„ა“-მ და „ბ“-მ დადეს ქირავნობის ხელშეკრულება. „ა“ იღებს ვალდებულებას, 2 თვის ვადით გადასცეს „ბ“-ს სარგებლობაში თავისი მოტოციკლი და გადასცემს კიდევ მას. ერთი კვირის შემდეგ „ა“-ს მეორე გასაღების მეშვეობით უკან მოჰყავს „ბ“-ს სახლის წინ მდგომი მოტოციკლი. „ბ“, რომელმაც ყოველივე დაინახა, მოითხოვს „ა“-სგან მოტოციკლის დაბრუნებას, რაზეც „ა“ უარს აცხადებს და ამბობს, რომ არც ერთ შემთხვევაში არ დააბრუნებს მას. შეუძლია თუ არა „ბ“-ს ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა?

სკ-ის 541-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „ბ“-ს შესაძლოა ჰქონდეს ხელშეკრულების მოშლის უფლება. აღნიშნულის წინაპირობაა „ა“-სა და „ბ“-ს შორის ქირავნობის ხელშეკრულების არსებობა და „ბ“-სთვის, როგორც დამქირავებლისთვის ნივთის დაგვიანებით გადაცემა ან შემდგომში მისთვის სარგებლობის უფლების წართმევა. საქმის შინაარსის თანახმად, სახეზეა აღნიშნული წინაპირობები. სკ-ის 541-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებით გათვალისწინებული ვადის განსაზღვრა საჭირო აღარ არის, ვინაიდან „ა“-მ გარკვევით განაცხადა, რომ არც ერთ შემთხვევაში არ დააბრუნებდა მოტოციკლს. აქედან გამომდინარე, „ბ“-ს აქვს ხელშეკრულების მოშლის საფუძველი. ხელშეკრულების მოშლის უფლება არ უნდა იყოს გამორიცხული, რასთან დაკავშირებითაც არანაირი მინიშნება არ არსებობს მოცემულ საქმეში. აქ ასევე არ ვრცელდება მოშლის (როგორც უფლების გამომრიცხავი) ვადები. „ბ“-ს აქვს უფლება, მოშალოს ხელშეკრულება შესაბამისი ვადის დაცვის გარეშე⁶⁹.

⁶⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 541-ე მუხლში შეცდომით საუბარია ხელშეკრულებაზე უარის თქმაზე. სინამდვილეში მუხლი ანესრიგებს ხელშეკრულების მოშლის, ანუ ცალმხრივად მისი შეწყვეტის წინაპირობებს.

III. დასკვნა

ამ თავში განხილული იყო სამოქალაქო სამართლებრივი კაზუსის გადანყვეტის სტრუქტურის სხვადასხვა ასპექტი. თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხები თითოეული სამუშაოსათვის, უმთავრესად დამოკიდებულია კონკრეტულ საქმესა და მის საკვანძო კითხვაზე. ამიტომ განმარტებები გთავაზობთ შესაბამის მოდელს, რამაც ხელი უნდა შეგიწყოს საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებაში. თუ და რამდენად მნიშვნელოვან როლს დაიკავებს ცალკეული ასპექტი თქვენს მიერ კაზუსის გადანყვეტისას, დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე.

თავი IV

კაზუსის დამუშავების მეთოდი

როგორც უკვე წინა თავებში აღინიშნა, სამოქალაქო კაზუსებზე მუშაობის ზემოთ განხილული საკითხების ფარგლებში განსაკუთრებული როლი უკავია სტრუქტურას, სისტემასა და მიზანშეწონილობის პრინციპს. ყოველივე ეს გავლენას ახდენს მუშაობის სტილზეც, რაც შემდეგ თავის მხრივ იხვეწება კონკრეტულ საქმეზე მუშაობისას. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს კაზუსის დამუშავებისთვის გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება⁷⁰ და სამართალგამოყენების მეთოდებისათვის⁷¹ სათანადო პირობების შექმნა, მიზანშეწონილია კაზუსზე მუშაობის ფარგლებშიც ისევ და ისევ სისტემური, გეგმიური მიდგომა. ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც შესაძლებელია კაზუსის დამუშავებისათვის აუცილებელი წესრიგისა და ლოგიკური სტრუქტურის შექმნა.

კაზუსის დამუშავება იყოფა სამ, ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ ეტაპად. ესენია:

- I. ამოცანის ფაქტობრივი გარემოებების (ფაბულის) დამუშავება,
- II. კაზუსის სამართლებრივი გადანწყვეტა,
- III. წერილობითი დასკვნის შედგენა.

წინამდებარე თავში თითოეულ მათგანს განვიხილავთ დეტალურად, ხოლო ასპექტები, რომლებიც უკვე დაწვრილებით არის გადმოცემული წინა თავებში, მხოლოდ დასახელებული იქნება, რათა წარმოჩინდეს მათი ადგილი კაზუსის დამუშავების მეთოდის ფარგლებში.

I. ამოცანის შინაარსის დამუშავება

კაზუსის კარგი და საფუძვლიანი დამუშავების პირველი ეტაპი არის დასმული ამოცანის გულმოდგინედ დამუშავება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც თქვენთვის ნათელი იქნება, თუ რა მოხდა რეალობაში და რა სურთ საქმის მონაწილეებს, შეძლებთ სწორი, არსებითი შეკითხვების განხილვას, პრობლემების იდენტიფიცირებას და ამით, მუშაობისას სწორი მახვილების დასმას. შეიძლება ყოველივე ცოტა ბანალურად ჟღერს,

⁷⁰ იხ. თავი I, გვ. 11

⁷¹ იხ. თავი II, გვ. 17

მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკაში საკმაოდ მარტივი და მცირე მოცულობის კაზუსების შემთხვევებშიც ხშირად ჩანს, რომ მათი დამუშავებისას არ მოხდა ამოცანის სწორად გაგება, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის იურიდიული ცოდნის სწორ გამოყენებას.

ამიტომ, დაუთმეთ სათანადო დრო ამოცანის შინაარსის დამუშავებას და იმუშავეთ გულმოდგინედ. რაც უფრო რთული და ჩახლართულია ამოცანა (რაც დამოკიდებულია მონაწილეებისა და მოქმედებების ასევე მოვლენების რაოდენობაზე), მით უფრო მეტი დრო უნდა დაუთმოთ მისი შინაარსის შესწავლასა და გააზრებას. ეცადეთ, არ აჰყვეთ თქვენს თანაკურსელებს, რომლებიც საგამოცდო წერისას კაზუსის განხილვას იწყებენ გადაწყვეტის სქემის შედგენით. ნამდვილად გასაგები და ბუნებრივია, რომ ამ დროს თქვენც გეუფლებათ სურვილი, სწრაფად შეუდგეთ ასეთ სქემაზე მუშაობას და რაც შეიძლება სწრაფად გაიაროთ შინაარსის გააზრების ეტაპი. თუმცა, გთხოვთ გააცნობიეროთ, რომ სამართლის საკითხების ჩინებული ცოდნის მიუხედავად, თქვენი დასკვნა გამოუსადეგარი იქნება, თუ იგი არ მოიცავს კონკრეტული საქმის პრობლემების განხილვას. მეორე მხრივ, უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ მთელ დროს, ბუნებრივია, ვერ მოახმართ საქმის შინაარსის შესწავლას, ვინაიდან მაშინ ვეღარ მოასწრებთ მის იურიდიულ განხილვას და შესაბამისი დასკვნის დაწერას. ამგვარად, მნიშვნელოვანია გარკვეული ოპტიმალური ბალანსის პოვნა, რომლის წინაპირობაც სამართლის საკითხების ზედმინევენით ცოდნასთან ერთად კაზუსის დამუშავების მუდმივი ვარჯიშისიც არის.

უნივერსიტეტებში გავრცელებული ამოცანები უმეტესად შედგება სამი ნაწილისაგან: კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების (ფაბულის) აღწერა, კაზუსის საკვანძო კითხვა და ზოგ შემთხვევაში, ასევე მითითებები სტუდენტებისთვის.

კაზუსის ფაქტობრივი გარემოებები (ფაბულა)⁷² გადმოგცემს კონკრეტულ სოციალურ ამბავს, საიდანაც განვითარდა კონკრეტული განსახილველი კონფლიქტი. კერძოდ: რა მოხდა, როდის, სად, როგორ და ვინ არიან მონაწილე პირები. ხშირად კაზუსის ფაბულა შესაძლოა მოიცავდეს რამდენიმე ეპიზოდს. თუმცა, არის შემთხვევებიც, როდესაც

⁷² საქმის შინაარსის დამუშავებასთან დაკავშირებით იხ. გვ. 71

წარმოდგენილია ერთი სახის მოქმედების შემცველი კაზუსი და მისი ერთი ვარიაცია (სახეცვლილი შინაარსი)⁷³. თუ ეს ასეა, მაშინ ამოცანის შემდგენს განსაკუთრებული მიზანი ამოძრავებს. კერძოდ: ასეთ შემთხვევებში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ძირითადი კაზუსიც და მისი სახეცვლილი ვარიაციაც უნდა ამოიხსნას იდენტურად.

კაზუსის საკვანძო⁷⁴ კითხვა არის შეკითხვა, რომლითაც სრულდება კაზუსის ფაბულის გადმოცემა, ანუ რომელიც უშუალოდ მოსდევს ფაბულას და განსაზღვრავს კაზუსის დამუშავების მიზანსა და მოცულობას. კაზუსის საკვანძო კითხვა შესაძლოა შედგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით.

მაგალითად:

რა მოთხოვნები აქვს „ა“-ს „ბ“-ს მიმართ? უნდა გადაუხადოს თუ არა „ა“-მ „ბ“-ს 100 ლარი? შეუძლია თუ არა „გ“-ს მოითხოვოს „დ“-სგან მანქანის დაბრუნება? როგორია სამართლებრივი ვითარება? ვინ არის მესაკუთრე? გახდა თუ არა „გ“ „დ“-ს მემკვიდრე? შეუძლია თუ არა „ე“-ს უარი თქვას „ფ“-სთან დადებულ ხელშეკრულებაზე? რა უნდა ვურჩიოთ „გ“-ს?

კაზუსების საუნივერსიტეტო დამუშავების პროცესისთვის ასევე დამახასიათებელია გარკვეული მითითებების მიწოდება სტუდენტებისათვის. ხშირად ამ მითითებებით იზღუდება კაზუსის დამუშავების მოცულობა. აქედან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია მათი გათვალისწინება.

მაგალითად:

1. არ შეამონმოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები.
2. არ შეამონმოთ სამართლის ნორმები, რომლებიც არ შედის სა-
მოქალაქო კოდექსში.

ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ კაზუსის ფაბულისა და ასევე კაზუსის საკვანძო კითხვის დამუშავებასთან დაკავშირებულ საკი-

⁷³ იხ. ასევე მეხუთე თავის პირველი კაზუსის აღწერილობითი ნაწილი, გვ. 100

⁷⁴ კაზუსის საკვანძო კითხვაზე მუშაობასთან დაკავშირებით იხ. ასევე: გვ. 80

თხებს. რაც შეეხება სტუდენტებისათვის მიწოდებულ მითითებებს, აქ პრობლემები ნაკლებია. მნიშვნელოვანია მხოლოდ მათი გათვალისწინება.

1. კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების (ფაბულის) დამუშავება

განსახილველი კაზუსის ფაბულაზე მუშაობა არის იურიდიული საქმიანობის ერთ-ერთი ელემენტარული შემადგენელი ნაწილი. ამიტომ, გთხოვთ, თავიდანვე სათანადო კეთილსინდისიერებით მოეკიდოთ მუშაობის ამ ეტაპს.

საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში თქვენ, წერიტი გამოცდებისა და საშინაო ნაშრომების ფარგლებში, ძირითადად, მოგწოდებათ დადგენილი, უდავო აღწერილობითი ნაწილი ამა თუ იმ კაზუსისა. ანუ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ წარმოდგენილ გარემოებებს მიიჩნევთ მოცემულად და არ აქცევთ ყურადღებას მათ დამტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშულისაგან განსხვავებით, პრაქტიკოს იურისტს მხარეთა განმარტებების ან საქმის მასალების საფუძველზე თვითონ უწევს საქმის შინაარსის დამუშავება⁷⁵. საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში მიღებული გამოცდილება წარმოდგენილი, ანუ უკვე მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების (ფაბულის) დამუშავებასთან დაკავშირებით კარგი წინაპირობაა იმისათვის, რომ ჩამოგვიყალიბდეს გარკვეული ინტუიცია სამართლებრივი პრობლემებისა და შემთხვევათა სხვადასხვა კონსტელაციის ხედვისათვის.

ა) კაზუსის ფაბულის დამუშავების მიზანი

კაზუსის ფაბულაზე ინტენსიური მუშაობა ემსახურება რამდენიმე მიზანს:

- იურისტმა უნდა იცოდეს, თუ რა მოხდა იმ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელიც მან უნდა განიხილოს.
- იურიდიულ დასკვნაზე მუშაობის არსებითი წინაპირობაა კაზუსის ფაბულის გათავისება, რის შედეგადაც მოცემული და მომზადებულია საქმის იურიდიული დამუშავების საფუძველი. კაზუსის ფაბულა უნდა გაიაზროთ მთელი არსებით, სისხლით და ხორ-

⁷⁵ ბოლინგი/ჭანტურია: სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, 2003 წ.

ცით, რისთვისაც, ბუნებრივია, არ არის საკმარისი მისი მხოლოდ გადაკითხვა!

- აუცილებელია კაზუსის ფაბულის სწორი გაგება. ამისათვის თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ მუშაობთ და განიხილავთ სწორედ წარმოდგენილ საქმეს და არა რაიმე მსგავსი შინაარსის სხვა კაზუსს.
- სამართლებრივი შეფასების მოსამზადებლად უკვე ამ ეტაპზე უნდა მოხდეს პრობლემების იდენტიფიკაცია და შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების შეფარდება, მიკუთვნება ცალკეულ პრობლემასთან. ამგვარად, მუშაობის ამ საწყის ფაზაშიც არსებითია ფაქტობრივი მონაცემებისა და გარემოებების ქაოტურ გროვაში შევიტანოთ წესრიგი.

ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევა შეუძლებელია კაზუსის საკვანძო კითხვასთან მუდმივი კონტაქტის, ანუ მიმართების შენარჩუნების გარეშე. ამგვარად, ლოგიკასთან ახლო იქნებოდა კაზუსის ფაბულის განხილვამდე გაგვეაზრებინა კაზუსის საკვანძო კითხვა. თუმცა, არსებობს ბევრი შემთხვევა, სადაც კაზუსის ფაბულის ზედმიწევნით დამუშავების გარეშე შეუძლებელია საკვანძო კითხვის გამოვლენა. ამიტომაც, აქ შერჩეული იქნა პრაქტიკისათვის უფრო დამახასიათებელი და ჩვეული თანმიმდევრობა. **მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ საკვანძო კითხვა და კაზუსის აღწერილობითი ნაწილი მუდმივ კავშირშია ერთმანეთთან და აუცილებელია მათი დანახვა და შეფასება სწორედ ერთმეორედან გამომდინარე.**

ქვემოთ განხილული იქნება კაზუსის ფაბულის დამუშავებასთან დაკავშირებული პრობლემები და მეთოდი. აქ საუბარია მითითებებზე იმასთან დაკავშირებით, თუ რას უნდა მიაქციოთ ყურადღება მუშაობისას, ანუ წარმოდგენილია რეკომენდაციები ამა თუ იმ საკითხზე მუშაობის კუთხით. საბოლოოდ კი, ინტენსიური მუშაობისა და ვარჯიშის შედეგად თქვენ უნდა იპოვოთ საკუთარი სტილი იმისათვის, თუ როგორ მოახერხებთ ფაბულის სწრაფ, მაგრამ საფუძვლიან დამუშავებას.

ბ) კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების (ფაბულის) გააზრება

ფაბულის დამუშავება იწყება მთლიანი ამოცანის ყურადღებით წაკითხვით. აქ ისევ და ისევ მნიშვნელოვანია მიმართება საკვანძო კი-

თხვასთან, ვინაიდან იგი განსაზღვრავს საქმის შინაარსის დამუშავების მიმართულებას.

აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცულობითი შინაარსის მქონე საქმის დამუშავებისას, იმისათვის, რომ შეეძლოთ მომხდარის, არსებული სიტუაციისა და მონაწილე პირების შესახებ პირველი შთაბეჭდილების ჩამოყალიბება. უკვე ამ ეტაპზე რეკომენდირებულია ჩაინიშნოს ფურცელზე ყველანაირი იდეა, ყველაფერი უჩვეულო, სამართლის ნორმები და ა.შ, რაც მოგივთ თავში კაზუსის პირველი ნაკითხვისას. მართალია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამით თქვენ იპოვეთ და შეადგინეთ კაზუსის გადანყვეტის საფუძველი, მაგრამ თქვენ გაქვთ პირველი შეხედულება იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართულებით **შეიძლება** განვითარდეს კაზუსი. რაც მეტად ნავარჯიშები და გამოცდილი ხართ, მით უფრო გაგიადვილდებათ ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაცია.

თუმცა, ზემოთ აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამის შემდეგ კაზუსი ნაკითხვით პირველი შთაბეჭდილებისა და მოსაზრებების საფუძველზე და მათი ზეგავლენის ქვეშ. **იყავით და დარჩით კრიტიკულები თქვენი იდეებისა და მოსაზრებების მიმართ.** წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს იმის საფრთხე, რომ კაზუსის ფაბულის ხელმეორედ ნაკითხვისას იგი წაიკითხვით მხოლოდ თქვენი პირველი შთაბეჭდილების გამყარების და პირველი იდეების ინტერპრეტაციის მიზნით, რაც იწვევს ფაბულის მცდარ აღქმასა და გაგებას.

პირველი ნაკითხვის შემდეგ მოდის ფაბულის აქტიური, ღრმა კითხვის ფაზა. მისი მოცულობიდან და სირთულის ხარისხიდან გამომდინარე, აუცილებელია კაზუსის რამდენიმეჯერ ნაკითხვა. ჩაინიშნეთ ყველაფერი, რაც კი თავში მოგივთ.

ხშირი პრობლემები კაზუსის ფაბულის შესწავლისას:

- კაზუსის ფაბულა და კაზუსის საკვანძო კითხვა არასწორად იქნება ნაკითხული, რის შედეგადაც ხდება ისეთი კაზუსის გადანყვეტა, რომელიც აბსოლუტურად განსხვავებულია გადასანყვეტად წარმოდგენილი კაზუსისაგან.
- წარმოდგენილი კაზუსის ფაბულის ინტერპრეტაციის გზით ჩაენაცვლება სხვა ნაცნობი კაზუსის ფაბულა და შესაბამისად მოხ-

დება ფაბულის დამუშავებაც. ძალზედ იშვიათია, რომ გადასაწყვეტად წარმოდგენილი კაზუსი იმდენად იდენტური იყოს სხვა სტუდენტებისათვის უკვე ნაცნობი კაზუსისა, რომ სრულად შეესაბამებოდეს მას; ამიტომ, ასეთ შემთხვევებში დიდია საფრთხე იმისა, რომ მოცემული კაზუსის ფაბულა ინტერპრეტაციის მეშვეობით გარკვეულწილად მოერგოს ნაცნობი კაზუსის ფაბულას.

ორივე ზემოთ ხსენებულ კონსტელაციაში კაზუსის გადანყვეტა და შესაბამისად, იურიდიული დასკვნა უსარგებლო და გამოუსადეგარია. ამიტომ, ივარჯიშეთ, რომ ნებისმიერ ამოცანას მოეკიდოთ მიუკერძოებლად. ერთი შემთხვევის სრული იდენტურობა მეორესთან თითქმის გამორიცხულია ასევე პრაქტიკაშიც. ბუნებრივია, შეიძლება ერთი და იგივე სამართლებრივი პრობლემა წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა „შინაარსობრივი სამოსით“, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ერთი კონკრეტული შემთხვევის ყველა პრობლემა ზუსტად ისევე იყრიდეს თავს მეორე შემთხვევის ფარგლებში და ამასთან, ისინი ზუსტად ისევე არსებითი და განმსაზღვრელი იყოს ერთი შემთხვევისათვის, როგორც მეორისთვის. ამიტომ, იყავით კრიტიკულები!


გ) კაზუსის ფაბულის ვიზუალიზაცია

კაზუსზე მუშაობისას საქმის უკეთესად გაგებისა და ფაქტების უფრო სწრაფად ხელმისაწვდომობის მიზნით მიზანშეწონილია საქმის შინაარსის სქემის, ნახაზის შედგენა. ამასთან, გთხოვთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ ნახაზის, ანუ სქემის მაღალმხატვრულ დონეზე შედგენას. იგი ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს – კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების (ფაბულის) თვალსაჩინოობას, განსაკუთრებით კი სხვადასხვა პირს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობებისა და მოთხოვნის ფარგლებში რელევანტური ორმხრივი ურთიერთობების წარმოჩენას. არ არსებობს წინასწარ დამტკიცებული სისტემა იმის შესახებ, თუ რომელი სიმბოლოებით უნდა აისახოს ესა თუ ის ურთიერთობა. მნიშვნელოვანია, რომ თქვენთვის გასაგები იყოს თქვენი ნახაზის შინაარსი. შემდეგი მაგალითების შესაბამისი ნახაზები შესაძლოა გამოიყურებოდეს შემდეგნაირად:

მაგალითი I.⁷⁶

ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე „ბ“-მ „ა“-ს უნდა გადაუხადოს 500 ლარი. როდესაც „ა“ ითხოვს შეთანხმებული ფასის გადახდას „ბ“-სგან, ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ სურს აღნიშნული ვალდებულებისა და მის სასარგებლოდ „ა“-ს მიმართ არსებული ვალის დაბრუნების მოთხოვნის გაქვითვა, რომელიც შეადგენს 300 ლარს და რომლის შესრულების ვადა დამდგარია. „ა“ მაინც ითხოვს 500 ლარის გადახდას. აქვს მას ამის უფლება?


ნახაზი 11



მაგალითი II.⁷⁷

ქვრივი „ვ“-ს გარდაცვალებისას მისი სამი შვილიდან მხოლოდ ერთი ქალიშვილია („გ“) ცოცხალი, რომელსაც ჰყავს ვაჟი „ფ“. ქვრივის ვაჟი „ბ“ უშვილოდ გარდაიცვალა. მის ასევე გარდაცვლილ ქალიშვილს – „ა“-ს დარჩა მეუღლე – „მ“ და ორი შვილი – „დ“ და „ე“. როგორ უნდა შეფასდეს კანონისმიერი მემკვიდრეობის საკითხი „ვ“-ს გარდაცვალების შემდეგ?

ნახაზი 12




⁷⁶ იხ. გადანყვეტის სქემა პირველ თავში, გვ. 10

⁷⁷ იხ. გადანყვეტის სქემა მესამე თავში, გვ. 66

მაგალითი III:

„გ“-მ და „ჰ“-მ ტელევიზორის თაობაზე დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც „გ“ იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს შეთანხმებული ფასი, ხოლო „დ“ ვალდებულია გადასცეს „გ“-ს ნივთი და ასევე საკუთრება მასზე. ხელშეკრულების დადების შემდეგ „დ“ თავის მოთხოვნას დაუთმობს „ი“-ს, რის შემდეგაც „ი“ „გ“-სგან ითხოვს შეთანხმებული ფასის გადახდას.

ნახაზი 13**დ) კაზუსის ფაბულის ქრონოლოგიური წარმოდგენა**

ზოგ შემთხვევაში უფრო მარტივია მოვლენების ასახვა ქრონოლოგიური წესრიგის ფარგლებში (მაგ. დროის მაჩვენებელი წრფის მეშვეობით). ეს უმთავრესად ის შემთხვევებია, სადაც ხაზგასმულია მოვლენათა განვითარება დროში. გაითვალისწინეთ, რომ კაზუსის ფაბულაში კონკრეტული ზუსტი თარიღების გამოყენება ხშირად არის მინიშნება იმაზე, რომ საქმე გვაქვს ვადებთან დაკავშირებულ პრობლემასთან.

მაგალითი IV:


„ა“ არის აბონემენტთა გამყიდველი გამომცემლობა „ბ“-ში. სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში „ა“ პირველ მაისს ქუჩაში გამოელაპარაკა „გ“-ს და იქვე დადო მასთან ხელშეკრულება გამომცემლობის ერთ-ერთი ყურნალის აბონირების თაობაზე. მომდევნო დღეს „გ“-მ დააკენა, რომ მას არ სჭირდება ამ გაზეთის აბონემენტი. მან დაწერა წერილი გამომცემლობა „ბ“-ს სახელზე, სადაც

უარი განაცხადა ხელშეკრულებაზე. ცოტა ხნის შემდეგ „გ“ დაეცა და 2 დღით საავადმყოფოში გამწესდა. 5 მაისს „გ“-მ წერილი გადასცა თავის მეგობარ – „დ“-ს და სთხოვა იმავე დღეს მიეტანა წერილი გამომცემლობაში, ვინაიდან მას ჯერ არ შეეძლო სიარული. „დ“ დათანხმდა. მაგრამ მას დაავიწყდა წერილის წაღება და გამომცემლობაში წერილი მიიტანა 10 მაისს. დაიდო თუ არა მოცემულ შემთხვევაში „გ“-სა და გამომცემლობა „ბ“-ს შორის სამართლებრივად ნამდვილი ხელშეკრულება?

მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების ქრონოლოგიური წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგნაირად:

1. 01.05. – ხელშეკრულების დადება
2. 05.05. – „დ“-სთვის წერილობითი უარის გადაცემა
3. 10.05. – წერილის მიტანა გამომცემლობა „ბ“-ში

ნახაზი 14:



ხელშეკრულების ნამდვილობას შესაძლოა ხელს უშლიდეს „გ“-ს უარი. ხელშეკრულების დადებისას გამომცემლობა „ბ“ წარმოდგენილი იყო სათანადოდ უფლებამოსილი „ა“-ს მიერ, სკ-ის 103-ე და მომდევნო მუხლები. სკ-ის 336-ე მუხლის მიხედვით „გ“-ს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ვინაიდან იგი დადებულია ქუჩაში. ნორმის შინაარსის მიხედვით გადამწყვეტია კონტრაჰენტისათვის (ხელშეკრულების პარტნიორისათვის) ხელშეკრულებაზე წერილობითი უარის ჩაბარების ვადა, კერძოდ – ერთი კვირა.⁷⁸ წინამდებარე მაგალითში უარი კონტრაჰენტს ჩაბარდა 10 მაისს, როდესაც „დ“-მ გამომცემლობა „ბ“-ში მიიტანა წერილი. სკ-ის 122-ე მუხლისა და 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში ვადა

⁷⁸ იხ. ლადო ჭანტურია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001, 336-ე მუხლი, გვ. 152.


ამოიწურა 8 მაისს. აქედან გამომდინარე, უარი დაგვიანებით იქნა ჩაბარებული ხელშეკრულების პარტნიორისათვის და შესაბამისად, მას არა აქვს იურიდიული ძალა. ამგვარად, ხელშეკრულება „გ“-სა და გამომცემლობა „ბ“-ს შორის ნამდვილია.

რთული და კომპლექსური ფაბულის მქონე კაზუსების შემთხვევაში, შესაძლოა გამართლებული იყოს ორივე მეთოდის გამოყენება, რათა უფრო თვალსაჩინო იყოს მოცემული კონსტელაციები (ურთიერთობები). პირთა ურთიერთობები თავმოყრილია ნახაზში და წარმოდგენილი და შევსებულია მოვლენათა ქრონოლოგიით.

მაგალითი V:

ფერმერი „ბ“ იყიდის მოვაჭრე „ა“-სგან ტრაქტორს. ისინი შეთანხმდებიან, რომ „ა“ რჩება ტრაქტორის მესაკუთრე მანამ, სანამ „ბ“ არ გადაიხდის შეთანხმებული ფასის ბოლო შენატანს (პერიოდულ გადასახდელს). „ბ“-ს შეექმნება ფინანსური პრობლემები და სურს კრედიტის გამოტანა. ამისათვის იგი „გ“-ს სესხის უზრუნველსაყოფად ტრაქტორს სთავაზობს. „ბ“ და „გ“ შეთანხმდებიან, რომ „ბ“ „გ“-ს უზრუნველყოფის სახით გადასცემს საკუთრებას ტრაქტორზე, ხოლო „ბ“-ს შეეძლება მისი გამოყენება თავის მიწაზე. „გ“-მ არაფერი იცის „ა“-ს უფლებების შესახებ. ერთ ღამეს ტრაქტორს მოიპარავს „დ“, რომელიც მიჰყიდის მას „ე“-ს. „ე“-მ არაფერი იცის ამის შესახებ. ვინაიდან „ბ“ არ ასრულებს თავის ვალდებულებას და არ იხდის პერიოდულ გადასახდელს, „ა“ უარს ამბობს მასთან დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე და ითხოვს „ბ“-სგან ტრაქტორის დაბრუნებას. ტრაქტორი ამ დროისათვის იმყოფება „ფ“-ს სახელოსნოში, რომელმაც „ე“-ს დავალებით უნდა შეაკეთოს იგი. შეუძლია თუ არა „ა“-ს მოსთხოვოს „ფ“-ს ტრაქტორის დაბრუნება?

ნახაზი 15



ქრონოლოგია, მაგალითად:

1. ა –> ბ – ნასყიდობის ხელშეკრულება, პირობადებული საკუთრება, ტრაქტორის გადაცემა „ბ“-სთვის
2. ბ –> გ – საკუთრების გადაცემა ტრაქტორზე, შეთანხმება „გ“-ს მიერ არაპირდაპირი ფლობის შესახებ, „ბ“ – პირდაპირი მფლობელი
3. ქურდობა „დ“-ს მიერ
4. დ –> ე – საკუთრების გადაცემა „ე“-ზე
5. ე –> ფ – ნარდობის ხელშეკრულება, სკ-ის 629-ე მუხლი
6. ა –> ბ – უარი ნასყიდობის ხელშეკრულებაზე

ე) კაზუსების ფაზულის ანალიზი

კაზუსის ფაზულის შესწავლის შემდეგ იწყება მისი უფრო სიღრმისეული დამუშავება, რაც ჯერ კიდევ არ გულისხმობს საქმის სამართლებრივ შეფასებას, არამედ სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიკაციას და ასევე შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების დალაგებას. თუმცა, ზღვარი სამართლებრივ შეფასებასთან აქ გარდამავალია. ფაზულის ანალიზი საჭიროებს სამართლის საკითხების ცოდნას და შესაბამის გამოცდილებას. აღნიშნული პროცესი გადაიზრდება სამართლებრივ განსჯაში.

ზემოთ აღნიშნულის ილუსტრირებისათვის დავუბრუნდეთ ისევ მეხუთე მაგალითს („ტრაქტორის კაზუსი“). ფაზულის ნახაზის (სქემის) მეშვეობით უკვე წარმოჩინდა სხვადასხვა ორმხრივი ურთიერთობები მონაწილეებს შორის. შემდეგში მათ მიეკუთვნება შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამოვლინდეს ამა თუ იმ ურთიერთობის ფარგლებში.

ა->>ბ	ბ->>გ	დ->>ე	ე->>ფ
ნასყიდობის ხელშეკრულება „ა“-ს უარი ხელშეკრულებაზე	საკუთრების გადაცემა - „გ“ – არაპირდაპირი მფლობელი!	საკუთრების გადაცემა - „დ“-ს უფლებამოსილება? (-)	ნარდობის ხელშეკრულება, სკ-ის 629-ე მუხლი
- პირობადებული საკუთრება	- „ბ“-ს უფლებამოსილება?	- კეთილსინდისიერი შექენა?	მენარდეს (ფ)-ს გირავნობის უფლება?
- პერიოდული გადახდა (-)	- კეთილსინდისიერი შექენა არაპირდაპირი ფლობისას?	ვინაიდან საქმე გვაქვს ქურდობასთან	
„ბ“ – მესაკუთრე?	„გ“- მესაკუთრე?	„ე“ – მესაკუთრე?	

ამრიგად, აქ საუბარია კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების დალაგებაზე და ცალკეულ ურთიერთობებსა და სამართლებრივი პრობლემებისადმი მათ მიკუთვნებაზე.

ვ) შესაძლო პრობლემები ფაბულის დამუშავებისას

არსებობს სხვადასხვა ასპექტი, რომლებიც ხშირად პრობლემებს უქმნის სტუდენტს საქმის შინაარსზე მუშაობისას. რამდენიმე მათგანი ქვემოთ არის განხილული.

(1) ხარვეზიანი ფაბულა

თუ გაგიჩნდებათ შეგრძნება, რომ ფაბულა ხარვეზიანია და იგი ღიად ტოვებს კაზუსის გადანყვეტისათვის არსებით ინფორმაციას, მაშინ ხელმეორედ წაიკითხეთ იგი. იქნებ მართლაც ვერ გაიგეთ იგი სწორად და აპირებთ სხვა, მისსგავსებული შინაარსის კაზუსის გადანყვეტას. ხოლო თუ ფაბულას აკლია ფაქტობრივი მონაცემები, მაშინ თქვენ უნდა განმარტოთ იგი, რაც შეიძლება ახლოს რეალურ ცხოვრებასთან. თუ ეს ყოველივე ვერაფერში დაგეხმარათ, მაშინ მიმართეთ ფაბულის შემდგენელს.

მაგალითი:

არ არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, არის თუ არა დაცული ფორმა ისეთი გარიგების დადებისას, რომლისთვისაც სავალდებულოა წერილობითი ფორმა. ასეთ შემთხვევებში შეგვიძლია გამოვიდეთ იქიდან, რომ ფორმა დაცულია (ანუ აღნიშნული საკითხი არ არის პრობლემატური). ამოცანის შემდგენელის სურვილი და განზრახვა რომ ყოფილიყო აღნიშნული საკითხის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად წარმოჩენა, მაშინ აღწერილობით ნაწილში იქნებოდა შესაბამისი მითითებები, მაგალითად, ერთ-ერთი მონაწილის განცხადება ფორმის დაუცველობის შესახებ ან პირდაპირი მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის დაცული ხელშეკრულების სავალდებულო ფორმა.

(2) სამართლებრივი ცნებების გამოყენება

თუ ფაბულაში ნახსენებია სამართლებრივი ცნებები, მაშინ შეგიძლიათ ყველანაირი შემონიშნების გარეშე მოცემულად მიიჩნიოთ შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა. საქმე სხვაგვარად არის ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი ცნება განზრახ არაიურიდიული ენით არის ნახსენები, თუნდაც მხარეების მიერ. თუმცა, აქ უნდა გაითვალისწინოთ, რამდენად (რა მასშტაბით) გამოორიცხავს სამართლებრივი ცნების გამოყენება ფაქტობრივ შემონიშნებას.

მაგალითი:

თუ შინაარსში აღნიშნულია, რომ „გ“-მ და „ი“-მ დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება და საქმის შინაარსიდან გამომდინარე არ არსებობს ვარაუდი იმისა, რომ იყო გარკვეული პრობლემები ხელშეკრულების დადებისას, მაშინ შეგიძლიათ ხელშეკრულება მიიჩნიოთ ნამდვილად. სხვაგვარად არის საქმე, როდესაც, მაგალითად, საქმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ „გ“ იყო შეზღუდულად ქმედუნარიანი. მაშინ ინფორმაცია „ნასყიდობის ხელშეკრულების დადებასთან“ დაკავშირებით იმავდროულად არ ნიშნავს ხელშეკრულების ნამდვილობასაც. ამ შემთხვევაში მოცემულად შეგიძლიათ მიიჩნიოთ ის, რომ „გ“-სა და „ი“-ს შორის არსებობს შეთანხმება და რომ ამ შეთანხმების შინაარსი შეესაბამება ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსს. თუმცა, უნდა შეამონმოთ, რამდენად ნამდვილია აღნიშნული შეთანხმება.

(3) მხარეთა სამართლებრივი მოსაზრებები

ზემოთ აღნიშნულისაგან განსხვავებით, მხარეთა მიერ გამოთქმული სამართლებრივი მოსაზრებები არ არის სავალდებულო. თქვენ უბრალოდ უნდა შეამონმოთ, არის თუ არა სახეზე ასეთი ფაქტები და როგორ უნდა შეფასდეს ისინი. ჩვეულებრივ, როდესაც ფაბულაში მოყვანილია ერთი ან რამდენიმე მხარის სამართლებრივი მოსაზრება, ეს ნიშნავს მითითებას რაიმე პრობლემაზე.

მაგალითი:

ნაკლის მქონე ნივთის მიწოდების საფუძველზე კრედიტორის მიერ შესაბამისი საგარანტიო უფლებების განხორციელების ფარგლებში მოვალე აცხადებს, რომ მისთვის კრედიტორს არ მიუცია ვადა ნაკლის აღმოფხვრისათვის, რაც, მისი აზრით, შეუძლებელს ხდის მის მიმართ საგარანტიო უფლებების განხორციელებას. მოვალის მოსაზრებიდან თქვენთვის მხოლოდ ის არის მნიშვნელოვანი, რომ არ მომხდარა ვადის გათვალისწინება ნაკლის აღმოფხვრისათვის. ხოლო რამდენად იყო აუცილებელი ასეთი ვადის განსაზღვრა და რას იწვევს მისი განუსაზღვრელობა, ეს თქვენი შემონმებისა და განსჯის საგანი უნდა გახდეს.

(4) ნების გამოვლენის განმარტებები⁷⁹

ციტატები ხელშეკრულებიდან ან მხარის ნების სიტყვასიტყვითი გადმოცემა მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა მისი განმარტება.

ნების გამოვლენის განმარტების მიზანია მხარეთა სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ნების დადგენა. აქ არსებობს ორი კონცეფცია. ერთი მხრივ, განმარტება არის მხარის ნამდვილი ნების დადგენის მცდელობა. ეს უმთავრესად ის შემთხვევებია, როდესაც ნების გამოვლენა არ საჭიროებს მიღებას მეორე მხარის მიერ, მაგალითად, როგორცაა ანდერძი. ასეთ შემთხვევებში განმსაზღვრელია ინდივიდის ნამდვილი ნება, ვინაიდან აქ არ არსებობს სხვა პირთა დაცვის ღირსი კანონიერი ინტერესები.

ხოლო, მეორე მხრივ, განმარტების მეშვეობით უნდა დადგინდეს, თუ როგორ შეიძლება იქნას გაგებული ნების გამოვლენა ნებისმიერი ობიექტური მიმღების (ადრესატის) მიერ. ნების გამოვლენის ნამდვილ (სუბიექტურ) ნებას ამ კონსტელაციების ფარგლებში არ ექცევა ყურადღება. ნების გამოვლენის ადრესატის ობიექტური აღქმა, როგორც შეფასების მასშტაბი, ძირითადად, გამოიყენება ისეთი ნების გამოვლენისას, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას. ამ შემთხვევებში სამართლებრივი ბრუნვის ინტერესების დაცვას უპირატესობა ენიჭება ცალკეული პირის ნამდვილი (სუბიექტური) ნების

⁷⁹ სამართლის ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით იხ. თავი II, გვ.31

დადგენის ინტერესთან შედარებით. ამ მიდგომას შეესაბამება ასევე ნორმები შეცილების შესახებ, რომელთა მიხედვითაც, ისეთი ნების გამოვლენისას, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ერთი მხრივ, არ არის არსებითი პირის ნამდვილი ნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა შეცილების წესები. ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს ნების გამოვლენის ინტერესებს იმდენად, რამდენადაც მას გარკვეული წინაპირობების არსებობისას შეუძლია შეცილების გზით გათავისუფლდეს თავისი ნების გამოვლენის შედეგებისგან.

სამოქალაქო კოდექსი შეიცავს სხვადასხვა ნორმას, რომლებიც გვაძლევს მითითებებს ნების გამოვლენის განმარტებისთვის.

მაგალითი:

სკ-ის 52-ე მუხლი – ნების გამოვლენის განმარტება; სკ-ის 337-ე მუხლი – ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების განმარტება; სკ-ის 340-ე მუხლი – შერეული ხელშეკრულებების განმარტება; სკ-ის 345-ე მუხლი – ბუნდოვანი ტექსტის განმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ; სკ-ის 350-ე მუხლი – მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების განმარტება.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ: დაუთმეთ სათანადო დრო ამოცანის ფაბულის დამუშავებას, იმუშავეთ გულდასმით და არასოდეს დაივიწყოთ კავშირი კაზუსის ფაბულასა და საკვანძო კითხვას შორის.

2. მუშაობა საკვანძო კითხვაზე

საკვანძო კითხვა განსაზღვრავს კაზუსზე მუშაობის მოცულობასა და მიზანმიმართულებას. აქედან გამომდინარე, თქვენი განხილვის საგანი უნდა იყოს მხოლოდ ის ასპექტები, რომლებიც აუცილებელი და საჭიროა კონკრეტულ საკვანძო კითხვაზე პასუხის გასაცემად. სხვა დანარჩენი საკითხები ზედმეტია და შესაბამისად, მცდარია მათი განხილვა. ამრიგად, საკვანძო კითხვა არის ამოცანის შემდგენის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც იგი სასურველ მიმართულებას აძლევს კაზუსზე მუშაობის პროცესს.

ა) საკვანძო კითხვის შესწავლა

საკვანძო კითხვა უნდა წაიკითხოთ ასევე მთელი გულისყურით. აუცილებელია მისი რეალური მნიშვნელობის შეცნობა. ამ კონტექსტშიც შეიძლება წარმოიშვას ისეთივე პრობლემები, როგორიც კაზუსის ფაბულაზე მუშაობის დროს. აქ საფრთხე უმეტესად მდგომარეობს იმაში, რომ საერთოდ არ ხდება საკვანძო კითხვის წაკითხვა ან ადგილი აქვს მის არასწორ გაგებას. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც კაზუსზე მომუშავე პირს ჰგონია, რომ მას წინ უდევს ნაცნობი კაზუსი და თვლის, რომ ასევე იცნობს შესაბამის საკვანძო კითხვასაც. ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც სახეზეა იდენტური შინაარსის მქონე კაზუსი, აუცილებელია საკვანძო კითხვის ყურადღებით წაკითხვა. იქნებ ახლა სულ სხვა პრობლემის განხილვა გევალებათ.

საკვანძო კითხვა შეიძლება იყოს შედგენილი სხვადასხვაგვარად. რაც უფრო ზოგადად არის ფორმულირებული კითხვა, მით უფრო მეტად გვმართებს კაზუსის ფაბულაში ჩახედვა, რათა განისაზღვროს საკვანძო კითხვის კონკრეტული შინაარსი. შესაბამისად, მით უფრო მეტი შრომა გვინევს იმისათვის, რომ გავარკვიოთ, საერთოდ რისი კითხვა სურს ამოცანის შემდგენელს.

მაგალითად:

როგორია სამართლებრივი ვითარება? რისი მოთხოვნა შეუძლია „ა“-ს „ბ“-სგან? რას გადაწყვეტს სასამართლო? უნდა გადაიხადოს თუ არა „ა“-მ? რა უნდა ვურჩიოთ „ა“-ს? აქვს თუ არა „ბ“-ს „გ“-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება? ვინ არის მესაკუთრე? არის თუ არა „დ“ მემკვიდრე? რა შეუძლია მოიმოქმედოს „ფ“-მ?

საკვანძო კითხვა ასევე განსაზღვრავს, თუ როგორი უნდა იყოს კაზუსის გადაწყვეტის სტრუქტურა. თუ კითხვა მიმართულია გარკვეული მოთხოვნის არსებობაზე, მაშინ გამოიყენება მოთხოვნაზე ორიენტირებული სტრუქტურა, ხოლო სხვა შემთხვევებში განხილვა უნდა იყოს ქრონოლოგიური აგებულების. ამგვარად, საკვანძო კითხვა განსაზღვრავს დასკვნის, შეფასების წესრიგსა და სტრუქტურას.

ბ) მოთხოვნაზე ორიენტირებული სტრუქტურა

ძირითადად, სამოქალაქო სამართლებრივი კაზუსის განხილვისას შეფასების საგანია მოთხოვნებთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული უნდა შემოწმდეს მოთხოვნაზე ორიენტირებული სტრუქტურის ფარგლებში⁸⁰. საკვანძო კითხვებისათვის, რომელთა მიზანია მოთხოვნის არსებობის გარკვევა, დამახასიათებელია შემდეგი აგებულება:

ვის რა უნდა ვისგან (რის საფუძველზე)?

„ვინ?“ –» ვინ არის კრედიტორი?

„რა?“ –» რა არის მოთხოვნის მიზანი?

„ვისგან?“ –» ვინ არის მოვალე?

„რის საფუძველზე?“ –» მოთხოვნის რომელი საფუძვლის თანახმად შეიძლება არსებობდეს მოთხოვნა?

საკვანძო კითხვის შესწავლის დასასრულს ნათელი უნდა იყოს, ვის რა უნდა ვისგან. ვინაიდან ჩვენ ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ვიმყოფებით ფაქტობრივი გარემოებებისა და მოვლენების დალაგება-სტრუქტურირების ფაზაში, ამიტომ ჯერ სავალდებულო არ არის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვინაიდან მოთხოვნის საფუძვლის განხილვის ფარგლებში სწორედ სამართლის ნორმების არსებით შემოწმებასთან გვაქვს საქმე. საკვანძო კითხვები, რომელთა საგანია მოთხოვნის არსებობა, შესაძლოა სხვადასხვანაირად იყოს ფორმულირებული. აღნიშნული ეხება არა მხოლოდ კითხვის შინაარსს, არამედ ასევე და განსაკუთრებით ფორმულირების სიზუსტეს. რაც უფრო შინაარსობრივად არაზუსტად არის დასმული კითხვა, მით უფრო მეტი შრომა გვინევს მისი დაკონკრეტებისათვის, რაშიც ისევ და ისევ გვეხმარება საქმის შინაარსი.

⁸⁰ იხ. თავი III, გვ. 43

მაგალითი I	ვის	რა	ვისგან	რის საფუძველზე	
შეუძლია თუ არა „ა“-ს სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით 05.05.08-ის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე „ბ“-სგან მოითხოვოს შეთანხმებული ფასი 100 ლარის ოდენობით?	„ა“	შეთანხმებული ფასი 100 ლარის ოდენობით	„ბ“	სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი	085.05.08-ის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე

ეს არის ყველაზე ზუსტად ფორმულირებული საკვანძო კითხვა, რაც კი შეიძლება არსებობდეს. აღნიშნული კითხვა არ ტოვებს იმის შემონმების სივრცეს, თუ რომელ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს უნდა დაეყრდნოს შემონმების პროცესი. შემონმების მიზანი მკაფიოდ არის განსაზღვრული.

მაგალითი II	ვის	რა	ვისგან	რის საფუძველზე
შეუძლია „ა“-ს „ბ“-სგან მოითხოვოს 100 ლარის გადახდა?	„ა“	100 ლარი	„ბ“	?

ამ მაგალითში მოთხოვნის მიზანი იმდენად არის განსაზღვრული, რომ დადგენილია მხოლოდ მისი ოდენობა. ამით არ არის გარკვეული მოთხოვნის სამართლებრივი მიზანი, ანუ რის მოთხოვნაზეა საუბარი ზიანის ანაზღაურების, შეთანხმებული ფასის გადახდის, განეული ხარჯის ანაზღაურების, თუ სხვა რამის მოთხოვნაზე. აქ ნათლად ჩანს მჭიდრო კავშირი კაზუსის ფაბულასთან. მხოლოდ კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რა სამართლებრივ მოთხოვნაზეა საუბარი, ანუ რა არის მოთხოვნის მიზანი და მოთხოვნის რომელი საფუძველი უნდა იყოს მოცემულ შემთხვევაში განხილვის საგანი.

მაგალითი III	ვის	რა	ვისგან	რის საფუძველზე
რისი მოთხოვნა შეუძლია „ა“-ს „ბ“-სგან?	„ა“	?	„ბ“	?

მოცემულ კონსტელაციაში ჯერ უნდა დავადგინოთ, თუ რა არის მოთხოვნის მიზანი, ანუ რომელი სამართლებრივი შედეგია აქ სასურველი თუ სავარაუდო. ამისათვის პირველ ეტაპზე უნდა გამოვავლინოთ კრედიტორის მატერიალური მიზნები. ამ მიზნით, საქმის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს, თუ რა არის კრედიტორისათვის მატერიალურად ყველაზე უფრო ხელსაყრელი კაზუსში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში. ამ მიზნების მეშვეობით (მაგ. ზიანის ანაზღაურება, ნივთის დაბრუნება და ა.შ.) შესაძლებელია მოთხოვნის მიზნის განსაზღვრა. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შერჩევა დამოკიდებულია სწორედ მოთხოვნის მიზნებზე.

ყურადღება მიაქციეთ, რომ, თუ საკვანძო კითხვა მიმართულია ორ კონკრეტულ პირს შორის მოთხოვნათა არსებობაზე, როგორც ეს ზემოხსენებულ მაგალითებშია წარმოდგენილი, მაშინ შემონიშნება უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ამ პირთა (მაგ. „ა“ და „ბ“-ს) სამართლებრივი ურთიერთობით. აღნიშნული ვრცელდება ისეთ შემთხვევებზეც, სადაც მონაწილეობენ ასევე სხვა პირები (მაგ. „გ“ და „დ“).

მაგალითი IV	ვის	რა	ვისგან	რის საფუძველზე
როგორია სამართლებრივი ვითარება?	?	?	?	?

ყველაზე შრომატევადია საკვანძო კითხვაზე (და მთლიანად კაზუსზე) მუშაობა, როდესაც გასარკვევია სამართლებრივი ვითარება. ამ კონსტელაციაში მოიაზრება ყველა მოთხოვნის შემონიშნება, რომლებიც არსებობს კაზუსი ყველა მონაწილეს შორის ან მიმართ. ამისათვის თქვენ მოგიწევთ ცალკეული საკვანძო კითხვის შედგენა თითოეული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. ამისათვის რეკომენდირებულია შემდეგი მეთოდის გამოყენება:

ნაბიჯი I: პირთა იმ ურთიერთდამოკიდებულებათა იდენტიფიცირება, რომლებიც რელევანტურია სამართლებრივი კუთხით (ვის ვისგან?)

აქ დასადაგენია, შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში ვინ არის კრედიტორი და მოვალე. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ერთი და იგივე სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, მოთხოვნის მიზნის მიხედვით, ერთი და იგივე პირები შესაძლოა იყვნენ კრედიტორებიც და მოვალეებიც.

ნაბიჯი II: თითოეული სამართლებრივი ურთიერთობის კრედიტორის მატერიალური მიზნების გამოვლენა.

ნაბიჯი III: მეორე ნაბიჯიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს მოთხოვნის მიზანი (რა?).

ნაბიჯი IV: შესაძლებელია აქვე მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრაც (რის საფუძველზე?).

ზოგ შემთხვევაში კაზუსის ფაბულა სრულდება კითხვით – „სამართლიანია?“ აქ კითხვა, ძირითადად, უკავშირდება უშუალოდ მის წინ მდგომ ინფორმაციასა თუ მოვლენას. შესაბამისად, შემოწმების საგანიც, სამართლებრივი ვითარების სრული გამოკვლევისაგან განსხვავებით, აქ იქნება მხოლოდ ამ წინადადების შინაარსი. თუმცა, შემოწმების დეტალები დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე, ანუ კაზუსის ფაბულაზე.

გ) სხვა კონსტელაციები

ეს ის საკვანძო კითხვებია, რომლებიც მიმართულია, მაგალითად: სანივთო-სამართლებრივ ვითარებაზე, სამემკვიდრეო სტატუსზე, სამართლებრივი ურთიერთობის ან აღმჭურველი უფლების არსებობაზე. ასეთი კითხვები უმთავრესად ფორმულირებულია საკმარისი სიზუსტით, იმისათვის, რომ ნათელი იყოს, თუ რისი შემოწმებაა საჭირო.

მაგალითად:

ვინ არის ნივთის მესაკუთრე? არის თუ არა „ა“ მემკვიდრე? შეუძლია „ბ“-ს „გ“-სთან დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა? შეუძლია „დ“-ს ხელშეკრულების მოშლა? რა შეუძლია მოიმოქმედოს „ე“-ს „ფ“-ს წინააღმდეგ? რა უფლებები აქვს „გ“-ს?

II. კაზუსის სამართლებრივი გადაწყვეტა

ამოცანის შინაარსისა და არსის გარკვევის შემდეგ გადავდივართ კაზუსის გადაწყვეტაზე. აქ რეკომენდირებულია შემდეგი მეთოდით მუშაობა: პირველ ეტაპზე ხდება კაზუსის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ნორმების მოძიება (1), რომლებიც შემდეგ დალაგდება შემონიშნისათვის მიზანშეწონილი თანმიმდევრობით (2), რასაც მოსდევს ნორმების გამოყენება კონკრეტულ კაზუსზე (3) და გადაწყვეტის სქემის (ნახაზის) შედგენა (4).

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ მეხუთე მაგალითის („ტრაქტორის კაზუსი“) ცოტა სახეცვლილი ვარიანტი (ვარიაცია) შემდეგი შინაარსით:

„ტრაქტორის კაზუსი“:

ფერმერი „ბ“ იყიდის მოვაჭრე „ა“-სგან ტრაქტორს. ისინი შეთანხმდებიან, რომ „ა“ რჩება ტრაქტორის მესაკუთრე მანამ, სანამ „ბ“ არ გადაიხდის შეთანხმებული ფასის ბოლო შენატანს (პერიოდულ გადასახდელს). „ა“ დაიტოვებს ტრაქტორის საბუთებს. „ბ“-ს შეექმნება ფინანსური პრობლემები და სურს კრედიტის გამოტანა. ამისათვის იგი „გ“-ს სესხის უზრუნველსაყოფად ტრაქტორს სთავაზობს. „ბ“ და „გ“ შეთანხმდებიან, რომ „ბ“ „გ“-ს უზრუნველყოფის სახით გადასცემს საკუთრებას ტრაქტორზე, ხოლო „ბ“-ს შეეძლება მისი გამოყენება თავის მიწაზე. „გ“-მ არაფერი იცის „ა“-ს უფლებების შესახებ. ვინაიდან „ბ“ არ ასრულებს თავის ვალდებულებას და არ იხდის პერიოდულ გადასახდელს, „ა“ უარს ამბობს მასთან დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე და ითხოვს „ბ“-სგან ტრაქტორის დაბრუნებას. ტრაქტორი ამ დროისათვის იმყოფება „ფ“-ს სახელოსნოში, რომელმაც „ბ“-ს დავალებით შეაკეთა იგი. შეკეთების საზღაური ჯერ გადახდილი არ არის. შეუძლია თუ არა „ა“-ს მოსთხოვოს „ფ“-ს ტრაქტორის დაბრუნება?

1. მნიშვნელოვანი ნორმების მოძიება

ამ ეტაპზე უნდა მოვიძიოთ კონკრეტული კაზუსის გადაწყვეტისათვის საჭირო და მნიშვნელოვანი ყველა ნორმა. პირველ რიგში, ეს არის შე-

დეგის განმსაზღვრელი ნორმები⁸¹, თუკი ისინი არ არის მითითებული კაზუსის საკვანძო კითხვის ფარგლებში, და ასევე მნიშვნელოვანია მოთხოვნის გამომრიცხავი ნორმების⁸² მოძიება.

ა) შედეგის განმსაზღვრელი ნორმები

მოთხოვნის შემოწმების ფარგლებში პირველ ეტაპზე უნდა გამოვლინდეს ყველა მოცემული შემთხვევისათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო მოთხოვნის საფუძველი⁸³. ის, თუ რა არის რელევანტური, გამომდინარეობს კაზუსის საკვანძო კითხვის შინაარსიდან! კონკრეტული კაზუსის შესაბამისი მოთხოვნის საფუძველი, მის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის სახით შეიცავს აბსტრაქტულ პასუხს კაზუსის საკვანძო კითხვაზე. ამრიგად, მოთხოვნის საფუძველით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული მოთხოვნის მიზანს (ზიანის ანაზღაურება, ნივთის დაბრუნება და ა.შ.). ამდენად, სამართლის ნორმათა პირველადი შერჩევა ხდება სწორედ ცალკეული მოთხოვნის საფუძველის სამართლებრივი შედეგის⁸⁴ მიხედვით.

მაგალითი:

წინამდებარე „ტრაქტორის კაზუსში“⁸⁵ საუბარია ნივთის დაბრუნების მოთხოვნაზე, რომლის ფარგლებშიც განიხილება შემდეგი ნორმები:

- სკ-ის 160-ე მუხლი, კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა,
- სკ-ის 163-ე მუხლის პირველი ნაწილი, კეთილსინდისიერი მფლობელის ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ,
- სკ-ის 164-ე მუხლის პირველი წინ. კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა არაუფლებამოსილი არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ,

⁸¹ იხ. ასევე გვ.11

⁸² იხ. ასევე გვ.11

⁸³ იხ. თავი III, გვ. 45

⁸⁴ ნორმის აგებულებასთან დაკავშირებით იხ. თავი II, გვ. 18

⁸⁵ კაზუსის შინაარსი იხ. გვ. 84

- სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი, მესაკუთრის მიერ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა,
- სკ-ის 352-ე მუხლი, უკან დაბრუნების მოთხოვნა ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში,
- სკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილი, მჩუქებლის მიერ მძიმე მდგომარეობაში ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა,
- სკ-ის 715-ე მუხლის პირველი ნაწილი, მარნმუნებლის მიერ დავალების შესასრულებლად გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნა,
- სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი, უსაფუძვლო გამდიდრება შესრულების გამო,
- სკ-ის 991-ე მუხლი, უსაფუძვლო გამდიდრება სხვა საფუძვლით,
- სკ-ის 992-ე მუხლი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დელიქტური ვალდებულებების ფარგლებში (შესაძლოა მდგომარეობდეს ასევე ნივთის უკან დაბრუნებაშიც).

ნორმათა ეს თავდაპირველი ნაკრები უნდა შემცირდეს ცალკეული მოთხოვნის საფუძვლის დისპოზიციის (ფაქტობრივი ელემენტების) შესაბამისად. თუ, წინამდებარე მაგალითის მსგავსად, ნათელია, რომ მხარეებს, ანუ აქ – „ა“-სა და „ფ“-ს შორის არ ჰქონია ადგილი არც ხელშეკრულებაზე უარის თქმას, არც ჩუქებას და არც დავალების მიცემას, მაშინ გამოირიცხება შესაბამისი დისპოზიციის შემცველი ნორმები.

ამრიგად, „ტრაქტორის კაზუსში“ დარჩება მოთხოვნის შემდეგი საფუძვლები:

- სკ-ის 160-ე მუხლი, კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა,
- სკ-ის 163-ე მუხლის პირველი ნაწილი, კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ,
- სკ-ის 164-ე მუხლის პირველი წილი. კეთილსინდისიერი მფლობელის ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა არაუფლებამოსილი არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ,
- სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი, მესაკუთრის მიერ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა,

- სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი, უსაფუძვლო გამდიდრება შესრულების გამო,
- სკ-ის 991-ე მუხლი, უსაფუძვლო გამდიდრება სხვა საფუძვლით,
- სკ-ის 992-ე მუხლი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დელიქტური ვალდებულებების ფარგლებში (შესაძლოა მდგომარეობდეს ასევე ნივთის უკან დაბრუნებაშიც).

შემთხვევათა სხვა კონსტელაციების ფარგლებში, სადაც არ არის არსებითი მოთხოვნის არსებობის შემოწმება, უნდა მოხდეს სამართლის იმ ნორმების მოძიება, რომლებიც ადასტურებს შესაბამის უფლებას ან უშუალოდ ანესრიგებს კაზუსის საკვანძო კითხვით დასმულ საკითხს.

ბ) მოთხოვნის გამომრიცხავი ნორმები

გადანყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი და არსებითი ნორმების კატეგორიას, გარდა მოთხოვნის საფუძვლის განმსაზღვრელი ნორმებისა, განეკუთვნება ასევე ნორმები, რომლებიც ხელს უშლის მოთხოვნის წარმოშობას, წყვეტს ან აბრკოლებს მას⁸⁶ ან უპირისპირდება რაიმე სხვა უფლების წარმოშობას. ის, თუ რომელი ნორმები შეიძლება იყოს რელევანტური კონკრეტულ შემთხვევაში, გამომდინარეობს კაზუსის ფაბულიდან.

„ტრაქტორის კაზუსში“⁸⁷ გასათვალისწინებელია შემდეგი ნორმები:

- სკ-ის 187-ე მუხლი, კეთილსინდისიერი შემძენი, ვინაიდან ამ გზით „ა“-მ შესაძლოა დაკარგა საკუთრება;
- სკ-ის 634-ე მუხლი, მოძრავ ნივთებზე გირავნობის უფლება, ვინაიდან აღნიშნული შესაძლოა ასაბუთებდეს „ფ“-ს მიერ ნივთის ფლობის უფლებას.

რელევანტური ნორმების მოძიებისას ყურადღებით იკითხეთ კანონი. წაიკითხეთ სამართლის ნორმები მთლიანად და არა მხოლოდ მისი პირველი ნაწილი. ერთი მხრივ, მუხლის მომდევნო ნაწილები ხშირად შეიცავს გამონაკლისებს მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული წესის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, ხშირად ჩნდება-ხოლმე მცდარი ვარაუდი იმისა, რომ პირისათვის ცნობილია ნორმის მთელი შინაარსი, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. უმჯობესია, თუ ნორმის სრული ში-

⁸⁶ იხ. მაგალითები მესამე თავში, გვ.59-62

⁸⁷ კაზუსის შინაარსი იხ. გვ. 84

ნაარსის გაცნობის შემდეგ ასევე ნავიკითხავთ მის წინა და მომდევნო მუხლებსაც, ვინაიდან ხშირად ეს მუხლები შეიცავს დამატებით მნიშვნელოვან დებულებებს.

მაგალითი:

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები, სკ-ის 352-ე და მომდევნო მუხლები. სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილი აწესრიგებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგს და ამისათვის ითვალისწინებს ერთ პირობას. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას განსაზღვრავს სკ-ის 355-ე მუხლი. სკ-ის 356-ე მუხლი ადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადას, ხოლო სკ-ის 358-ე მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამომრიცხავ გარემოებებს და ა.შ.

ვინაიდან თქვენ, განსაკუთრებით წერილი გამოცდისას, გაქვთ მკაცრად ლიმიტირებული დრო, თქვენთვის უკვე ნაცნობი უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის ძირითადი ნორმები. არასახარბიელოა, როდესაც საგამოცდო წერისას პირველად მოგიწევთ შესაბამისი ნორმის წაკითხვა, თუმცა, ასეთ შემთხვევას ყოველთვის ვერ ავცდებით. ამიტომ, კანონით მუშაობისას დაუთმეთ სათანადო დრო ნორმების გულისყურით წაკითხვას. ეს იმავდროულად იქნება გარკვეული მომზადება წერილი გამოცდისათვის.

2. მოძიებული ნორმების დალაგება თანმიმდევრობით

ყველა მნიშვნელოვანი ნორმის მოძიებისა და ჩანიშვნის შემდეგ საჭიროა მათი დალაგება გარკვეული თანმიმდევრობით. ამა თუ იმ ურთიერთობის უშუალოდ მომწესრიგებელი მოთხოვნის საფუძვლები უნდა მიეკუთვნოს კაზუსის მონაწილეთა შორის არსებულ შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობებს. თუ რამდენიმე ნორმა ექვემდებარება მოთხოვნის ერთი და იგივე მიზანს, მაშინ მათი შემონმების თანმიმდევრობა განისაზღვრება მიზანშეწონილობის პრინციპის მიხედვით⁸⁸. უფლების გამომრიცხავი ნორმები მიეკუთვნება შესაბამისი უფლების განმსაზღ-

⁸⁸ იხ თავი III, გვ. 48

ვრელ ნორმებს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ერთი უფლების გამომრიცხავ ნორმას ერთი სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში შეიძლება რამდენიმე მოთხოვნის საფუძველზე ჰქონდეს გავლენა.

მაგალითი:

„ტრაქტორის კაზუსის“⁸⁹ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძველების შემონება წარიმართებოდა შემდეგი რიგითობით:

სანივთო მოთხოვნები:

- სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, მესაკუთრის მიერ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა,
- სკ-ის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ,
- სკ-ის 164-ე მუხლის 1-ლი წინ. კეთილსინდისიერი მფლობელის ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა არაუფლებამოსილი არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ,
- სკ-ის 160-ე მუხლი, კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა.

წინამდებარე შემთხვევაში უნდა დავინწყოთ სანივთო მოთხოვნებით, ვინაიდან „ა“-სა და „ფ“-ს შორის არ არსებობს სახელშეკრულებო ან სახელშეკრულებო მსგავსი რაიმე ურთიერთობა. ამ მოთხოვნების ფარგლებში, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ვინაიდან ნივთის დაბრუნების მოთხოვნის ფარგლებში ის არის ყველაზე ძლიერი სანივთო მოთხოვნა. სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფარგლებში შესაძლებელია იმის დადგენა, ისევე არის თუ არა „ა“ ტრაქტორის მესაკუთრე. სკ-ის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 164-ე მუხლის 1-ლი ნაწილი შინაარსობრივად შეესაბამება სკ-ის 172-ე მუხლის 1-ელ ნაწილს, ხოლო თავის მხრივ, სხვა არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. შესაბამისად, არ არის საჭირო მათი ცალკე შემოწმება. იმ

⁸⁹ კაზუსის შინაარსი იხ. გვ. 84

შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ „ა“ აღარ არის ნივთის მესაკუთრე, შესაძლოა სკ-ის 160-ე მუხლიც ასაბუთებდეს ნივთის დაბრუნების მოთხოვნას.

უსაფუძვლო გამდიდრება:

- სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, უსაფუძვლო გამდიდრება შესრულების გამო,
- სკ-ის 991-ე მუხლი, უსაფუძვლო გამდიდრება სხვა საფუძვლით.

მოთხოვნა დელიქტური ვალდებულებებიდან:

- სკ-ის 992-ე მუხლი.

3. ნორმების გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაზე

შემდეგ ფაზაში სამართლის ნორმები სუბსუმციის მეშვეობით უნდა მოერგოს კონკრეტულ შემთხვევას. ამასთან, მოთხოვნის შემოწმების ფარგლებში გასათვალისწინებელია ცალკეული მოთხოვნის შემოწმების სტრუქტურა (აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ მეორე და მესამე თავები).

4. გადანყვეტის სქემის შედგენა

წერილობითი დასკვნის შედგენამდე კაზუსი სრულად უნდა ამოიხსნას. ამისათვის გამოიყენება თეზისების მსგავსი ჩამონათვალი – ე.წ. გადანყვეტის სქემა, რომელიც მიჰყვება იურიდიული დასკვნის სტრუქტურას⁹⁰. იგი წარმოადგენს წერილობითი დასკვნის აზრობრივ ხერხემალს. აღნიშნული სქემის ფარგლებში სამართლის ნორმები და მათი ყველა ფაქტობრივი ელემენტი უნდა დამუშავდეს სათითაოდ. სუბსუმცია და განსაკუთრებით მისი შედეგი უნდა დაფიქსირდეს თეზისების სახით. იმავე ფორმით უნდა აღინიშნოს ამა თუ იმ საკითხთან არსებული აზრთა სხვადასხვაობანი და მათ შესახებ მიღებული გადანყვეტილებები. გადანყვეტის სქემის ბოლოს მოცემულია კაზუსის გადანყვეტა (შედეგი).

როდესაც წერიტი გამოცდისას „ცაიტნოტის“ შეგრძნების გამო იხრებით იქითკენ, რომ არ დაასრულოთ გადანყვეტის სქემის შედგენა, აიძულეთ საკუთარი თავი, რომ ბოლომდე გაიაზროთ კაზუსი. არ მიაქციოთ

⁹⁰ იხ. თავი III, გვ. 43

ყურადღება იმ გარემოებას, რომ თქვენს თანაკურსელებს შესაძლოა უკვე დაწყებული ჰქონდეთ დასკვნის წერა. თქვენ უნდა შეაფასოთ კაზუსის პრობლემები და სწორად დასვათ მახვილები. ეს კი შეუძლებელია კაზუსის სრულად გადანყვევების გარეშე. თუ ატყობთ, რომ დიდხანს გაჩერდით ერთ საკითხზე და წინ ვეღარ მიდისართ, ნუ დაყოვნდებით, გააგრძელეთ შემონმება სხვა ადგილას და მოგვიანებით დაუბრუნდით ისევ ღიად დატოვებულ პრობლემას.

სანამ დაიწყებთ დასკვნის წერას, კიდევ ერთხელ შეამონმეთ თქვენი ნამუშევარი. შეცდომები, რომლებსაც უკვე დასკვნის წერის დროს აღმოაჩენთ, ძნელი გასასწორებელი იქნება. ერთხელ დანერილის შესწორებას ძალიან დიდი დრო მიაქვს, რაც წერით გამოცდაზე ყოველთვის შეზღუდულია (კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ არ უნდა ჩაიხედოთ თქვენს მეზობლად მჯდომი თანაკურსელის გადანყვევების სქემაში).

„ტრაქტორის კაზუსის“ გადანყვევების სქემა:⁹¹

ა. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით

1. მოთხოვნის წარმოშობა

წინაპირობა: „ა“ – მესაკუთრე, „ფ“ – მფლობელი, „ფ“ს არ უნდა ჰქონდეს ფლობის უფლება

1. „ა“ – მესაკუთრე

თავდაპირველად „ა“ იყო მესაკუთრე

ა) საკუთრების გადასვლა „ბ“-ზე სკ-ის 186-ე მუხლი 1-ლი ნაწილის მიხედვით

წინაპირობა: ნამდვილი უფლება, ნივთის გადაცემა, გამსხვისებლის უფლებამოსილება ნივთზე

(-), შეთანხმება პირობადებულ საკუთრებასთან დაკავშირებით სკ-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით – შეთანხმებული ფასი არ არის სრულად გადახდილი, ამასთან, „ა“-ს უარი ხელშეკრულებაზე –» არ არის სახეზე საკუთრების გადასვლის წინაპირობა

ბ) საკუთრების გადასვლა „გ“-ზე

(1) საკუთრების შეძენა გარიგების საფუძველზე სკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით

⁹¹ კაზუსის შინაარსი იხ. გვ. 84

წინაპირობა: ნამდვილი უფლება, ნივთის გადაცემა, გამსხვიებლის უფლებამოსილება ნივთზე

- შეთანხმება „ბ“-სა და „გ“-ს შორის (+)

- ნივთის გადაცემა? – პირდაპირ ფლობაში (-), მაგრამ სკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საკმარისია ხელშეკრულების გაფორმება, რომლის მიხედვითაც „ბ“ ინარჩუნებს პირდაპირ მფლობელობას და „გ“, როგორც შემძენი მიიღებს არაპირდაპირ მფლობელობას.

- „ბ“-ს უფლებამოსილება ნივთზე (-), „ბ“-ს არც საკუთრება შეუძენია ტრაქტორზე და არც სხვაგვარად მიუღია „ა“-სგან შესაბამისი უფლებამოსილება

- შუალედური შედეგი: საკუთრების შექმნა გარიგების საფუძველზე (-)

(2) კეთილსინდისიერი შექმნა სკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 187-ე მუხლის მიხედვით

წინაპირობა: სახეზე უნდა იყოს გარიგების საფუძველზე საკუთრების შექმნის წინაპირობები, გარდა ნივთზე უფლებამოსილებისა, ასევე სახეზე უნდა იყოს „გ“-ს კეთილსინდისიერება აღნიშნული უფლებამოსილების მიმართ

პრობლემა: „გ“-ს კეთილსინდისიერება – სკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება: თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვიებელი არ იყო მესაკუთრე

- უფლებამოსილების არარსებობის ცოდნა (-)

- უფლებამოსილების ცოდნის ვალდებულება? (+), – თუ „გ“ გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, შეეძლო მიმხვდარიყო, რომ „ბ“ არ იყო მესაკუთრე – აქ: „ბ“-ს არ წარმოუდგენია ტრაქტორის საბუთები – გარდაუვალი დაეჭვება იმის თაობაზე, არის თუ არა „ბ“ მესაკუთრე

- კეთილსინდისიერება (-)

(3) შუალედური შედეგი

„გ“-ზე საკუთრება არ გადასულა

გ) საკუთრების გადასვლა „ფ“-ზე

(-), ნარდობის ხელშეკრულების დადება სკ-ის 629-ე მუხლის გაგებით არ ეხება „ა“-ს, როგორც მესაკუთრის, უფლებებს.

2. „ფ“ – მფლობელი

(+), ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, სკ-ის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

3. „ფ“-ს არ უნდა ჰქონდეს ფლობის უფლება

სკ-ის 634-ე მუხლით გათვალისწინებული გირავნობის უფლება არის ფლობის უფლების საფუძველი – ამასთან, აქ მნიშვნელობა არა აქვს „ბ“-ს უფლებამოსილებას ნივთზე

წინაპირობა: ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეუსრულებელი მოთხოვნა, შეკეთებული ნივთის ფლობა – აქ: (+)

სკ-ის 634-ე მუხლით გათვალისწინებული გირავნობის უფლება (+), ძალაშია ასევე „ა“-ს მიმართ

4. შუალედური შედეგი: არ წარმოიშვა მოთხოვნა სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ვინაიდან „ფ“-ს აქვს ფლობის უფლება.

II. შედეგი: „ა“-ს არა აქვს ტრაქტორის დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

ბ. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 164-ე მუხლის 1-ლი წინადადების მიხედვით

ასევე არ არსებობს ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 164-ე მუხლის 1-ლი წინადადების მიხედვით, მართალია, „ა“ არის უფლებამოსილი აღნიშნული ნორმების გაგებით, მაგრამ „ფ“ არის კანონიერი მფლობელი.

გ. კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა, სკ-ის 160-ე მუხლი

წინაპირობა: „ა“ – კეთილსინდისიერი შემძენი სკ-ის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მფლობელობის დაკარგვა – (-)

დ. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით

წინაპირობა: რაიმეს გადაცემა ვალდებულების შესრულების მიზნით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, (-), არ არის სახეზე შესრულება ა –» ფ

ე. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 991-ე მუხლის მიხედვით
წინაპირობა: რაიმეს მიღება სხვა საშუალებით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, (-) გირავნობის უფლება – სამართლებრივი საფუძველი ნივთის მფლობელობაში დასატოვებლად

ვ. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით მართლსაწინააღმდეგეო ქმედება, ბრალეულობა, ზიანი (-), გირავნობის უფლება ანიჭებს „ბ“-ს ფლობის უფლებას, აქედან გამომდინარე არ არის სახეზე მართლსაწინააღმდეგო ქმედება

ზ. საბოლოო შედეგი: „ა“-ს არა აქვს ტრაქტორის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება

III. წერილობითი დასკვნის შედგენა

საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში კაზუსის დამუშავების მიზანია იურიდიული დასკვნის შედგენა, ანუ იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის წერილობით ჩამოყალიბება. დასკვნა არის გადაწყვეტის სქემის საფუძველზე შედგენილი სრული, თხრობითი ტექსტი. თუმცა, შესაძლებელია, რომ გადაწყვეტის სქემაში მნიშვნელოვნად მიჩნეული სამართლებრივი ნორმის განხილვა აღარ მოხდეს წერილობით დასკვნაში. ეს ის შემთხვევებია, როდესაც კაზუსის განხილვისას გამოვლინდება, რომ ესა თუ ის ნორმა ამოცანის გადაწყვეტისათვის არ არის მნიშვნელოვანი.

სტრუქტურასთან, შემონმების რიგითობასთან და მსგავს საკითხებთან დაკავშირებული განმარტებები არ აისახება არც გადაწყვეტის სქემაში და არც იურიდიულ დასკვნაში. ისინი თავისთავად დამახასიათებელია ლოგიკურად სტრუქტურირებული გადაწყვეტისათვის. კაზუსის გადაწყვეტის წერილობითი ფორმა არის იურიდიული დასკვნა. ამრიგად იგი იწერება დასკვნის სტილით.

1. დასკვნის სტილი

როგორც უკვე პირველ თავში აღინიშნა⁹², აქ საუბარია აზროვნების მოდელზე. კონკრეტული კითხვიდან (ამოცანიდან) იურიდიული მეთოდების მეშვეობით სისტემურად, სტრუქტურირებულად ხდება შედეგის შემუშავება. შედეგი დგას შემონმების ბოლოს. იმისათვის, რომ გასაგები იყოს აღნიშნული აზროვნების მოდელი, აუცილებელია მისი

⁹² იხ. თავი I, გვ. 4

შესაბამისობაში მოყვანა ენობრივ ფორმულირებასთან. აღნიშნული გამოიხატება თურმეობითი ფორმით და ასევე იმ ფორმით, რომელიც შესაძლებელს ხდის გადანყვეტის ფარგლებში შედეგის ძიებას.

განსაკუთრებით დამწყებებმა ყოველთვის უნდა გამოიყენონ დასკვნის სტილი. უფრო მეტი გამოცდილების მქონე პირთათვის კი შესაძლებელია დასკვნის სტილისა და გადანყვეტილების სტილის შერეული ფორმის გამოყენებაც. ეს იმას ნიშნავს, რომ სტრუქტურა და ფორმულირებები უმთავრესად შედგენილია დასკვნის სტილით, ხოლო ნაკლებად პრობლემატური საკითხების განხილვა შეიძლება გადანყვეტილების სტილში. საკუთარ თავთან ბეჯითი მუშაობისა და ბევრი ვარჯიშის შედეგად, დროთა განმავლობაში ყალიბდება ინტუიცია, რომელიც გვეხმარება იმის გარკვევაში, თუ სად რომელი სტილი უნდა იქნას გამოყენებული.

ა) სუბსუმციის წარმოდგენა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასკვნა გამომდინარეობს სანყისი კითხვიდან. ვიზუალურად ამ კითხვის შინაარსი წარმოდგენილია სათაურის სახით, რომელსაც მოსდევს მთავარი წინადადება. იგი წარმოდგენილია თურმეობით ფორმაში და შეიცავს შესაძლო სამართლებრივ შედეგს – დადებითი პასუხი სანყის კითხვაზე. შემდეგ მოცემულია ის წინაპირობები, რომელთა არსებობაც აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის. ამით თქვენ განსაზღვრავთ თქვენი განხილვის (შემონმების) ფარგლებს და ასევე აცნობთ მკითხველს, თუ რა არის თქვენი შემდეგი ნაბიჯი. ამგვარად, თქვენ ახდენთ დასკვნის სტრუქტურირებას, რისი მეშვეობითაც დასკვნა იმავდროულად ხდება მეტად თვალსაჩინო. სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელი წინაპირობების ჩამოთვლის შემდეგ საჭიროა ამ წინაპირობების დაკონკრეტება და სათითაოდ შემონმება. ყოველი ცალკეული შემონმების ბოლოს დგას თქვენი მსჯელობის შედეგი.

განთავსება/ადგილი დასკვნაში	ფორმულირების ალტერნატივა
სანყისი კითხვა	სათაური, მაგ: ა. 200 ლარის გადახდის მოთხოვნა

<p>მთავარი წინადადება</p>	<p>„ა“-ს შესაძლოა ჰქონდეს „ბ“-ს მიმართ XXX-ის მოთხოვნის უფლება სკ-ის XX-ე მუხლის საფუძველზე. „ა“-ს შესაძლოა აქვს „ბ“-ს მიმართ XXX-ის მოთხოვნის უფლება სკ-ის XX-ე მუხლის საფუძველზე. განიხილება „ა“-ს მიერ XXX-ის მოთხოვნის უფლება სკ-ის XX-ე მუხლის საფუძველზე.</p>
<p>მთავარი წინადადების წინაპირობების განსაზღვრა</p>	<p>ამისათვის აუცილებელია, რომ ... აღნიშნულის წინაპირობაა ... მოთხოვნის არსებობისათვის ... მოთხოვნა სახეზეა, როდესაც ... ამისათვის ...</p>
<p>ქვემდგომი წინადადება</p>	<p>კონკრეტულ შემთხვევაში ... (მოხდა ესა და ეს). წინამდებარე შემთხვევაში ... (X-მა ესა და ეს გააკეთა). საქმის შინაარსის მიხედვით ... (მოხდა ესა და ეს).</p>
<p>დანაწერებული სუბსუმციის შედეგი</p>	<p>აქედან გამომდინარე ... ამგვარად/მაშასადამე/ამით მოცემულია/სახეზეა ფაქტობრივი ელემენტი. აქედან გამომდინარე, დადგენილია, რომ...</p>
<p>მთლიან ნორმასთან დაკავშირებული შედეგი</p>	<p>აქედან გამომდინარე ... ამგვარად/მაშასადამე/ამით სახეზეა მოთხოვნა სკ-ის XX-ე მუხლის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, დადგენილია, რომ „ა“-ს აქვს „ბ“-ს მიმართ XXX-ის მოთხოვნის უფლება სკ-ის XX-ე მუხლის საფუძველზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, „ა“-ს აქვს „ბ“-ს მიმართ XXX-ის მოთხოვნის უფლება სკ-ის XX-ე მუხლის საფუძველზე.</p>

ვინაიდან მოთხოვნის გამომრიცხავი ნორმები განიხილება შესაბამისი მოთხოვნის საფუძვლის ფარგლებში, მათი გამოყოფა აღარ ხდება ცალკე სათაურით.

ბ) აზრთა სხვადასხვაობის წარმოდგენა

დასკვნაში აზრთა სხვადასხვაობის წარმოდგენა, კაზუსის განხილვის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია. სამართლის ნორმის ფაქტობრივი ელემენტების ინტერპრეტაციასთან და შეფასებასთან დაკავშირებით ჩვეულებრივ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. თუ სუბსუმციის ფარგლებში განიხილება ასეთი კრიტიკული საკითხი, საჭიროა მისი გამოყოფა სადავო საკითხად, რათა მკითხველისათვის გასაგები იყოს, რაში მდგომარეობს პრობლემა. შემდეგ ხდება მეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრებებისა და კონკრეტულ შემთხვევაზე მათი გავლენის წარმოჩენა.

თუ ყველა მოსაზრება მიდის ერთ შედეგამდე, მაშინ აღარ არის აუცილებელი, რომ დასკვნის ავტორი მიემხროს რომელიმე მათგანს, ვინაიდან ისინი არანაირ გავლენას არ ახდენენ შედეგზე. პირიქით: რომელიმე აზრის გამოყოფა აქ მცდარიც კი იქნებოდა, ვინაიდან მას არ მივყავართ კაზუსის თავისებურ გადანყვეტამდე და ამგვარად, ზედმეტია აღნიშნული აზრთა სხვადასხვაობის გადანყვეტის მცდელობა.

არსებული აზრთა სხვადასხვაობის გადანყვეტა საჭიროა მაშინ, როდესაც ერთ-ერთ მოსაზრებაზე დაყრდნობას განსხვავებულ შედეგამდე მივყევართ. ამ შემთხვევაში დასკვნის ავტორი უნდა მიემხროს ერთ-ერთ ალტერნატივას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციის სახით, გთავაზობთ აბსტრაქტულ სქემას, რომელიც დახმარებას გაგიწევთ აზრთა სხვადასხვაობის წარმოდგენაში:

განთავსება/ადგილი დასკვნაში	ფორმულირების ალტერნატივა
სადავო საკითხის წამოჭრა	<p>აქ პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: ამა და ამ მიზეზით. პრობლემატური შეიძლება იყოს განსახილველია, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული ფაქტობრივი ელემენტი.</p>

სხვადასხვა მოსაზრების წარმოდგენა	
მოსაზრება პირველი	<ul style="list-style-type: none"> - მოსაზრების შინაარსის გადმოცემა - შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ... - შესაძლოა გამოვიდეთ იქიდან, რომ ... - მოსაზრების გავლენა კონკრეტულ შემთხვევაზე - აღნიშნულის შედეგად ... - აღნიშნული მოსაზრების მიხედვით... - ამრიგად, წინამდებარე შემთხვევაში შედეგად მივიღებთ ... - არსებითი არგუმენტები პირველ მოსაზრებასთან დაკავშირებით
მოსაზრება მეორე	ისევე, როგორც პირველი მოსაზრების შემთხვევაში
მოსაზრება მესამე	ისევე, როგორც პირველი მოსაზრების შემთხვევაში
დავის/კამათის გადანყევტა	
არ არის საჭირო	<p>აქ დავა/კამათი შეიძლება ღიად დარჩეს, ვინაიდან ყველა მოსაზრებას კონკრეტულ შემთხვევაში მივყავართ ერთი და იგივე შედეგამდე.</p> <p>კამათის გადანყევტა აქ საჭირო არ არის, ვინაიდან ...</p> <p>კამათის გადანყევტას მოცემულ შემთხვევაში არ ენიჭება მნიშვნელობა, ვინაიდან ...</p>
საჭიროა	<p>ვინაიდან წარმოდგენილ მოსაზრებებს მივყავართ ურთიერთგანსხვავებულ შედეგებამდე, საჭიროა არსებული კამათის გადანყევტა.</p> <p>პირველი მოსაზრების სასიკეთოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ ... ამას ეწინააღმდეგება ... ამას ხელს უშლის ...</p>

დავის გადაწყვეტის ფარგლებში მნიშვნელოვანია, ლოგიკურად და დამაჯერებლად არგუმენტირება, ვინაიდან სწორედ ეს განაპირობებს არსებითად კაზუსის დამუშავების ხარისხს.

- ნუ გაიმეორებთ მხოლოდ კაზუსის ფაბულას. ეს არ არის არგუმენტი. ამასთან, ნაშრომის გამსწორებლისათვის იგი უკვე ცნობილია.
- გადაწყვეტილებას სრულად ნუ დააყრდნობთ მეცნიერებაში მიღებულ და გავრცელებულ შეხედულებას ან გარკვეულ ავტორიტეტებს. გახსოვდეთ, გადაწყვეტილება თქვენია და თქვენ უნდა დაასაბუთოთ იგი. საშინაო ნაშრომში კი, ბუნებრივია, სქოლიოს სახით აუცილებელია იმის მითითება, თუ ვინ წარმოადგენს ამა თუ იმ მოსაზრებას და საიდან მომდინარეობს იგი.
- არგუმენტაციისას მოერიდეთ ისეთ ფორმულირებებს, როგორცაა, „ექვგარეშე“, „ამკარა“ და ა.შ. ისინი ვერ შეცვლიან ლოგიკურ, მისაღებ და შედეგის დამასაბუთებელ არგუმენტაციას. ამასთან, აღნიშნული ტერმინები ხშირად გამოიყენება სწორედ მაშინ, როდესაც არ არსებობს კარგი და დამაჯერებელი არგუმენტები. ამით, მკითხველის ყურადღება მახვილდება არგუმენტაციის სისუსტეზე.

2. ენა

ეცადეთ, ყოველივე გადმოსცეთ მარტივი და გასაგები ენით. ჩამოაყალიბეთ მოკლე და მარტივი წინადადებები. ჰკითხეთ თქვენს თავს, გაახლოებთ თუ არა ესა თუ ის წინადადება შედეგთან. გამოიყენეთ იურიდიული ტერმინოლოგია.

3. დასკვნის სტრუქტურა

მიეცით თქვენს დასკვნას სტრუქტურა. დასკვნაში გააკეთეთ სათაურები და აბზაცები. სტრუქტურირება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს დასკვნის თვალსაჩინოობას, ხოლო, მეორე მხრივ, გეხმარებათ დროის დაზოგვაში, ვინაიდან გამეორების შემთხვევაში შეგიძლიათ მიუთითოთ ზემოთ აღნიშნულზე.

4. მითითებები წერილი გამოცდებისა და საშინაო ნაშრომებისათვის

- ყურადღება მიაქციეთ წერილი გამოცდასა და საშინაო ნაშრომებთან დაკავშირებულ ფორმალობებს.
- დატოვეთ თავისუფალი კორექტურის ველი. მონაცემებს ამ ველის მოცულობისა და ადგილმდებარეობის შესახებ მოგანვდით ფაკულტეტი.
- წერეთ მხოლოდ ფურცლის ერთ გვერდზე. შესწორების შემთხვევაში უფრო მარტივად და სწრაფად შეძლებთ ფურცლის შეცვლას, ვინაიდან ნაკლების გადმონერა მოგიწევთ.
- დანომრეთ გვერდები. აღნიშნული გაგიადვილებთ მუშაობას თქვენც და ნაშრომის გამსწორებელსაც.
- წერეთ გარკვევით! გაურკვეველი ნაწერი ყოველთვის აისახება გამოცდელის საზიანოდ.
- ბოლო მომენტში ნუ გადააკეთებთ თქვენს შედეგს (იმის გამო, რომ თქვენმა მეზობელმა სრულიად სხვაგვარად გადანყვიტა კაზუსი). მუშაობის დასასრულს შედეგი შესაძლოა უფრო არადამაკმაყოფილებელი მოგეჩვენოთ, ვიდრე სინამდვილეშია იგი.

დასკვნა „ტრაქტორის კაზუსზე“⁹³

ა. უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით

„ა“-ს, სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, შესაძლოა ჰქონდეს ტრაქტორის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება „ფ“-ს მიმართ.

1. მოთხოვნის წარმოშობა

მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა, რომ „ა“ უნდა იყოს მესაკუთრე, „ფ“- მფლობელი და ამასთან, „ფ“-ს „ა“-ს მიმართ არ უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის უფლება.

1. „ა“ – მესაკუთრე

თავდაპირველად „ა“ იყო მესაკუთრე. თუმცა, მან შესაძლოა დაკარგა საკუთრება ნივთზე.

ა) საკუთრების გადასვლა „ბ“-ზე სკ-ის 186-ე მუხლი 1-ლი ნაწილის მიხედვით

⁹³ საქმის შინაარსი იხ: გვ. 84 და ამოხსნის სქემა გვ. 89

„ა“-ს შეეძლო დაეკარგა თავისი საკუთრება სკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. ამისათვის „ა“-ს „ბ“-სთვის ტრაქტორი უნდა გადაეცა ნამდვილი უფლების/მოთხოვნის საფუძველზე და ამასთან, „ა“ უნდა ყოფილიყო უფლებამოსილი ნივთზე.

წინამდებარე შემთხვევაში სახეზეა „ა“-ს უფლებამოსილება ნივთზე, ვინაიდან „ა“ იყო ტრაქტორის მესაკუთრე. ტრაქტორის გადაცემა მოხდა ნამდვილი უფლების/მოთხოვნის, კერძოდ, „ა“-სა და „ბ“-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ამრიგად სახეზეა სკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ყველა წინაპირობა.

თუმცა, „ბ“-ს მიერ ტრაქტორზე საკუთრების შექმნას შესაძლოა ხელს უშლიდეს სკ-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თუ პირობად იქნა დადებული საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. კაზუსის შინაარსიდან გამომდინარე, „ა“-სა და „ბ“-ს შორის დაიდო ამგვარი პირობა. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში „ბ“ საკუთრებას შეიძენს შეთანხმებული ფასის სრულად გადახდის შემდეგ. ვინაიდან „ბ“-მ არ გადაიხადა შეთანხმებული ფასი, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობა არ დამდგარა და მასზე არ გადასულა საკუთრების უფლება. ამრიგად, „ბ“-ს არ შეუძენია საკუთრება ტრაქტორზე. „ა“ დარჩა ნივთის მესაკუთრე.

ბ) საკუთრების გადასვლა „გ“-ზე

„ა“-მ შესაძლოა დაკარგა საკუთრება ტრაქტორზე „ბ“-ს მიერ მისი „გ“-ზე გასხვისების შედეგად.

(1) საკუთრების შექმნა გარიგების საფუძველზე სკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით

186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გარიგების საფუძველზე ტრაქტორის შექმნის წინაპირობაა „ბ“-ს მიერ „გ“-სთვის ტრაქტორის გადაცემა ნამდვილი უფლების/მოთხოვნის საფუძველზე და „ბ“-ს უფლებამოსილება ნივთზე.

მოცემულ შემთხვევაში „ბ“ არ იყო უფლებამოსილი ნივთზე, ვინაიდან, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე (ა. I. 1. ა)), მას არ შეუძენია საკუთრება ტრაქტორზე. „ა“-ს „ბ“-სთვის არც იმის უფლებამოსილება

მიუცია, რომ მას „გ“-სთვის გადაეცა საკუთრება ტრაქტორზე. ამით არ დასტურდება „ბ“-ს უფლებამოსილება ნივთზე.

(2) კეთილსინდისიერი შექმნა სკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით

„გ“-ს შესაძლოა კეთილსინდისიერად შეეძინა საკუთრება ტრაქტორზე „ბ“-სგან სკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით. ამისათვის სახეზე უნდა იყოს გარიგების საფუძველზე საკუთრების შექმნის ყველა წინაპირობა, გარდა გამსხვიებლის უფლებამოსილებისა ნივთზე. ასევე აუცილებელი პირობაა „გ“-ს კეთილსინდისიერება ნივთზე „ბ“-ს უფლებამოსილების მიმართ. მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა გამოირიცხოს „გ“-ს კეთილსინდისიერება. სკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად შემძენი არ არის კეთილსინდისიერი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვიებელი არ იყო მესაკუთრე. მოცემულ შემთხვევაში „გ“-მ არ იცოდა, რომ „ბ“ არ იყო უფლებამოსილი ნივთზე. მაგრამ აქ შესაძლოა საქმე გვექონდეს მეორე ალტერნატივასთან, რომლის მიხედვითაც „გ“-ს უნდა სცოდნოდა ამის შესახებ, ვინაიდან „ბ“-მ ვერ წარადგინა ტრაქტორის საბუთები. ცოდნის ვალდებულება მოცემულია იმ შემთხვევაში, როდესაც „გ“ გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე მისახვედრია, რომ „ბ“ არ არის მესაკუთრე. გამომდინარე იქიდან, რომ სატრანსპორტო საშუალებები პირებს ძირითადად გადაეცემათ საბუთებითურთ, შესაბამისი საბუთების წარუდგენლობა „ბ“-ს მხრიდან ყველანაირი დამატებითი ახსნა-განმარტებების გარეშე მიაწინებს იმ გარემოებაზე, რომ იგი არ იყო ტრაქტორის მესაკუთრე. შესაბამისად, „გ“ სკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად არ იყო კეთილსინდისიერი. ამრიგად, გამოირიცხა „გ“-ს მიერ ტრაქტორის კეთილსინდისიერი შექმნა სკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების საფუძველზე. „ა“ კვლავინდებურად დარჩა ტრაქტორის მესაკუთრე.

გ) საკუთრების გადასვლა „ფ“-ზე

წარდობის ხელშეკრულების დადება სკ-ის 629-ე მუხლის გაგებით არ ეხება „ა“-ს, როგორც მესაკუთრის, უფლებებს, ვინაიდან აქ საუბარია ვალდებულებით ხელშეკრულებაზე, რომელიც არ წარმოშობს სანივთოსამართლებრივ შედეგებს.

1. „ფ“ – მფლობელი

„ფ“ არის ნივთის მფლობელი, ვინაიდან იგი ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, სკ-ის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

2. „ფ“-ს არ უნდა ჰქონდეს ფლობის უფლება

„ფ“ არის ტრაქტორის მფლობელი. „ა“-ს მიმართ „ფ“-ს ფლობის უფლება შესაძლოა „ბ“-სგან ჰქონდეს მიღებული ან დამოუკიდებლად იყოს უფლებამოსილი მფლობელი სკ-ის 634-ე მუხლის საფუძველზე. სკ-ის 634-ე მუხლით გათვალისწინებული გირავნობის უფლება, როგორც მოძრავი ნივთის რეალიზაციის უფლება ვრცელდება ასევე ნივთის ფლობის უფლებაზეც, ვინაიდან რეალიზაცია მოიცავს ნივთის ხელმისაწვდომობას.

სკ-ის 634-ე მუხლის მიხედვით, კანონისმიერი გირავნობის უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეებს შორის წარდობის ხელშეკრულების არსებობა, ასევე ამ მოთხოვნიდან გამომდინარე საზღაურის გადახდის მოთხოვნის შეუსრულებლობა და მენარდის მიერ მის მიერ დამზადებული ან შეკეთებული ნივთის ფლობა. წინამდებარე შემთხვევაში „ბ“-მ და „ფ“-მ ტრაქტორის შეკეთების თაობაზე დადეს სკ-ის 629-ე მუხლით გათვალისწინებული წარდობის ხელშეკრულება. შეკეთების გამო ნივთი აღმოჩნდა „ფ“-ს მფლობელობაში. ამასთან, ჯერ გადახდილი არ არის შეთანხმებული საზღაური. ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში ტრაქტორზე წარმოიშვა გირავნობის უფლება სკ-ის 634-ე მუხლის გაგებით. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე მნიშვნელობა არა აქვს „ბ“-ს უფლებამოსილებას ნივთზე. „ფ“-ს „ა“-ს მიმართ აქვს ტრაქტორის ფლობის უფლება მანამ, სანამ არ შესრულდება მისი მოთხოვნა შეთანხმებული საზღაურის გადახდასთან დაკავშირებით.

3. შუალედური შედეგი

არ წარმოიშვა მოთხოვნა სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ვინაიდან „ფ“-ს აქვს ფლობის უფლება.

II. შედეგი

მაშასადამე, „ა“-ს არა აქვს „ფ“-ს მიმართ ტრაქტორის დაბრუნების მოთხოვნის უფლება სკ-ის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

ბ. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 164-ე მუხლის 1-ლი წინადადების მიხედვით

ასევე არ არსებობს ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 164-ე მუხლის 1-ლი წინადადების მიხედვით. მართალია, „ა“ არის უფლებამოსილი აღნიშნული ნორმების გაგებით, მაგრამ „ფ“ არის კანონიერი მფლობელი.

გ. კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა, სკ-ის 160-ე მუხლი

ასევე არ განიხილება სკ-ის 160-ე მუხლის 1-ლი წინადადებით გათვალისწინებული მოთხოვნა, ვინაიდან „ა“ არ არის არაუფლებამოსილი, კეთილსინდისიერი მფლობელი სკ-ის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით. ამასთან, ასევე არ არის სახეზე მფლობელობის დაკარგვა.

დ. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით

„ა“-ს შესაძლოა ჰქონდეს ტრაქტორის უკან დაბრუნების მოთხოვნა „ფ“-ს მიმართ სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. ამისათვის „ა“-ს „ფ“-სთვის ტრაქტორი უნდა გადაეცა ვალდებულების შესრულების მიზნით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. მოცემულ კაზუსში არ არის სახეზე შესრულება „ა“-ს მიერ, ვინაიდან მათ ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთო. ამგვარად, არ არსებობს მოთხოვნა სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

ე. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 991-ე მუხლის მიხედვით

„ა“-ს შესაძლოა ჰქონდეს ტრაქტორის უკან დაბრუნების მოთხოვნა „ფ“-ს მიმართ სკ-ის 991-ე მუხლის საფუძველზე. ამისათვის „ფ“-ს ტრაქტორი უნდა მიეღო რაიმე სხვა საშუალებით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. წინამდებარე კაზუსში „ფ“-ს, სკ-ის 634-ე მუხლიდან გამომდინარე, აქვს ტრაქტორის მფლობელობაში დატოვების სამართლებრივი საფუძველი. ამით გამოირიცხება სკ-ის 991-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის წარმოშობა.

ვ. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით

არც სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნაა სახეზე, ვინაიდან „ფ“ არ მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ არც ტრაქტორის მიღების და არც „ა“-სთვის მისი გადაცემაზე უარის თქმის მომენტში. მართალია, ტრაქტორის გადაცემაზე უარის თქმა ლახავს „ა“-ს, როგორც მესაკუთრის უფლებას, მაგრამ „ფ“-ს გირავნობის საფუძველზე

აქვს ამის უფლება სკ-ის 634-ე მუხლიდან გამომდინარე.

ზ. საბოლოო შედეგი: „ა“-ს არა აქვს „ფ“-ს მიმართ ტრაქტორის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

IV. დასკვნა

კაზუსის დამუშავების მეთოდი გვაძლევს შესაძლებლობას, სტრუქტურირებულად დავამუშავოთ და გადავწყვიტოთ კაზუსი. ამით იგი ქმნის ყველანაირ პირობას შინაარსობრივად სწორი შედეგის მისაღწევად. კაზუსის დამუშავების მეთოდი, ბუნებრივია, ვერ ახდენს ცოდნის დეფიციტის კომპენსაციას, მაგრამ იგი ქმნის წინაპირობებს იმისათვის, რომ ცოდნა გამოყენებულ იქნას სწორად. კაზუსის დამუშავების მეთოდი სარგებლის მომტანია მათთვის, ვინც კარგად იცნობს მას. აქედან გამომდინარე:

ივარჯიშეთ კაზუსების გადანყვეტასა და საგამოცდო წერაში!

თავი V კაზუსები

წინამდებარე თავში წარმოდგენილია სხვადასხვა სირთულის სამი სა-მოქალაქო-სამართლებრივი კაზუსი და მათი სრულყოფილი ამოხსნა. სამივე შემთხვევაში აღწერილობით ნაწილს მოჰყვება ფაბულის სქემა და ასევე წინასწარ სამართლებრივ მოსაზრებათა მონახაზები, რომელ-თაც ეფუძნება კაზუსის გადაწყვეტის სქემაც და იურიდიული დასკვნაც.

წინასწარი სამართლებრივი მოსაზრებების მონახაზი არ არის კაზუსის ამოხსნის (გადაწყვეტის) აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. აქ ისინი წარმოდგენილია იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემები, სანამ ისინი აისახება კაზუსის ამოხსნის სქემასა და იურიდიულ დასკვნაში.

კაზუსი I:

მოცემული კაზუსი ეხება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის ძირითად ინსტიტუტებს. ცენტრალური საკითხია წარმომადგენლობა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ და ასევე შეცილება წარმოდგენილის მიერ წარმომადგენლის შეცდომის გამო.

ფაბულა: „ა“ „ბ“-ს წიგნების მაღაზიაში შენიშნავს წიგნს და მაშინვე მოისურვებს მის შეძენას. ამ მომენტისათვის მაღაზიაში იმყოფება მხოლოდ „ბ“-ს შვილი – 15 წლის „გ“. მას „ბ“-მ დაავალა, მისი არყოფნის დროს გაუძღვეს მაღაზიას. „ა“-ს კითხვაზე, თუ რა ღირს წიგნი, „გ“ დაუშვებს შეცდომას და უპასუხებს, რომ წიგნი ღირს 120 ლარი. სინამდვილეში კი წიგნის ფასია 210 ლარი. „ა“, რომელიც აღფრთოვანებულია წიგნის ასეთი ხელსაყრელი ფასით, „გ“-სთან დადებს ნასყიდობის ხელშეკრულებას, სადაც შეთანხმებული ფასი შეადგენს 120 ლარს. ამასთან, „გ“ მიახვედრებს „ა“-ს, რომ იგი მოქმედებს „ბ“-ს სახელით.

როდესაც „ა“ აპირებს შეთანხმებული ფასის გადახდას, მაღაზიაში შემოდის „ბ“, რომელიც ამჩნევს შეცდომას და მიუთითებს „ა“-ს ამის შესახებ. „ა“, თავის მხრივ, მიუთითებს „გ“-სთან დადებულ ხელშეკრულებაზე და ითხოვს წიგნის გადაცემას 120 ლარის გადახდის სანაცვლოდ.


ამაზე „ბ“ პასუხობს, რომ „ა“ არ შეიძლება მისგან მოელოდეს წიგნის ასე დაბალ ფასად გადაცემას. იგი აცხადებს, რომ „გ“-ს შეცდომის გამო არ მიიჩნევს დადებულ ხელშეკრულებას მისთვის სავალდებულოდ და უარს ამბობს წიგნის გადაცემაზე.

აქვს თუ არა „ა“-ს „ბ“-ს მიმართ წიგნის გადაცემის მოთხოვნის უფლება?

ვარიაცია: როგორი იქნებოდა სამართლებრივი ვითარება „ა“-ს რომ გადაეხადა ფული, ხოლო წიგნი არ ყოფილიყო ჯერ გადაცემული?

ფაბულის სქემა:

ნახაზი 16:



წინასწარი სამართლებრივი მოსაზრებები:

საწყის კაზუსთან დაკავშირებით გასარკვევია შემდეგი საკითხები:

1. „გ“ მოქმედებდა როგორც კურიერი (შიკრიკი) თუ როგორც წარმომადგენელი? კურიერი არ ახდენს საკუთარი ნების გამოვლენას, არამედ გადმოსცემს სხვა პირის ნებას ან სხვა პირის ნაცვლად იღებს ამ ნებას. რადგანაც სხვა პირის ნების გამოვლენის გაცემისა თუ მიღების შემთხვევაში საქმე გვაქვს ფაქტობრივ ქმედებასთან და არა უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ქმედებასთან, არ არის სავალდებულო, რომ კურიერი იყოს ქმედუნარიანი სამართლებრივი გაგებით. ამ შემთხვევაში სრულიად უპრობლემო იქნებოდა „გ“-ს ასაკი – 15 წელი და, აქედან გამომდინარე, ის გარემოება, რომ იგი არის შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე.

წინამდებარე კაზუსში „გ“-მ „ა“-სთან დადო ხელშეკრულება. კური-

რად „გ“-ს აღიარებას აქ ხელს უშლის ის გარემოება, რომ „ბ“-ს არ გამოუვლენია ნება „ა“-სთან ხელშეკრულების დადების თაობაზე. მან არც კი იცოდა, რომ „ა“ შემოვიდოდა მაღაზიაში. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის სხვისი ნება. ამას გარდა, „გ“-მ თავად მიიღო გადაწყვეტილება „ა“-სთან ხელშეკრულების დადების შესახებ. მას ასევე შეეძლო უარი ეთქვა ამ გარიგებაზე. მაშასადამე, „გ“-მ აქ გამოიყენა მოქმედების ასპარეზი, რომელიც საერთოდ არ გააჩნია კუ-რიერს. აქედან გამომდინარე, იგი მოქმედებდა არა როგორც შუამავალი, არამედ როგორც წარმომადგენელი. მან გამოავლინა საკუთარი ნება.

2. ვინაიდან „გ“ არის მხოლოდ 15 წლის და სკ-ის მე-12 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის მიხედვით, იგი ითვლება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირად, გასარკვევია, თუ რამდენად შეეძლო მას ყოფილიყო „ბ“-ს წარმომადგენელი. სკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ბათილია მცირეწლოვანის ნების გამოვლენა. თუმცა, როგორც სკ-ის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი გვიჩვენებს, არ არის გამორიცხული არასრულწლოვანის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა. აღნიშნული ნორმის მიხედვით, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნებაც ყოველგვარი თანხმობისა თუ შემდგომი მოწონების გარეშე შეიძლება იყოს სამართლებრივად ნამდვილი, თუ იგი სარგებელს იღებს გარიგებიდან. ასეთ შემთხვევებში აღარ არის საჭირო არასრულწლოვანის განსაკუთრებული დაცვა.

რადგანაც სამართლებრივად ნამდვილი წარმომადგენლობით უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს (სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), წარმომადგენელისთვის ეს არის სამართლებრივად ნეიტრალური საქმე, საიდანაც იგი არც სარგებელს იღებს და არც არანაირი ვალდებულება ეკისრება. აქედან გამომდინარე, მოცემული კონსტელაციის ფარგლებში არასრულწლოვანი არ საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას.⁹⁴ აღნიშნულის შესაბამისად, სკ-ის 105-ე მუხლიც ითვალისწინებს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი-წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების ნამდვილობას.

⁹⁴ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისასაც გამორიცხულია შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის პასუხისმგებლობა (სკ-ის 113-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

3. მოცემულ შემთხვევაში, რადგან „გ“-მ ხელშეკრულების დადებისას დაუშვა შეცდომა, შესაძლოა იგი მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე. თუმცა, სამართლებრივი ბრუნვის სტაბილურობისა და ნდობის დაცვის კუთხით არ შეიძლება, რომ წარმომადგენლის ნებისმიერი შეცდომა იწვევდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამორიცხვას. ეს არის ის ყოველდღიური ცხოვრებისეული რისკი, რომელიც წარმოდგენილმა უნდა იკისროს, თუ იგი თავისი საქმიანობის განხორციელებისას იყენებს სხვა პირთა დახმარებას. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, სადაც ხელშეკრულების მეორე მხარეც არ საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობა მართლაც გამორიცხავს ამ უფლებამოსილების არსებობას. თუმცა, მოცემულ კაზუსში ასეთ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე.
4. კაზუსში გადმოცემულია „ბ“-ს მოსაზრება, რომლის თანახმადაც იგი „გ“-ს შეცდომის გამო არ მიიჩნევს დადებულ ხელშეკრულებას მისთვის სავალდებულოდ. ამით „ბ“ აცხადებს, რომ მას სურს ხელშეკრულებიდან გასვლა. ამ მიზანს ემსახურება შეცდომით დადებული გარიგების შეცილების სამართლებრივი ინსტიტუტი. აუცილებელი არ არის, რომ შეტყობინება შეცილების შესახებ შეიცავდეს სიტყვას „შეცილება“, საკმარისია ნათქვამიდან გამომდინარეობდეს, რომ პირს აღარ სურს იყოს ხელშეკრულების მონაწილე. ასეთ შეტყობინებასთან გვაქვს საქმე წინამდებარე შემთხვევაში.
5. გასარკვევია, თუ ვის აქვს განსახილველ კაზუსში შეცილების უფლება და ვისი შეცდომა უდევს საფუძვლად მას. „გ“-მ დაუშვა შეცდომა, თუმცა, მას არ სურს შეცილება, განსხვავებით „ბ“-სგან, რომელსაც სურს შეცილება, მაგრამ მას არ დაუშვია შეცდომა. რადგანაც სამართლებრივად ნამდვილი წარმომადგენლობიდან უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა «ბ»-ს, სწორედ „ბ“ უნდა იყოს ის პირი, რომელსაც შეეძლება სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულება შეცილების გზით. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში შეცილებაზე უფლებამოსილი პირი არის „ბ“.

სკ-ის 106-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით ნების გამოვლენის ნაკლის გამო გარიგების საცილოობისას გადამწყვეტია წარმომადგენლის ნება. აქედან გამომდინარე, „ბ“-ს შეუძლია „გ“-ს შეცდომის გამო საცილო გახადოს „ა“-სთან დადებული გარიგება.

ვარიაციასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ «ბ»-ს მიერ განხორციელებული შეცილება სამართლებრივად ნამდვილია, რის შედეგადაც ნასყიდობის ხელშეკრულება სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, ბათილია მისი დადების მომენტიდან. შესაბამისად, „ა“-მ შეთანხმებული ფასი გადაიხადა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად ამ შემთხვევაში განიხილება სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

კაზუსის გადაწყვეტის (ამოხსნის) სქემა:

კაზუსი

მოთხოვნის საფუძველი: სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

ა. მოთხოვნის წარმოშობა

წინაპირობა –»ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულება „ა“-სა და „ბ“-ს შორის, რომლითაც „ბ“ იღებს ვალდებულებას, გადასცეს „ა“-ს წიგნი.

I. ნების გამოვლენა „ა“-ს მიერ

(+) არ არის პრობლემატური

II. ნების გამოვლენა „ბ“-ს მიერ

1. საკუთარი ნების გამოვლენა „ბ“-ს მიერ

გამოხატა თუ არა „გ“-მ, როგორც კურიერმა „ბ“-ს ნება ან მიიღო „ა“-ს ნება?

- „ბ“-ს არ გამოუხატავს შესაბამისი ნება

- „გ“-მ თავად მიიღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების დადების თაობაზე

- „გ“-ს ნების გამოვლენა (+) –» „გ“ არ არის შუამავალი;

- „ბ“-ს ნების გამოვლენა (-)

2. „გ“ – უფლებამოსილი წარმომადგენელი (სკ-ის 103-ე და მომდევნო მუხლები)

ა) სკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილი (-), არ არის სახეზე არც ხელშეკრულების პირადად დადების ვალდებულება და არც წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადების აკრძალვა

ბ) „გ“-ს პირადი და ნამდვილი ნების გამოვლენა

- პირადი ნება (+), იხ. ზემოთ

- „გ“-ს ნების ნამდვილობა

„გ“ თხუთმეტი წლისაა –» იგი არის არასრულწლოვანი –» შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე

მაგრამ: სკ-ის 105-ე მუხლი –» „გ“-ს ნების ნამდვილობა (+)

გ) სხვისი სახელით

(+), „გ“ ერთმნიშვნელოვნად მოქმედებს „ბ“-ს სახელით

დ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში

- წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (+), „ბ“-ს დავალება მაღალბიის გაძღოლის თაობაზე

- წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში?

(+), შეცდომა ვერაფერს ცვლის წარმომადგენლობით უფლებამოსილებასთან დაკავშირებით

ე) შუალედური შედეგი: ნამდვილი წარმომადგენლობა (+), ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, „ბ“-ს უნდა ეკისრებოდეს ვალდებულება „გ“-ს, როგორც მისი წარმომადგენლის, ქმედებიდან გამომდინარე

3. გარიგების ბათილობა წარმატებული შეცდომების შედეგად

ა) „ბ“-ს მიერ გარიგების შეცილების უფლება⁹⁵

(+), რადგან „ბ“-ს წარმოეშობა ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

ბ) შეტყობინება შეცილების შესახებ, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ნინადადება

(+), შეცდომის გამო „ბ“ არ თვლის ხელშეკრულებას სავალდებულოდ, რაც საკმარისია, რადგან იგი ამით აცხადებს, რომ სურს ხელშეკრულებიდან თავის დაღწევა, ამისათვის არ არის აუცილებელი იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენება

⁹⁵ ჩვეულებრივ, შეცილების უფლების შემოწმება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების შეცილებას ახორციელებს პირი, რომელიც არ არის მისი უშუალო მონაწილე.

გ) შეცილების საფუძველი, სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი არსებითი შეცდომა სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის გაგებით – შეცდომა ნების გადმოცემისას (+)

აქ: შეცდომა დაუშვა „გ“-მ და არა „ბ“-მ!

მ ა გ რ ა მ: სკ-ის 106-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით – გადამწყვეტია წარმომადგენლის ნება

შეცილების საფუძველი (+)

დ) შეცილების უფლება არ გამოორიცხულა

დაცულია შეცილების ვადა, სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (+)

ე) შუალედური შედეგი: „გ“-ს ნების გამოვლენის შეცილება ნამდვილია (+) –» ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა დადების მომენტიდან სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად.

III. შუალედური შედეგი: მოთხოვნა არ წარმოიშვა

ბ. საბოლოო შედეგი: არ წარმოიშვა სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული წიგნის გადაცემის მოთხოვნა.

ვარიაცია

შეთანხმებული ფასის უკან დაბრუნების მოთხოვნის საფუძველი – სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

ა. მოთხოვნის წარმოშობა

წინაპირობა: „ა“-მ ვალდებულების შესრულების მიზნით რაღაც გადასცა „ბ“-ს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

I. რაღაც გადასცა

(+), 120 ლარი

II. ვალდებულების შესრულების მიზნით

(+), ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით

III. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე

(+), „ბ“-ს ნამდვილი შეცილების შედეგად ნასყიდობის ხელშეკრულება გაბათილდა მისი დადების მომენტიდან, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება –» არ არსებობს „ა“-ს მიერ ვალდებულების შესრულების სამართლებრივი საფუძველი

IV. შუალედური შედეგი: მოთხოვნა წარმოიშვა

ბ. მოთხოვნის შეწყვეტა/შესრულების შეუძლებლობა

არ არსებობს შესაბამისი მითითებები ფაბულაში

გ. საბოლოო შედეგი: „ა“-ს აქვს „ბ“-სგან 120 ლარის მოთხოვნის უფლება სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით

იურიდიული დასკვნა:

კაზუსი

„ა“-ს მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ წიგნის გადაცემის თაობაზე

„ა“-ს შესაძლოა ჰქონდეს „ბ“-ს მიმართ წიგნის გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. აღნიშნულის წინაპირობაა, რომ წარმოიშვა შესაბამისი მოთხოვნა, იგი არ შემწყდარა და ასევე არის განხორციელებადი.

ა. მოთხოვნის წარმოშობა:

სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის წარმოშობისათვის „ა“-სა და „ბ“-ს შორის უნდა არსებობდეს სამართლებრივად ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც „ბ“ იღებს ვალდებულებას, გადასცეს „ა“-ს წიგნი. ხელშეკრულების არსებობის წინაპირობაა ორი შინაარსობრივად ერთმანეთის შესაბამისი და ერთმანეთთან დაკავშირებით (ერთმანეთის მიმართ) გამოვლენილი ნება.

I. „ა“-ს ნება

ფაბულის მიხედვით „ა“-მ „გ“-სთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება. „ა“-ს ნების გამოვლენასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ არსებობს.

II. „ბ“-ს ნება

„ბ“-ს უშუალოდ „ა“-ს მიმართ არ გამოუვლენია ნება. თუმცა, შესაძლებელია, რომ მას „გ“-ს მეშვეობით გამოევლინა „ა“-ს მიმართ თავისი ნება ან წარმოდგენილი ყოფილიყო „გ“-ს მიერ.

1. „ბ“-ს მიერ საკუთარი ნების გამოვლენა

„ბ“-ს შეეძლო გამოევლინა საკუთარი ნება იმ შემთხვევაში, თუ „გ“ ხელშეკრულების დადებისას „ა“-ს გადასცემდა „ბ“-ს ნებას, ანუ იქნებოდა მისი კურიერი. თუმცა, მოცემულ კაზუსში ეს ასე არ არის. „ბ“-ს

არ გამოუვლენია ნება „ა“-სთან ხელშეკრულების დადების თაობაზე. „გ“-სთვის მიცემული მითითებაც არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ აქ საუბარი იყოს კურიერობაზე, რადგან მითითება არ უკავშირდება მხოლოდ კონკრეტულ პირს, როგორც შესაძლო კონტრაჰენტს. „გ“-მ თვითონ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, დაედო თუ არა ხელშეკრულება „ა“-სთან. შესაბამისად, „გ“ არ მოქმედებდა როგორც კურიერი, არამედ მან გამოავლინა საკუთარი ნება. ხოლო, აღნიშნულის მიხედვით, „ბ“-ს არ გამოუვლენია საკუთარი ნება ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. წარმომადგენლობა სკ-ის 103-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით

შესაძლოა „ბ“-ზე, სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვრცელდებოდეს „ა“-სა და „გ“-ს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები იმ შემთხვევაში, თუ „ბ“ წარმოდგენილი იყო შესაბამისად უფლებამოსილი „გ“-ს მიერ. აღნიშნული ითვალისწინებს, რომ გარიგება არ უნდა იყოს ისეთი ხასიათის, რომ იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა, ან კანონით არ უნდა იყოს აკრძალული გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით (სკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და ასევე სახეზე უნდა იყოს „გ“-ს მიერ საკუთარი და ნამდვილი ნების გამოვლენა „ბ“-ს სახელით და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში (სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ა) სკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილი

ნასყიდობის ხელშეკრულება თავისთავად არ წარმოადგენს ისეთი სახის გარიგებას, რომელიც უშუალოდ უნდა დადოს პირმა. აქ არც რაიმე კანონისმიერი აკრძალვა არსებობს წარმომადგენლობასთან დაკავშირებით.

ბ) „გ“-ს საკუთარი, ნამდვილი ნება

ამრიგად, სახეზე უნდა იყოს „გ“-ს მიერ საკუთარი და ნამდვილი ნების გამოვლენა. როგორც უკვე ზემოთ, კერძოდ, 1-ლ პუნქტში აღვნიშნეთ, „გ“-მ გამოავლინა საკუთარი ნება. სავალდებულოა, რომ მისი ნების გამოვლენა ასევე იყოს სამართლებრივად ნამდვილი. აქ პრობლემატური შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ „გ“ მხოლოდ 15 წლისაა და ამით, სკ-ის მე-12 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილის მიხედვით იგი არის შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე. თუმცა, სკ-ის 105-

ე მუხლის თანახმად, წარმომადგენლის შეზღუდული ქმედუნარიანობა ხელს არ უშლის გარიგების ნამდვილობას, რადგან წარმომადგენლის მეშვეობით დადებული გარიგების საფუძველზე უფლება-მოვალეობანი წარმოეშობა წარმოდგენილ პირს (სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), რის შედეგადაც წარმომადგენელი იმყოფება სამართლებრივად ნეიტრალურ მდგომარეობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში „გ“-ს ნების გამოვლენა ნამდვილია.

გ) სხვისი სახელით

ფაბულის მიხედვით აშკარაა, რომ „გ“-მ ხელშეკრულება დადო „ბ“-ს სახელით. ამგვარად, იგი მოქმედებდა „ბ“-ს სახელით.

დ) უფლებამოსილების საფუძველზე და მის ფარგლებში

„გ“-ს უნდა ემოქმედა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე და მის ფარგლებში. „ბ“-მ „გ“-ს დაავალა, რომ მისი არყოფნის დროს იგი გაძლოდა მალაზიას. ამით „გ“ იყო უფლებამოსილი პოტენციურ მყიდველებთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე. შესაბამისად, „გ“ მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე.

„გ“ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ასევე უნდა მოქმედებდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში, რასაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში „გ“-მ დაუშვა შეცდომა, რომლის საფუძველზეც ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო არსებითად დაბალ ფასზე შეთანხმებით. თუმცა, სამართლებრივი ბრუნვის სტაბილურობისა და კანონიერი ნდობის დაცვის კუთხით, არ შეიძლება ნებისმიერი შეცდომა ინვევდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმებას. ეს ის რისკია, რაც უნდა იკისროს წარმოდგენილმა პირმა, რომელიც თავისი საქმიანობის განხორციელებისას იყენებს მესამე პირთა დახმარებას. მხოლოდ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების აშკარად ბოროტად გამოყენება, შეიძლება გაუქმდეს უფლებამოსილება. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში არ გვაქვს საქმე მსგავს ქმედებასთან. ამგვარად, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას „გ“ მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე და მის ფარგლებში.

ე) შუალედური შედეგი

„გ“ იყო „ბ“-ს უფლებამოსილი წარმომადგენელი. შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები ვრცელდება „ბ“-ზე.

ჰ. გარიგების ბათილობა წარმატებული შეცვლების შედეგად

„ა“-სა და „ბ“-ს შორის დადებული ხელშეკრულება შესაძლოა იყოს ბათილი მისი დადების მომენტიდან, თუ „ბ“-მ იგი სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით გახადა საცილო და ეს შეცვლება იყო ნამდვილი. აღნიშნული ითვალისწინებს, რომ „ბ“-ს უნდა ჰქონდეს შეცვლების უფლება, რომ უნდა მოხდეს შეცვლების შეტყობინება მეორე მხარის, ანუ „ა“-ს მიმართ, უნდა არსებობდეს შეცვლების საფუძველი (ანუ, გარიგება უნდა იყოს საცილო) და არ უნდა იყოს გამორიცხული შეცვლების უფლება.

ა) „ბ“-ს შეცვლების უფლება

როგორც აღინიშნა, „ბ“-ს უნდა ჰქონდეს შეცვლების უფლება. ნების გამოვლენა განხორციელდა „გ“-ს მიერ. თუმცა, სამართლებრივად ნამდვილი წარმომადგენლობისას სკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უფლებები და ვალდებულებები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. „ბ“-ს პირადად რომ დაედო ხელშეკრულება, საკუთარი შეცდომის შემთხვევაშიც ექნებოდა შეცვლების უფლება. აღნიშნულის მიხედვით, მოცემულ კონსტელაციაშიც „ბ“-ს, როგორც წარმოდგენილ პირს, უნდა ჰქონდეს შეცვლების უფლება.

ბ) შეტყობინება შეცვლების შესახებ, სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება

სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით სავალდებულოა მეორე მხარეს ეცნობოს შეცვლების შესახებ. „ბ“-ს სიტყვიერად არ განუცხადებია შეცვლების შესახებ. თუმცა, არაიურისტებისათვის არ არის სავალდებულო სამართლებრივი ტერმინის „შეცვლება“ გამოყენება. სავსებით საკმარისია, თუ შემცვლებელი ამკარად გამოხატავს, რომ შეცდომის გამო სურს ხელშეკრულებიდან თავის დაღწევა. მოცემულ შემთხვევაში ასეთი ქმედება სახეზეა, ვინაიდან „ბ“ აცხადებს, რომ იგი „გ“-ს შეცდომის გამო არ თვლის ნასყიდობის ხელშეკრულებას სავალდებულოდ და უარს ამბობს წიგნის გადაცემაზე. ამით „ბ“-მ შეატყობინა ხელშეკრულების მეორე მხარეს შეცვლების შესახებ.

გ) შეცილების საფუძველი, სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი

სავალდებულოა შეცილების საფუძვლის არსებობა. შეცილების საფუძველი კი არსებობს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე (სკ-ის 72-ე მუხლი). სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, არსებით შეცდომად ითვლება, როცა პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა. „გ“-მ შეცდომა დაუშვა ფასთან დაკავშირებით; მან 210 ლარის ნაცვლად თქვა 120 ლარი. ამგვარად, მას სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც გამოთქვა თანხმობა. ამით სახეზეა არსებითი შეცდომა სკ-ის 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის გაგებით.

თუმცა, არა შეცილების უფლების მქონე „ბ“-მ, არამედ „გ“-მ დაუშვა შეცდომა. სკ-ის 106-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენის ნაკლის გამო გარიგების საცილობისას გადამწყვეტია წარმომადგენლის, ანუ „გ“-ს ნება. ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა შეცილების საფუძველი.

დ) შეცილების უფლების გამორიცხვა

შეცილების უფლების გამომრიცხავი გარემოებები არ არსებობს. „ბ“-მ შეცილების საფუძვლის შეტყობისთანავე განუცხადა „ა“-ს შეცილების შესახებ და ამით გაითვალისწინა სკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ვადა.

ე) შუალედური შედეგი

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „ბ“-ს შეცილება ნამდვილია, რის შედეგადაც ნასყიდობის ხელშეკრულება სკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, ჩათვლება ბათილად მისი დადების მომენტიდან.

III. შუალედური შედეგი

სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა არ წარმოშობილა.

ბ. საბოლოო შედეგი

ვინაიდან არ არსებობს ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულება, „ა“-ს არა აქვს წიგნის გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

ვარიაცია

მოთხოვნა სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

„ა“-ს შესაძლოა ჰქონდეს „ბ“-ს მიმართ 120 ლარის დაბრუნების მოთხოვნის უფლება სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. აღნიშნული ითვალისწინებს, რომ წარმოიშვა შესაბამისი მოთხოვნა, იგი არ შემწყდარა და ასევე არის განხორციელებადი.

ა. მოთხოვნის წარმოშობა

„ა“-ს ვალდებულების შესასრულებლად, სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე რაიმე უნდა გადაეცა „ბ“-სთვის.

1. რაიმეს გადაცემა

„რაიმეს გადაცემა“ სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით ნიშნავს, რომ მიმღებმა ამ გადაცემის შედეგად უნდა მიიღოს ქონებრივი სარგებელი, ანუ, მისი ქონება უნდა გაიზარდოს. მაშასადამე, „ბ“-ს „ა“-სგან უნდა მიეღო ქონებრივი სარგებელი. „ა“-მ გადასცა „ბ“-ს, რომელიც წარმოდგენილი იყო „გ“-ს მიერ, 120 ლარი, რითაც „ბ“-ს ქონება გაიზარდა 120 ლარის ოდენობით. ამით სახეზეა ქონებრივი სარგებელი.

II. ვალდებულების შესასრულებლად

„ა“-მ „ბ“-ს 120 ლარი გადასცა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით; შესაბამისად, იგი მოქმედებდა ვალდებულების შესასრულებლად.

III. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე

აღნიშნული მოქმედება უნდა განხორციელებულიყო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელსაც ეფუძნება „ა“-ს მიერ ვალდებულების შესრულება, საცილო გახდა „ბ“-ს მიერ და გაბათილდა მისი დადების მომენტიდან. აქედან გამომდინარე, სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, არ არსებობს „ა“-ს მიერ ვალდებულების შესრულების სამართლებრივი საფუძველი.

IV. შუალედური შედეგი

„ა“-ს აქვს „ბ“-ს მიმართ 120 ლარის დაბრუნების მოთხოვნის უფლება სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ბ. მოთხოვნის შეწყვეტა/შესრულების შეუძლებლობა

არ არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებიც მეტყველებს მოთხოვნის შეწყვეტაზე ან მისი შესრულების შეუძლებლობაზე.

გ. საბოლოო შედეგი: „ა“-ს შეუძლია მოსთხოვოს „ბ“-ს 120 ლარის დაბრუნება სკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

კაზუსი II

წინამდებარე კაზუსი ეხება კრედიტის უზრუნველყოფის საკითხებს. აქ მთავარი პოპლემაა იპოთეკის პირველადი კეთილსინდისიერი შექმნა. კაზუსის შინაარსი არ არის რთული, თუმცა, იგი მოითხოვს დისციპლინას შემონემების მიმდევრობის დაცვის კუთხით.

ფაბულა: „ბ“, რომელსაც მოზეზრდა ქალაქური ცხოვრება, გადანყვეტს სოფელში გადასვლას და თხების მოშენებას. თავის რჩენა მას გადანყვეტილი აქვს თხის რძით, ყველითა და ხორციტ ვაჭრობის გზით. თავისი მიზნების განსახორციელებლად „ბ“ „ა“-სგან შეიძენს ნაკვეთს და დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში ახალ მესაკუთრედ. ვინაიდან მას არ ჰყოფნის სახსრები ახალი სადგომის მოსაწყობად და პროდუქციის დასამზადებელი, დანადგარის შესაძენად, „ბ“ «გ»-ბანკთან დადებს სასესხო ხელშეკრულებას 100.000 ლარზე. თანხის დაბრუნების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად „ბ“ «გ»-ბანკის სასარგებლოდ დატვირთავს თავის ნაკვეთს იპოთეკით 100.000 ლარის ოდენობით.

გაივლის ცოტა ხანი და ერთ ღამეს სანვავით სავსე არარეგისტრირებული ცისტერნა გადმოვა სამანქანო გზიდან და გადაყირავდება „ბ“-ს ნაკვეთზე. ცისტერნიდან გადმოღვრილი სანვავი ძლიერად დააბინძურებს „ბ“-ს ნაკვეთს. ამასთან, ვერ იპოვიან ვერც მანქანის მძღოლს, ვერც მფლობელს და ვერც მის მესაკუთრეს.

«გ»-ბანკი შეიტყობს მომხდარის შესახებ და დაბინძურების შედეგად ნაკვეთის ღირებულების შემცირების გამო, მოითხოვს თავისი მოთხოვნის დამატებით უზრუნველყოფას 30.000 ლარის ოდენობით. თავდების პოვნის იმედით, „ბ“ გ-ბანკიდან წამოიღებს ანკეტას თავდებობის შესახებ, რომელიც შეიცავს შემდეგი სახის ფორმულირებას: „მე სოლიდარულად ვკისრულობ თავდებობას «გ»-ბანკსა და მოვალე ...-ს შორის არსებული სასესხო თანხის მოთხოვნაზე ლარის ოდენობით“. „ბ“-ს


თავდებად დაუდგება მისი მეგობარი „დ“, რომელიც «გ»-ბანკს გადასცემს სათანადოდ შევსებულ ანკეტას თავდებობის შესახებ.

„ბ“-ს ფინანსური სიტუაცია სულ უფრო გაუარესდება. როდესაც დადგება სესხის დაბრუნების ვადა, „ბ“-ს «გ»-ბანკის გაფრთხილების შემდეგაც ვერ შეძლებს თანხის დაბრუნებას. ამასთან, გაირკვევა, რომ ნაკვეთზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას „ა“ იმყოფებოდა დროებითი ფსიქიკური მოშლილობის მდგომარეობაში.

რა მოთხოვნები აქვს «გ»-ბანკს „ა“-ს, „ბ“-ს და „დ“-ს მიმართ?

ფაზულის სქემა:

ნახაზი 17: ფაზულის სქემა – კაზუსი II



წინასწარი სამართლებრივი მოსაზრებები:

მოცემულ კაზუსში უნდა შემოწმდეს შემდეგი მოთხოვნები: „გ“ –» „ა“, „გ“ –» „ბ“ და „გ“ –» „დ“. მიზანშეწონილია, შემოწმება დაიწყო „გ“-სა და „ბ“-ს ურთიერთობებით, ვინაიდან ამ ურთიერთობათა ფარგლებში მოცემულია თავდაპირველი სახელშეკრულებო კონტაქტები. შემდეგ განვიხილოთ „გ“-სა და „ა“-ს შორის არსებული შესაძლო მოთხოვნები, ვინაიდან შესაძლებელია ისინი გამომდინარეობდეს იპოთეკიდან და ბოლოს, შემოწმება დასრულდება „დ“-ს მიმართ „ა“-ს თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნის შემოწმებით.

1. „გ“ — „ბ“-ს ურთიერთობის ფარგლებში, ერთი მხრივ, განიხილება სასესხო ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაბრუნების მოთხოვნა (სკ-ის 626-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 623-ე მუხლი) და, მეორე მხრივ, იპოთეკის დაკმაყოფილების მიზნით მინის ნაკვეთის რეალიზაციის თემნის მოთხოვნა (სკ-ის მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილი).⁹⁶ აქ პრობლემატური შეიძლება იყოს იპოთეკიდან გამომდინარე მოთხოვნა. იმ საკითხის გარდა, საერთოდ შეიძინა თუ არა «გ»-ბანკმა იპოთეკა უძრავ ნივთზე, პირველ რიგში, განსახილველია, არის თუ არა „ბ“ სკ-ის მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის სათანადო მოპასუხე. სკ-ის მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, უძრავის ქონების რეალიზაციის თემნის მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ ამ უძრავი ქონების მესაკუთრეზე.

მოცემულ შემთხვევაში „ბ“-მ, „ა“-ს დროებითი ფსიქიკური მოშლილობის გამო, სკ-ის 183-ე მუხლის თანახმად ვერ შეძლო საკუთრების შექმნა უძრავ ნივთზე, რადგან სკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ა“-ს ნების გამოვლენა ბათილია. ამრიგად, არ არის სახეზე ნამდვილი გარიგება. თუმცა, შესაძლოა „ბ“-ს სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კეთილსინდისიერად შეეძინა მინის ნაკვეთი. მაგრამ კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი აღადგენს მხოლოდ გამსხვისების განკარგვის უფლებამოსილებას⁹⁷ და არ აღმოფხვრის გარიგების სხვა ხარვეზებსა თუ ნაკლს. ამრიგად, „ბ“-ს არ შეუძენია საკუთრება ნაკვეთზე და შესაბამისად, იგი არ არის სათანადო მოპასუხე სკ-ის მე-301 მუხლის 1-ლი ნაწილის ფარგლებში.

2. „გ“ — „ა“-ს ურთიერთობის ფარგლებში განიხილება 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე უძრავის ქონების რეალიზაციის თემნის მოთხოვნა. აქ, საკითხავია, შეიძინა თუ არა საერთოდ

⁹⁶ სკ-ის მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გარკვეული წინაპირობების არსებობისას, იპოთეკარს შეუძლია მოითხოვოს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია. ამასთან, უძრავი ნივთის რეალიზაცია ხორციელდება არა იპოთეკარის მიერ, არამედ სათანადო სახელმწიფო პროცედურის გზით. ამრიგად, კრედიტორის (იპოთეკარის) მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა არ არის მიმართული კონკრეტული ვალდებულების/მოქმედების შესრულებაზე, არამედ რეალიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების თმენაზე.

⁹⁷ განკარგვის უფლებამოსილება არის სამართლებრივი უფლება, რომელიც გულისხმობს სანივთო სამართლებრივი ცვლილების განხორციელებას ნივთზე.

„გ“-ბანკმა იურიდიული ძალის მქონე იპოთეკა „ა“-ს უძრავ ქონებაზე.

სკ-ის 289-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იურიდიული ძალის მქონე იპოთეკის წარმოშობისათვის საჭიროა იპოთეკით დასაფიქსირებელი ნივთის მესაკუთრისა და იპოთეკარის გარიგება (შეთანხმება) ნივთის იპოთეკით დატვირთვასთან დაკავშირებით და იპოთეკის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში „ბ“ არ არის მესაკუთრე, ვერ განიხილება იპოთეკის შექმნა გარიგების საფუძველზე.

თუმცა, აქაც უნდა განვიხილოთ «გ»-ბანკის მიერ იპოთეკის კეთილსინდისიერად შექმნის შესაძლებლობა, ვინაიდან „ბ“ საჯარო რეესტრში იყო რეგისტრირებული მესაკუთრედ. აქედან გამომდინარე, აქ საქმე გვაქვს იპოთეკის პირველადი კეთილსინდისიერი შექმნის პრობლემასთან, რადგან ამ მომენტამდე არანაირი იპოთეკა არ არსებობდა. მოცემულ კონსტელაციაზე არ გამოიყენება სკ-ის 297-ე მუხლი, ვინაიდან იგი ეხება იპოთეკის მეორად კეთილსინდისიერ შექმნას. უკვე არსებული იპოთეკა შესაძლებელია კეთილსინდისიერად შეიძინოს პირმა სკ-ის 297-ე მუხლის მიხედვით.

იპოთეკის პირველადი კეთილსინდისიერი შექმნის შემთხვევებზე გამოიყენება სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი. აღნიშნული ნორმის მიხედვით, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვიებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული. აქ პრობლემატურია ის გარემოება, რომ „ბ“ რეესტრში რეგისტრირებული იყო მესაკუთრედ და არა იპოთეკარად. მაშასადამე, ნორმის სიტყვასიტყვითი გაგებით აქ საუბარია საკუთრების უფლებაზე, რადგან გამსხვიებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული სწორედ საკუთრების და არა იპოთეკის უფლება. ვინაიდან არ არის სახეზე წინასწარი რეგისტრაცია იპოთეკარად, შესაძლოა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ არ არის შესაძლებელი სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით იპოთეკის პირველადი კეთილსინდისიერი შექმნა. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ თუ სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, «გ»-ბანკი შეიძლება ყოფილიყო საკუთრების, ანუ ყველაზე ფართო სანივთო უფლების კეთილსინდისიერი შემძენი, მაშინ

მოცემულ შემთხვევაში «გ»-ბანკს მით უფრო უნდა შეეძლოს ამ ფართო სანივთო უფლების ერთ-ერთი ელემენტის, კერძოდ, იპოთეკის, როგორც გასხვისების უფლების, კეთილსინდისიერი შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის გავრცობა იპოთეკის პირველად კეთილსინდისიერ შექმნაზეც.

3. „გ“ — „დ“-ს ურთიერთობის ფარგლებში განიხილება მხოლოდ თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნა. საკითხავია, არის თუ არა მოცემული კონსტელაციის ფარგლებში აღნიშნული მოთხოვნა განხორციელებადი. სკ-ის 894-ე მუხლის მიხედვით, თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი, ანუ „გ“-ბანკი არ შეეცდება ძირითადი მოვალის, ანუ „ბ“-ს მიმართ იძულებით აღსრულებას. იძულებითი აღსრულების მცდელობა სახეზე არ არის. თუმცა, შესაძლოა „დ“ უარს ამბობს აღნიშნულ დათქმაზე. სკ-ის 895-ე მუხლის მიხედვით, თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც. მოცემულ კაზუსში „დ“-მ იკისრა ასეთი პასუხისმგებლობა.

კაზუსის გადაწყვეტის სქემა:

ა. «გ»-ბანკის მოთხოვნები „ბ“-ს მიმართ

1. სესხის დაბრუნების მოთხოვნა 100.000 ლარის ოდენობით (სკ-ის 626-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 623-ე მუხლი)

1. მოთხოვნის წარმოშობა

წინაპირობები:

- სასესხო ხელშეკრულება „ბ“-სა და გ-ბანკს შორის 100.000 ლარზე(+)
- სასესხო თანხის გაცემა (+), გ-ბანკმა აღნიშნული თანხა სრულად გადაცა „ბ“-ს

→ მოთხოვნა წარმოიშვა

2. მოთხოვნის შეწყვეტა

ფაბულა არ შეიცავს მითითებებს მოთხოვნის შეწყვეტასთან დაკავშირებით; „ბ“-ს ეკონომიური სიდუხჭირე არ იწვევს მოთხოვნის შეწყვეტას

3. მოთხოვნის განხორციელება

ფაბულის თანახმად ვალის დაბრუნების ვადა დადგა (+)

4. შედეგი: «გ»-ბანკის სესხის დაბრუნების მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ 100.000 ლარზე სკ-ის 626-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და 623-ე მუხლზე დაყრდნობით (+)

II. უძრავი ქონების რეალიზაციის თემის მოთხოვნა (სკ-ის მე-301 მუხლის 1-ლი ნაწილი)⁹⁸

1. მოთხოვნის წარმოშობა

წინაპირობები:

- „ბ“- მინის ნაკვეთის მესაკუთრე
- იპოთეკის შექმნა „გ“-ბანკის მიერ
- იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის (ვალდებულების) შესრულების ვადის გადაცილება

ა) „ბ“- მინის ნაკვეთის მესაკუთრე

სკ-ის მე-301 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ უძრავი ქონების მესაკუთრეზე –» „ბ“- მინის ნაკვეთის მესაკუთრე?

(1) „ბ“-ს მიერ საკუთრების შექმნა გარიგების საფუძველზე (სკ-ის 183-ე მუხლი)

(ა) წერილობითი ფორმის გარიგება (-)

- წერილობითი ფორმა (+)
- შეთანხმება (-), „ა“-ს ნების გამოვლენა ბათილია დროებითი ფსიქიკური მოშლილობის გამო (სკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ალტერნატივა)

(ბ) შუალედური შედეგი: „ბ“-ს მიერ საკუთრების შექმნა გარიგების საფუძველზე (-)

(2) საკუთრების კეთილსინდისიერი შექმნა, (სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

- სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი ეხება მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერებს. ხოლო პირის ქმედუნარიანობა არ არის ისეთი საკითხი, რომელზეც ვრცელდება რეგისტრაციის ვალდებულება
- კეთილსინდისიერების დაცვა მოიცავს მხოლოდ სანივთო უფლე-

⁹⁸ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ასევე განმარტებები 111-ე გვერდზე

ბამოსილებას და არა გარიგების სხვა ხარვეზების გამოსწორებას
 - სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი (-)

(3) შუალედური შედეგი: „ბ“-ს არ შეუძენია საკუთრება მიწის ნაკვეთზე.

ბ) შუალედური შედეგი: „ბ“-ს მიმართ მოთხოვნა არ წარმოიშვა, ვინაიდან იგი არ არის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე.

2. შედეგი: მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ სკ-ის მე-301 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე (-)

ბ. «გ»-ბანკის მიერ „ა“-სგან მიწის ნაკვეთის რეალიზაციის თმენის მოთხოვნა სკ-ის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

1. მოთხოვნის წარმოშობა

წინაპირობები:

- «გ»-ბანკის მიერ „ა“-ს ნაკვეთზე იპოთეკის უფლების შექმნა
- იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის (ვალდებულების) შესრულების ვადის გადაცილება

1. იპოთეკა «გ»-ბანკის სასარგებლოდ

ა) შექმნა გარიგების საფუძველზე (სკ-ის 289-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)
 წინაპირობები:

- წერილობითი ფორმის გარიგება
- უზრუნველსაყოფი მოთხოვნის არსებობა⁹⁹
- რეგისტრაცია საჯარო რეესტრში
- „ბ“-ს სანივთო უფლებამოსილება

(1) წერილობითი ფორმის გარიგება (სკ-ის 289-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

- შეთანხმება „ბ“-სა და «გ»-ბანკს შორის (+)

- წერილობითი ფორმა (+)

(2) „ბ“-ს სანივთო უფლებამოსილება

- „ბ“ არ არის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე (იხ. ზემოთ)
- „ბ“-ს არა აქვს მინიჭებული „ა“-სგან ნაკვეთის იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილება

→ აქედან გამომდინარე – „ბ“-ს სანივთო უფლებამოსილება (-)

(3) გარიგების საფუძველზე შექმნასთან დაკავშირებული შუალედური შედეგი: (-), „ბ“-ს სანივთო უფლებამოსილების არარსებობის გამო

⁹⁹ იპოთეკის მკაცრად აქცესორული ხასიათის გამო სამართლებრივად ნამდვილი იპოთეკის წარმოშობისათვის აუცილებელია უზრუნველსაყოფი მოთხოვნის არსებობა.

ბ) იპოთეკის პირველადი კეთილსინდისიერი შეძენა (სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

წინაპირობები:

- სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის გავრცობა მოცემულ შემთხვევაზე
- გარიგების საფუძველზე შეძენის წინაპირობების არსებობა, გარდა მოვალის სანივთო უფლებამოსილებისა
- საჯარო რეესტრის ჩანაწერის სიმცდარე „ბ“-ს, როგორც მე-საკუთრეს პოზიციასთან დაკავშირებით
- «გ»-ბანკის კეთილსინდისიერება

(1) ნორმის გავრცობა მოცემულ შემთხვევაზე?

- სკ-ის 297-ე მუხლი (-), რადგან აღნიშნული ნორმა გულისხმობს იპოთეკის მეორად კეთილსინდისიერ შეძენას, ანუ: უკვე არსებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკის შეძენას. მოცემულ კაზუსში კი საუბარია იმაზე, შესაძლებელია თუ არა «გ»-ბანკის მიერ პირველადი იპოთეკის შეძენა
- პრობლემა, სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი: „უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული“ – რეგისტრირებულია „ბ“-ს საკუთრების უფლება და არა იპოთეკის უფლება მის სასარგებლოდ.

მ ა გ რ ა მ: თუკი სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საჯარო რეესტრის ჩანაწერის საფუძველზე უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის შესაძლებლობას, მაშინ ეს შესაძლებლობა მით უფრო უნდა ვრცელდებოდეს ამ ნივთის დატვირთვაზეც – ნივთის დატვირთვა არის ყველაზე ფართო სანივთო უფლების, კერძოდ საკუთრების ერთ-ერთი ელემენტი. ნორმის გავრცობა მოცემულ შემთხვევაზე (+)

(2) გარიგების საფუძველზე შეძენის წინაპირობების არსებობა, გარდა მოვალის სანივთო უფლებამოსილებისა

- წერილობითი ფორმის გარიგება (+), იხ. ზემოთ
- უზრუნველსაყოფი მოთხოვნის არსებობა (+), სესხის უკან დაბრუნების მოთხოვნა არსებობს. ამ შემთხვევაში არ არის გადამწყვეტი ვადამოსულია თუ არა იგი
- «გ»-ბანკის სასარგებლოდ იპოთეკის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (+)

(3) საჯარო რეესტრის ჩანაწერის სიმცდარე „ბ“-ს, როგორც მესაკუთრის პოზიციასთან დაკავშირებით

(+), „ბ“ არასწორად იყო რეგისტრირებული მესაკუთრედ.

(4) «გ»-ბანკის კეთილსინდისიერება (+)

- საჩივარი (-)

- ცოდნა ჩანაწერის უზუსტობის შესახებ (-)

«გ»-ბანკმა მას შემდეგ შეიტყო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე, რაც მისთვის ცნობილი გახდა „ა“-ს დროებითი ფსიქიკური მოშლილობის შესახებ –» ნორმით გათვალისწინებული ცოდნა გულისხმობს უზუსტობის ცოდნას გარიგების დადების დასრულების მომენტში –» ამრიგად (-), ვინაიდან გარიგების დადება დასრულდა საჯარო რეესტრში იპოთეკის რეგისტრაციით.

(5) შუალედური შედეგა: «გ»-ბანკის მიერ იპოთეკის კეთილსინდისიერი შექმნა (+)

2. იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის (ვალდებულების) შესრულების ვადის გადაცილება

წინაპირობები:

- ვადის გადაცილების წინაპირობები სკ-ის მე-400 მუხლის მიხედვით

- არ უნდა იყოს სახეზე სკ-ის 401-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის გადაცილების გამომრიცხავი გარემოებები

ა) ვადის გადაცილების წინაპირობები სკ-ის მე-400 მუხლის მიხედვით

- „ბ“-სა და გ-ბანკს შორის სესხის დაბრუნების მოთხოვნის არსებობა(+)

- სკ-ის მე-400 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი – შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულების შეუსრულებლობა – არ არის დასახელებული ფაბულაში

- სკ-ის მე-400 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი – ვალდებულების შეუსრულებლობა შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ მოვალის გაფრთხილების შემდეგაც – ფაბულის მიხედვით (+)

ბ) არ უნდა იყოს სახეზე სკ-ის 401-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის გადაცილების გამომრიცხავი გარემოებები

ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

მ ა გ რ ა მ: აღნიშნული არ ვრცელდება ფულად ვალდებულებებზე. ვალი უნდა დაბრუნდეს!

გ) შუალედური შედეგი შესრულების ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით

„ბ“-მ გადააცილა სესხის დაბრუნების ვადას.

3. შუალედური შედეგი: მიწის ნაკვეთის რეალიზაციის თმენის მოთხოვნა წარმოიშვა სკ-ის მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა/შესრულების შეუძლებლობა

ფაბულა არ შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მეტყველებს მოთხოვნის შეწყვეტაზე ან მისი შესრულების შეუძლებლობაზე.

III. შედეგი

გ-ბანკს შეუძლია მოითხოვოს „ა“-სგან მიწის ნაკვეთის რეალიზაციის თმენა სკ-ის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

გ. «გ»-ბანკის მოთხოვნა „დ“-ს მიმართ თავდებობიდან გამომდინარე სკ-ის 891-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

I. მოთხოვნის წარმოშობა

წინაპირობები: თავდებობის ნამდვილი ხელშეკრულება «გ»-ბანკსა და „დ“-ს შორის და ძირითადი მოთხოვნის არსებობა

1. უზრუნველსაყოფი (ძირითადი) მოთხოვნის არსებობა

სესხის დაბრუნების მოთხოვნა (+)

2. ნამდვილი თავდებობის ხელშეკრულება «გ»-ბანკსა და „დ“-ს შორის ა) შეთანხმება «გ»-ბანკსა და „დ“-ს შორის

(+), „დ“ განაცხადებს თავდებობას „ბ“-ს მიმართ «გ»-ბანკის მოთხოვნაზე 30.000 ლარის ოდენობით

ბ) თავდებობის წერილობითი ფორმა (სკ-ის 892-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

გამორიცხვა სკ-ის 892-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით (-), ფაბულა არ შეიცავს მითითებებს იმასთან დაკავშირებით, რომ „დ“-მ განაცხადა თავდებობის შესახებ თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში – წერილობითი ფორმის სავალდებულოობა (+) → ფაბულის მიხედვით (+)

3. შუალედური შედეგი: თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნა წარმოიშვა.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

ფაბულა არ შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მეტყველებს მოთხოვნის შეწყვეტაზე.

III. მოთხოვნის განხორციელება

დათქმა – სკ-ის 894-ე მუხლი, მ ა გ რ ა მ: სამართლებრივად ნამდვილი უარი დათქმაზე სკ-ის 895-ე მუხლის მიხედვით → მოთხოვნა არის განხორციელებადი (+)

IV. შედეგი

თავდებობიდან გამომდინარე, «გ»-ბანკს აქვს „დ“-ს მიმართ მოთხოვნის უფლება სკ-ის 891-ე მუხლის საფუძველზე.

დ. საერთო შედეგი:

მოთხოვნა „გ“ → „ბ“ სკ-ის 623-ე და 626-ე მუხლების მიხედვით (+)

მოთხოვნა „გ“ → „ა“ სკ-ის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით (+)

მოთხოვნა „გ“ → „დ“ სკ-ის 891-ე მუხლის მიხედვით (+)

იურიდიული დასკვნა:

ა. «გ»-ბანკის მოთხოვნები „ბ“-ს მიმართ

1. სესხის დაბრუნების მოთხოვნა 100.000 ლარის ოდენობით (სკ-ის 626-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 623-ე მუხლი)

შესაძლოა «გ»-ბანკს ჰქონდეს „ბ“-ს მიმართ 100.000 ლარის ოდენობით სესხის დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 626-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 623-ე მუხლის საფუძველზე. ამისათვის უნდა წარმოიშვას შესაბამისი მოთხოვნა, არ უნდა შეწყდეს იგი და ასევე შესაძლებელი უნდა იყოს მისი განხორციელება.

1. მოთხოვნის წარმოშობა

მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა «გ»-ბანკსა და „ბ“-ს შორის სესხის ხელშეკრულების დადება 100.000 ლარზე და „ბ“-სთვის სესხის გადაცემა. ფაბულის თანახმად, «გ»-ბანკსა და „ბ“-ს შორის დაიდო ასეთი ხელშეკრულება. «გ»-ბანკმა ასევე უზრუნველყო „ბ“-სთვის 100.000 ლარის ოდენობით სესხის გადაცემა. ამით წარმოიშვა სესხის დაბრუნე-

ბის მოთხოვნა.

2. მოთხოვნის შეწყვეტა

ფაბულა არ შეიცავს მითითებებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მეტყველებს სესხის დაბრუნების მოთხოვნის შეწყვეტაზე. „ბ“-ს ეკონომიური სიდუხჭირე არ იწვევს მოთხოვნის შეწყვეტას (ვალი უნდა დაბრუნდეს).

3. მოთხოვნის განხორციელება

მოთხოვნა უნდა იყოს განხორციელებადი. ამისათვის დამდგარი უნდა იყოს „ბ“-ს მიერ მისი (ვალდებულების) შესრულების ვადა. ფაბულის მიხედვით, ვალდებულება ვადამოსულია. მოცემულ კაზუსში არ ვლინდება სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ხელს უშლის მოთხოვნის განხორციელებას. ამრიგად, მოთხოვნა ექვემდებარება განხორციელებას.

4. შედეგი

მაშასადამე, «გ»-ბანკს აქვს „ბ“-ს მიმართ 100.000 ლარის ოდენობით სესხის დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 626-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 623-ე მუხლის საფუძველზე.

II. უძრავის ქონების რეალიზაციის თმენის მოთხოვნა (სკ-ის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

შესაძლოა «გ»-ბანკს ჰქონდეს „ბ“-ს მიმართ იპოთეკიდან გამომდინარე მიწის ნაკვეთის რეალიზაციის თმენის მოთხოვნა სკ-ის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. ამისათვის შესაბამისი მოთხოვნა უნდა წარმოიშვას, იგი არ უნდა შეწყდეს მომავალში განვითარებული მოვლენების გამო და ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ამ მოთხოვნის განხორციელება.

1. მოთხოვნის წარმოშობა

იმისათვის, რომ წარმოიშვას სკ-ის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გავალისწინებული მოთხოვნა, „ბ“ უნდა იყოს იპოთეკით დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრე, «გ»-ბანკს შექმნილი უნდა ჰქონდეს იპოთეკის უფლება აღნიშნულ ნაკვეთზე და „ბ“-მ უნდა გადააცილოს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის/ვალდებულების შესრულების ვადას.

ა) „ბ“ – მიწის ნაკვეთის მესაკუთრე

„ბ“ უნდა იყოს იპოთეკით დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრე. თავდაპირველად მესაკუთრე იყო „ა“.

(1) „ბ“-ს მიერ საკუთრების შექმნა გარიგების საფუძველზე (სკ-ის 183-ე მუხლი)

შესაძლოა „ბ“-მ „ა“-სგან ნაკვეთი შეიძინა გარიგების საფუძველზე სკ-ის 183-ე მუხლის შესაბამისად. ამისათვის აუცილებელია გარიგების დადება წერილობითი ფორმით ნივთობრივად უფლებამოსილ გამსხვი-სებელსა და შემძენს შორის და შემძენზე საკუთრების გადასვლის რე-გისტრაცია საჯარო რეესტრში.

(ა) წერილობითი ფორმის გარიგება

„ა“-ს, როგორც გამსხვისებელსა, და „ბ“-ს შორის არსებობს წერი-ლობითი ფორმის გარიგება „ა“-ს მიერ „ბ“-სთვის მიწის ნაკვეთის გადა-ცემის თაობაზე. თუმცა, აღნიშნული გარიგება უნდა იყოს ნამდვილი, რათა დადგეს შესაბამისი სამართლებრივი შედეგი. რადგან „ა“ ფაბუ-ლის მიხედვით გარიგების დადების მომენტისათვის იმყოფებოდა დროე-ბითი ფსიქიკური მოშლილობის მდგომარეობაში, სკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ალტერნატივის თანახმად, მისი ნების გამოვლენა ბათილია. ამრიგად, მოცემულ კაზუსში არ არის სახეზე „ა“-სა და „ბ“-ს შორის დადებული სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე შეთანხმება საკუთრების გადასვლის თაობაზე.

(ბ) შუალედური შედეგი

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ბ“-ს არ შეუძენია საკუთრება „ა“-ს მიწის ნაკვეთზე სკ-ის 183-ე მუხლის შესაბამისად.

(2) საკუთრების კეთილსინდისიერი შექმნა (სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

„ბ“-ს შეეძლო კანონის საფუძველზე, სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კეთილსინდისიერად შეეძინა საკუთრება მიწის ნაკვეთზე. ამისათვის სახეზე უნდა იყოს გარიგების საფუძველზე საკუ-თრების შექმნის ყველა წინაპირობა, გარდა გამსხვისებლის სანივთო უფლებამოსილებისა. გარდა ამისა, რეესტრის ჩანაწერი უნდა იყოს მცდარი „ა“-ს როგორც მესაკუთრის პოზიციასთან დაკავშირებით და შემძენი „ბ“ უნდა იყოს კეთილსინდისიერი გამსხვისებლის სანივთო უფლებამოსილების მიმართ.

როგორც აღნიშნული წინაპირობები გვიჩვენებს, კეთილსინდისიერე-ბის დაცვა მიმართულია მხოლოდ გამსხვისებლის სანივთო უფლება-

მოსილების არარსებობაზე; იგი არ მოიცავს საკუთრების გადასვლის სხვა ხარვეზების გასწორებას. ამგვარად, კეთილსინდისიერი შეძენის ინსტიტუტი ვერ აღმოფხვრის ნების გამოვლენის ხარვეზს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ განიხილება საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენა. მაშასადამე, მიწის ნაკვეთი ჯერ კიდევ წარმოადგენს „ა“-ს საკუთრებას.

(3) შუალედური შედეგი „ბ“-ს, როგორც მესაკუთრის, პოზიციასთან დაკავშირებით

„ბ“-ს არ შეუძენია საკუთრება მიწის ნაკვეთზე.

ბ) შუალედური შედეგი მოთხოვნის წარმოშობასთან დაკავშირებით სკ-ის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისი მოთხოვნა არ წარმოიშვა, ვინაიდან „ბ“ არ არის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე.

2. შედეგი

«გ»-ბანკს არა აქვს „ბ“-ს მიმართ მიწის ნაკვეთის რეალიზაციის თმენის მოთხოვნის უფლება სკ-ის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

ბ. «გ»-ბანკის მიერ „ა“-სგან მიწის ნაკვეთის რეალიზაციის თმენის მოთხოვნა სკ-ის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

შესაძლოა «გ»-ბანკს ჰქონდეს „ა“-ს, როგორც ნაკვეთის მესაკუთრის, მიმართ მიწის ნაკვეთის რეალიზაციის თმენის მოთხოვნა სკ-ის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. ამისათვის შესაბამისი მოთხოვნა უნდა წარმოიშვას, იგი არ უნდა შეწყდეს მომავალში განვითარებული მოვლენების გამო და ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ამ მოთხოვნის განხორციელება.

1. მოთხოვნის წარმოშობა

მოთხოვნის წარმოშობისათვის «გ»-ბანკს „ა“-ს ნაკვეთზე შეძენილი უნდა ჰქონდეს იპოთეკის უფლება და „ბ“-მ უნდა გადააცილოს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის/ვალდებულების შესრულების ვადას (სკ-ის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

1. იპოთეკა «გ»-ბანკის სასარგებლოდ

«გ»-ბანკს შეეძლო იპოთეკის უფლება შეეძინა გარიგების საფუძველზე ან კეთილსინდისიერად.

ა) შეძენა გარიგების საფუძველზე (სკ-ის 289-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) გარიგების საფუძველზე იპოთეკის შექმნისათვის, ერთი მხრივ, სკ-ის 289-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი და მე-2 წინადადების მიხედვით აუცილებელია წერილობითი ფორმის გარიგება უძრავი ქონების მე-საკუთრესა და იპოთეკარს შორის და იპოთეკის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ხოლო, მეორე მხრივ, იპოთეკის უზრუნველმყოფი ხასიათის, ანუ მოთხოვნაზე დამოკიდებულების გამო, მის რეგისტრაციასთან ერთად აუცილებელია უზრუნველსაყოფი მოთხოვნის არსებობა. გარდა ამისა, მოვალეს უნდა ჰქონდეს სანივთო უფლებამოსილება.

(1) წერილობითი ფორმის გარიგება (სკ-ის 289-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება)

„ბ“ და „გ“-ბანკი ამისათვის სათანადო ფორმით შეთანხმდნენ 100.000 ლარის ოდენობის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით «გ»-ბანკის სასარგებლოდ იპოთეკის რეგისტრაციის თაობაზე. ამით სახეზეა სამართლებრივად ნამდვილი წერილობითი ფორმის გარიგება.¹⁰⁰

(2) „ბ“-ს სანივთო უფლებამოსილება

როგორც ა. II. 1. ა) პუნქტში აღინიშნა, „ბ“ არ არის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. მესაკუთრე არის „ა“. „ბ“-ს არც იპოთეკის რეგისტრაციის უფლებამოსილება მიუღია „ა“-სგან «გ»-ბანკის სასარგებლოდ. ამრიგად, „ბ“-ს არა აქვს სანივთო უფლებამოსილება მიწის ნაკვეთზე.

(3) შუალედური შედეგი გარიგების საფუძველზე იპოთეკის უფლების შექმნასთან დაკავშირებით

ვინაიდან „ბ“-ს არა აქვს სანივთო უფლებამოსილება მიწის ნაკვეთზე, «გ»-ბანკს არ შეეძლო სკ-ის 289-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად გარიგების საფუძველზე იპოთეკის უფლების შექმნა.

ბ) იპოთეკის უფლების კეთილსინდისიერი შექმნა სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად

შესაძლოა «გ»-ბანკს კეთილსინდისიერად შეეძინა იპოთეკის უფლება 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. ამისათვის აღნიშნული ნორმა უნდა ვრცელდებოდეს შემთხვევათა მოცემულ კონსტელაციაზე, ასევე სახეზე უნდა იყოს გარიგების საფუძველზე იპოთეკის უფლების პირველადი შექმნის ყველა წინაპირობა, გარდა სანივთო უფლებამოსილე-

¹⁰⁰ ის გარემოება, რომ „ბ“ არ არის ნივთობრივად უფლებამოსილი, არაფერს ცვლის მავალდებულებელი გარიგების სამართლებრივ ნამდვილობასთან დაკავშირებით.

ბისა, რეესტრის ჩანაწერი „ბ“-ს, როგორც მესაკუთრის, პოზიციასთან დაკავშირებით უნდა იყოს მცდარი და «გ»-ბანკი ამ გარემოების მიმართ უნდა იყოს კეთილსინდისიერი.

(1) ნორმის გავრცობა მოცემულ შემთხვევაზე

აღნიშნულის წინაპირობა კი იმის გარკვევაა, არის თუ არა ეს ნორმა საერთოდ გამოყენებადი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაზე. სკ-ის 297-ე მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, საჯარო რეესტრის ჩანაწერი სწორია იპოთეკისა და მოთხოვნის კუთხით. აღნიშნული ნორმა ეხება იპოთეკის მეორად კეთილსინდისიერ შექმნას, ანუ უკვე არსებული, ყოველი შემთხვევისათვის კი – რეგისტრირებული იპოთეკის შექმნას. მოცემულ კაზუსში საუბარია იპოთეკის პირველად შექმნაზე, რასაც არ ანესრიგებს სკ-ის 297-ე მუხლი.

იპოთეკის პირველადი კეთილსინდისიერი შექმნა შესაძლოა განხორციელდეს სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე. აღნიშნული ნორმის თანახმად, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული. მოცემულ შემთხვევაში „ბ“ რეესტრში რეგისტრირებულია მხოლოდ მესაკუთრედ, იპოთეკის უფლება კი, რომელსაც შემდეგ იგი გადასცემდა „გ“-ბანკს, მის სასარგებლოდ არ არის რეგისტრირებული. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მოცემული ნორმა არ გამოიყენება იპოთეკის პირველად კეთილსინდისიერ შექმნაზე. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საჯარო რეესტრის ჩანაწერის საფუძველზე საკუთრების შექმნის შესაძლებლობას. საკუთრება კი არის ყველაზე ფართო სანივთო უფლება ყველა სხვა სანივთო უფლებებს შორის, რომელიც შეიძლება ჰქონდეს პირს რაიმე ნივთის მიმართ. თუ სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი შესაძლებელს ხდის რეესტრში მცდარად რეგისტრირებული (არაუფლებამოსილი) გამსხვისებლისაგან ყველაზე ფართო და მასშტაბური სანივთო უფლების (საკუთრების) შექმნას, მაშინ იგივე წესი მით უფრო უნდა მოქმედებდეს ამ მასშტაბური უფლების ცალკეული ელემენტების მიმართ. ერთ-ერთი ასეთი ელემენტია იპოთეკა. იგი არის მესაკუთრის უნივერსალური უფლებამოსილების ნაწილი. აქედან

გამომდინარე, სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედება ასევე ვრცელდება არაუფლებამოსილი (რეესტრში არასწორად რეგისტრირებული) გამსხვისებლისაგან იპოთეკის უფლების პირველად კეთილსინდისიერ შეძენაზე.

სკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით იპოთეკის უფლების პირველადი კეთილსინდისიერი შეძენისათვის აუცილებელია გარიგების საფუძველზე იპოთეკის პირველადი შეძენის ყველა წინაპირობის არსებობა, გარდა მოვალის სანივთო უფლებამოსილებისა, ამას გარდა, „ბ“ უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული ნივთზე უფლებამოსილ პირად, არ უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული რაიმე საჩივარი ამ ჩანაწერის წინააღმდეგ და „გ“-ბანკისათვის არ უნდა ყოფილიყო ცნობილი რეესტრის ჩანაწერის უზუსტობა.

(2) გარიგების საფუძველზე შეძენის წინაპირობების არსებობა, გარდა მოვალის სანივთო უფლებამოსილებისა

როგორც უკვე ბ. I. 1 ა) (1) პუნქტში აღინიშნა, სახეზეა სამართლებრივად ნამდვილი წერილობითი ფორმის შეთანხმება „ბ“-სა და „გ“-ბანკს შორის იპოთეკის რეგისტრაციის თაობაზე. იპოთეკის წარმოშობის მომენტში ასევე არსებობს იპოთეკით უზრუნველსაყოფი სესხის დაბრუნების მოთხოვნა 100.000 ლარის ოდენობით. ის გარემოება, რომ მოთხოვნა ამ მომენტისათვის ჯერ არ არის ვადამოსული, უმნიშვნელოა. იპოთეკა რეგისტრირებულია რეესტრში «გ»-ბანკის სასარგებლოდ. ამგვარად, სახეზეა გარიგების საფუძველზე იპოთეკის პირველადი შეძენის ყველა წინაპირობა, გარდა „ბ“-ს სანივთო უფლებამოსილებისა.

(3) საჯარო რეესტრის ჩანაწერის სიმცდარე „ბ“-ს, როგორც მესაკუთრის, პოზიციასთან დაკავშირებით

„ბ“ არასწორად იყო რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ, ვინაიდან მას „ა“-ს დროებითი ფსიქიკური მოშლილობის გამო არც გარიგების საფუძველზე და არც კანონის საფუძველზე, ანუ კეთილსინდისიერი შეძენის ინსტიტუტის მეშვეობით არ შეეძლო ნაკვეთზე საკუთრების შეძენა (იხ. ზემოთ ა. II. 1. ა)).

(4) «გ»-ბანკის კეთილსინდისიერება

«გ»-ბანკი იმ შემთხვევაში იყო კეთილსინდისიერი „ბ“-ს სანივთო უფლებამოსილების მიმართ, თუკი არ ყოფილა რეგისტრირებული საჩი-

ვარი იმ ჩანაწერის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც „ბ“ იყო ნაკვეთის მესაკუთრე და თუ «გ»-ბანკმა არ იცოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში არ არის სახეზე საჩივარი საჯარო რეესტრის იმ ჩანაწერის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც „ბ“ იყო ნაკვეთის მესაკუთრე. ხოლო რაც შეეხება ჩანაწერის უზუსტობას, «გ»-ბანკმა მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე, რაც მისთვის ცნობილი გახდა „ა“-ს დროებითი ფსიქიკური მოშლილობის შესახებ. უზუსტობის ცოდნის გადამწყვეტი დროა გარიგების დადების დასრულების მომენტი, ანუ, მოცემულ (უძრავი ნივთების შემთხვევაში) შემთხვევაში, საჯარო რეესტრში იპოთეკის რეგისტრაციის მომენტი, ვინაიდან აღნიშნული პროცედურა, როგორც წესი, მოსდევს წერილობითი ფორმით გარიგების დადებას. ამ მომენტისათვის კი «გ»-ბანკმა არაფერი იცოდა „ბ“-ს, როგორც მესაკუთრის, პოზიციასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის უზუსტობის შესახებ.

(5) შუალედური შედეგი «გ»-ბანკის მიერ იპოთეკის კეთილსინდისიერ შეძენასთან დაკავშირებით

ამასადამე, «გ»-ბანკმა 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე კეთილსინდისიერად შეიძინა იპოთეკის უფლება „ა“-ს ნაკვეთზე.

2. იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის (ვალდებულების) შესრულების ვადის გადაცილება

სახეზე უნდა იყოს „ბ“-ს მიერ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის, ანუ სესხის უკან დაბრუნების მოთხოვნის (ვალდებულების) შესრულების ვადის გადაცილება. ამისათვის მოცემული უნდა იყოს სკ-ის მე-400 მუხლით გათვალისწინებული ვადის გადაცილების წინაპირობები და არ უნდა არსებობდეს სკ-ის 401-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის გადაცილების გამომრიცხავი გარემოებები.

ა) ვადის გადაცილების წინაპირობები სკ-ის მე-400 მუხლის მიხედვით
 სკ-ის მე-400 მუხლის ერთ-ერთი წინაპირობაა „ბ“-სა და «გ»-ბანკს შორის მოთხოვნის არსებობა, რაც მოცემულია სესხის დაბრუნების მოთხოვნის სახით. სკ-ის მე-400 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის გადაცილებისათვის „ბ“-ს არ უნდა შეესრულებინა ვალდებულება შესრულებისათვის დადგენილ დროში. ამასთან დაკავშირებით ფაბულა

არ შეიცავს მითითებებს.

თუმცა, შესაძლოა „ბ“-მ სკ-ის მე-400 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადააცილა ვადას. ამისათვის, მას შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც არ უნდა შეესრულებინა ვალდებულება. ფაბულის მიხედვით ეს ასეც მოხდა. ამგვარად, სახეზეა სკ-ის მე-400 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის წინაპირობები.

ბ) არ უნდა იყოს სახეზე სკ-ის 401-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის გადაცილების გამომრიცხავი გარემოებები

სკ-ის 401-ე მუხლის მიხედვით, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამომწვეული. მოცემულ შემთხვევაში არ არის ნათელი, რატომ აღმოჩნდა „ბ“ რთულ ფინანსურ მდგომარეობაში. თუმცა, აქაც ვრცელდება პრინციპი: „ვალი უნდა დაბრუნდეს!“ სკ-ის 401-ე მუხლი არ გულისხმობს პირის ეკონომიკურ სიდუხჭირეს.

გ) შუალედური შედეგი შესრულების ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით

„ბ“-მ, მე-400 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადააცილა სესხის დაბრუნების ვადას.

3. შუალედური შედეგი

„ა“-ს მიმართ წარმოიშვა მიწის ნაკვეთის რეალიზაციის თმენის მოთხოვნა სკ-ის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა/შესრულების შეუძლებლობა

ფაბულა არ შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მეტყველებს მოთხოვნის შეწყვეტაზე ან მისი განხორციელების შეუძლებლობაზე.

III. შედეგი

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, «გ»-ბანკს შეუძლია მოითხოვოს „ა“-სგან მიწის ნაკვეთის რეალიზაციის თმენა 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

გ. «გ»-ბანკის მოთხოვნა „დ“-ს მიმართ თავდებობიდან გამომდინარე სკ-ის 891-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

«გ»-ბანკს შესაძლოა „დ“-ს მიმართ ჰქონდეს 30.000 ლარის მოთხოვნის უფლება სკ-ის 891-ე მუხლის საფუძველზე. ამისათვის შესაბამისი

მოთხოვნა უნდა წარმოიშვას, იგი არ უნდა შეწყდეს მომავალში განვითარებული მოვლენების გამო და ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ამ მოთხოვნის განხორციელება.

1. მოთხოვნის წარმოშობა

მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა «გ»-ბანკსა და „დ“-ს შორის 30.000 ლარზე სამართლებრივად ნამდვილი თავდებობის ხელშეკრულების და უზრუნველსაყოფი (ძირითადი) მოთხოვნის არსებობა.

1. უზრუნველსაყოფი (ძირითადი) მოთხოვნის არსებობა

თავდებობით დამატებით უნდა მოხდეს სესხის დაბრუნების მოთხოვნის უზრუნველყოფა. აღნიშნული მოთხოვნა არსებობს (მიუხედავად იმისა, რომ თავდებობის გაფორმების მომენტში იგი არ არის ვადამოსული).

2. ნამდვილი თავდებობის ხელშეკრულება «გ»-ბანკსა და „დ“-ს შორის

თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის აუცილებელია «გ»-ბანკისა და „დ“-ს შეთანხმება თავდებობის თაობაზე და თავდებობის განცხადება სკ-ის 892-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ფორმით.

ა) შეთანხმება «გ»-ბანკსა და „დ“-ს შორის

ფაბულის თანახმად, «გ»-ბანკი და „დ“ შეთანხმდნენ იმაზე, რომ „დ“ იღებს თავდებობას «გ»-ბანკის მიმართ სესხის დაბრუნების მოთხოვნისათვის 30.000 ლარის ოდენობით.

ბ) თავდებობის წერილობითი ფორმა (სკ-ის 892-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

სკ-ის 892-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თავდებობის ნამდვილობისათვის, ანუ მხოლოდ „დ“-ს ნების გამოვლენისათვის საჭიროა წერილობითი ფორმა. ვინაიდან ფაბულა არ შეიცავს მითითებებს იმასთან დაკავშირებით, რომ „დ“-მ განაცხადა თავდებობის შესახებ თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში, წერილობითი ფორმის სავალდებულოება სკ-ის 892-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, გამორიცხული არ არის. ფაბულის თანახმად, „დ“-მ დაიცვა სათანადო ფორმა თავდებობის განცხადებისას. ამგვარად, სახეზეა თავდებობის ნამდვილი ხელშეკრულება.

3. შუალედური შედეგი

მოთხოვნა წარმოიშვა სკ-ის 891-ე მუხლის საფუძველზე 30.000 ლა-

რის ოდენობით.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

ფაბულა არ შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მტყვევლებს თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნის შეწყვეტაზე.

III. მოთხოვნის განხორციელება

მოთხოვნა უნდა იყოს განხორციელებადი. სკ-ის 894-ე მუხლის თანახმად, თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.

IV. შედეგი

«გ»-ბანკს შეუძლია მოითხოვოს „დ“-სგან 30.000 ლარის გადახდა 891-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

დ. საერთო შედეგი

«გ»-ბანკს აქვს „ბ“-ს მიმართ 100.000 ლარის ოდენობით სესხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება სკ-ის 626-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 623-ე მუხლის საფუძველზე. თუმცა, აღნიშნულ მოთხოვნას პრაქტიკულად არა აქვს ფასი „ბ“-ს გადახდისუუნარობის გამო. ამასთან, «გ»-ბანკს შეუძლია მოსთხოვოს „ა“-ს მისი ნაკვეთის რეალიზაციის თმენა სკ-ის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ხოლო „დ“-ს მოსთხოვოს თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე 30.000 ლარის გადახდა.

შენიშვნა: ერთი შეხედვით შედეგი შესაძლოა უცნაური და მოულოდნელი მოგეჩვენოთ „ა“-სთან დაკავშირებით. მაგრამ სკ-ის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილი უპირატესობას ანიჭებს სამართლებრივი ბრუნვისა და რეესტრის ჩანაწერების მიმართ ნდობის დაცვას ცალკეული მინის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესებთან შედარებით. „ა“-ს შეუძლია მოთხოვნის განხორციელება სკ-ის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველით.

კაზუსი III

კაზუსი ეხება ავარიის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლებში ცენტრალური ადგილი უკავია თხოვნის ხელშეკრულებისა და სამეგობრო ურთიერთობის ურთიერთგამიჯვნას და ასევე იმ ზიანის შერაცხვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც წარმოიქმნა მესამე პირთა განზრახი მოქმედების შედეგად.

ფაქტები: „გ“-მ მნიშვნელოვანი საქმიანი დავალების შესასრულებლად თავისი მეგობარი „დ“-სგან 3 დღით ითხოვა მანქანა. „დ“-სთვის, როგორც მანქანის მფლობელისთვის, ერთი მხრივ, ცნობილი იყო საქმის ეკონომიკური მნიშვნელობა/მხარე, ხოლო, მეორე მხრივ, მან ასევე იცოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო „გ“-სთვის ამ სამი დღის განმავლობაში ავტომანქანის ყოლა.

გადაჭარბებული სიჩქარისა და სახიფათო მანევრების შედეგად „გ“ თბილისის ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაზე დაკარგავს კონტროლს ავტომობილზე და შეასკდება სახლის კედელს. ავარიის შედეგად „გ“ მიიღებს მძიმე დაზიანებას. „დ“-ს მანქანა მთლიანად განადგურდება. ამას გარდა, დაზიანებულია „ე“-ს სახლის კედელი. მომხდარის გამო ჩაიკეტება ვიწრო ქუჩა. პოლიციის მოსვლამდე გამვლელი ავტომანქანები ქუჩის ბლოკადას თავს არიდებენ იმით, რომ სარგებლობენ ქალაქი „თ“-ს საკუთრებაში მყოფი და ახლადშეკეთებული ტროტუარით, რის შედეგადაც ამ ტროტუარსაც მიადგება ზიანი. რა მოთხოვნები წარმოიშვა „გ“-ს და „დ“-ს მიმართ? (იხ. ნახაზი 18).

წინასწარი სამართლებრივი მოსაზრებები:


ვინაიდან საქმეში ჩართულია რამოდენიმე მონაწილე, წინასწარ უნდა გამოიყოს და განისაზღვროს მათ შორის არსებული მნიშვნელოვანი ურთიერთობები. მოცემულ შემთხვევაში განსჯის საგანი შეიძლება იყოს შემდეგი ურთიერთობები:

1. „დ“ «-» „გ“

ა) „დ“-ს შესაძლოა „გ“-ს მიმართ ჰქონდეს მანქანის განადგურების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. დე-

ფაბულის სქემა:

ნახაზი 18- კაზუსი III



ლიტურის სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების გარდა, განიხილება ასევე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება თხოვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის საფუძველზე, სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 615-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით. ამისათვის „გ“-სა და „დ“-ს უნდა დაედოთ თხოვების ხელშეკრულება. რადგან თხოვება გულისხმობს სხვისთვის ნივთის გადაცემას უსასყიდლო სარგებლობისათვის, იგი განეკუთვნება ე.წ. სამეგობრო ხელშეკრულებათა კატეგორიას. სამეგობრო ხელშეკრულება უნდა განვასხვავოთ სამეგობრო ურთიერთობისაგან. ასეთი ურთიერთობა არ წარმოშობს არანაირ ვალდებულებას, იგი არის ყოველდღიური საზოგადოებრივი ჩვეულებების ერთ-ერთი გამოხატულება. მათი გამიჯვნის ელემენტია სამართლებრივი შეზღუდვის ნება. სამართლებრივი შეზღუდვის ნება არის მხარეთა ნება, რომელიც მიმართულია გარკვეულ სამართლებრივ შედეგზე, მოცემულ შემთხვევაში: ხელშეკრულების ფარგლებში და ხელშეკრულებიდან გამომდინარე გარკვეული ვალდებულებების წარმოშობა. სამეგობრო ხელშეკრულების შემთხვევაში მხარეებს თავიანთი მოქმედებისას აქვთ სამართლებრივი შეზღუდვის ნება, რომელიც არ არსებობს სამეგობრო ურთიერთობის ფარგლებში.

ფაბულიდან ნათლად არ ჩანს, რომ „გ“ და „დ“ გამოკვეთილად შეთანხმდნენ თხოვებაზე. ასეთ შემთხვევებში განმარტების გზით უნდა

დავადგინოთ, მოქმედებდნენ თუ არა მხარეები, ანუ „გ“ და „დ“ სამართლებრივი შებოჭვის ნების საფუძველზე. ვინაიდან აქ განვიხილავთ სახელშეკრულებო ურთიერთობას, ნების გამოვლენის შეფასებისას გადამწყვეტია საკითხის გაშუქება ობიექტური მესამე პირის პერსპექტივიდან, რაც უზრუნველყოფს ანალიზის დაყრდნობას კონკრეტული საქმის ობიექტურ გარემოებებზე.¹⁰¹ ობიექტურ გარემოებებს განეკუთვნება, მაგალითად, ურთიერთობის სახე, საფუძველი, ასევე მიზანი.¹⁰²

ფაბულის თანახმად, „გ“-მ 3 დღით ითხოვა მანქანა მნიშვნელოვანი საქმიანი დავალების შესასრულებლად. „გ“-ს ასევე ეკონომიკური ინტერესებიც გააჩნდა მანქანით სარგებლობის მიმართ, რაც არც „დ“-სთვის ყოფილა დაფარული. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო, რომ მას სწორედ 3 დღის განმავლობაში ჰყოლოდა აღნიშნული ავტომანქანა. ავტომობილის ვადაზე ადრე გამოთხოვა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, როგორც ეს ჩვეულებრივი და მიღებულია სამეგობრო ურთიერთობის ფარგლებში, „გ“-ს შემთხვევაში გამორიცხული უნდა ყოფილიყო. ამას გარდა, ავტომობილის შემთხვევაში საუბარია საკმაოდ ფასეულ ქონებრივ სიკეთეზე. ამ კუთხით „დ“-საც გააჩნდა ინტერესი „გ“-ს მიერ ავტომობილის სათანადო სიფრთხილით გამოყენებაზე. ორივე მხარის ინტერესი ნათელი და თვალსაჩინო იყო მეორე მხარისათვის, რის საფუძველზეც მიიჩნევა, რომ „გ“ და „დ“ მოქმედებდნენ სამართლებრივი შებოჭვის ნების საფუძველზე. მაშასადამე, „გ“-მ და „დ“-მ დადეს თხოვების ხელშეკრულება.

სკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის ფარგლებში განსახილველია, თუ რომელი ქმედება წარმოადგენს სამართლებრივად რელევანტურ მოქმედებას. მოქმედება არის პირის გააზრებული, ნებაზე დამყარებული ქმედება. ავტომობილის უშუალო ზიანი (ისევე როგორც სხეულის და სახლის კედლის დაზიანებაც) წარმოიშვა სახლის კედელზე მანქანის შეჯახების შედეგად. ამ მომენტისათვის „გ“-ს დაკარგული ჰქონდა კონტროლი მანქანაზე. ასეთ სიტუაციაში მას, მართალია, ჰქონდა თავისი ნება, მაგრამ აღარ შეეძლო ამ ნების მიხედვით მოქმედება. ამით „გ“ იქცა მომხდარის ობიექტად. აღნიშნულიდან გამომდი-

¹⁰¹ ნების გამოვლენის განმარტებასთან დაკავშირებით იხ. გვ.79

¹⁰² იხ. ლადო ჭანტურია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001, 327-ე მუხლი, გვ. 88.

ნარე, უშუალო დაზიანების მომენტისათვის არ არის სახეზე მოქმედება. მაგრამ აღნიშნულ მოვლენებს წინ უსწრებდა „გ“-ს მიერ ავტომობილის სახიფათო და გადაჭარბებული სიჩქარით მართვა. აქ კი სახეზეა გააზრებული, ნებაზე დამყარებული ქმედება „გ“-ს მხრიდან. აქედან გამომდინარე, სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ფარგლებში სამართლებრივად რელევანტურ მოქმედებად მიიჩნევა „გ“-ს მიერ მანქანის მართვა.

ბ) „გ“-ს შესაძლოა „დ“-ს, როგორც მანქანის მფლობელის, მიმართ ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. თუმცა, საკითხავია, ვრცელდება თუ არა ფაქტობრივად აღნიშნული ნორმა მისი ყველა დისპოზიციური ელემენტის არსებობის შემთხვევაშიც მანქანის მძღოლსა და მანქანის მფლობელს შორის არსებულ ურთიერთობებზე.

სკ-ის 999-ე მუხლის მიხედვით, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს ზიანი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა. აქ საუბარია პასუხისმგებლობაზე, რომელიც არ არის დამოკიდებული და დაკავშირებული პირის ბრალეულობასთან. ამით ნორმა წარმოადგენს გარკვეულ გადახვევას სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობაა ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობა.¹⁰³ მაშასადამე, სკ-ის 999-ე მუხლი სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიმართ ამდაფრებს პასუხისმგებლობას. ამ გადახვევას საფუძვლად უდევს შემდეგი მოსაზრება: სატრანსპორტო საშუალება, აქ: მსუბუქი ავტომობილი, ყოველთვის წარმოადგენს პოტენციურად საშიშ ნივთს. მისი გამოყენება გარკვეულ საფრთხეს უქმნის საგზაო მოძრაობაში ჩართულ სხვა პირებს. მაგრამ, მართლწესრიგი მაინც უშვებს ამ პოტენციურად საშიში ნივთების გამოყენებას. ხოლო პოტენციური საფრთხის წყაროს შექმნისათვის კომპენსაციის სახით გამძაფრებულია იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელიც სარგებელს იღებს ასეთი საფრთხის წყაროს, კერძოდ

¹⁰³ აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ: სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 ქვეპუნქტი და 992-ე მუხლი.

სატრანსპორტო საშუალების გამოყენებიდან, ანუ, საუბარია სატრანსპორტო საშუალების მფლობელზე. ამრიგად, სკ-ის 999-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ნებადართული საფრთხისათვის და ამიტომ წარმოადგენს **ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის** ერთ-ერთ სახეობას.¹⁰⁴ „გ“, როგორც ავტომანქანის მძღოლი, ზემოთ აღნიშნულის გაგებით არ არის საგზაო მოძრაობაში ჩართული სხვა პირი, არამედ იგი უფრო უტოლდება მანქანის მფლობელს, ვინაიდან იგი, მფლობელის მსგავსად, სარგებელს იღებს მანქანის გამოყენებიდან და სატრანსპორტო საშუალების მართვის შედეგად საფრთხეს უქმნის საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს. გაუმართლებელი იქნებოდა მოცემული კონსტელაციის ფარგლებში მანქანის მძღოლს მისი მფლობელის მიმართ ჰქონოდა ბრალისაგან დამოუკიდებელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, მაშინ, როდესაც იგი თავად არის საფრთხის შექმნის მონაწილე. ამგვარად, თუკი სახეზეა ნორმის ყველა ფაქტობრივი ელემენტი, ანუ მისი დისპოზიცია, თელეოლოგიური რედუქციის გზით უნდა შეიზღუდოს ნორმის გამოყენების სფერო იმგვარად, რომ იგი აღარ ვრცელდებოდეს „გ“-ს ურთიერთობებზე „დ“-ს მიმართ.¹⁰⁵

2. „ე“ «-» „გ“, „ე“ «-» „დ“

„გ“-სთან და „დ“-სთან სახელშეკრულებო ურთიერთობების არარსებობის გამო, „ე“-ს შემთხვევაში განიხილება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები „გ“-ს მიმართ – სკ-ის 992-ე მუხლის, ხოლო „დ“-ს მიმართ – სკ-ის 999-ე მუხლის საფუძველზე.

3. „თ“ «-» „გ“, „თ“ «-» „დ“

„თ“-ს შემთხვევაშიც საუბარია მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებზე „გ“-ს მიმართ – სკ-ის 992-ე მუხლის, ხოლო „დ“-ს მიმართ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობიდან გამომდინარე – სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ვინაიდან აქაც არ არის სახეზე სახელშეკრულებო ურთიერთობა. ტროტუარის უშუალო დაზიანება გამოიწვია სხვა მანქანების მძღოლების ქმედებამ. შესაბამისად, საკითხა-

¹⁰⁴ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის სხვა სახეობებია პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის (სკ-ის მე-1000 მუხლი), ასევე ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სკ-ის 1003-ე მუხლი).

¹⁰⁵ იხ. თელეოლოგიური რედუქცია, თავი II, გვ.37

ვია, რამდენად შეიძლება დაეკისროს „გ“-ს ან „დ“-ს პასუხისმგებლობა ამ ქმედებებისთვის.

ა) „თ“ «-» „გ“

სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

„გ“-მ, თავისი მართვის სტილით დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის ნორმები, მაგალითად, 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. ამგვარად, იგი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, ვინაიდან არ არსებობს აღნიშნული ნორმების დარღვევის რაიმე გამამართლებელი მიზეზი. ამით, მისი მოქმედება იყო კანონსაწინააღმდეგო. თუმცა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის ნორმების დარღვევა არ არის საკმარისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობისათვის. ზიანის მიმყენებელი პირი თავისი მოქმედებით უნდა შეჭრილიყო დაზარალებული პირის უფლებრივ სფეროში, რაც სახეზეა, მაგალითად, სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების დაზიანებისას. მხოლოდ ასეთი სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას მოჰყვება სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ვინაიდან მხოლოდ ასეთ შემთხვევებში შეიძლება საუბარი იყოს ზიანზე. იმისათვის, რომ ზიანის მიმყენებელ პირს დაეკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა, მისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება კაუზალურ (მიზეზ-შედეგობრივ) კავშირში უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან და ზიანი ასევე უნდა შეერაცხოს¹⁰⁶ ამ პირს.

ტროტუარის სახით დაზიანდა ქალაქი „თ“-ს საკუთრება. ამით სახეზეა უფლების დარღვევა. თუმცა, იგი განპირობებულია იმით, რომ სხვა ავტომანქანების მძღოლებმა ტროტუარი გამოიყენეს სამანქანო გზად, რათა თავი აერიდებინათ ქუჩის ბლოკადისათვის. მძღოლები მოქმედებდნენ განზრახ. აქედან გამომდინარე, საკითხავია, რამდენად შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა „გ“-ს აღნიშნული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის. თუ მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, მაშინ იგი არც ამ ხელყოფით გამოწვეულ ზიანზე აგებს პასუხს.

მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, როგორც აღინიშნა, კაუზალურ

¹⁰⁶ სამოქალაქო სამართალში ცნება „შერაცხვას“ მონათესავე ტერმინია „მიენერება“, ანუ, რამდენად მიენერება პირს ბრალი ამა თუ იმ ქმედებისათვის.

კავშირში უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან. მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად გამოიყენება **ეკვივალენტურობის თეორია**,¹⁰⁷ რომლის მიხედვითაც ქმედება კონკრეტული შედეგის მიზეზია, თუკი იგი ისეა დაკავშირებული ამ შედეგთან, რომ მისი არარსებობის შემთხვევაში ეს შედეგი, აქ: ტროტუარის დაზიანება, არ დადგებოდა (ლათ: *conditio-sine-quanon*-ის ფორმულა). წინამდებარე კაზუსში „გ“-ს მიერ მანქანის მშვიდად და უსაფრთხოდ მართვის შემთხვევაში არ მოხდებოდა ავარია და არ დადგებოდა მისი შემდგომი შედეგი, კერძოდ: ქუჩის ბლოკადა, რამაც აიძულა სხვა მძღოლები, სამანქანო გზად გამოეყენებინათ ტროტუარი. ამით „გ“-ს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით და სახიფათო მართვა) კაუზალურ კავშირშია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან.

თუმცა, მხოლოდ ეკვივალენტურობის თეორიის გამოყენება მიგვიყვანს ნორმის გამოყენების სფეროს უკიდევანო გავრცობამდე, რომლის შედეგადაც, მაგალითად, „გ“-ს დაბადებაც იქნება მიჩნეული კონკრეტული შედეგის დადგომის მიზეზად. აქედან გამომდინარე, საჭიროა გარკვეული შეზღუდვა, რომელიც ეფუძნება კონკრეტული გარემოებების შეფასებას.¹⁰⁸ ამ ფარგლებში განსახილველია, რამდენად შეერაცხება „გ“-ს თავისი მოქმედებით გამოწვეული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ამგვარი რამ სახეზეა მაშინ, როდესაც, ერთი მხრივ, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა იყო ობიექტურად პროგნოზირებადი (განჭვრეტადი) და ასევე შეიძლებოდა მისი თავიდან აცილება. მეორე მხრივ კი, კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაში რეალიზებული უნდა იყოს სწორედ ის საფრთხე, რომლის თავიდან აცილებასაც ისახავს მიზნად ნორმა.

მაშასადამე, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა უნდა ყოფილიყო ობიექტურად პროგნოზირებადი (განჭვრეტადი) და შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მისი თავიდან აცილება. ის გარემოება, რომ მანქანის სახიფათო მართვამ შეიძლება გამოიწვიოს ავარია და ამ ავარიამ სამანქანო გზის ბლოკადა, ცხადი უნდა ყოფილიყო ობიექტური დამკვირვებლისათვის. ხოლო რაც შეეხება ტროტუარის დაზიანებას, ეს ზოგადად

¹⁰⁷ იხ: ზოიძე, ბესარიონ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001, 394-ე მუხლი, გვ. 369.

¹⁰⁸ იხ: მითითებული წყარო.

მძლოლების გავრცელებული, თუმცა არამართლზომიერი ჩვევაა, რომ სამანქანო გზის ბლოკადის თავიდან აცილების მიზნით, მიმართავენ ტროტუარს. ტროტუარი არ არის განსაზღვრული მანქანებისთვის და აქედან გამომდინარე, მისი ზედაპირიც არ არის შესაბამისად მყარი. ამგვარად, საკმაოდ ლოგიკურია ისიც, რომ ტროტუარის არადანიშნულებისამებრ გამოყენება გამოიწვევს მის დაზიანებას. აქედან გამომდინარე, ობიექტური დამკვირვებლისთვის ასევე პროგნოზირებადი უნდა ყოფილიყო ამ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაც, კერძოდ, ტროტუარის დაზიანება. მანქანის სათანადო მართვის შედეგად შესაძლებელი იყო ამ ზიანის თავიდან აცილებაც.

კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა უნდა იყოს დარღვეული ნორმის რეგულირების საგანი. ანუ: დარღვეული ნორმის ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს ამ კონკრეტული შედეგის თავიდან აცილება. წინამდებარე კაზუსში „გ“-მ დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის ნორმები. აღნიშნული კანონი ანესრიგებს არა მხოლოდ ზოგადად საგზაო მოძრაობის ობიექტური უსაფრთხოების საკითხს, არამედ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ანესრიგებს მანქანის მართვას კონკრეტული სიტუაციისათვის (მოძრაობის ინტენსიურობა, არსებული შეზღუდვები და ა.შ.) შესაფერისი სიჩქარით. ასეთი რეგულირებები საგზაო მოძრაობის ობიექტურ უსაფრთხოებასთან ერთად იცავს სწორედ საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს და ცდილობს თავიდან იქნას აცილებული მათი სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფა. მაშასადამე, ნორმა იცავს ასევე უფლებებს, რომელთაც განეკუთვნება სხვისი საკუთრების დაცვა.

თუმცა, მოცემულ შემთხვევაში „თ“ არის არა საგზაო მოძრაობის მონაწილე, არამედ გზის მოსაზღვრე ტროტუარის მესაკუთრე. საკითხავია, ვრცელდება თუ არა მასზე ზემოხსენებული ნორმის დამცავი ფუნქცია. გზაც, ტროტუარიც და მოსაზღვრე შენობებიც მთლიანობაში უშუალოდ ქმნის საგზაო მოძრაობის სივრცეს. აღნიშნული ნივთების მესაკუთრესაც იგივენაირად ემუქრება საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული საფრთხე, როგორც მოძრაობის მონაწილეს. აქ საქმე გვაქვს თანაბარ, მსგავს ინტერესებთან. ამრიგად, „თ“-ზეც უნდა გავრცელდეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 29-ე მუხლის 1-ლი

ნაწილის დამცავი ფუნქცია.

თუმცა, მოცემულ კონტექსტში საკითხავია, მოიცავს თუ არა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მოვლენათა კონკრეტული განვითარებისაგან დაცვას. თუ ვივარაუდებთ, რომ 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უზრუნველყოფს მასშტაბურ დაცვას და ნორმა ვრცელდება იმ მოვლენათა ნებისმიერი სახის განვითარებაზე, რომელიც გამოიწვია მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვამ. ნორმის ასეთი განმარტებით არ იქნებოდა გამოორიცხული „გ“-ს დაკისრებოდა პასუხისმგებლობა მომდევნო მანქანის მძღოლის განზრახ ქმედებისათვის.

აღნიშნული მოსაზრებისაგან განსხვავებით, ასევე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არ გულისხმობს ასეთი მასშტაბის დაცვას და ვრცელდება მხოლოდ ისეთ მოვლენებზე, რომლებიც ჯერ კიდევ კონტროლირებადი იყო დამანაშავე მძღოლის მიერ და რომლებიც უშუალო კავშირშია მის არასათანადო მართვის სტილთან. ამ მოსაზრების მიხედვით, ნორმა არ გავრცელდება კონკრეტულ მოვლენაზე, ვინაიდან მანქანის სახიფათო მართვა არ არის უშუალო საფუძველი ტროტუარის დაზიანებისა.

ვინაიდან წარმოდგენილ მოსაზრებებს მივყავართ სხვადასხვა შედეგამდე, საჭიროა კამათის გადაწყვეტა. პირველი მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ გზით უზრუნველყოფილია მასშტაბური დაცვა ისეთი პოტენციურად სახიფათო პროცესის ფარგლებში, როგორცაა საგზაო მოძრაობა. ხოლო აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილემ თავის თავზე უნდა აიღოს გარკვეული რისკი. აქედან გამომდინარე, გამოორიცხულია, რომ ნებისმიერმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ წარმოშვას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ამასთან, საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული რისკები საკმარისი ინტენსიურობით არის გათვალისწინებული და მოწესრიგებული სხვა სამართლებრივი ნორმების, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებში. შესაბამისად, არ არსებობს სამართლებრივი პროგნოზირებადობის მოთხოვნიდან გამომდინარე ნორმის გამოყენების სფეროს ასეთი მასშ-

ტაბური გავრცობის საფუძველი. გარდა ამისა, ზიანის ანაზღაურებას საფუძვლად უდევს პასუხისმგებლობის იდეა. აღნიშნული გულისხმობს ზიანის მიმყენებელი პირის შესაძლებლობას, გავლენა მოეხდინა მოვლენათა განვითარებაზე. ტროტუარზე მანქანებით გავლის გადაწყვეტილება, მართალია, გამომდინარეობს „გ“-ს მიერ გამოწვეული სამანქანო გზის ბლოკადიდან, მაგრამ იგი დამოუკიდებლად იქნა მიღებული მომდევნო მანქანების მძღოლების მიერ. მძღოლები არ იყვნენ იძულებულნი, მიეღოთ სწორედ ასეთი გადაწყვეტილება. შესაბამისად, აქ, მათი სუბიექტური გადაწყვეტილებით განწყვეტილია შინაგანი კავშირი „გ“-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას შორის. აღნიშნული მანქანების მძღოლებმა თავად შექმნეს ტროტუარის დაზიანების ახალი საფუძველი, რომელიც განხორციელდა კონკრეტული შედეგის სახით. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა „გ“-ს აღარ უნდა შეეცალოს.

ბ) „თ“ «-» „დ“

ასევე სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნის ფარგლებშიც („თ“ „დ“-ს მიმართ) ჩნდება კითხვა, თუ რამდენად არის „დ“ პასუხისმგებელი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაზე. აღნიშნული უნდა განხორციელებულიყო სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ფარგლებში უნდა რეალიზებულიყო სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული ტიპური საფრთხე, რაც თავიდანვე გამორიცხული იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ ექსპლუატაცია გულისხმობს მხოლოდ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას.¹⁰⁹ ტროტუარის დაზიანების მომენტში კი ავარიის მიხედვით მანქანა აღარ იმყოფებოდა მოძრავ მდგომარეობაში. იგი მხოლოდ ერთგვარი ბარიკადის სახით აფერხებდა მოძრაობას. თუმცა, შესაძლოა იმის განსჯაც, უნდა იქნას თუ არა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით მიჩნეული ექსპლუატაციად ის მდგომარეობა, როდესაც მანქანა თვითონ არ მოძრაობს, მაგრამ საგზაო მოძრაობას უშლის ხელს, თუ გადამწყვეტია მისი აქტიური მოძრაობა ავარიამდე. მაგრამ აღნიშნული საკითხი შეიძლება დარჩეს ღიად, ვინაიდან მოცე-

¹⁰⁹ იხ: ჩიკვაშვილი შალვა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ვალდებულებითი სამართალი, განსაკუთრებული ნაწილი, 2001 წ. 999-ე მუხლი, გვ. 407.

მულ შემთხვევაში, „თ“ «-» „გ“-ს ურთიერთობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით, ადგილი არ ჰქონია „დ“-ს ავტომანქანასთან დაკავშირებული საფრთხის რეალიზებას, არამედ, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ფარგლებში განხორციელდა მომდევნო ავტომანქანასთან დაკავშირებული საფრთხე.

კაზუსის გადაწყვეტის სქემა:

ა. „დ“-ს მოთხოვნები „გ“-ს მიმართ მანქანის განადგურების შედეგად წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურების თაობაზე

1. მოთხოვნა სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების და 615-ე და მომდევნო მუხლების საფუძველზე

1. მოთხოვნის წარმოშობა

ა) თხოვნების ხელშეკრულება „დ“-სა და „გ“-ს შორის

სამეგობრო ხელშეკრულებისა და სამეგობრო ურთიერთობის გამიჯვნა

→ მხარეთა სამართლებრივი შებოჭვის ნება?

→ შეფასება ცალკეული შემთხვევის ობიექტური გარემოებების მიხედვით

- „გ“-სთვის ავტომობილით სარგებლობის ეკონომიკური მნიშვნელობა

- „გ“-ს დაინტერესება, რომ მან 3 დღის განმავლობაში მართლაც მოიხმაროს მანქანა ისე, რომ „დ“-ს მოულოდნელად არ შეეძლოს მისი დაბრუნების მოთხოვნა

- ავტომობილი, როგორც მნიშვნელოვანი ქონებრივი სიკეთე – „დ“-ს კანონიერი ინტერესი მის სათანადოდ მოხმარებასთან დაკავშირებით

→ მხარეთა სამართლებრივი შებოჭვის ნება (+)

ბ) ვალდებულების დარღვევა „გ“-ს მიერ

- სკ-ის 618-ე მუხლი → მიზნობრივი სარგებლობის ვალდებულება

აქ: ავტომობილის თხოვნა „გ“-ს მიერ საქმიანი დავალებების შესრულების მიზნით – ფაბულის მიხედვით „გ“-ს ამ მხრივ არ დაურღვევია ხელშეკრულების პირობები

- თხოვნების ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს მონათხოვრის ვალდებულება, მოუფრთხილდეს ნათხოვარ ნივთს და აარიდოს მას დაზიანების საფრთხე

აქ: მანქანის მართვა გადაჭარბებული სიჩქარით და სახიფათო მანევრირება –» აღნიშნული ვალდებულების დარღვევა

–» თხოვების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევა (+)

გ) „გ“-ს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევაზე სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით

პასუხისმგებლობა გულისხმობს განზრახვას ან გაუფრთხილებლობას (სკ-ის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).¹¹⁰

აქ: სახეზეა, სულ მცირე, გაუფრთხილებლობა მაინც, ვინაიდან „გ“-მ არ გამოიჩინა სათანადო სიფრთხილე.

დ) მიზეზ-შედეგობრივი (კაუზალური) კავშირი ვალდებულების დარღვევას და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას შორის და შერაჯხადობა (+), ვალდებულების დარღვევა იყო კაუზალურ კავშირში მანქანის დაზიანებასთან და იგი ასევე შეერაჯხება „გ“-ს.

ე) შუალედური შედეგი: წარმოიშვა სახელშეკრულებო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

2. მოთხოვნის შეწყვეტა/მოთხოვნა შესრულებადია

ფაბულა არ შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს მოთხოვნის შეწყვეტაზე ან მისი შესრულების შეუძლებლობაზე.

3. შედეგი: ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ქვეპუნქტის და 615-ე და მომდევნო მუხლების საფუძველზე (+)

II. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე

1. მოთხოვნის წარმოშობა

ა) „გ“-ს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება

(1) მოქმედება

–» პირის გაცნობიერებული, ნებაზე დამყარებული ქმედება

მანქანის დაზიანება სახლის კედელზე შეჯახების შედეგად – ავტომობილზე კონტროლის დაკარგვის გამო შეჯახების მომენტში არ არის სახეზე მოქმედება –» ამიტომ ამ კუთხით გადამწყვეტი ქმედებაა „გ“-ს მიერ ავტომანქანის სახიფათო და გადაჭარბებული სიჩქარით მართვა, რაც მიიჩნევა გაცნობიერებულ, ნებაზე დამყარებულ ქმედებად.

¹¹⁰ სკ-ის 616-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემსუბუქება ეხება მხოლოდ გამნათხოვრებელს და არა მონათხოვრეს!

–» მოქმედება (+)

(2) მართლსაწინააღმდეგო (+)

- სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, იხ. ზემოთ

- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის ნორმების დარღვევა (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

- სხვისი სამართლებრივი სიკეთის – „დ“-ს საკუთრების – ხელყოფა

- კაუზალური კავშირი მოქმედებასა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას შორის (+)

„გ“-ს კანონსაწინააღმდეგო ქმედების გარეშე არ დადგებოდა კონკრეტული შედეგი, კერძოდ, მანქანის განადგურება.

- შერაცხადობა.

ბ) ბრალეულობა

(+), იხ. ზემოთ.

გ) შუალედური შედეგი: სკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა წარმოიშვა.

2. მოთხოვნის შეწყვეტა/მოთხოვნა შესრულებადია

(+), ფაბულა არ შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს მოთხოვნის შეწყვეტაზე ან მისი შესრულების შეუძლებლობაზე.

3. შედეგი: მოთხოვნა სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე (+).

III. საბოლოო შედეგი: „დ“-ს აქვს „გ“-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 615-ე და 992-ე მუხლების საფუძველზე.

ბ. „გ“-ს მოთხოვნები „დ“-ს მიმართ სხეულის დაზიანების გამო

I. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 615-ე და მომდევნო მუხლების და ასევე 992-ე მუხლის საფუძველზე

(-), „დ“-ს მხრიდან ადგილი არ ჰქონია არც სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას და არც მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას.

II. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

1. მოთხოვნის წარმოშობა

ა) სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ემსახურება მგზავრების გადაყვანას და ტვირთების გადაზიდვას

მსუბუქი ავტომანქანა (+).

ბ) „დ“, როგორც მფლობელი

ფაბულის თანახმად „დ“ არის მანქანის მფლობელი → (+).

გ) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით

(+), „გ“-ს სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანება.

დ) სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას

- მანქანა იყო საგზაო მოძრაობის მონაწილე.

- შერაცხადობა მანქანის ექსპლუატაციისა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას შორის – რეალიზებული უნდა იყოს ავტომობილთან დაკავშირებული საფრთხე → (+).

ე) გამორიცხვის საფუძვლები

- სკ-ის 999-ე მუხლის მე-3 ნაწილი (-).

- სკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის 1-ლი წინადადება სკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მე-3 წინადადების შესაბამისად (-).

ვ) ნორმის გამოყენების სფეროს თელეოლოგიური რედუქცია?

- „გ“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა „დ“-ს მიმართ სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ზოგადად → (+)

- ნორმის მიზანი: ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ბრალისაგან დამოუკიდებლად სატრანსპორტო საშუალების გამოყენების შედეგად საგზაო მოძრაობის მონაწილეებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევებში, როგორც ერთგვარი კომპენსაცია პოტენციური საფრთხის მქონე ნივთის გამოყენების დაშვებისათვის.

- მოთხოვნის მოპასუხე არის სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, ანუ, პირი, რომელიც სარგებელს იღებს სატრანსპორტო საშუალების გამოყენებიდან (ანუ შესაძლო საფრთხის წყაროდან).

- მოთხოვნის განხორციელებაზე შესაძლო უფლებამოსილი პირები არიან საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეები, რომლებმაც აღნიშნული საფრთხის წყაროს გამოყენების შედეგად წარმოექმნათ ზიანი (სამართლებრივი სიკეთის შელახვა).

- ინტერესთა შედარება: ავტომანქანის მძღოლი თავად (პირად) იღებს

სარგებელს მისი გამოყენებიდან და ასევე თავად უქმნის პოტენციურ საფრთხეს საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს –» მძლოლი თავისი ინტერესებიდან გამომდინარე უფრო გაიგივებულია მანქანის მფლობელთან, ვიდრე საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებთან.

- შესაბამისად, მოცემული კონსტელაციის შემთხვევაში სამართლებრივი შედეგი არ შეესაბამება სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიზანს.

–» სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების სფეროს თელეოლოგიური რედუქციის შედეგად ნორმა არ ვრცელდება მძლოლ „გ“-ზე.
 ზ) შუალედური შედეგი: სკ-ის 999-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა არ წარმოიშვა, ვინაიდან „გ“-ზე არ ვრცელდება ნორმის გამოყენების სფერო.

2. შედეგი: არ არსებობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით.

III. საბოლოო შედეგი: „გ“-ს არა აქვს „დ“-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ავარიის შედეგად მიღებული სხეულის დაზიანების გამო.

გ. „ე“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები სახლის კედლის დაზიანების გამო

1. „ე“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა „გ“-ს მიმართ სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე

1. მოთხოვნის წარმოშობა

ა) „გ“-ს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება

- ზემოთ აღნიშნული კუთხით „გ“-ს რელევანტური მოქმედება – მანქანის ზედმეტად სწრაფი და სახიფათო მართვა, იხ. ზემოთ (+)

- მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი (+)

• საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის ნორმების დარღვევა

• აბსოლუტური უფლების დარღვევა – „დ“-ს საკუთრება

- მოქმედების კაუზალობა – სამართლებრივი სიკეთის შელახვა (+)

- შერაცხადობა (+)

ბ) ბრალეულობა

(+), იხ. ზემოთ!

გ) შუალედური შედეგი

მოთხოვნა წარმოიშვა.

2. მოთხოვნის შეწყვეტა/ მოთხოვნა შესრულებადია

ფაბულა არ შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს მოთხოვნის შეწყვეტაზე ან მისი შესრულების შეუძლებლობაზე.

3. შედეგი: სკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა (+)

II. „ე“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა „გ“-ს მიმართ სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

1. მოთხოვნის წარმოშობა

- სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ემსახურება მგზავრების გადაყვანას და ტვირთების გადაზიდვას (+)

- „დ“- მანქანის მფლობელი (+), იხ. ზემოთ!

- სამართლებრივი სიკეთის შელახვა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით –» აქ: „ე“-ს სახლის კედლის დაზიანება –» ნივთის დაზიანება (+)

- სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას (+), იხ. ზემოთ!

- გამორიცხვის საფუძველები – სკ-ის 999-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის მიხედვით (-)

–» წარმოიშვა მოთხოვნა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

2. მოთხოვნის შეწყვეტა/განუხორციელებლობა

ფაბულა არ შეიცავს შესაბამის მითითებებს.

3. შედეგი: სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნა (+)

III. საბოლოო შედეგი

„ე“-ს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, როგორც „გ“-ს მიმართ სკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად, ასევე „დ“-ს მიმართ სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად. „გ“ და „დ“ „ე“-ს წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები სკ-ის 463-ე მუხლის შესაბამისად.¹¹¹

¹¹¹ „ე“-ს შეუძლია ზიანის ანაზღაურება მიიღოს როგორც „გ“-ს, ისევე „დ“-სგან, მაგრამ ვალდებულების შესრულება შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ერთხელ.

**დ. ქალაქი „თ“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები ტროტუარის და-
ზიანების გამო**

1. „თ“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა „გ“-ს მიმართ სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე

1. მოთხოვნის წარმოშობა

ა) „გ“-ს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება

(+), იხ. ზემოთ. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება სახეზეა თუნდაც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის ნორმების დარღვევის სახით – ის, თუ რამდენად შეიძლება შეერაცხოს „გ“-ს ქალაქის საკუთრების დაზიანება, ცალკე განსჯის საგანია; შესაბამისად აღნიშნული კრიტერიუმი ამ მიმართებით ვერ იქნება აპრიორი გამოყენებული მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის დასადგენად.

ბ) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა

(+), ტროტუარის დაზიანება – „თ“-ს საკუთრების ხელყოფა.

გ) მიზეზ-შედეგობრივი (კაუზალური) კავშირი ვალდებულების დარღვევასა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას შორის

კაუზალობა (+) – „გ“-ს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება კაუზალურ კავშირშია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან – „გ“-ს რომ არ გამოენჯია ავარია, მისი მომდევნო მანქანები არ გამოიყენებდნენ ტროტუარს სამანქანო გზად და არ დააზიანებდნენ მას.

დ) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შერაცხვა

შერაცხვის კონტექსტი/ნორმის დაცვის სფერო, როგორც აუცილებელი კორექტივი კაუზალობის შედეგად გავრცობილი პასუხისმგებლობისა, უშუალო ზიანი წარმოიქმნა ტროტუარზე მომდევნო ავტომობილების გავლის შედეგად –> ტროტუარზე გადასვლის მიზეზი შექმნა „გ“-მ – მისმა მანქანამ ჩაკეტა სამანქანო გზა

(1) ობიექტური განჭვრეტადობა და თავიდან აცილების შესაძლებლობა (+)

(2) ნორმის დამცავი ფუნქცია

ნორმის დამცავი ფუნქცია, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

- მოიცავს ასევე სუბიექტური უფლებების დაცვას, როგორცაა სხვისი საკუთრების დაზიანება

- ვრცელდება ასევე „თ“-ზე, როგორც ტროტუარის მესაკუთრეზე.
- ნორმის დამცავი ფუნქციის გავრცობა.
- მოსაზრება I: ვრცელდება ყველა იმ მოვლენაზე, რომელიც განვითარდა სიჩქარის გადაჭარბების შედეგად – აქ: ნორმის დამცავი ფუნქცია (+), „გ“-ს მიენერება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა
- მოსაზრება II: ვრცელდება მხოლოდ იმ მოვლენებზე, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს სიჩქარის გადაჭარბებიდან და არა შემდგომში განვითარებულ მოვლენებზეც – აქ: ნორმის დამცავი ფუნქცია (-), „გ“-ს არ მიენერება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა
- კამათის გადანყვეტა: მოსაზრება II (+), I მოსაზრება ზედმეტად შორს მიდის, რისი საჭიროებაც წინამდებარე შემთხვევაში არ არსებობს, ვინაიდან უზრუნველყოფილია სათანადო დაცვა სხვა ნორმების მეშვეობით; პასუხისმგებლობა ასევე ითვალისწინებს მოვლენათა განვითარებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას; მოცემულ შემთხვევაში კი სახეზეა მომდევნო მანქანების მძღოლების პირადი სუბიექტური გადანყვეტილება – შეიქმნა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ახალი, დამოუკიდებელი საფუძველი – ამდენად, „გ“-ს არ მიენერება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა.

ე) შუალედური შედეგი: მოთხოვნა არ წარმოიშვა.

2. შედეგი: სკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა (-)

II „თ“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა „დ“-ს მიმართ სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

1. მოთხოვნის წარმოშობა

ა) სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ემსახურება მგზავრების გადაყვანას და ტვირთების გადაზიდვას

მსუბუქი ავტომანქანა (+)

ბ) „დ“, როგორც მფლობელი

გ) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით

დ) სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას

- პრობლემა: მანქანა თვითონ არ მოძრაობდა, მაგრამ იგი აფერხებდა მოძრაობას, იგი იყო ცოცხალი საგზაო მოძრაობის მონაწილე

- ავტომობილთან დაკავშირებული ტიპიური საფრთხის რეალიზება

(-), მომდევნო მანქანების მძღოლებმა შექმნეს დარღვევის ახალი საფუძველი.

2. შედეგი: მოთხოვნა (-)

იურიდიული დასკვნა

ა. „დ“-ს მოთხოვნები „გ“-ს მიმართ მანქანის განადგურების შედეგად წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურების თაობაზე

1. მოთხოვნა სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების და 615-ე და მომდევნო მუხლების საფუძველზე

„დ“-ს შესაძლოა ჰქონდეს „გ“-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მანქანის განადგურების გამო სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების და 615-ე და მომდევნო მუხლების საფუძველზე. აღნიშნულის წინაპირობაა, რომ წარმოიშვა შესაბამისი მოთხოვნა, იგი არ შემწყდარა მომავალში განვითარებული მოვლენების შედეგად და ასევე არის განხორციელებადი.

1. მოთხოვნის წარმოშობა

სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების და 615-ე და მომდევნო მუხლების თანახმად, მოთხოვნის წარმოშობისათვის „დ“-ს და „გ“-ს შორის უნდა არსებობდეს თხოვების ხელშეკრულება მანქანის თხოვების თაობაზე, სახეზე უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა „გ“-ს მიერ და ამის შედეგად „დ“-ს უნდა წარმოექმნას ზიანი.

ა) თხოვების ხელშეკრულება „დ“-სა და „გ“-ს შორის

„დ“-ს და „გ“-ს შორის უნდა არსებობდეს თხოვების ხელშეკრულება სკ-ის 615-ე მუხლის გაგებით. ფაბულის თანახმად, „გ“-მ ავტომობილი ითხოვა „დ“-სგან. ანუ მას იგი გადაეცა უსასყიდლოდ დროებითი სარგებლობისათვის. როდესაც საუბარია მეგობრებს შორის ნივთების უსასყიდლოდ გადაცემაზე, განსახილველია, ჰქონდათ თუ არა მხარეებს სამართლებრივი შებოჭვის განზრახვა და ნება, თუ საქმე გვაქვს მხოლოდ სამეგობრო ურთიერთობასთან. აღნიშნული საკითხი გაირკვევა კონკრეტული შემთხვევის ობიექტური გარემოებების საფუძველზე. წინამდებარე შემთხვევაში „გ“-სთვის მანქანით სარგებლობას აქვს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა, ვინაიდან მას ავტომობილის დახმარე-

ბით სურს შეასრულოს მნიშვნელოვანი საქმიანი დავალება. აღნიშნულ კონტექსტში „გ“-სთვის მართლაც მნიშვნელოვანია, რომ მანქანა 3 დღის განმავლობაში ჰყავდეს მას, ისე, რომ ამ პერიოდში არ მოუწიოს მისი „დ“-სთვის დაბრუნება. აქედან იკვეთება „გ“-ს ინტერესი სამართლებრივად სავალდებულო შეთანხმებაზე, რომელიც მას ანიჭებს ამ სამი დღის განმავლობაში ავტომობილის ფლობის უფლებას. „დ“-სთვის ცნობილია „გ“-ს ინტერესების შესახებ. ვინაიდან მანქანა არ წარმოადგენს უმნიშვნელო ქონებრივ სიკეთეს, ლოგიკურია, რომ „დ“ დაინტერესებული იყოს იმით, რომ „გ“ ავტომანქანას მოეპყრობა სიფრთხილით. ამ კუთხით ბუნებრივია „დ“-ს სურვილიც, რომ მისი ინტერესი სამართლებრივად იყოს დაცული. როგორც „გ“-სთვის, ისევე „დ“-სთვის ცნობილი იყო ერთმანეთის ინტერესები. აქედან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ორივე მხარე მოქმედებდა სამართლებრივი შებოჭვის სურვილით. მაშასადამე, „გ“-ს და „დ“-ს შორის არსებობს თხოვების ხელშეკრულება.

ბ) ვალდებულების დარღვევა „გ“-ს მიერ

„გ“-ს უნდა დაერღვია ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება. სკ-ის 618-ე მუხლის მიხედვით, მონათხოვრეს არ შეუძლია ნათხოვარი ნივთით სხვაგვარად ისარგებლოს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. აქ „გ“-ს მანქანა გადაეცა საქმიანი დავალების შესასრულებლად. კაზუსის შინაარსიდან არ გამომდინარეობს, რომ „გ“-მ მანქანა გამოიყენა სხვა არა საქმიანი დავალების შესასრულებლად, არამედ რაიმე სხვა მიზნისათვის. მაგრამ თხოვების ხელშეკრულებიდან ასევე გამომდინარეობს მონათხოვრის ვალდებულება, მოუფრთხილდეს ნათხოვარ ნივთს, არ შეუქმნას საფრთხე მას და დააბრუნოს იგი სათანადო მდგომარეობაში. გადაჭარბებული სიჩქარით მანქანის მართვა და ასევე სახიფათო მანევრირებები წარმოადგენს „გ“-ს მიერ აღნიშნული ვალდებულების დარღვევას.

გ) „გ“-ს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევაზე სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით

„გ“ პასუხს არ აგებს ზიანზე სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადებიდან და 615-ე და მომდევნო მუხლებიდან გამომდინარე, თუ მას არ მუძღვის ბრალი ვალდებულების დარღვევაში. სკ-ის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „გ“ პასუხს აგებს განზრახვისათვის

ან გაუფრთხილებლობისათვის. სკ-ის 616-ე მუხლით გათვალისწინებული პრივილეგია პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ეხება მხოლოდ გამნათხოვრებელს და არა მონათხოვრეს, ანუ „გ“-ს. მოცემულ შემთხვევაში „გ“, სულ მცირე, გაუფრთხილებლად მაინც მოქმედებდა, ვინაიდან მან არ გამოიჩინა მოძრაობაში საჭირო სიფრთხილე.

დ) მიზეზ-შედეგობრივი (კაუზალური) კავშირი ვალდებულების დარღვევას და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას შორის და შეერაცხვა

პასუხისმგებლობის წინაპირობაა ასევე, ერთი მხრივ, ვალდებულების დარღვევასა და მანქანის დაზიანებას შორის კაუზალური კავშირის არსებობა, მეორე მხრივ კი, კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა უნდა შეერაცხოს „გ“-ს.

კაუზალური ანუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ეკვივალენტურობის თეორიაზე დაყრდნობით გულისხმობს, რომ ქმედება, ანუ მანქანის სახიფათო მართვა, კონკრეტული შედეგის, ანუ მანქანის დაზიანების მიზეზია, თუკი იგი ისეა დაკავშირებული ამ შედეგთან, რომ მისი არარსებობის შემთხვევაში ეს შედეგი არ დადგებოდა, ანუ მანქანა არ დაზიანდებოდა. ამით „გ“-ს მიერ ვალდებულების დარღვევა კაუზალურ კავშირშია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან. კაუზუსში არ არის მოცემული გარემოებები, რომლებიც მეტყველებს იმაზე, რომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა არ უნდა შეერაცხოს „გ“-ს.

ე) შუალედური შედეგი:

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 615-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, წარმოიშვა.

2. მოთხოვნის შეწყვეტა/ მოთხოვნა შესრულებადია

ფაბულა არ შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს მოთხოვნის შეწყვეტაზე ან მისი შესრულების შეუძლებლობაზე.

3. შედეგი:

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, „დ“-ს აქვს „გ“-სგან სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 615-ე და მომდევნო მუხლების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

II. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე „დ“-ს ასევე შესაძლოა ჰქონდეს „გ“-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე. ამისათვის უნდა

წარმოიშვა შესაბამისი მოთხოვნა, არ უნდა შეწყდეს იგი და ასევე შესაძლებელი უნდა იყოს მისი განხორციელება.

1. მოთხოვნის წარმოშობა

სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს „გ“-ს მიერ ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რომლის შედეგადაც „დ“-ს მიადგა ზიანი.

ა) „გ“-ს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება

ამრიგად, „გ“-ს უნდა ემოქმედა მართლსაწინააღმდეგოდ.

(1) მოქმედება

მოქმედება არის პირის გაცნობიერებული, ნებაზე დამყარებული ქმედება. მანქანის უშუალო დაზიანება მოხდა სახლის კედელზე შეჯახების შედეგად. ამ მომენტისათვის „გ“-ს დაკარგული ჰქონდა კონტროლი მანქანაზე. ასეთ სიტუაციაში მას, მართალია, შეეძლო ჰქონოდა საკუთარი ნება, მაგრამ არ შეეძლო ამ ნების მიხედვით მოქმედება. ამით „გ“ იქცა მოვლენათა განვითარების ობიექტად. მაგრამ მოვლენათა აღნიშნულ განვითარებას წინ უსწრებდა „გ“-ს მიერ ავტომობილის სახიფათოდ და გადაჭარბებული სიჩქარით მართვა, რაც მიიჩნევა „გ“-ს გაცნობიერებულ, ნებაზე დამყარებულ ქმედებად. სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისათვის სამართლებრივი კუთხით გადამწყვეტი ქმედებაა „გ“-ს მიერ ავტომანქანის მართვა.

(2) მართლსაწინააღმდეგო

მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი გამომდინარეობს, ერთი მხრივ იქიდან, რომ „გ“-მ დაარღვია თხოვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, ხოლო, მეორე მხრივ, ავტომანქანის სახიფათო და გადაჭარბებული სიჩქარით მართვა წარმოადგენს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევას. გარდა ამისა, „გ“-მ აღნიშნული მოქმედების შედეგად ხელჰყო სხვისი სამართლებრივი სიკეთე, კერძოდ, „დ“-ს საკუთრება. როგორც ზემოთ აღინიშნა, „გ“-ს მოქმედება კაუზალურ კავშირში იყო სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან. ასევე განიმარტა, რომ „დ“-ს საკუთრების ხელყოფა კიდევ შეერაცხება „გ“-ს. ვინაიდან არ არსებობს საპატიო მიზეზი, რომელიც განიხილებოდა „გ“-ს სასარგებლოდ, მიიჩნევა, რომ იგი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ.

ბ) ბრალეულობა

„გ“ მოქმედებდა ბრალეულად (იხ. ზემოთ ა. I. 1. გ)).

გ) შუალედური შედეგი:

მოთხოვნა, სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, წარმოიშვა.

2. მოთხოვნის შეწყვეტა/ მოთხოვნა შესრულებადია

ფაბულა არ შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს მოთხოვნის შეწყვეტაზე ან მისი შესრულების შეუძლებლობაზე.

3. შედეგი:

„დ“-ს აქვს „გ“-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე.

III. საბოლოო შედეგი:

„დ“-ს „გ“-ს მიმართ აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა როგორც სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 615-ე და მომდევნო მუხლების, ასევე სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე.

ბ. „გ“-ს მოთხოვნები „დ“-ს მიმართ სხეულის დაზიანების გამო

განსახილველია, აქვს თუ არა „გ“-ს „დ“-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ავარიის შედეგად მიღებული სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების გამო.

1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 615-ე და მომდევნო მუხლების და ასევე 992-ე მუხლის საფუძველზე (-)

„დ“-ს მიმართ არ არსებობს სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 615-ე და მომდევნო მუხლებიდან გამომდინარე მოთხოვნები, ვინაიდან მას არც სახელშეკრულებო ვალდებულება დაურღვევია და არც მართლსაწინააღმდეგო მოქმედება განუხორციელებია სკ-ის 992-ე მუხლის გაგებით.

II. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

თუმცა, „გ“-ს შესაძლოა „დ“-ს მიმართ ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების უფლება სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. ამისათვის უნდა წარმოიშვას შესაბამისი მოთხოვნა, არ უნდა შეწყდეს იგი მომავალში განვითარებული მოვლენების შედეგად და ასევე შესაძლე-

ბელი უნდა იყოს მისი განხორციელება.

1. მოთხოვნა წარმოიშვა

სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის წარმოშობა ითვალისწინებს, რომ ისეთი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას, რომელიც ემსახურება მგზავრების გადაყვანას და ტვირთების გადაზიდვას, მოხდა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რაც კაუზალურ კავშირშია დამდგარ ზიანთან. ამას გარდა, არ უნდა იყოს გამორიცხული სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენება.

ა) სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ემსახურება მგზავრების გადაყვანას და ტვირთების გადაზიდვას

ნორმის აღნიშნული ფაქტობრივი ელემენტი სახეზეა. მსუბუქი ავტომანქანა წარმოადგენს ისეთ სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც ემსახურება მგზავრების გადაყვანას და ტვირთების გადაზიდვას.

ბ) „დ“, როგორც მფლობელი

ფაზულის მიხედვით „დ“ არის მანქანის მფლობელი.

გ) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით

ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად სახეზე უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით, რაც მოცემულია წინამდებარე კაზუსში „გ“-ს სხეულის მძიმე დაზიანების სახით.

დ) სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას

სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა უნდა განხორციელებულიყო სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას. მოცემულ შემთხვევაში ავტომობილი მოქმედი ძრავით იყო საგზაო მოძრაობის მონაწილე. ამგვარად, მიიჩნევა, რომ ზიანის მიყენებისას იგი იმყოფებოდა ექსპლუატაციაში. ამასთან, განხორციელებული უნდა იყოს ამ სატრანსპორტო საშუალებისათვის დამახასიათებელი, ტიპური საფრთხე. მოცემულ შემთხვევაში ეს ასეა, ვინაიდან საკუთრების დაზიანება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მანქანა არსებული სიტუაციისათვის ზედმეტად სწრაფად მოძრაობდა. ამით რეალიზებულია ავტომობილთან დაკავშირებული ტიპური საფრთხე, რომელიც მდგომარეობს სწორედ

იმ სიჩქარესა და ძალაში, რომელიც შესაძლოა გამოვლინდეს ავტომობილის მეშვეობით. ამგვარად, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა განხორციელდა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას.

ე) გამორიცხვის საფუძვლები

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოირიცხება არც სკ-ის 999-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და არც იმავე მუხლის მე-4 ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში არ გამოიყენება სკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის 1-ლი წინადადება, ვინაიდან „დ“-მ „გ“-ს გადასცა/დაუთმო ავტომობილი.

ვ) ნორმის გამოყენების სფეროს თელეოლოგიური რედუქცია

თელეოლოგიური რედუქციის მიხედვით „გ“-ს უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. განსახილველია, საჭიროა თუ არა „გ“-ს შემთხვევაში სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების სფეროს შეზღუდვა თელეოლოგიური რედუქციის გზით. ნორმის მიზანია, სატრანსპორტო საშუალების გამოყენების შედეგად საგზაო მოძრაობის მონაწილეებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევებში უზრუნველყოს ბრალისაგან დამოუკიდებელი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. აღნიშნული, საგზაო მოძრაობის მონაწილეების ინტერესების გათვალისწინებით, წარმოადგენს ერთგვარ კომპენსაციას მანქანის მფლობელის მიერ პოტენციური საფრთხის მქონე ნივთის გამოყენების დაშვებისათვის და ამით საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებისათვის განსაკუთრებული საშიშროების შექმნისათვის. ამგვარად, მოთხოვნის უფლება აქვს საგზაო მოძრაობის მონაწილეს, რომლის მიმართაც ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად განხორციელდა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. მოთხოვნის მოპასუხე არის მანქანის მფლობელი, ანუ პირი, რომელიც სარგებელს იღებს სატრანსპორტო საშუალების მოხმარებიდან, ანუ პოტენციური საფრთხის წყაროდან. თუ ავარიაში მონაწილე მანქანის მძღოლის ინტერესებს შევადარებთ საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებისა და მანქანის მფლობელის ინტერესებთან, ნათლად იკვეთება ამ ინტერესების სიახლოვე მანქანის მფლობელის ინტერესებთან. ავტომობილის მძღოლი მის მფლობელთან ერთად თანაბრად არის მანქანასთან დაკავშირებული რისკის მონაწილე. იგი ასევე იღებს სარგებელს ავტომობილის

გამოყენებიდან და ამით ქმნის კიდევ განსაკუთრებულ (პოტენციურ) საფრთხეს. გაუმართლებელი იქნებოდა მოცემული კონსტელაციის ფარგლებში მანქანის მძღოლს მისი მფლობელის მიმართ ჰქონოდა ბრალის გარეშე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიზანია საგზაო მოძრაობის იმ მონაწილეთა დაცვა იმ საფრთხისაგან, რომელიც დაკავშირებულია მსუბუქი ავტომობილის ექსპლუატაციასთან და არა იმ პირების, რომლებიც თავად ქმნიან ამ საფრთხეს და პასუხისმგებლები არიან სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციაზე. მოცემული კონსტელაციის ფარგლებში და შემთხვევაში, მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი არ შეესაბამება ნორმის (სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) მიზანს. ამრიგად, თელეოლოგიური რედუქციის გზით უნდა შეიზღუდოს ნორმის გამოყენების სფერო იმგვარად, რომ იგი აღარ ვრცელდებოდეს ავტომობილის მძღოლის ურთიერთობებზე ავტომობილის მფლობელის მიმართ.

ზ) შუალედური შედეგი:

აღნიშნულიდან გამომდინარე, „გ“-ს სასარგებლოდ არ წარმოიშვა სკ-ის სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, ვინაიდან „გ“-ზე, „დ“-სთან ურთიერთობაში, არ ვრცელდება აღნიშნული ნორმის გამოყენების სფერო.

2. შედეგი:

„გ“-ს არა აქვს „დ“-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

III. საბოლოო შედეგი:

„გ“-ს არა აქვს „დ“-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ავარიის შედეგად მიღებული სხეულის დაზიანების გამო.

გ. „ე“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები სახლის კედლის დაზიანების გამო სკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად

1. „ე“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა „გ“-ს მიმართ სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე

„ე“-ს შესაძლოა სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე „გ“-ს მიმართ ჰქონდეს სახლის კედლის დაზიანების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. აღნიშნულის წინაპირობაა, რომ წარმოიშვა შე-

საბამისი მოთხოვნა, იგი არ შემწყდარა მომავალში განვითარებული მოვლენების შედეგად და ასევე არის განხორციელებადი.

1. მოთხოვნა წარმოიშვა

იმისათვის, რომ წარმოიშვას მოთხოვნა, „გ“-ს განზრახ ან გაუფრთხილებლად უნდა განხორციელებინა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება.

ა) „გ“-ს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება

სამართლებრივად რელევანტური მოქმედება კაზუსში მოცემულია ავტომობილის სახიფათოდ და გადაჭარბებული სიჩქარით მართვის სახით. მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი „ე“-ს მიმართ განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დარღვეულია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის ნორმა და დაზიანებულია „ე“-ს საკუთრება.¹¹² „გ“-ს მოქმედება ამ კონტექსტშიც იყო კაუზალურ კავშირში „ე“-ს საკუთრების ხელყოფასთან. „გ“-ს ასევე შეეარაცხება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. არც რაიმე საპატიო მიზეზია მოცემული „გ“-ს სასარგებლოდ.

ბ) ბრალეულობა

„გ“ მოქმედებდა ბრალეულად.

გ) შუალედური შედეგი:

სკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა წარმოიშვა.

2. მოთხოვნის შეწყვეტა/განხორციელებადობა

ფაბულა არ შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს მოთხოვნის შეწყვეტაზე ან მისი შესრულების შეუძლებლობაზე.

3. შედეგი:

„ე“-ს „გ“-ს მიმართ აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 992-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

III. „ე“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა „გ“-ს მიმართ სკ-ის 999-ე

¹¹² „ე“-ს და „გ“-ს ურთიერთობაში ვერ მოხდება მითითება თხოვნის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევაზე. სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობის რელაციური ხასიათიდან გამომდინარე, ხელშეკრულება სავალდებულოა მხოლოდ მისი მხარეებისთვის, ანუ მისი მოქმედება არ ცვდება კონტრაჰენტების ფარგლებს. ამგვარად, „გ“-სა და „დ“-ს შორის დადებული თხოვნის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას „ე“-ს და „გ“-ს ურთიერთობის ფარგლებში მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის დამადასტურებელ არგუმენტად. ვალდებულებითი ურთიერთობების რელაციურობასთან დაკავშირებით იხილეთ ასევე: ჭანტურია ლადო: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგინი III, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, 2001, 327-ე მუხლი, გვ. 88.

მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

„ე“-ს შესაძლოა „დ“-ს მიმართ ასევე ჰქონდეს სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

1. მოთხოვნის წარმოშობა

სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის წარმოშობა ითვალისწინებს, რომ ისეთი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას, რომელიც ემსახურება მგზავრების გადაყვანას და ტვირთების გადაზიდვას, მოხდა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა.

„გ“-მ ავტომობილის ექსპლუატაციისას დააზიანა „ე“-ს საკუთრება. ასევე მოცემულია სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სხვა ფაქტობრივი ელემენტები (იხ. ზემოთ ბ. II. 1 ა) – ე)). მოცემულ შემთხვევაში არც სკ-ის 999-ე მუხლის მე-3 და არც იმავე მუხლის მე-4 ნაწილის 1-ლი წინადადებით არის გამორიცხული სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენება. მაშასადამე, მოთხოვნა წარმოიშვა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

2. მოთხოვნის შეწყვეტა/შესრულების შეუძლებლობა

ფაბულა არ შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს მოთხოვნის შეწყვეტაზე ან მისი შესრულების შეუძლებლობაზე

3. შედეგი:

„ე“-ს „დ“-ს მიმართ აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

III. საბოლოო შედეგი

„ე“-ს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება როგორც „გ“-ს, ისევე „დ“-ს მიმართ სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. „გ“ და „დ“ სოლიდარულად აგებენ პასუხს „ე“-ს მიმართ სკ-ის 463-ე მუხლის შესაბამისად.¹¹³

დ. ქალაქი „თ“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები ტროტუარის დაზიანების გამო

1. „თ“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა „გ“-ს მიმართ სკ-ის 992-ე

¹¹³ „ე“-ს შეუძლია ზიანის ანაზღაურება მიიღოს როგორც „გ“-ს, ისევე „დ“-სგან, მაგრამ ვალდებულების შესრულება შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ერთხელ.

მუხლის საფუძველზე

„თ“-ს შესაძლოა ჰქონდეს „გ“-ს მიმართ ტროტუარის დაზიანების შედეგად წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე.

1. მოთხოვნის წარმოშობა

მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა, რომ „გ“-მ „თ“-ს მიმართ განხორციელა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება.

ა) „გ“-ს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება

„გ“ მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, ვინაიდან მან ავტომობილის სახიფათო და გადაჭარბებული სიჩქარით მართვის შედეგად დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნები. „გ“-სა და „დ“-ს შორის დადებული თხოვნების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაზე მოცემულ კონტექსტში ვერ მოხდება მითითება, ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულება მოქმედებს მხოლოდ „გ“-სა და „დ“-ს შორის. ვერც ტროტუარის დაზიანება იქნება მოცემულ კონტექსტში განხილული „გ“-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედებად, ვინაიდან ტროტუარის უშუალო დაზიანება მოხდა მომდევნო მანქანების მძღოლების მიერ.

ბ) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა

თუმცა, მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის დარღვევა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ზიანის მიმყენებელი პირი თავისი მოქმედებით უნდა შექრილიყო დაზარალებული პირის უფლებრივ სფეროში, ანუ უნდა განხორციელებულიყო მართლწესრიგით დაცული სამართლებრივი სიკეთის, მაგალითად, სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა. მხოლოდ ასეთი სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას მოჰყვება სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ვინაიდან მხოლოდ ასეთ შემთხვევებში შეიძლება საუბარი იყოს ზიანზე. მოცემულ კაზუსში ტროტუარის სახით დაზიანდა ქალაქი „თ“-ს საკუთრება.

გ) მიზეზ-შედეგობრივი (კაუზალური) კავშირი ვალდებულების დარღვევასა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას შორის

იმისათვის, რომ ზიანის მიმყენებელ პირს დაეკისროს პასუხისმგე-

ბლობა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება კაუზალურ კავშირში უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან. მოცემულ შემთხვევაში, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, ანუ, მანქანის მართვა მოძრაობის წესების დარღვევით ისეა დაკავშირებული კონკრეტულ შედეგთან, ანუ, ტროტუარის დაზიანებასთან, რომ მისი არარსებობის შემთხვევაში ეს შედეგი არ დადგებოდა. მანქანის მართვა მოძრაობის წესების დარღვევით იყო ავარიის მიზეზი, რომელმაც თავის მხრივ გამოიწვია სამანქანო გზის ბლოკირება და სხვა მანქანების გადასვლა ტროტუარზე.

დ) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შერაცხვა

სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ასევე უნდა შეერაცხოს „გ“-ს. ეს ასეა, როდესაც, ერთი მხრივ, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა იყო ობიექტურად პროგნოზირებადი (განჭვრეტადი) და ასევე შეიძლებოდა მისი თავიდან აცილება. მეორე მხრივ კი, კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაში რეალიზებული უნდა იყოს სწორედ ის საფრთხე, რომლის თავიდან აცილებასაც ისახავს მიზნად ნორმა.

(1) ობიექტური პროგნოზირებადობა და თავიდან აცილების შესაძლებლობა

მაშასადამე, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა უნდა ყოფილიყო ობიექტურად პროგნოზირებადი და შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მისი თავიდან აცილება. ის გარემოება, რომ მანქანის სახიფათო მართვამ შეიძლება გამოიწვიოს ავარია და ამ ავარიამ სამანქანო გზის ბლოკადა, ცხადი უნდა ყოფილიყო ობიექტური დამკვირვებლისათვის. ხოლო რაც შეეხება ტროტუარის დაზიანებას, ეს ზოგადად მძღოლების გავრცელებული, თუმცა არამართლზომიერი ჩვევაა, რომ სამანქანო გზის ბლოკადის თავიდან აცილების მიზნით, მიმართავენ ტროტუარს. ტროტუარი არ არის განსაზღვრული მანქანებისთვის და აქედან გამომდინარე, მისი ზედაპირიც არ არის შესაბამისად მყარი. ამგვარად, საკმაოდ ლოგიკურია ისიც, რომ ტროტუარის არადანიშნულებისამებრ გამოყენება გამოიწვევს მის დაზიანებას. აქედან გამომდინარე, ობიექტური დამკვირვებლისთვის ასევე პროგნოზირებადი უნდა ყოფილიყო ამ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაც, კერძოდ, ტროტუარის დაზიანება. მანქანის სათანადო მართვის შედეგად შესაძლებელი იყო ამ ზია-

ნის თვიდან აცილებაც.

(2) ნორმის დამცავი ფუნქცია

კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა უნდა იყოს დარღვეული ნორმის რეგულირებისა და დაცვის საგანი. ანუ: დარღვეული ნორმის ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს ამ კონკრეტული შედეგის თავიდან აცილება. წინამდებარე კაზუსში „გ“-მ დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის ნორმები. აღნიშნული კანონი ანესრიგებს არა მხოლოდ ზოგადად საგზაო მოძრაობის ობიექტური უსაფრთხოების საკითხს, არამედ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ანესრიგებს მანქანის მართვას კონკრეტული სიტუაციისათვის (მოძრაობის ინტენსიურობა, არსებული შეზღუდვები და ა.შ.) შესაფერისი სიჩქარით. ასეთი რეგულირებები საგზაო მოძრაობის ობიექტურ უსაფრთხოებასთან ერთად იცავს სწორედ საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს და ცდილობს თავიდან იქნას აცილებული მათი სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფა. მაშასადამე, ნორმა იცავს ასევე სუბიექტურ უფლებებს, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნება სხვისი საკუთრების დაცვა.

თუმცა, ნიშანდობლივია, რომ მოცემულ შემთხვევაში „თ“ არის არა საგზაო მოძრაობის მონაწილე, არამედ გზის მოსაზღვრე ტროტუარის მესაკუთრე. საკითხავია, ვრცელდება თუ არა მასზე ზემოხსენებული ნორმის დამცავი ფუნქცია. გზაც, ტროტუარიც და მოსაზღვრე შენობებიც მთლიანობაში უშუალოდ ქმნის საგზაო მოძრაობის სივრცეს. აღნიშნული ნივთების მესაკუთრესაც იგივენაირად ემუქრება საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული საფრთხე, როგორც მოძრაობის მონაწილეს. აქ საქმე გვაქვს თანაბარ, მსგავს ინტერესებთან. ამრიგად, „თ“-ზეც უნდა გავრცელდეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დამცავი ფუნქცია.

თუმცა, მოცემულ კონტექსტში საკითხავია, მოიცავს თუ არა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მოვლენათა კონკრეტული განვითარებისაგან დაცვას. თუ ვივარაუდებთ, რომ 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უზრუნველყოფს მასშტაბურ დაცვას და ნორმა ვრცელდება იმ მოვლენათა ნებისმიერი სახის განვითარებაზე, რომელიც გამოიწვია მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით

მართვამ. ნორმის ასეთი განმარტებით არ იქნებოდა გამორიცხული „გ“-ს დაკისრებოდა პასუხისმგებლობა მომდევნო მანქანის მძღოლის განზრახ ქმედებისათვის.

აღნიშნული მოსაზრებისაგან განსხვავებით, ასევე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არ გულისხმობს ასეთი მასშტაბის დაცვას და ვრცელდება მხოლოდ ისეთ მოვლენებზე, რომლებიც ჯერ კიდევ კონტროლირებადი იყო დამნაშავე მძღოლის მიერ და რომლებიც უშუალო კავშირშია მის არასათანადო მართვის სტილთან. ამ მოსაზრების მიხედვით, ნორმა არ გავრცელდება კონკრეტულ მოვლენაზე, ვინაიდან მანქანის სახიფათო მართვა არ არის უშუალო საფუძველი ტროტუარის დაზიანებისა.

ვინაიდან წარმოდგენილ მოსაზრებებს მივყავართ სხვადასხვა შედეგამდე, საჭიროა კამათის გადაწყვეტა. პირველი მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ გზით უზრუნველყოფილია მასშტაბური დაცვა ისეთი პოტენციურად სახიფათო პროცესის ფარგლებში, როგორცაა საგზაო მოძრაობა. ხოლო აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილემ თავის თავზე უნდა აიღოს გარკვეული რისკი. აქედან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ ნებისმიერმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ წარმოშვას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ამასთან, საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული რისკები საკმარისი ინტენსიურობით არის გათვალისწინებული და მოწესრიგებული სხვა სამართლებრივი ნორმების, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებში. შესაბამისად, არ არსებობს სამართლებრივი პროგნოზირებადობის მოთხოვნიდან გამომდინარე ნორმის გამოყენების სფეროს ასეთი მასშტაბური გავრცობის საფუძველი. გარდა ამისა, ზიანის ანაზღაურებას საფუძვლად უდევს პასუხისმგებლობის იდეა. აღნიშნული გულისხმობს ზიანის მიმყენებელი პირის შესაძლებლობას, გავლენა მოეხდინა მოვლენათა განვითარებაზე. ტროტუარზე მანქანებით გავლის გადანყვეტილება, მართალია, გამომდინარეობს „გ“-ს მიერ გამოწვეული სამანქანო გზის ბლოკადიდან, მაგრამ იგი დამოუკიდებლად იქნა მიღებული მომდევნო მანქანების მძღოლების მიერ. მძღოლები არ იყვნენ იძულებული

ბულები, მიეღოთ სწორედ ასეთი გადაწყვეტილება. შესაბამისად, აქ, მათი სუბიექტური გადაწყვეტილებით განწყვეტილია შინაგანი კავშირი „გ“-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას შორის. აღნიშნული მანქანების მძღოლებმა თავად შექმნეს ტროტუარის დაზიანების ახალი საფუძველი, რომელიც განხორციელდა კონკრეტული შედეგის სახით. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა „გ“-ს აღარ უნდა შეერაცხოს.

ე) შუალედური შედეგი:

ვინაიდან „გ“-ს არ შეერაცხება ტროტუარის დაზიანება, მის მიმართ არ წარმოიშვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე.

2. შედეგი:

„თ“-ს არა აქვს „გ“-ს მიმართ ტროტუარის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე.

II. „თ“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა „დ“-ს მიმართ სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე

„თ“-ს შესაძლოა „დ“-ს მიმართ ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

1. მოთხოვნის წარმოშობა

მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა, რომ ტროტუარი დაზიანდა იმ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას, რომლის მფლობელიც არის „დ“.

ა) სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ემსახურება მგზავრების გადაყვანას და ტვირთების გადაზიდვას

მსუბუქი ავტომობილი არის სატრანსპორტო საშუალება სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით.

ბ) „დ“, როგორც მფლობელი

„დ“ არის ავტომობილის მფლობელი.

ფაბულის თანახმად „დ“ არის მანქანის მფლობელი –» (+).

გ) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით

„თ“-ს საკუთრებაში მყოფი ტროტუარის დაზიანებით მოხდა სკ-

ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა.

დ) სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას

აღნიშნული ხელყოფა უნდა განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით რეალიზებული უნდა იყოს ამ ავტომობილთან დაკავშირებული ტიპური საფრთხე. აღნიშნული თავიდანვე იქნებოდა გამორიცხული, თუ გამოვიდოდა იქიდან, რომ „ექსპლუატაცია“ გულისხმობს მხოლოდ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას.¹¹⁴ ტროტუარის დაზიანების მომენტში კი ავარიაში მონაწილე მანქანა აღარ იმყოფებოდა მოძრავ მდგომარეობაში. იგი მხოლოდ ერთგვარი ბარიკადის სახით აფერხებდა მოძრაობას. თუმცა, შესაძლოა იმის განსჯაც, უნდა იქნას თუ არა მიჩნეული ექსპლუატაციად სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაგებით ის მდგომარეობა, როდესაც მანქანა თვითონ არ მოძრაობს, მაგრამ საგზაო მოძრაობას უშლის ხელს, თუ გადამწყვეტია მისი აქტიური მოძრაობა ავარიამდე. მაგრამ აღნიშნული საკითხი შეიძლება დარჩეს ღიად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, „თ“ «-» „გ“-ს ურთიერთობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით, ადგილი არ ჰქონია „დ“-ს ავტომანქანასთან დაკავშირებული საფრთხის რეალიზებას, არამედ, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ფარგლებში განხორციელდა მომდევნო ავტომანქანებთან დაკავშირებული საფრთხე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა არ განხორციელბულა „დ“-ს ავტომობილის ექსპლუატაციისას.

2. შედეგი:

„თ“-ს არც „დ“-ს მიმართ აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

¹¹⁴ იხ: ჩიკვაშვილი შალვა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ვალდებულებითი სამართალი, განსაკუთრებული ნაწილი, 2001 წ. 999-ე მუხლი, გვ. 407.

